



**Edgar  
Lee  
Masters**

*Spoon River Anthology*

TRANSLATED WITH AN  
INTRODUCTION BY KARDA KARDUKHI



გამომცემლობა „აპრილი“  
თბილისი  
2005

უგან ლი მახვილი

სწუწ სიწუწიწ

ქთოლმწიწ

ინგლისურიდან თარგმნა ღა  
შესავალი ღურთო ქარღა ქარღუწა



„დღემრიშმა გიშქელოს სიკედილო, სიციცხლე შქენობს შენითა“ თქვა ქართუკვლმა კაცმა, თქვა, რადგან მიხვდა თუ იგრძნო, მსოლიოდ სიკედილო რომ მიახლებდა იმ მარადიულ, გამოუცნობ და იღუმაღ ნეტარებას, რომელეთსაც მიახლება სიციცხლეში არაეის ძალუქს.

ათასწლეულებიშ მტკრისა და ქუქუიდან კი სულში ჩამწკდომად ჩაგვესმა მარადქალურობიშ უკვდაუი სმა: — შე კარ სერაფიტა, ძეკახის ასული, შეუღლე... იოდმანგანისა... ვაება ვაებისა! ის, ეინაც იყო ახალგაზრდა და იმდენად კარგი და მშექეიერი, რომ არაეინ იყო მისი მსგაესი სილამაზისა, გარდაიცვალა 21 წლისა“. — მოგვესმა საუკუნეებიდან და უკვე აღარ გვიკერის ედგარ ლი მასტერსის გმირების აღსარებები, უკვე აღარ გვიკერის, მაგრამ საოცრად გვალეღებს, რადგანაც გასაგებია, ახლობელი, ჩვენებური... ან იქნებ სულაც ჩვენსე წერს?

დაახიჯებს კაცი, შეძრული სამყაროს მისტიკური სიღადაით, სამაროენებში, საფლავის ლოდებს შორის და აწ უკვე გარდასულთ ებაახება, უფრო სწორედ გარდასულთა სულნი თვითონსე ეხაუბრებთან გულწრფელად, შეშხარაკად, შიშვლად.

არაფერი არს დაფარული...

დაახიჯებს ამ მეტყველ ლოდებს შორის და პრეისტორიული მოგვივით, გრძნეულივით გადაეყვარით მხეგარდასულთა საუფლოში და ცოცხალ მოწმეებს გეზდის ადამიანთა სიყვარულისა და სიძულელიისა, ცოდვისა და მადლისა, გაუტანლობისა და გაიმკერობისა, დაუნდობლობისა. გაუფასურებისა, ზნედაცემლობისა; საკუთარი თვალთ გვაძმერინებს ოდესდაც, სადაც ამერიკის შუადასავლეთის პროვინციული დაბის მკხოვრებთა სულისკნელში ადძრულ ქიკეებს, ფიქრებს, სულისკნელში თუ გონებაში? მაინც სულისკნელში, ყველასაგან დაფარულ ღრანტებში. უშორეს ქვეცნობიერში...

აკი თქვა კიდევ: „შე მინდოდა შემექმნა ცოცხალი სახე სამყაროსი და გამომეფინა ვიტრინაში, სადაც მის დათვალეერებას შესძლებდნენ შეყოვნებული გამკლელები“.

და შეძლო, რადგან მთელი ამერიკა, ედგარ მის, ემილი დიკინსონის, რაღე ეპერსონის და უოლტ უიტმენის პატრონი ამერიკა, ლექსებს დახარებულვით მიასყდა წიგნს, მოქმას. რომელსაც ერქვა „სიფენ რიგერის ანთოლოგია“.

აღბათ უპრიანია სწორედ ძველი ბერძენი ბრძენის, პლატონის, სიტყვები გაეხსენოთ, რადგან სწორედ ბერძნული პოეზიის ანთოლოგიამ მთავარა მასტერს ამ წიგნის შექმნა: „სხვა რაღაა პოეზია თუ არა თარგმანებაი ღმრთისა?“

მაშ ვინ იყო ეს ადამიანი, რომელმაც პირველყოვლისა ამერიკელებისათვის და შემდეგ მთელი მსოფლიოსათვის შექმლი ვიარაგნა ღმერთი? ვინ იყო ედგარ ლი მასტერსი?

დაიბადა კანზასში, ქალაქ გარნეტში 1868 წელს. გაიზარდა პიტსბურგსა და ლუისტონში, ქალაქებში, რომელნიც აქცია პროტოტიპად სუენ რივერისა. აკი თავის ავტობიოგრაფიასაც ასე დაარქვა „სუენ რივერის ქუჩებში“. დაამთავრა კოლეჯი. უყვარდა ლიტერატურა და უცხო ენები, შემდეგ მიიღო იურიდიული განათლება მაისის კანტონაში და 1891 წელს მიუცა უფლება ემუშავა ექილად. 1898 წელს გადავიდა ჩიკაგოში, როგორც უკვე ცნობილი ვეკილი. 1989 წელს იწყებს ბუქდვას. წერს ლექსებს და პიესებს, რომელნიც არც მკითხველს და არც კრიტიკოსებს არ მოსწონთ.

მიუხედავად იმისა, რომ მეგობრობდა ამერიკული მწერლობის ისეთ ცნობილ და სიახლის მაძიებელ მწერლებთან, როგორებიც იყენენ კარლ სენდბერგი, დრაიზერი, ლინდზი, მაინჯი ვიუტად აგრძელებდა გაცუეითილი და უკვე ყველასათვის მოყრიკებული კლასიკური სტილით წერას. როგორც ემი ლოუელი წერდა „ისე ჩანდა, თითქოს მისი ცნობიერება მუდამ ხველი ინსტინქტით გამოსცემდა ექის ძველი დროისა, ძველი სიტყვისა და ძველი სურათებისა“.

ეს იყო ამერიკული მწერლობის გამორჩეული პერიოდი. იმ დროს მოდიწაწობდნენ, და თითქმის მასტერსის თანადროულად იბუქდებოდნენ: ედვის არლინგტონ რობინსონი, რობერტ ფროსტი, რობინსონ ჯეფერსი, უოლეს სტივენსი, უილიამს კარლოს უილიამსი, ედნა სენტ-კინსენტ მილერი, ეზრა პაუნდი, ტომას სტერნს ელიოტი და სხვები, ერთი სიტყვით, სიადგი მზად იყო თესლის მისაღებად და თუ კი არსებობდა სიჭი, შეუძლებელია არ გაღვივებულიყო და არ ამოეფეთქა...

იყო ასეთი პიროვნება, გახუთ „რიდის მირონოს“ გამოცემელი, უილიამ მარიონ რიდი, პოეტის ახლობელი, რომელმაც უთხრა კიდევ ერთხელ: „ედვის გულისათვის, დაანებე თავი ამ გაყინულ კლასიკურ ფორმას“ – და აჩუქა წიგნი – ბერძნული პოეტური ანთოლოგია, სადაც ჩვეულებრივი ლექსების გარდა იყო ეპიტაფიებიც, სადაც ადამიანთა ცხოვრება არ იყო თანამედროვე ეპიტაფიებით შელამაზებული, სადღეგრძელოების მსგავსი, არამედ – ლაკონური, მართალი, მაგრამ ყოვლისმომცველი, წაიკითხა მასტერსმა და... იდეაც დაიბადა, გაახსენდა ბავშუობა, უფრო სწორედ პიტსბურგი და ლუისტონი. დაწერა კიდევ რამდენიმე... არა ეპიტაფია, მას ხომ უფრო მეტი



სიმაჟრე სკირდებოდა, უფრო მეტი სიპართლე, შიშველი სიპართლე, სადაც იქნებოდა ადსარება, მონოლოგი, მხოლოდ არა ცოცხალის (ცოცხალი ხომ მაისც ვერ უძლებს ცთუნებას საკუთარი ცხოვრების შეღამახებისა), არამედ გარდაცვლილის, ამიტომაც შიგნო ფორმას — ავტოკოიტაფია.

მკვდარს არაფერი აქვს დასაკარგი, არაფრისაც არ რცხვენია, მხოლოდ ისაა, მკვდარსაც აქვს ალბათ თანგაყოლილი ერთი გრძნობა, გრძნობა სინანულისა, დანანება განვლილი ცხოვრებისა.

იდეა იპოვა, მაგრამ ფორმაც ხომ სკირდებოდა, წარმოსახვები ხორცილად ხომ უნდა შეეშინა? უიტმენისებური თავისუფალი ლექსი, მაგრამ კიდევ უფრო გავრელობრებული, თანაც უიტმენს თუ ახსიათაებს მონაცვლეობა ძალიან გრძელი ფრაზებისა ძალიან მოკლესთან. მასტერსთან ეს უფრო დახვეწილია, რადგან ეპიტაფიებისათვის ასეთი სტილი არ გამოდგებოდა; ამის გარდა, გამოიყენა ბერძნული ეპიტაფიებისათვის სიმანდობლივი კეკხამეტრი, ასევე კლასიკური იამბი და ქორე, რამაც შექმნა მასტერსის სტილი, თუმცა საინტერესოა, რომ ეს სტილი მან მხოლოდ ამ პოემისათვის შექმნა და სხვაგან თითქმის არ გამოუყენებია. ეს არის სტილი. რომელშიც იპოვა მან საკუთარი თავი, და რომლითაც თქვა საკუთარი სიტყვა. ეტყობა ასეთ დროს ამბობენ, სათქმელს მოაქვს ფორმაო.

დაახლოებით ათ თვეში თითქმის დაამთავრა პოემის შექმნა, წარმოუდგინოთ რა ტიტანური შრომით. კარლ სენდბერგი იხსენებს: „უხედავად, როგორ წერდა ამ წიგნს მასტერსი, წერდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ: ხან პროფკავშირებში დარბობდა, რათა დაეცვა მიმტანთა უფლებები, რათა მოეწყოთ გაფიცვა და მოეპოვებინათ დასკვნების დღე, ხან სასამართლოდან სასამართლოში, რათა მიეცათ კონვენსაცია შუქდავისათვის, რომელიც გაუძართავმა მანქანამ დააკოჭლა, ერთი სიტყვით, მისი ცხოვრება ისევე დამაბული იყო, როგორც იმათი, ვისზედაც წერდა“.

მაშ ასე, პოემა დაიწერა და გამოიცა წიგნად 1915 წელს. მასტერსმა ჩაიფიქრა წიგნი სასაფლაოების მკვიდრთა მონოლოგების სახით. დაე მიცვალებულებს თვითონვე ესაუბრათ საკუთარ თავზე. ასე საიქიოდან გახდებოდა შესაძლებელი, გადმოცემულიყო ამერიკის ერთ-ერთი პროვინციული დაბის მთელი ცხოვრება. როგორც თვითონ წერდა: „დაპირისპირება კეთილსა და ბოროტს შორის თანაბარია როგორც დიდ, ასევე პატარა ქალაქში. ქალაქმა ლუისტონმა მომცა გასაღები, რომლითაც გამახსენებინა დიდი სამყაროს საიდუმლოებანი“.

არადა, თურმე მასტერსი ამ თემაზე თავიდან რომანის დაწერას ფიქრობდა, მაგრამ „... პროვინციული სამსახურის გავლენით არ გამანდნა დრო რომანისათვის და ამიტომაც შევაკოწიწე ჩემი ნაწარმოები ამ ფრაგმენტებისაგან“.

რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ ჩემი სიტყვები. ალბათ გაგვი-  
მართლა რომ არ დარჩა დრო რომანისათვის, რატომღაც მაინც მგონია, რაც  
უნდა კარგი რომანი გამოსულიყო, მაინც ვერ იქნებოდა ასეთი ორიგინალური  
და უნიკალური. და ბილოსდაბილოს ასეთი გამორჩეული შემოქმედებითი  
ნაწარმოები, როგორცაა პოემა „სუენ რივერის ანთოლოგია“.

მასტერსს, ხანამ ამ წიგნს გამოსცემდა, უკვე პქონდა გამოქვეყნებული  
ათამდე კრებული, ამ წიგნის შემდეგ კიდევ ორმოცამდე იხზულება შექმნა,  
მაგრამ არც ერთს არ ღირსება ისეთი აღიარება, როგორც ამ ერთს.

მას დღესაც მხოლოდ „სუენ რივერის“ ავტორად იცნობენ.

აქვე ვიტყვით, რომ მან შემდეგში გააგრძელა ეს წიგნი, ან, უფრო სწ-  
ორედ, დაუბრუნდა ამავე თემას და გამოსცა წიგნი „ახალი სუენ რივერი“.  
რომელიც ასევე აიტაცეს, თუმცა არა პირველიყო, ის მაინც „სუენ რი-  
ვერის ანთოლოგიის“ მეორე ტომად ითვლება.

ეს წიგნი მხოლოდ ამერიკაში მრავალჯერ გამოიცა, დაჯილდოვებუ-  
ლია ამერიკის აკადემიის მიერ, თარგმნილია უამრავ ენაზე.

„სუენ რივერის ანთოლოგიის“ რამდენიმე ნიმუში (გორაკი, ენი რატლ-  
ეჯი...) პირველად ქართულ ენაზე შესანიშნავად თარგმნა ზვიად გამსა-  
ხურდიამ, ზვიად გამსახურდიამვე მიუძღვნა ბრწყინვალე ესე ედგარ ლი მა-  
სტერსის პოეზიას.

რამდენიმე ეპიტაფია (რედაქტორი უელსი...) და ლექსი „დუმილი“  
ასევე მშვენიერად თარგმნა ქართულად საბაზ ჩხენკელმა. არსებობს „დუმი-  
ლის“ მეორე თარგმანიც გიორგი ნიშნიანისიხის მიერ შესრულებული.

ედგარ ლი მასტერსი გარდაიცვალა 1950 წელს. განისვენებს გორაკზე  
(სამაროვნებში) პიტსბურგში ბაბუა დევის მასტერსთან და ბებია ლუსინდა  
მასტერსთან (პროტოტიპი ლუსინდა მელოქისა) ახლოს. სუთიოდე სამარ-  
ის მომორებით განისვენებს ენი რატლეჯი... მასტერსის ანთოლოგიის ერთ-  
ერთი გმირი, აბრაამ ლინკოლნის პეტრეფე.

ედგარ ლი მასტერსის სამარის ლოდზე ეპიტაფიად ამოკვეთილია მისი  
საყვარელი სიტყვები ლექსიდან – „ხვალ ჩემი დაბადების დღეა“:

„ჩემო კარგებო, ნება მომეცით წაგიდე მისდრად, მე – ავადმყოფი.

გავიელი მცირეს, მოგიხდით ბოდიშს და მივიძინებ,

რა არის ძილზე ტკბილი, ნეტარი?

აქ ჩაბარდები სამყაროვ, როგორც ბავშვს ფორთოხალი.

მე თქვენთან უკვე არ ძალმიძს ყოფნა.

მა, შენს ხელთა ვარ...“

## სამაროვნები

სად, სადღა არის უნიათო ელმერი ახლა?  
სად, სადღა არის გამრჯე ჰერმანი?  
მასხარა ბერტი, ლოთი ტომი, მეზრძოლი ჩარლი?  
ჰო, სათითაოდ ყველა მათგანი  
სამარადისოდ განისვენებს სამაროვნებში!

ერთი მოაშთო ციებ-ცხელებამ,  
მეორე ფერფლად გადაიქცა ცივ მაღაროში,  
მესამე – ქუჩის შეეწირა შეხლა-შემოხლას,  
მეოთხეს – სულაც ტყვეობაში აღმოხდა სული,  
მეხუთე – მოსწყდა ხიდიდან დაბლა  
ცოლ-შვილისათვის ჯაფით დაღლილი...  
ჰო, სათითაოდ ყველა მათგანი  
სამარადისოდ განისვენებს,  
სამარადისოდ განისვენებს,  
სამარადისოდ განისვენებს სამაროვნებში!

სად არის ელი, მგრძნობიარე გულის პატრონი?  
ლამაზი სულის სადღა არის ქეითი ახლა?  
კისკისა მეგი, ამაყი ლიზი ანდა ედიტი  
ბედის რჩეული?  
ჰო, სათითაოდ ყველა მათგანი  
სამარადისოდ განისვენებს სამაროვნებში!

ერთი გადაჰყვა საიდუმლო მშობიარობას,  
მეორე ცალმხრივ სიყვარულს მგონი,  
მესამე მოჰკლა ვიღაც მხეცმა საროსკიპოში,  
მეოთხე მოკვდა გულგატეხილი  
ოქროსთმიანი უფლისწულის ცრუ მოლოდინით,  
შორეულ ლონდონს და პარიზში ცხოვრების შემდეგ

ჩვენი ელიტიც აქეთ დაბრუნდა,  
აქ განისვენებს მეგის, ლიზის და ელის გვერდით!  
ჰო, სათითაოდ ყველა მათგანი,  
სამარადისოდ განისვენებს,  
სამარადისოდ განისვენებს,  
სამარადისოდ განისვენებს სამაროვნებში!

სად არის ძია აიზეკი, ემილ მამიდა?  
ბებერი თაუნ ქინქეიდი, სევინ ჰოუთონი?  
ან მაიორი უოკერი ვინც ბაასობდა  
რევოლუციის მონაწილე ღირსეულ ხალხთან?  
ჰო, სათითაოდ ყველა მათგანი  
სამარადისოდ განისვენებს სამაროვნებში!

კარს მოუყენეს მათ ცხედარნი ომიდან ვაჟთა  
და ქალიშვილნი ცხოვრებამ რომ გაიგლო ფერხთქვეშ  
და შვილიშვილნი დაყრილნი ობლად –  
ჰო, სათითაოდ ყველა მათგანი  
სამარადისოდ განისვენებს,  
სამარადისოდ განისვენებს,  
სამარადისოდ განისვენებს სამაროვნებში!

სად, სადღა არის მოხუცებული  
მევიოლინე ჯოუნსი ვინაც,  
ოთხმოდდაათი წელიწადი განვლო თამაშით?  
შიშველი მკერდით მიმოქროდა ზამთრის თოვლ-ჭყაპში,  
თავაწყვეტილი დადიოდა ლოთად ქცეული,  
ალარ ფიქრობდა არც ცოლზე, არც ნათესავეებზე,  
ალარც ოქროზე, სიყვარულზე და არც ზესკნელზე!  
ჩუ, ყური უგდეთ! გვეჩურჩულება:  
დიდი ხნის წინათ მდინარეში თევზაობაზე,  
გარდასულ დროის, ქლერ გროუში, ცხენტა სრბოლაზე,  
გვეჩურჩულება – ქალაქ სფრინგფილდში  
ები ლინკოლნის ნასაუბრევეზე!

## ჰოლ უუთი

მეც აქვე ვწევარ,  
ბილ ფიერსოლის სამარესთან, ბებერ ბილისთან,  
ინდიელებთან ვაჭრობით რომ აივსო ჯიბე,  
შემდეგ მიმართა სასამართლოს და განაცხადა გაკოტრებაზე  
რამაც გახადა ის მდიდარი ვიდრე ოდესმე.  
მე კი დამლალა ლატაკის გარჯამ  
მაშინ, როდესაც ბილს და მისთანებს აღრჩობს სიმდიდრე  
და ერთ საღამოს, სიახლოვეს პროქტორის ჭალის  
გაეძარცვე მგზავრი.  
(ის გაძარცვამდე ჩაბარდა გამჩენს)  
მე სახრჩობელა მერგო სასჯელად.  
ეს იყო ჩემი გზა გაკოტრების,  
ახლა კი ჩვენ ვინც სხვადასხვა გზით გაგვაკოტრა წუთისოფელმა  
გვერდი-გვერდ ვწევართ, მშვიდად და წყნარად.

## ოლი მაქაი

თუ გინახიათ მომავალი სოფლიდან ნელა  
მწუხარე სახის მამაკაცი, თვალედახრილი?  
ღიას, ის არის ჩემი მეუღლე  
ვინაც ფარულად, სიტყვაუთქმელად ასე უწყალოდ  
მშვენიერება და სინორჩე გაძარცვა ჩემი  
ბოლო მისხლამდე.  
კბილებყვითელი, სახედამჭკნარი,  
განშორებული სიამაყეს და მორჩილი მიუტყეველად  
ჩავესვენე ბნელ სამარეში.  
მაგრამ რას ფიქრობთ, ჩემი მეუღლის გულს ახლა რა ღრღნის?  
სახე – რომელიც მე მქონდა ადრე,  
და სახე – რაღაც მან აქცია ჩემი ხატება!  
მას ეს ცოდვები მოაქანებს ჩემსკენ ვაებით!  
სამარისაკენ...  
მაშასადამე გვიან, მაგრამ ვიძიე შური.

## უღეჩერ მაქჩი

გამომაცალა ძალ-ღონე წამში,  
წუთში მიმტაცა მთელი ცხოვრება,  
მან გამომფიტა, როგორც მთვარემ გაგიჟებულმა  
ეს დედამიწა, მობზრიალე ღერძის გარშემო.  
აჩრდილთა მსგაესად დიოდნენ დღენი,  
ხოლო წამები იელვებდნენ, როგორც ვარსკვლავნი,  
მან გამომტყუა თანაგრძნობა გულის სიღრმიდან  
და სასაცილოდ აიგლო შემდეგ.  
ის იყო თიხა ქანდაკებისა,  
ჩემი ფარული ფიქრები კი გახლდათ თითები,  
მის ჩაფიქრებულ შუბლზე ქროდნენ ისინი ნაზად  
და ტკივილიან ნაოჭებით სერავდნენ უხმოდ.  
ჩემი თითები ჩააცივდნენ მის ლამაზ ტუჩებს, ჩაზნიქეს ლოყა  
და მწუხარებად ჩაელვარნენ ლამაზ თვალებში.  
როგორც დემონი ერთბაშად შვიდი,  
ბრძოლად ქცეული ჩემი სული ეწვია თიხას,  
მაგრამ ის უკვე არ იყო ჩემი, არც მისი იყო.  
მას ეპყრა იგი, ის კი იბრძოდა  
და იქცა სახედ, სწორედ იმ სახედ,  
რომელიც სძულდა უმეტეს ყოვლის.  
იქცა იმ სახედ რომლის ნახვაც მე მაშინებდა  
და მე დავლენე ყველა სარკმელი, ყველა საკეტი  
და დავიმალე საკუთარ თავს მიფარებული –  
შემდეგ ის მოკვდა და დამიწყო ყველგან თვალთვალი,  
მითვალთვალებდა მთელი ცხოვრება.

## ქონსთანს ჰაილი

სფუნ რივერ, აქებ ჩემს თავგანწირვას  
ირენისა და მერის აღზრდისთვის,  
ჩემს უფროს დას რომ დაურჩენ ობლად!  
თან განიკითხავთ ირენს და მერის  
იმისათვის, რომ მე შემიძულეს!  
ნუ ასხამ ხოტბას ჩემს თავგანწირვას,  
ნუ განიკითხავ ჩემს დისშვილებს სიძულვილისთვის,  
რადგან აღზარდე და ვიღევნოდი მათთვის კიდევაც,  
მაგრამ მოვშხამე ესოდენ ჩემი წყალობა,  
გაუთავებელ დამადლებით ჩემი სიკეთის.

## რობერტ ფულტონ ტეინერი

თუ შეუძლია კაცს რომ დაკბინოს განგების ხელი  
რომელიც მტკიცედ ჩაჭფრენია და ანადგურებს, –  
ვით მე დამკბინა თავუნიათ,  
როდესაც ყველას ვუჩვენებდი თვითნაკეთ ხაფანგს  
ჩემს რკინეულის მალაზიაში?  
მაგრამ ვერასდროს შესძლებს კაცი შური იძიოს  
კაციჭამია სიცოცხლეზე, უსაზიზღრესზე.  
შენ შეაბიჯებ ოთახში – უცებ ჩნდები ამქვეყნად;  
და შემდეგ უკვე ვაღდებული ხარ რომ იცოცხლო,  
და იმუშაო, ვიდრე სულის აღმონდომამდე.  
აჰ! სატყუარა, რომელიც შენ გსურს გულისხმობს შემდეგს:  
მილიონერის ქალიშვილზე დაქორწინება,  
ძალაუფლება, პატივი და თანამდებობა,  
მაგრამ ამისთვის საჭიროა მცირედი გარჯაც  
და დაძლევა წინალობების.  
აჰა, დიახაც! ანკესები დაფარული სატყუარათი!

ბოლოსდაბოლოს შედიხარ შიგნით  
მაგრამ ჩაგესმის ხმა ნაბიჯების:  
კაციჭამია სიცოცხლე მოდის ოთახისაკენ  
(აყურადებდა და ელოდა ზამბარის წკარუნს)  
რათა უმზიროს თუ როგორ ღრღნი ყველს გასაოცარს:  
მოშტერებული დამნაცრავი მისი თვალები  
მწუნხარება და გაცინება, გამოჯავრება და წყევლა-კრულვა  
და სათაგურში ბორიალი აღმა და დაღმა  
ვიდრემდის შენი ტანჯვა-წამება თავს მოაბეზრებს.

## ქასიუს ჰეიუერი

ჩემს სამარეზე ამოჰკვეთეს ეპიტაფიად:  
„მისი ცხოვრება იყო მშვიდი და მის ბუნებას  
ისე შეერწყა სასიცოცხლო ოთხივ სტიქია,  
რომ თვით სამყაროს, ფეხზე დამდგარს, შეეძლო ეთქვა:  
ის იყო კაცი!“<sup>1</sup>  
ვინც ამ ცარიელ რიტორიკას თვალს გადაავლებს,  
თუკი მიცნობდა ჩაიცინებს ეჭვსგარეშეა.

ჩემს სამარეზე მე ვარჩევდი ეპიტაფიად:  
„აღსავსე იყო მშფოთვარებით მისი სიცოცხლე  
და მის ბუნებას ისე შეერწყა სასიცოცხლო ოთხივ სტიქია,  
რომ მისთვის მხოლოდ ბრძოლა იყო მთელი ცხოვრება,  
რომელშიც თვითონ გამოვიდა დამარცხებული“.  
ვიდრე ვცოცხლობდი ვერ ვიტანდი ცილისმწამებლებს;  
ახლა მკვდარი ვარ და არ ძალმიძს არ შევეგუო  
სულელის მიერ ამოჩორკნილ ეპიტაფიას.

---

1. უილიამ შექსპირი. „ჰამლეტი“. შეადარეთ: „ის კაცი იყო, ვით შეჰფერის  
კაცსა კაცობა...“ გვ.339. (თბილისი 1986 წ.)



## სპრეშთა მემისონი

ჩემი სიცოცხლე იყო ყვაილი, ვისაც შეეძლო აყვავება  
მთელი არსებით  
რომ არ დაეზრო ქარბუქს სუსხიანს ჩემი ფოთლები;  
თქვენაც შეგეძლოთ დაგენახათ მიმოფანტულნი ისინი სოფლად.  
წამომართული ტალახიდან გავკივი მწარედ:  
„თქვენ არასოდეს არ გინახივართ გაფურჩქნული სულით-ხორცამდე.  
ჰოი, საწყალნო, თქვენ, ვინაც ცხოვრობთ ამ ქვეყანაზე,  
თქვენ ვინც არ უწყით სავალნი ქართა  
და უხილავი ძალა რომელიც მართავს სიცოცხლეს.

## ამანლა ბარქერი

დამაორსულა ჰენრიმ, თუმცაღა  
იცოდა, ველარ გავაჩენდი ქვეყნად სიცოცხლეს –  
ისე რომ ჩემი საკუთარი არ დამეკარგა,  
ამადაც ნორჩმა შევდგი ფეხი მტკერის კარიბჭეში.  
მეზაერო, დაბაში, სადაც ვცხოვრობდი, ყველას ასე სწამს;  
რომ მე ვუყვარდი ჰენრის წრფელი ქმრის სიყვარულით.  
ამად ვამხილე მტკერთით აღმდგარმა,  
რომ ეს მან მომკლა ზიზლით სავსე კმაყოფილებით.

## ჩემი პერი

ლოთი ვიყავი ქალაქისთვის მთელი ცხოვრება.  
მოვკვდი და მღვდელმა უარი თქვა ჩემს დაკრძალვაზე  
წმინდა მიწაში.

მან არ იცოდა, რომ შემყარა ბედს უნებლიედ.  
რადგანაც მიწა შეისყიდეს პროტესტანტებმა  
და ჩემი ნეშტიც დამარხეს აქვე,  
ბანკირ ნიკოლას და ფრისცილას – მისი მეუღლის,  
საფლავთან ახლოს.

დაიმახსოვრეთ, ღვთისმოსაუნო და ჭკვიანო სულნო,  
ამ ცხოვრებაში წუთისოფლის ცვალებადობას  
იმ ქვეყნად მოაქვს პატივი მისთვის,  
ვინაც სირცხვილში გაატარა მთელი სიცოცხლე.

## პერი ქერი ბუღკუქი

თქვენ ოდნავაც არ გაგკვირვებით,  
სფუნ რივერელო ჭკუამწყრალებო,  
როცა არ მისცა ჩეიზ ჰენრიმ ხმა სალუნელებს,<sup>1</sup>  
რათა ეძია შური მისი განკვეთისათვის.  
მაგრამ აღარც ერთს არ გეყოთ ჭკუა,  
გამოჰყოლოდით ჩემს ნაკვალევს, ჩემს ნაფეხურებს,  
რომ გეცნოთ ჩემში ჩეიზ ჰენრის ძმა სულიერი.  
თუ გახსოვთ მაინც, როგორ ვებრძოდი  
ბანკირებსა და მოსამართლეებს  
ხალხის ქონების მითვისებისთვის?  
როგორ ვებრძოდი ქალაქის ზეპურთ,  
როდესაც ბაჟი დააწესეს განუსაზღვრელი

---

<sup>1</sup> Saloon – (ამერიკ.) ლუღხანა

როდესაც ბაჟი დააწესეს განუსაზღვრელი  
ტეხასის ურემ საზიდრებისთვის?  
თუ გახსოვთ როგორ ვიბრძოდი, როცა  
წყლის გამყვანებმა გააფუჭეს ქუჩები ყველგან  
და გააძვირეს მომსახურება?  
ან საქმოსნებთან ჩემი ბრძოლა თუ გახსენდებათ?  
ვინ შემეხიდა მე ამ ბრძოლებში?  
მაშ ის თუ გახსოვთ  
დამარცხებულიც რომ აღვსდექი ნამსხვრევებიდან  
ნამსხვრევებიდან დამსხვრეული კარიერისა,  
ავაფრიალე შემონახული ბოლო იდეა,  
მანამდე ყველას მზერისაგან მიფარებული,  
ვით სანუკვარი თავყბა<sup>1</sup> ვირისა  
და დავამარცხე ბანკირნი და წყალგამყვანები  
და საქმოსნები – მშრალი კანონით,  
რომ ვაიძულე სფუნ რივერი ბოლო მისხლამდე  
ჩამოეყაჭა წაგებული ბრძოლების ხარჯი?

## XIX სომერსი

ეს როგორ მოხდა ერთი მითხარით  
რომ, მე, ვექილი, ვექილთაგან გამორჩეული,  
ვინც ბლექსთონი და ქოუქი ვიცი ზეპირად,  
ვინც ჩინებულად გამოვედი სასამართლოში  
ვინაც დავწერე მოკლე ნაშრომი  
და მოვიპოვე მსაჯულ ბრესის ჯილდო ამისთვის: –  
ეს როგორ მოხდა ერთი მითხარით,

---

1. იგულისხმება ბიბლიური მოთხრობა: სამსონმა ფილისტიმელები და-  
ამარცხა ბრძოლის ველზე შემთხვევით ნაპოვნი ვირის თავყბით: „ვირის  
ახალი თავყბა იპოვა, ხელით დასწვდა, აიღო და ათასი კაცი დახოცა იმით,,  
მსაჯულნი 15-15.

სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მოსამართლეს (judex)

რომ მე აქ ვწევარ უჩინარად, ყველასაგან დავიწყებული,  
მაშინ როდესაც ჩეიზ პენრის, ქალაქის ლოთის,  
სასაფლაოზე მარმარილო წამომართულა?  
ნეტავ ბუნებამ რად იხუმრა ასე ბოროტად  
რად გაურია ყვავილნარში სარეველები?

## ქინსი ქინსი

ყური დამიგდე თომას როუდს, ბანკის მმართველო,  
ქულბი უედონ, – რედაქტორო გამომცემლობის,  
მამაო ფიით – წინამძღვარო მთავარი ტაძრის,  
ა.დ. ბლუდ-მრავალგზის არჩეულო სფუნ რივერში ქალაქის მერად,  
ბოლოს თქვენ ყველამ; პურიტანული კლუბის წევრებო:  
ყური დაუგდეთ მომაკვდავი კამბრონის<sup>1</sup> სიტყვებს,  
ვინაც გმირულად უმშვენებდა გვერდს ნაპოლეონს  
სანტ იენის მთაგრეხილთან თუ ვატერლოოსთან,  
ყური დაუგდეთ, რა მიუგო როს მაიტლენდმა,  
ინგლისელმა გასცრა კბილებში:  
„დაგემორჩილდით, მამაცნო ფრანგო!“  
დღის მიწურული დამდგარიყო, როცა იბრძოდნენ იმედმიმქრალნი  
და ბონაპარტეს ვებერთელა არმიის ნაშთი  
მცირე ჯგუფებად ტოვებდა ველობს,  
ვით ნამეხარი ღრუბლის ქულები, ქარიშხლის შემდგომ.  
ჰოდა კამბრონემ რაც ინგლისელს მიუგო მაშინ  
ვიდრე მთის მწვერვალს მიმწუხრის ფონზე  
გაასწორებდა ინგლისელთა ჭურვების ცეცხლი,  
იმასვე გეტყვი შენ და სულ ყველას,  
და შენ სამყაროვ!  
ჩემი თხოვნა კი მხოლოდ ეს არის  
ჩემს სამარეზე ამოჰკვეთეთ მისი სიტყვები.

---

1) პიერ კამბრონი (1770–1842) ფრანგი გენერალი. მან ვატერლოოს ბრძოლაში ინგლისელ გენერალს მაიტლენდ პერეგრინს, რომელმაც მას ტყვედ დანებება შესთავაზა ასე მიუგო „გვარდია კვდება, მაგრამ არ ნებდება“

## ბენჯამინი პანთიერი

ამ სამარეში ერთად წევანან ბენჯამინი და ძაღლი — ნიგი;  
გადამდგარ ვექილს მხოლოდ ძაღლი შემრჩა ნუგეშად,  
კომპანიონად, მეგობრად და ერთგულ დარაჯად.  
ნაცრისფერ ბილიკს დაუყვნენ დაბლა,  
ჩემი ბავშვები, მეგობრები, კაცნი და ქაღნი,  
ერთმანეთს მიყვნენ, დაუტევეს წუთისოფელი,  
დამტოვეს ვიდრე მარტოსული ვიყავი ნიგთან,  
ის იყო ჩემი მეგობარიც და თანამეცხედრეც და სუფრის წევრიც.  
არადა მახსოვს ამ ცხოვრების გაციისკრებისას  
რა მგზნებარებით ვისწრაფოდი დიდებისაკენ.  
შემდეგ კი ქალმა, ვინც მომინელა, მიმტაცა სული,  
დამიგო მახე სასიკვდილოდ დამცლელი სისხლის,  
ვიდრე ბოლომდე აღარ გამტეხა,  
ერთ დროს ძლიერი და მტკიცე ნების,  
აღარ გამხადა უნიათო და უსურვილო,  
ვინაც ძაღლ ნიგთან, უბადრუკი ოფისის უკან  
საკუჭნაოში გავატარე მთელი ცხოვრება.  
შემოტმასნია ნიგის ქალა ჩემს ყბებს ქვემოდან —  
ჩაკარგულია სიჩუმეში ჩვენი ამბავი.  
წა, გამეცალე გიჟო ქვეყანავ!

## ქალბატონი პანთიერი

ვიცი მან გითხრათ რომ წარვტაცე თითქოსდა სული,  
დავუგე მახე და სასიკვდილოდ ვწრეტდი სისხლისგან.  
ყველა მამაკაცს უყვარდა იგი,  
თუმცა ქალთაგან თითქმის ყველას ებრალებოდა.  
წარმოიდგინე შენ მართლაცდა ქალბატონი ხარ,  
უსათუთესი გემოვნება გიბოძა ღმერთმა  
და გეზიზღება ვისკისა და ნიორის სუნი,

უოდსუორთის! „ოდის“ ხმები ჩაგესმის ყურში,  
ის კი დილიდან საღამომდე, როგორც ციტატას,  
გიმეორებდეს გამუდმებით უბადრუკ სიტყვებს:  
„ოი, რაღაა მედიდური მოკვდავი სული“?

წარმოიდგინე:

შენა ხარ ქალი, უზრუნველი შემოსავალით,  
ხოლო ზნეობა და კანონი გაძლევდეს ნებას  
გქონდეს ცოლ-ქმრული ურთიერთობა მხოლოდ იმ კაცთან,  
სწორედ იმ კაცთან ვინც გეზიზღება,  
მხოლოდ ამაზე ფიქრობდე მუდამ,  
ამ დროს კი, როცა ზიზღზე ფიქრობ შეუსვენებლივ,  
სწორედ იმ კაცის სახე გედგას თვალწინ დღემუდამ?  
სწორედ ამიტომ გავაძევე სახლიდან გარეთ,  
რათა ეცხოვრა ნიგთან ერთად ოფისის უკან,  
ბინძურ ოთახში.

## რ შ ბ ე ნ ჰ ა ნ დ ი ი ა რ ი

ღიას ემილი,

შენი ლოცვები არ ყოფილა ამაო გარჯა  
და შენს სიყვარულს უნაყოფოდ არ ჩაუვლია.  
შენი მადლია, თუკი ვინმე ვიყავი ქვეყნად,  
შენი არსება არ მაძლევდა დაცემის ნებას,  
ჩემში სიკეთეს აღვიძებდა შენდამი ტრფობა.  
ემილ, ძვირფასო, მომისმინე, უნდა გიამბო:  
თითქოს ადვილად გადავლახე მშობლების ზღუდე,  
მკერავი დორას ქალიშვილმა კი გამამწარა  
და შევერიე მუხთალ სამყაროს,  
გამოვიარე ათასგვარი ხიფათი ქვეყნად

---

1. უილიამ უოდსუორთი. (1770–1850).

ქალით და ღვინით და სიცოცხლის ბრმა სიყვარულით.  
რიუ დე რივოლის! ბნელ ოთახში ერთხელ საღამოს  
ღვინოს ვწრუპავდი შეათვალება კეკლუტან ერთად  
და შეუძმწველად ამომეცსო თვალები ცრემლით.  
კახპამ იფიქრა – ამაცრემლა მისადმი ტრფობამ  
და ჩალიმებით იზეიმა ჩემი დაპყრობა.  
ჩემი სული კი შორს დაქროდა, ძლიერ შორს,  
სადღაც,  
იმ დღეთა ახლოს სფუნ რივერში, როს შენ მმოძღვრავდი.  
მაგრამ შენ უკვე აღარ ძალგიძს ისევე გიყვარდე,  
არც ლოცვა ჩემთვის,  
შენ აღარ ძალგიძს ბარათების მოწერა ჩემთვის,  
და შენი ტკბილი საუბრის ნაცვლად  
მებაასება მდუმარება მარადიული.  
და შეათვალება კახპა მპარავს ცრემლს შენთვის დაღერილს,  
როგორც ამბორს შენთვის განკუთვნილს.  
სწორედ იმ დღიდან სხვანაირი გავხდი, ძვირფასო,  
ემილი სფარქსი!

## ემილი სფარქსი

სად არის ჩემი ყმაწვილი ბიჭი –  
ქვეყნიერების რომელ მხარეს გაუჩინარდა?  
ბიჭი, სკოლაში ვინც მიყვარდა ყველაზე მეტად?  
მასწავლებელი შინაბერას უბიწო გულით,  
ვინც შვილებივით შევიყვარე ყველა მოსწავლე,  
ხომ არ ვცდებოდი, ნეტავ, ამ ბიჭში,  
მგზნებარე სულის რომ მეგონა,  
სიცოცხლით სავსე და ყოველთვის მიზანსწრაფული?  
ო, ჩემო ბიჭო! ჩემო ჭაბუკო!

---

1. ქუჩა საფრანგეთში.

შენთვის ლოცვებით ვათენებდი წყვილიად ღამეებს.  
ნეტავ თუ გახსოვს ჩემი ბარათი  
ქრისტესმიერი სიყვარულის მშვენიებით სავსე?  
თუმცა იცოდე: წაგიკითხავს შენ ის თუ არა,  
ჩემო ჭაბუკო,  
სადაც არ უნდა იყო ამქვეყნად,  
მხოლოდღა შენი სულისთვის ესუნთქავ!  
რადგან ყოველი თიხა და მტკერი,  
რადგან ყოველი ნაწიბური შენი სხეულის  
წარმოშობს ნათელს ცეცხლის ალისას,  
მარტოდენ ნათელს და სხვას არაფერს...  
ნათელს მარტოდენ!

## აშთიბაქარი მორაინერი

მხოლოდ ქიმიკოსს ძალუძს გვითხრას, ზოგჯერ არც იმას,  
რა შედეგს მოგვცემს შეზავება  
სითხის და მყარის.  
ჰოდა, ვინ განსჭვრეტს  
კაცის და ქალის შეზიარების ნაყოფს წინასწარ?  
აი, ბენჯამინ პანთიერი და მისი ცოლი,  
ცალ-ცალკე ორნივ მშვენიერნი, მაგრამ ავბედნი ერთმანეთისთვის:  
ქმარი ჟანგბადი, ცოლი წყალბადი,  
ვაჟი კი ცეცხლი, ნაცრადმქცევი ყოველივესი.  
მე, თრანინერმა, აფთიაქარმა, ქიმიკატების შემზავებელმა,  
აღარც კი ვცადე – ჩასახვამდე მოვკალი აზრი:  
შეუუღლებლად გავატარე მთელი ცხოვრება.



## დეზი შრაგერი

თუ გაგიგიათ რომ ოდესმე რედაქტორ უედონს  
სახალხო ფონდში შეეტანოს რამე ქრთამიდან,  
რასაც იღებდა კანდიდატთა მხარდაჭერისთვის,  
ანდა ქარხანის რეკლამისათვის,  
მეანაბრენი რომ უშოვნა ამდენი ქებით?  
ან იმ ფულიდან ბანკირებმა რომ უწყალობეს,  
როცა დამალა ბანკის სიღამპლე და გაკოტრებას გადაარჩინა?  
თუ გაგიგიათ რომ ოდესმე დახმარებოდეს  
ვინმეს გამსვლელი მოსამართლე გარდა ბანკირთა  
და „ქ“ რკინიგზის?  
ან მამა ფითს, ან მამა სიბლის  
წყალსაცაეების ასაშენებლად  
თუ გაულიათ შესაწირი ჯამაგირიდან  
რასაც იღებდნენ გაჩუმებისთვის,  
ანდა ლიდერთა სურვილების ქადაგებისთვის?  
მე კი, მე – დეზი ფრაზერი ვისაც,  
ქუჩაში მუდამ მხვდებოდა ყველა  
ჩაცინებით და თავის კანტურით  
ჩახველებით და შეძახილით: „აი ის მოღის“,  
სანამ ა.დ. ბლუდი მოსამართლე არნეტს მიმგვრიდა  
მუდამ შემქონდა შესაწირად ათი დოლარი და სხვა რაიმეც  
სფუნ რივერის სასკოლო ფონდში.

## ბენჯამინ შრაგერი

მათი სულები აბათქუნდნენ ჩემს სულისკნელში,  
როგორც ათასი ფარვანას ფრთები.  
თვალმინაბული შევიგრძნობდი მათ სულის რხევას.  
თვალმინაბული შევიგრძნობდი როცა წამწამნი  
დახრილ თვალთაგან წითელ ლოყებს უაღერსებდნენ,

ვგრძნობდი მათ ყოველ შემობრუნებას,  
მათი ტანსაცმლის ყოველ შარიშურს.  
ვგრძნობდი ქსოვილის ნაკეცების ყოველ შერხევას.  
მათი სულები უყურებდნენ ჩემს აღტკინებას  
ფართო თვალების ვარსკვლავური უდარდელობით,  
მათი სულები უმზერდნენ ჩემს ტანჯვა-წამებას  
და ისრუტავდნენ როგორც წყაროს უკვდავებისას  
და ჩემი სულის მგზნებარე ალი  
ელვარე მზერით, მხურვალე სახით  
ოქროცურვილში ხვევდა მათ სულებს,  
როგორც ფარვანას ფრთებს მზის სხივები  
და მე ისინი მომიხმობდნენ სიცოცხლისაკენ,  
სიცოცხლისაკენ,  
სიცოცხლისათვის.

მე კი, როდესაც საკუთარი ცხოვრება ვშთანთქმე,  
შევიპყარი და გამოვწრიტე მათი სულები,  
თითქოს ყურძენი დაეჭყლიტოს ბავშვს და შეეხვას  
ხელის მტევნებზე დაღვენთილი წითელი სითხე.  
და აქ მოვედი, ამ უფრთებო დაცლილ სივრცეში,  
სად არც ოქროა, არც ღვინო და არც მეწამული,  
სადაც არაა სასიცოცხლო ნაცნობი ფეთქვა.

## მინერვა ოქროსი

მე ვარ მინერვა სოფლის პოეტი,  
ვისაც ქუჩებში დამცინოდნენ და შხამს მაფრქვევდნენ  
იაპუები<sup>1</sup>  
ელამი თვალის, მძიმე ტანისა და რწევა-რწევით  
სიარულისთვის,

---

<sup>1</sup> პერსონაჟი ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობიდან“, გონნაკლული, განუეითარებელი ადამიანი. (Yahous)

განსაკუთრებით კი მას შემდეგ, ოდეს უელდომ  
დამიმორჩილა, ვით ნადირმა გავეშებულმა.  
შემდეგ კი ექიმს შემატოვა ბელის ანაბრად, ექიმ მაიერსს:  
და შევაბიჯე წკვარამ ბნელეთში,  
და თხემისაკენ მოიწვედა სიკვდილი ტერფით,  
თითქოს გაყინულ მდინარეში შემედგა ფეხი!  
თუ სცადა ვინმემ შეეკრიბა გაზეთებში სფუნ რივერის და  
ერთიან წიგნად გამოეცა ჩემი ლექსები?  
სიყვარულისთვის დავრჩი ასე მუდამ მწყურვალი!  
სიცოცხლის გამო დავრჩი ასე მოშიებული!

## „მშობლივარე“ ჯოუნსი

ვინ დამიჯერებს რომ ვარ ნაგრამი  
კეთილშობილი უელსის ტომის?  
რომ მე უფრორე წმინდა სისხლის ვიყავი, ვინემ  
ეს საცოდავი თეთრკანიანნი?  
რომ მე უფრორე პირდაპირი შტო ვარ იმათი,  
ვინემ რივერის ვირჯინიელნი,  
ანდა ახალი ინგლისელები?  
ვინ დამიჯერებს რომ მივლია სასწაულებელში  
და რომ წიგნებიც მრავლადა მაქვს გადაკითხული?  
თქვენ ხომ მე მხოლოდ ასეთსლა მიცნობთ:  
საცოდავადქმნილს, თმა-წვერ აწეწილს  
და დაფლეთილი ტანსაცმლით მოსილს?  
ადამიანის ყოფნა ხანდახან მოჰგავს სიმსიენეს:  
გაუთავები და მარადი ლპობა სხეულის...  
სანამდის ხორცი არ გამხდარა გაფუებული წითელი მასა,  
როგორც მარცვალი, სულ ახლახან აფუყებული.  
ეს მე ვარ, ხურო, ღრმად ჩაფლული ყოფნის ჭაობში,  
თუმცა მეგონა ვაბიჯებდი ღორთქო ბალახში

მხარდამხარ ცოლთან, ჩემს ფერთხუმ ცოლთან,  
ხელჩაჭიდული მინერვასთან, ჩემს ქალიშვილთან,  
ვინაც გატანჯეთ და შეჰყარეთ მწარე სიკვდილი!  
ასე უჩუმრად გავლიე დღენი  
ვითარცა გველმა, ქვეწარმავალმა.  
აწი არასდროს შეგაწუხებთ ჩემი ფეხისხმა გაცისკრებისას,  
ტროტუარიდან არეკლილი ნაბიჯის ექო,  
საბაყლოსაკენ მიმავალი ხშიადისა და  
ხუთი შაურის საღირალი ღორის შაშხისთვის!

## ექიმი მეიერსი

ალბათ არავის, დოგ ჰილის გარდა,  
ჩემზე უმეტეს არ მიუძღვის ამაგი ხალხზე:  
ყველა დავრდომილს, სუსტს, ჭკუამოკლეს  
და ყველას, ვისაც აღარ ჰქონდა წამლისთვის ფული,  
ჩემთან ეგონა უპოვართა თავშესაფარი.  
გახლდით კეთილი, გულმოწყალე ექიმი კაცი,  
სვებედნიერი, ჯანსალი და ქუდბედიანი:  
არ ვემდუროდი ბედს მეგობრებში,  
არ ვემდუროდი ბედს არც შვილებში –  
დაოჯახდნენ და სიკეთისთვის ცხოვრობდნენ ქვეყნად.  
და აი, ერთხელ, შეტრიალდა ბედი უკუღმა,  
როცა მინერვა – სალამოხანს – პოეტი ქალი,  
მოვიდა ჩემთან გატანჯული, ცრემლების ფრქვევით...  
მე ყველაფერი ვიღონე, მაგრამ ის მაინც მოკვდა,  
მათ კი ცოდვები მე ამკიდეს და გაზუთებში გამომაჭენეს,  
უსამართლობამ შეიწირა ჩემი მეუღლე,  
მე კი ანთებამ ფილტვებისამ მომიღო ბოლო.

## ქალბატონი მემიერსი

მთელი ცხოვრება ებრძოდა და ედავებოდა  
ის იმ გაზეთებს, რომ ცრუობდნენ მასზე საზიზღრად,  
რომ არ უძლოდა მას მინერვას სიკვდილში ბრალი,  
რომ ის მის დახსნას ლამობდა მხოლოდ.  
საწყალი სული, ჩაიძირა ცოდვებში ისე,  
ვერც კი შენიშნა,  
რომ იმ მცდელობით – როგორც ამბობდა –  
მან დაამსხვრია სამართალი მიწის და ზეცის.  
ჰა, ყურად იღე, უძველესი, რჩევა გამვლელო:  
თუ გსურს შენი გზა, ყოველი გზა, გზა იყოს ღხენის,  
თუ გსურს მშვიდობით გაიარო ყველა ბილიკი,  
გიყვარდეს ღმერთი  
და მცნებებიც გახსოვდეს მისი!

## „შმაბი“ უელდი

როგორც კი ღმერთი ვიწამე და გავწონასწორდი,  
უმაღვე მომცეს ქარხანაში მუშის ადგილი  
და საკონსერვო ქარხნის ეზოში  
ყოველ ცისკარზე მე ვავსებდი საწვავით აუზს  
ფარდულში მღგარი ცეცხლსაქშენისთვის,  
რომელიც რკინას ადუღაბებდა.  
კიბე ეყუდა, ჩემდა ჭირად, აუზს ფამფალა,  
რომელზეც ნელა ავდიოდი სათლებით ხელში;  
უცებ ჰაერი აბიბინდა ელვარებისგან  
და აფეთქებამ გაანათა ირგვლივ ყოველი  
და ავარდნილი ცისკენ ჰაერში,  
ფენებდაფშენილი აღმოვჩნდი ძირში  
და ვით მხურვალე ტაფაზე კვერცხი,  
ჩემი თვალები აშუშხუნდნენ ცეცხლის ალებში:

არ გამოერთო ცეცხლსაქმენი ვილაცას ღროზე  
და შეესრუტა ნაპერწკალი აუზს როგორღაც  
და სამხარეო მოსამართლემ ასე დაასკვნა:  
ჩემი შეგირდი გამოვიდა დამნაშავე ყოველივეში,  
მოხუც როუდსის ვაჟიშვილი კი გაამართლა  
და ჯარიმაც კი არ დააკისრა.  
ვიყავ წყვილიადში, თვალდაშრეტილი  
და უსასრულოდ ვიმეორებდი, ვით ჯეკ ფიდლერი:  
„მე მას საერთოდ აღარც კი ვიცნობ!“

## ნოულთ კოჰეიბერი

ბრძოლის პირველი მსხვერპლი ვიყავი  
მისიონერთა მთაზე.

როცა დავეცი ტყვიისაგან გულგანგმირული  
ვინანე მაშინ: დავრჩენილიყავ ნეტავი შინ და  
თუნდაც ციხეში მოვხვედრილიყავ  
კარლ თრენერის ბურვაკების ქურდობისათვის,  
იმის ნაცვლად, რომ გავიქეცი მაშინვე ომში.  
ათასგზის სჯობდა, ვყოფილიყავ საპყრობილეში  
ამ მარმარილოს ფრთებგადაშლილ ქანდაკქვეშ წოლას  
და ამ კვარცხლბეკსაც, გრანიტისას  
უცხო წარწერით:

„Pro Patria“

ნეტავ რას ნიშნავს ეს სიტყვები, ვიცოდე მაინც!

## ლილია უუქეიძე

ნოულთ ჰოპეიმერი გაიქცა ომში  
ერთი ღლით აღრე, ვიდრე კარლ თრენერს  
მის დასაჭერად მისცემდა ორდერს  
მოსამართლე ჩვენი – არნეთი.  
მაგრამ მეომრად სხვა მიზეზმა გახადა იგი:  
მან ათერთონთან დამინახა მინდვრად მოლაღე.  
ვიჩნუბეთ და მე გაუაფრთხილე გააფთრებულმა,  
რომ არასოდეს გადმოეჭრა ჩემი ბილიკი.  
ეს მერე იყო, რომ, მოჰპარა თრენერს ღორები  
და შთანთქა ომმა –  
ყველა ჯარისკაცს მანდილოსნის ახლავს აჩრდილი.

## ურენქ ღრუბერი

წყვიდად სივრცეში მიმართული მზერა სარკმლიდან –  
ოცდახუთის დასასრულისას!  
ჩემს სულისკრთომას ვერ აღწერდა ჩემივე ენა,  
ჭკუანაღრძობი ვეგონე სოფელს.  
არადა გაჩნდა დასაწყისში თეთრი ზმანება,  
შეუბილწველი და მაღალი მიზანი სულის:  
ვცადე მესწავლა ბრიტანული  
ენციკლოპედია!

## ჰარა ღრუშქერი

ნეტავ ვიცოდე, თუ მიდიან ახლა სივერთან  
გოგო-ბიჭები დასაღევად ღვინობის თვეში,  
გაკვეთილების დამთავრებისას?  
თუ აგროვებენ თხილებს ტევრნარში  
არონ ჰათფილდის სამფლობელოში ზამთრის შემოდევს?  
ამ მოკისკისე გოგო-ბიჭებთან, ჰოი, რამდენჯერ  
მეც მირბენია გზის პირზე თუ მთის ფერდობებზე,  
როცა მზის სითბო ილეოდა და ჰაერში სუსხი ჩნდებოდა,  
დამიფერთხია რამდენჯერ ბლომად  
დაისის ფონზე მოელვარე, ფოთლებჩამოყრილ ხიდან კაკალი...  
ახლა, კი, უკვე, შემოდგომის ოხშივრის სურნელს,  
რკობის ცვენას  
და ველებიდან ათასნაირ ძახილის ექოს  
მოაქვს სიცოცხლის მხოლოდ ზმანება.  
ისინი ახლა ნავარდობენ სამარის თავზე.  
მეკითხებიან:  
საღლა არიან მოკისკისე თანატოლები?  
შენთან რამდენი განისვენებს, რამდენი კიდევ  
სივერისაკენ მიმავალ გზაზე, ხილნარის გასწვრივ  
და ტყიანებში,  
მოლივლივე წყლის გარეშემო?

## კონრად სიქერი

ამ გაოხრებულ ბაღში კი არა, –  
სადაც სხეულნი შერევიან უშნოდ ბალახებს,  
სადაც ცხვირის ფარაც აღარ ძოვს უკვე,  
და ავნისანი არ ისხამენ ხილს არავითარს,  
სადაც დაჩრდილულ ბილიკის გასწვრივ,  
ისმის უსასო ოხვრა



და ინაცრება უამრავი ოცნება ფუჭად  
წასულ სულებთან მიახლოების და ზიარების, –  
არამედ აქვე, ამ ვაშლის ხის ქვეშ –  
მე რომ მიყვარდა და ვპატრონობდი  
და დაკოჟრილი ხელებით ესხლავდი  
დიდხანს, ძალიან დიდხანს;  
აქვე, ფესვებთან ამ ნორთსერნ-სფაის,<sup>1</sup>  
ამ წუთისოფლის წრებრუნვითა და  
სულის უწყვეტი ცვალებადობით  
ერთ სულ და ერთ ხორც შევალწიე ხის არსებაში  
და ეს ლაჟღაჟა ვაშლები იქცა  
ჩემს განცხადებულ ეპიტაფიად!

## ღოგ ჰილი

მიუყვებოდი აღმა-დაღმა ქალაქის ქუჩებს,  
წაღმა-უკულმა დავდიოდი დღისით და ღამით,  
საათში ერთხელ შევეუვლიდი საწყალ დავრდომილთ  
ზრუნვით და კრძალვით.  
თუ იცით რატომ?  
ჩემმა მეუღლემ შემძულა სამარადისოდ,  
ვაჟიშვილი კი საერთოდ წახდა!  
და სულშეძრულმა დავაფრქვიე ხალხს სიყვარული.  
რა ტკბილი იყო მოტირალთა მზერა ეზოში, ჩემს  
დაკრძალვაზე  
და ყურისგდება მათი ფუთფუთის,  
მოსიყვარულე და მწუხარე სახეთა ცქერა!  
ო, მაგრამ ღმერთო, ჩემი სული ძლიერ შეძრწუნდა,  
ახალ სიცოცხლის ძლივს ჩასჭიდა ხელი მოაჯირს,  
როცა ვიხილე ემ სთართონი მუხასთან მღგარი,  
სამარის ახლოს,  
საკუთარ დარდებს და სამშვინველს შეფარებული!

<sup>1</sup> ვაშლის ჯიში

## •ენლი – ლამის ღარაჯი

ნაბდის ჩექმებით, ესპანური საათით ხელზე,  
ძველი დახრილი ქუდით,  
ერთგული ძაღლით – თაიქითა და  
კორძებიანი თხილის ხელჯოხით  
დავბორძიკობდი აღჭურვილი დიდი ფარანით  
ქუჩაბანდებში კარიდან კარზე,  
ვით ვარსკვლავები შუალამის ცაზე მბრუნავნი,  
ქართა ქროლვისგან ჟღარუნობდნენ ზარები ნაზად  
და დაქანცული ნაბიჯები მოხუც ღოგ ჰილის  
მომაგონებდა მთვარეულის ფეხისხმის ექოს,  
მამალთა გუნდი გაჰკიოდა სადღაც შორეთში...  
ახლა კი სხვაა სფუნ რივერში ღამის ღარაჯი.  
მეც ხომ შევცვალე ოდესღაც ვილაც?  
ჩვენ კი აქ ვწევართ – მე და ღოგ ჰილი –  
სადაც არავენ არც რას სტეხს და არც რას იპარავს  
და მეთვალყურეც არ სჭირდება რამეს ღარაჯად!

## სარა ბრაუნნი

ნუ ტირი, მორის, მე აქ არ ვწევარ, ფიჭვის ფესვებთან.  
ნარნარებს სიო მწვანე მოლიდან,  
ვარსკვლავნი კრთიან, გაჰკივიან, უფეხურანი,  
შენ კი რად კენესი, როს ჩემი სული  
ნაზად რონინებს ნირვანაში მარადი ნათლის?!  
მიდი, ეწვიე ჩემს გულკეთილ თანამეცხედრეს,  
რომელიც მწარედ ჩააფიქრა ჩვენმა გრძნობებმა,  
რასაც ცოდვილი სიყვარული დაარქვა შემდგომ.

მიდი, ეწვიე და უთხარი, რომ შენ მიყვარდი უფრორე მასზე,  
თვითვე დაეუსვი ბედისწერას ჩემსას წერტილი:  
რომ ვეზიარე ხორციით – სულიერს,  
სულით – სიმშვიდეს...  
აქ – არ არსებობს ქორწინება – სასუფეველში,  
აქ სიყვარული სუფევს მხოლოდ მარადიული.

## პერსი ბიში შელლი

მამამ გმგზავნა მონრეალის სასწავლებელში –  
მამამ, რომელსაც ეკუთვნოდა ერთი ფუნდუკი  
და ნალბანდობით დააგროვა მთელი ქონება:  
მაგრამ ვერარა შევისწავლე და შინ დავბრუნდი:  
დავბოდი მინდვრად ბერტა ქესლერთან,  
ვინადირებდი მწყერებს და ლაღებს.  
თომფსონის ტბასთან ავბედითი თოფის ჩახმახი  
მუხანათურად გამოედო ნავის ნაწიბურს  
და ცხელმა ტყვიამ გამიხერიტა გულის ფიცარი.  
ძვირფასმა მამამ აღმიმართა ჩემს სამარეზე  
ეს მარმარილო კონდახის ფორმის,  
რომელზეც ქალის ფიგურაა წამომართული –  
იტალიელი ხელოვანის ნამუშავევი.  
ამბობენ თითქოს ჩემი დიდი სეხნიის ფერფლი  
გაიუს კეტსის ძვალთშესალაგთან გაბნეულიყოს  
რომის მახლობლად.

## ფლოსი კაბანისი

დაბიდან, სადაც საოპერო სახლი აქვს ბინდლერს,  
ძალზე გრძელია ბროდვეიმდე მისასვლელი გზა,  
მაგრამ მე მაინც, თექვსმეტი წლისამ,  
ამპარტავნული თავდაჯერებით ვცადე დაძლევა,  
როცა დაბაში დავესწარი დადგმას – „ისტ ლინე“,<sup>1</sup>  
და რაღუ ბარეიმ, მსახიობმა რომანტიკოსმა,  
მომწუსხა და მომაჯადოვა.

შინ კი დავბრუნდი სულშემძრული განცდილი მარცხით,  
როდესაც რაღუი ვებერთელა ქალაქმა შთანთქა  
და შემატოვა ნიუ-იორკს მარტო...

თუმცა ცხოვრებამ არც ის დაინდო...

მყუდრო ალაგას სფუნ რივერის მარადიულ მღუმარებისა  
აღარ არიან სულის სწორფერნი.

ოჰ, როგორ მინდა, რომ შეეძლოს აქ ყოფნა ღუზის,<sup>2</sup>  
ამ შთამბეჭდავი ველობების წყნარ გარემოში,  
და დანახვა ჩემი სამარის.

## ჯულია მილერი

იმ დღეს დილითვე წაკვამათდით და წავიჩხუბეთ,  
ქმარი სამოცდახუთის იყო მე ოცდაათის,  
ნერვებმოშლილი და დაძაბული ვიყავი ბავშვის გაჩენის  
შიშით.

ჩემი ფიქრები არ ცილდებოდნენ უკანასკნელად მიღებულ  
ბარათს

---

<sup>1</sup> ინგლისელი მწერლის ელენ ჰენრი უდის (1814–1887) რომანის „ისტ ლინეს“, ინსცენირებული დადგმა.

<sup>2</sup> ელეონორა ღუზი (1858–1924) იტალიელი მსახიობი, იმყოფებოდა აშშ-ში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს.

უკვე უცხოდ და შორეულად ქცეულ კაცისგან,  
რომლის ღალატის დასაფარავად გავხდი მეუღლე ამ  
ბერიკაცის.

შემდეგ ძარღვებში მორფიუმი შევეუშვი ბლომად  
და დავიწყე წერილის კითხვა.  
და ჩემს თვალებთან ჩამოწოლილ ბინდის სიღრმეში  
მე ღავინახე მოკაშკაშე შუქის ნათელი  
და შომესმა ცხადად სიტყვები:

„ხოლო იესუ ჰრქუა:

ამინ გეტყვი შენ,

ღლეს ჩემთა თანა იყო სამოთხესა“

### XV სექციონი

შენ ვერასოდეს გაიგებ, მამა,  
ჩემს გულისტკივილს და სინანულს ურჩობისათვის,  
იმ წუთს, როდესაც ჩამითრია უწყალო ძრავამ  
ფეხის ტერფებით მბრუნავ ბორბალში  
განწირული ხორცის წივილით.  
ქერივი მორისის სახლისაკენ როცა მივყავდით  
თვალი მოვკარი ველობზე სკოლას,  
სადაც მრავალჯერ მოგვიწყვია „შატალო“ ტოლებს  
და სასეირნოდ ავპარულვართ მატარებელში.  
მე ვლოცულობდი, რომ მეცოცხლა ვიდრე ვითხოვდი  
შენდობას შენგან.

შემდეგ შენს ცრემლებს და ნუგეშის დამსხვრეულ სიტყვებს!  
მე ამ ნუგეშმა მომანიჭა ნეტარება მარადიული.

შენ შემირჩიე გონივრული ეპიტაფია:

„გადარჩენილი მოსალოდნელ ათასგვარ ხიფათს“.

---

1 სახარება ლუკასი. თავი 23–24. (ახალი აღთქმა ფსალმუნითა, ტფილისი 1879)

## ჩარლი შრენგი

ნეტავ ვიცოდე თუ დაადგენთ ოდესმე მაინც,  
ო, ბრაიენის რომელმა ბიჭმა  
მესროლა ხელში სათამაშო პისტოლეტიდან?  
როდესაც ქარი აფრიალებდა ბაიარალებს თეთრსა და წითელს  
„ბულა“ ესთილი აქუსებდა ქვემეხს რომელიც  
ჩამოიტანა ვიქსბურგიდან<sup>1</sup> კაპიტანმა ჰარისმა ჩვენთან...  
ლიმონათები შუშხუნებდნენ მარჯვნივ და მარცხნივ,  
და მღეროდა გუნდი ლოტბართა  
და ყველაფერი გააფუჭა რალაც ერთ წამში  
ვაზნის ნამსხვრევმა, რომელიც ხელზე კანქვეშ ჩამერჭო,  
და დამეხვიენენ ირგვლივ ბიჭები,  
ყვიროდნენ ერთხმად:  
„საბრალო ჩარლი, ნაღდად კრუნჩხვა მოგიღებს ბოლოს“  
ო, ღმერთო, ღმერთო!  
მეგობართაგან გამიმეტა ნეტავ რომელმა?

## გენას უითი

ძილისშორისში საშინელი სიზმრებით ვძრწოდი  
თეთქვსმეტი წლისა, ნერვიული, თვალდაწირპლული  
და ველარაფრით ვიმახსოვრებდი წაკითხული წიგნის შინაარსს,  
როცა დრუმერი თავისუფლად იზეპირებდა თითეულ ფურცელს,  
და უნიათო ვბორგავდი და ვდარდობდი მუდამ,  
და გაკვეთილზე შეცბუნებულს ენა მებმოდა,  
და ყველაფერი მავიწყდებოდა,  
ჰოდა, ერთხელაც დოქტორ ვიზის ნაშრომი ვნახე,

---

<sup>1</sup> ვიქსბურგი – ქალაქი მისისიპის შტატში, სადაც 1863 წლის 4 ივლისს ერთ-ერთ გადამწყვეტ ბრძოლაში ჩრდილოეთელებმა დაამარცხეს კონფედერატები.

წავიკითხე და ყოველივეს მივხვდი აშკარად:  
ისეთი გრძნობა შემექმნა რომ მიცნობდა თითქოს,  
თითქოს იცოდა ჩემი სიზმრებიც მე რომ ვერაფერს ვერ  
ვუხერხებდი,  
მივხვდი – უდროოდ მონიშნული მქონდა სამარე  
და მე მოვთქვამდი, სანამ ხველა სულს შემიკრავდა  
და შემდეგ უკვე საშინელი სიზმრებიც გაქრნენ  
და შემდეგ უკვე დავიძინე უსიზმრო ძილით  
სამაროვნებში, მდინარის პირად.

## კოეტი თეოლორი

ჭაბუკობისას გიყვარდა ჯდომა მდინარე სფუნის მღვრიე ნაპირას  
ღრმად ჩაშვებული შავი თვალებით  
გაბრწყინებული უყურებდი კირჩხიბის სოროს,  
ელოდებოდი ცოცვით მომავალს:  
პირველად მისი საცეცები გამოჩნდებოდნენ,  
მორკალულნი თივის ღერივით,  
შემდეგ სხეული აქაფული საპნის ფერისა –  
მოოჭვილი აგატის თვლებით  
და გაოცებდა გაოგნებულს უცხო ფიქრებით,  
რა უნდა კირჩხიბს, ან რა იცის  
ანდა საერთოდ რაღასთვის ცხოვრობს?  
შემდეგ კი შენი თვალსაწიერი გადასწვდა მზერით  
კაცებს და ქალებს,  
ბედის საძებნად გადაკარგულთ დიდ ქალაქებში  
და შენ უმზერდი გამოჩენას მათი სულების,  
რომ დაგენახა  
მათი ყოფა, ყოფის მიზანი,  
რომ დაგენახა საცოდავად რად დაცოცავდნენ  
ქვიშნარის გასწვრივ,  
სად წყალუხვობას  
გააფთრებით ებრძვის ზაფხული.

## ქალაქის მარშალი

ქალაქის მარშლად დამნიშნეს უმაღლესი  
მშრალი კანონის მომხრეებმა, როს არჩევენებში დაამარცხეს  
სალუნელები

რადგან, როდესაც ლოთი ვიყავი,  
ჯერ კიდევ მაშინ, სანამ ტაძრისკენ გზას ვიპოვიდი,  
მოკვალი შევედი.  
ჭადროვანებთან, სახერხთან ახლოს.  
მათ სჭირდებოდათ სასტიკი კაცი,  
ძლიერი, მკაცრი, პატიოსანი,  
ვინაც ლოთებს და სალუნელებს ზიზლით უმზერდა.  
რათა ამ სოფლად ემბრძანებლათ წესით და რიგით,  
დამაჯილდოვეს ლერწმის ხელჯობით,  
რაც ჯექ მაქგუირს მანამდის ვურტყი,  
სანამ დამბაჩა არ დაადრო და გამაგორა.  
მათ მაქგუირის ჩამოხრჩობა ქრთამებით სცადეს,  
მე კი სიზმარში თორმეტთაგან ერთ ნაფიც მსაჯულს  
გამოვეცხადე და ყოველივე ვუამბე წრფელად.  
ჩემი მოკვლისთვის ჯექს აკმარეს თოთხმეტი წელი.

## ჩემი მაქგუირი

ჩამქოლავდნენ და ჩამაქვავებდნენ  
მაგრამ დავასწარ და იღუმალ გამოვესწრაფე  
პეორიის საპყრობილეში.  
არადა, მშვიდად მიყვებოდი გზას შინისაკენ,  
მიმქონდა დოქი სასმელით სავსე,  
შემხვდა ლოგანი – პოლიციის უბნის უფროსი,  
ჩამჭიდა ხელი საყელოში და შემანჯღრია,  
ლოთი-შფოთი და მაწანწალა ძაღლი მიწოდა,  
ბუნებრივია ვუპასუხე ლანძღვა-გინებით.



მან ნაჩუქარი ხელჯოხით მცემა.  
ვერ მოვითმინე და უწყალოდ მოვკალი იგი!  
არ ამცდებოდა ჩამოხრჩობა, მაგრამ გადავრჩი:  
ქინსი ქიინმა, ჩემმა ვექილმა,  
გამოიჭირა ბერიკაცი თომას როუდსი  
ბანკის თვალთმაქცურ გაკოტრებაში,  
მოსამართლე კი მეგობარი გახლდათ როუდსის  
და გულით სწადდა მეგობარი გადაერჩინა  
და მაშინ ქინსიმ სამაგიეროდ  
ჩემი გამოხსნა მოითხოვა სახრჩობელადან  
და გარიგებაც ამგვარი მოხდა:  
თოთხმეტი წელი მაკმარეს მხოლოდ  
და მოვიხადე ჩემი სასჯელი  
და წერა-კითხვაც შევისწავლე საპყრობილეში.

## ღორქას ბუსტინე

აღარ ვუყვარდი თანასოფლელებს,  
რადგან არასდროს გულისნადებს აღარ ვმაღავედი;  
როცა ვხვდებოდი ბოროტისმყოფელთ, ვამხელდი უმაღ  
არა ფარული ღეარძლით და ჯიბრით  
არც იღუმალი აღზრდის იმედით.  
ხშირად აქებენ მოთმინებას სპარტელი ბიჭის,<sup>1</sup>  
ვინაც უბეში დამალა მგელი  
და აიტანა ხორცის ფლეთვა წარბშეუხრელად.  
მე კი მგონია უფრო დიდი ვაჟკაცობაა  
სააშკარაოდ გააძევეო მგელი ქუჩაში  
და შეებრძოლო მტერიან გზაზე მწარე ღრიალით.  
ალბათ ჯობია ენას კბილი რომ დააჭირო,  
მაგრამ მოშხამავს სულს უთქმელობაც.  
მე ასეთი ვარ, ვისაც გსურთ მლანძღვთ.

---

<sup>1</sup> პლუტარქე, პარალელური ბიოგრაფიები, ლიკურგე, – სპარტელმა ბიჭმა ლეკვი დამალა ლაბადის ქვეშ, ლეკვმა მას მუცელი გამოუღრღნა, მაგრამ ბიჭს ერთი არ დაუკენესია რათა მისი მონაპოვარი არ გამოჩენილიყო.

## ნიკოლას ბინდლე

როგორ არ შეგრცხვათ, თანამოძმენო,  
ოდეს ქონება დამიმტკიცეთ მეძვედრეობით  
და დაინახეთ უკლებლივ ყველამ  
ბედმა რა ცოტა წილი მარგუნა?  
თქვენ, ვინც დამსდევდით მთელი ცხოვრება  
შესაწირისთვის, წყალობისთვის, მოსაკითხისთვის! –  
ეკლესიისთვის, საწყალობისთვის, სოფლელებისთვის!  
მე ვისაც უკვე გაცემული მქონდა მრავალგზის!  
და არ იფიქროთ, რომ არ ვიცოდი,  
როგორ დაუკრა მოულოდნელად  
ეკლესიისთვის ნაჩუქარმა ჩემმა ორღანმა,  
როცა როუდსმა,  
ვინაც გაფლანგა ბანკისა და ჩემი ქონება,  
სასამართლოდან გამარჯვებით გამოსვლის შემდეგ,  
ოდეს პირველად,  
ეკლესიაში აღავლინა ღმრთისადმი ლოცვა.

## ნიკოზ ბუღვარსჩე

როცა დაეცა ფორთ სუმთერი – ციხე-სიმაგრე  
და სისხლისმღვრელი ომი დაიწყო,  
სულშეძრულმა ვიყვირე მწარედ:  
„ოი, მშვიდობით, დიდებო რესპუბლიკისა!“  
როცა დამარხეს მეომარი ჩემი ვაჟკაცი  
დაფდაფთა ცემით და ნალარის მოძახილებით,  
ველარ გაუძლო მოხუცმა გულმა,  
ოთხმოცდაათი წლის სიმძიმით დამძიმებულმა  
და წამსკდა მოთქმა:  
„ო, შეილო ჩემო, შეწირულო თავისუფლებას!

ო, უსამართლო ომში მოკლულო!“  
და ჩავეფალი ამ სამარეს ბალახებს ქვემოთ.  
ახლა კი დროის ყოვლისშემუსვრელ სიმაღლიდან გადაიხედეთ:  
მრავალნი სულნი, აურაცხელ სულთა კრებულნი,  
ჭეშმარიტების სიყვარულით გულაგზნებულნი,  
აღტაცებულნი მოელიან მშვენიერების გაჩენას ქვეყნად  
ამქვეყნიური სიბრძნიდან და მეგობრობიდან.  
მე სულისკნელის თვალებით ვუმზერ ფერისცვალებას  
დიდი ხნით ადრე, ვიდრე თქვენ ნახავთ.  
თქვენ კი, ულევნი ნაშიერნი ოქროსფერი არწივებისა,  
თქვენ, ვინაც ბუდობთ მეტისმეტად მაღლა ზეცასთან,  
ირაოებს კრავთ მზის სხივებში და დალამუნობთ  
ფიქრების ციურ სიმაღლეებში.  
ბუს გარდაგებულს მომიტევეთ ალბათ სიბრმავეს.

## ჰაროლდ არნჰტი

მე მივეყრდენი ბუხარს სნეული, სნეული ძლიერ,  
ჩაფიქრებული უკულმართ ბედზე,  
ვხედავდი უფსკრულს,  
გათანგული შუადღის ხვატით.  
საღლაც შორეთში მგლოვიარედ რეკდნენ ზარები,  
მე გავიგონე ჩვილის ტირილი  
და დახველება ჯონ იარნელის,  
ლოგინს მიკრული, მომაკვდავი ციებიანის,  
შემდეგ ცოლის ხმა გაანჩხლებული:  
„კარტოფილი იწვის, შეხედე!“  
სუნი ვიგრძენი... შემდეგ კი ზიზღი დაუძლეველი.  
მე შევაყენე ჩახმახი ფეხზე... წყვილიაღი.... შუქი...  
გამოუთქმელი სინანული... წუთისოფელში ბორიალი ისევ თავიდან.

გვიანლა არის! ამგვარად მოველ,  
ჩემი ფილტვებით... აქ კი არავინ სუნთქავს ფილტვებით,  
თუმცა ვილაცამ უნდა ისუნთქოს... რა საჭიროა  
რომ მოშორდეს ვილაც სამყაროს,  
როცა არ ძალუძს არასოდეს არც ერთ სულიერს,  
რომ მარადიულ ბედისწერას გაექცეს ყოფის?

## მარტარქი) ფულერი სლაქი

შეიძლებოდა გაემხდარიყავი ცნობილი, როგორც ჯორჯ ელიოტი,  
რომ არა ჩემი წყეული ბედი.

აჰა სურათი, პენივითის გადაღებული,

ნიკაპი მუჭზე ჩამოყრდნობილი

და ღრმად ჩამჯდარი მუქი თვალები,

შორს მიმავალი გამჭოლი მხერა,

მაგრამ ჩემთანაც წამოიჭრა ძველი დილემა:

უბიწოობა, ქორწინება თუ გარყვნილება?!

მერე ჯონ სლექმა მომიხელთა, აფთიაქარმა.

მითხრა რომ ბლომად მექნებოდა დრო მწერლობისთვის

და ვამჯობინე ქორწინება, რვა შვილიც ვშობე,

და ვერასოდეს მოვიცალე რომანებისთვის.

ჰო, სულ ესაა ჩემი ცხოვრება.

ბოლოს კი ნემსი შემესო ხელში,

როცა ვრეცხავდი ბავშვების სამოსს,

და კრიჭაშეკრულს აღმომხდა სული.

აღსასრულიც კი სასაცილო მერგო სვედავისილს.

ყური დამიგდეთ სულით ამაყნო:

სექსია წყარო სიცოცხლეში ყველა სიავის!

## X(ო)რჯ მრიმბლე

თუ გახსოვთ მდგარი სასამართლოს საფეხურებზე,  
მხარს რომ ვუჭერდი ვერცხლის მოჭრის თავისუფლებას  
და პენრი ჯორჯის! იღებებს რომ ვიმეორებდი  
სანადელო გადასახადზე?

შემდეგ თუ გახსოვთ, როს უბაღლო ჩვენმა ლიდერმა<sup>2</sup>  
როგორც კი დათმო პირველი ბრძოლა,

უმაღ ალმოეჩნდი მხარდამჭერი მშრალი კანონის  
და ღრმადმორწმუნე, ეკლესიური?

ეს ყოველივე ჩემმა ცოლმა განაპირობა,  
რომელმაც ჩემი აღსასრული დამიხატა ნათლად, მკაფიოდ,  
თუ ვერ შეეძლებდი, ჩემი სიწმინდე ხალხს რომ ერწმუნა.  
პო, მან დამლუპა:

რადიკალები მიყურებდნენ დაეჭვებულნი,  
კონსერვატორებს არ სწამდათ ჩემი,  
აგერ ვწევარ და არავინაც არ დამიტირა.

## ექიმი გიბზორილ აისმენი

ვთქვი ჩემთვის, როცა დიპლომს მაძლევდნენ,  
ვთქვი, რომ ვიქნები პატიოსანი,  
გონიერი და გამბედავი, დავთეს სიკეთეს,  
აღთქმა დავდე, რომ როგორც ექიმი,  
მე ვიცხოვრებდი ქრისტიანული სულით და მრწამსით!

---

1 პენრი ჯორჯი (1839–1897) ამერიკელი ეკონომისტი. ემხრობოდა მიწის ერთიან საგადასახადო სისტემის შექმნას.

2 უბაღლო ლიდერი (Peerless leader), უილიამ ჯენინგს ბრაიენი (1860–1925) იბრძოდა საპრეზიდენტო პოსტისათვის 1892 წელს დემოკრატიული პარტიიდან, მაგრამ დამარცხდა პირველ ტურში. პრეზიდენტი კი გახდა ასევე დემოკრატი გროვერ კლივლენდი (1837–1908).

საოცარია, მაგრამ ყველანი ისე იგებენ, რა გიღევს გულში,  
რომ გაფიქრებას ვერც კი ასწრებ სულგრძელი აზრის  
და ამიტომაც შიმშილამდე მიჰყავხარ ამ გზას.  
გაჭირვებულთა გარდა შენთან არავინ მოვა  
და შენ მიხვდები ძალიან გვიან, რომ ექიმობა  
გზაა სწორედაც მოსაწყობად ქვეყნად ცხოვრების.  
თუ ხარ ღარიბი და აღთქმას სდებ,  
რომ იცხოვრებ ქრისტიანული მრწამსით და სულით,  
ხოლო მეუღლე და შვილები კისერზე გაწევს,  
ეს უკვე მართლაც მეტიხმეტია!  
ამადაც შევქმენ ელექსირი ახალგაზრდობის  
და ამოვყავი პეორიის ციხეში თავი  
თაღლითისა და გაიძვერას დამლა დასმულმა  
ყოვლად უმწიკვლო ფედერალურ მოსამართლისგან!

## „კიკო“ შოუ

მე არასოდეს არ მინახავს რამე სხვაობა  
ფულის შოვნაში  
ბანქოს თამაშით თუ გაყიდვით ადგილ-მამულის,  
ვექილობით თუ მევახშეობით,  
ანდა ათასი კიდეც სხვა რამით:  
ყველაფერში იღბალი გინდა,  
თუმცა ყველაფრის მიუხედავად,  
კაცი გამრჯე და საქმიანი შეუპოვარი  
შექლებს რომ დადგეს მეფეზე მაღლა!

## ლოის სფეარსი

აქ განისვენებს ლოის სფეარსი,  
დაბადებული ლოის ფლუქად,  
ქალიშვილი უილარდ ფლუქის,  
თანამეცხედრე ქირუს სფეარსის,  
დედა მირთლისა და ვირგილისა,  
თვალეცქრიალა და ტანმრთელი კარგი ბავშვების.  
(მე თვალდავისილი გაუჩნდი ამქვეყნად)  
ბედნიერი ვიყავი ქალი,  
დედა, ცოლი და დიასახლისი  
და სიყვარულით გამთბარი გულით  
ჩემი სახლ-კარი მალე ვაქციე  
სტუმართმოყვრული სიუხვის და სიწმინდის კერად –  
და ისე ცხადად ვგრძნობდი ოთახებს,  
ბაღსა და ეზოს  
ვით თვალხილული,  
თითქოს თვალეები ჩამსხდომოდეს თითისწვერებზე –  
დიდება ღმერთო, ცათა შინა დავანებულო!

## მოსამართლე არნეტი

სიმართლე გახლავთ, თანამოძმენო,  
რომ ჩემს თავს ზემოთ მაღლა თაროზე,  
მოსამართლის ტახტს რომ გადმოჰყურებს,  
მითაუამიდან იღო ჩემი დავთრების წიგნი,  
მე გეუბნებით ეს სიმართლეა,  
რომ რკინით იყო მოჭედილი იმ წიგნის ყლები,  
რომელიც ქვემოთ ჩამოვარდა და გამიხეთქა მელოტი თავი  
(რატომღაც მჯერა ეს იმ ნჯღრევამ გამოიწვია,  
როცა მთელ ქალაქს დაუარა ჰაერის ტალღამ,

როს ქარხანაში ვებერთელა საწვავის კასრი  
გამაყრუებლად აფეთქდა და დასწვა უელდი)  
მოდით ერთხელაც განვიხილოთ ისევ თავიდან  
საქმის თავბოლო და მიზეზი ყოველივესი:  
ერთი ცხადია, დამეჩნება მელოტი თავი.  
მაგრამ მეორე, საშინელი სხვა რამე იყო:  
წიგნი უმაღლვე დაიშალა და გაიბნა მისი ფურცლები  
ჩემს ირგვლივ, როგორც ბანქოს ქაღალდნი,  
ხელში გაქნილი ტაკიმასხარის.  
და მე ვუმზერდი ამ ფურცლებს, ვინემ  
აღმომხდებოდა უკანასკნელად:  
„ესენი განა ფურცლებია, როგორ არ ძალგიდთ,  
ამოცნობა მათში დღეების, სამოცდაათი წლის დღეების,  
მხოლოდ დღეების?  
რისთვის მაწამებთ მე ამ ფურცლებით,  
და ამ ფურცლებზე ერთი ციციქნა ჩანაწერებით?“

## უილარდ ფლუქი

მეუღლეს ჩემსას შეეყარა რალაცა სნება,  
ორმოც კილოსლა იწონიდა ისე ჩამოდნა.  
შემდეგ გამოჩნდა ის ქალი ვისაც  
მამაკაცები კლეოპატრას ვადრიდით ერთხმად.  
და სცოდა ყველამ ვინც გვირგვინქვეშ ფიცი წარმოთქვა  
და მეც მათ შორის.  
ვიდოდნენ წლები და ყველა მათგანს  
უხმო სიკედელიმა საზარი გზებით.  
და გაიბრწყინა ჩემში იმედმა,  
რომ მე ვიყავი ღმერთის რჩეული  
და მე დავიწყე წერა და ვწერდი,  
ვწერდი და ვწერდი, დავაყენე ქაღალდის მთები  
აღვწერდი ქრისტეს მეორედ მოსვლას.



შემდეგ კი მართლაც გამომეცხადა ქრისტე და მითხრა:  
„მიდი ტაძარში, შესასველელში, მლოცველთა თვალწინ.  
მოინანიე შენი ცოდვები!“

მაგრამ როგორც კი დავძარი სიტყვა, მონანიების,  
მე დავინახე ჩემი გოგონა,  
რომელიც იჯდა ყველაზე წინ, საკურთხეველთან.  
დაბადებიდან უსინათლო, პატარა გოგო!  
შემდეგ კი უკვე ყოველივე შთანთქა წყვილიაღმა!

## ქინეი ქლიუმი

დაუსრულებლივ მეკითხებოდნენ,  
სანამ მიყიდდნენ ლუდს ანდა ღვინოს,  
პეორიაში, ჩიკაგოში, შემდეგ დენვერში.  
შემდეგ ფრისქოში, ნიუ-იორკში,  
ერთი სიტყვით მომიწია სადაც კი ყოფნამ, –  
თუ ყოველივე როგორ დაიწყო.  
როგორ მოხდა რომ ამდაგვარი ცხოვრებით ვცხოვრობ.  
და მე ვყვებოდი აბრეშუმის ტანსაცმელებზე,  
მდიდარ კაცისგან ქორწინების ცრუ პირობაზე,  
(მე ვგულისხმობდი ლუციუს ათერთონს)  
მაგრამ არც ერთი არ იყო სწორი.  
წარმოიდგინეთ უცებ ბავშვმა აილოს ვაშლი  
დუქნის დახლიდან,  
მათ კი ერთ ხმაზე მორთონ ყვირილი: „შე ქურდბაცაცაჲ“  
გამომცემლობის რედაქტორმა, მთავრობის წევრმა თუ  
მოსამართლემ  
და სხვებმაც, ყველამ უძახოს „ქურდი“  
„ქურდი“ და „ქურდი“,  
სადაც არ უნდა წავიდეს ყველგან უძახონ „ქურდი“  
და მან ვერ შეძლოს სამუშაოს შოვნა ვერსაით.

და მან ვერ შეძლოს ლუკმა პურის შოვნა ვერაფრით  
ქურდობის გარდა: უსათუოდ გახდება ქურდი.  
აი უბრალო მაგალითი, ერთი ვაშლისთვის,  
ვით გაიმეტა ხალხმა ბავშვი ქურდობისათვის.

## ლუციუს ატირიონი

როცა ვიყავი შავქოჩრიანი  
და მამშვენებდა კოხტა ულვაში  
და ვატარებდი მოტმასნილ შარვალს  
და ბრილიანტის ღილებს  
გახლდით ბრწყინვალე გულთამმუსერელი  
და უამრავჯერ წამიანცია.  
მაგრამ როდესაც თმას ჭაღარა შემოერია –  
ო, საოცრებავ! გოგონები ახალი მოდგმის  
დამცინოდნენ და აღარ მიფრთხოდნენ,  
სულისშემძვრელი შემთხვევები არ მქონდა უკვე  
აი ისეთი კინაღამ რომ მომკლეს როგორც უგულო ქაჯი,  
უკვე მხოლოდღა მოსაწყენი მიჯნურობანი,  
ნელთბილი ტრფობა  
სხვათა და სხვათა.  
დრომ მეიერის რესტორანთან მიმაგლო შემდეგ,  
სულმოუთქმელად ვჭამდი ჭაღარა და უსუფთაო,  
კბილგაცვენილი დონ-ჟუანი მივიწყებული...  
აქ არის ლანდი ძლევა მოსილი,  
ვინაც უძღერის ბეატრიჩეს და ახლა ვხვდები:  
ძალამ, რომელმაც ის აქცია უდიადესად  
მე მთხლედ დამლექა სიცოცხლის ფსკერზე.

## ჰომერ ქლუვი

ეინერ ქლუთმა მერამდენედ დამწყვიტა გული  
და ალაყაფთან არ მაკოცა განშორებისას,  
მეუბნებოდა: ჯერ ქორწილი მერე – კოცნაო  
და ხელს მიქნევდა შორიდანვე თავშეკავებით,  
მშვიდობის ღამეს მისურვებდა, როდესაც სახლთან  
მივაცილებდი სქათინგ რინქიდან თუ რევივალიდან,  
მაგრამ როგორც კი მიწყდებოდა ჩემი ფეხისხმა,  
თურმე ლუციუს ათერთონი  
(როცა წავიდა ეინერი პეორიაში, მერელა მითხრეს)  
იპარებოდა მის ფანჯარაში,  
ან სასეირნოდ მიჰყავდა თურმე  
თავისი სწრაფი ორთვალათი იგი მალულად  
უცხო ალაგას.

ვნებააშლილი უცებ დავცხრი შეცბუნებისგან  
და მთელი ჩემი მონაგარი, დატოვებული მამისაგან მემკვიდრეობით  
ჩავდე კონსერვის ქარხანაში და ბულალტრის სკამი მივიღე  
და ყველაფერი დავკარგე სრულად  
და მივხვდი მაშინ, რომ ვიყავი მხოლოდ სულელი ამ წუთისოფლის.  
მხოლოდ სიკვდილი რომ გამხდოდა სხვათა თანასწორს  
და თავს სრულყოფილ მამაკაცად მაგრძნობინებდა.

## დიაკონი ტეილორი

მე მივუძღვენი ეკლესიას მთელი ცხოვრება,  
ვიყავი მომხრე მშრალი კანონის.  
ჩემს თანამოძმეთ ეგონათ რომ გარდავიცვალე  
საზამთროების უზომო ჭამით.  
სინამდვილეში კი „ცეროზმა“ მომიღო ბოლო:

და ოცდაათი წლის მანძილზე ყოველ შუადღეს  
მივიჩქაროდი ტრანინერის აფთიაქისკენ

რეცეპტით ხელში

და ტიხარს იქით ვიკარგებოდი  
და კეთილშობილ სასმელს ვისხამდი  
ბოთლიდან, რასაც ჰქონდა წარწერა:  
„Spiritus frumenti“

## ქონი ფოთიერი

ორმოცი აკრი მიწა მერგო მამაჩემისგან  
და ვმუშაობდით მიმწუხრამდე მთელი ოჯახი:  
ჩემი მეუღლე, ორი ბიჭი და ორიც გოგო.  
ორმოცი აკრი ათასამდე შეივსო მალე,  
მაგრამ ბედკრული ორი ათასს ველტვოდი უკვე.  
გარბოდნენ წლები ცულით და გუთნით  
და არ უაძლევედი ნებას ქანცგაცლილ  
თავსა და ოჯახს,  
მცირე სიახეც რომ მიგველო წუთისოფლიდან.  
ძლიერ მეწყინა სქვეა ჰიებიმ როცა წარმოთქვა,  
თითქოს „რედ იგლის“ ქაჩვას მოესპოს ჩემთვის სიცოცხლე:  
თბილმა ღვეზელმა და ყავის ყლურწვამ  
მცხუნვარე მზეზე შუა თიბვაში  
დამცა უსულოდ ჯერ სამოცსაც ვერმიღწეული.

## ფილერ ჩოხენი

მიწა გამოსცემს უცნაურ რხევებს სადაც შენ წევხარ,  
ეს შენ ხარ, შენი გულისცემაა.

თუ უწყის ხალხმა ვიოლინოზე რომ იცი დაკვრა  
ვალდებული ხარ რომ უკრავდე მთელი ცხოვრება.

რა არის ნეტავ, ყანა შრიალებს,  
თუ თიბვის ხმაა მდინარის გასწვრივ?

ქარი შრიალებს პურის ყანაში:

შენ ისრეს ხელებს,

გაამზადებენ ბაზრობისთვის მალე საქონელს,

გესმის კაბების შრიალი თითქოს,

„ლითლ გროუში“ გოგონების ცეკვას უმზერდე.

ქონი ფოთერი მტერის ძლიერ ბულში

თუ მოფარფატე ფოთლებში ჭკრეტდა

დამღუპველ გვალვას,

მე კი ისინი მწითურ სემის მომაგონებდნენ

ჩვენთან ჩამოსულ „თოორ-ელორს“ რომ გაეკიდა,

როგორ შემეძლო მემუშავა ჩემს ორმოც აკრზე,

მეტის ფლობის აღარც კი მსურველს,

როცა ჩემს ტვინში,

ყვავთა ჩხავილი, გულწითელების გალობა და ქარის

წისქვილის ჭრიალი,

იწვევდა ბუკის, ფაგოტის და ფიქოლას განცდას,

მხოლოდ მათს განცდას?

ჩემს ცხოვრებაში არ მომხდარა რომ ხვნა დამეწყოს

და შუა ხვნისას ვინმე თავზე არ დამდგომოდეს,

რომ წავეყვანე პიკნიკზე ან სადმე ცეკვაზე,

ჩემი ცხოვრება დავასრულე ორმოცი აკრით,

გადაღწევილი ვიოლინოთი

გადამსხვერეული ღიმილით და ათასობით მოგონებებით,

მაგრამ არ მერგო თანაგრძნობის არც ერთი სიტყვა.

## სამ ჰუმი

მე გავედევნე ჯამბაზებს და დავტოვე სახლი  
რადგან ქალბატონ ესტრალადის,  
ლომთა მწვართავის  
ტრფობამ იძალა.

ერთხელ შევედი გალიაში ლომებთან მარტო,  
ერთი დღე იყო რაც საჭმელი მათ არ ეჭამათ,  
ჯოხით დაუწყე ცემა ბრუტუსს ლეოს და გიპსის,  
ბრუტუსი ველარ დავიმორჩილე.

და დამფლითა გავეშებულმა.

და შესასვლელში, იმქვეყნიურ სამყაროს კართან  
შემხვდა აჩრდილი წყველა კრულვით და მოძახილით:  
„ახია შენზე!“

და მე ვიცანი – რობესპიერი!

## ნელი ქლარქი

მე მხოლოდ რვა წლის ვიყავი მაშინ,  
და სულ ვერაფერს ვხვდებოდი მაშინ,  
და ვერ ავხსნიდი მე ამას სიტყვით,  
მხოლოდ ის ვიცი, რომ შემეშინდა და ყველაფერი უუამბე დედას,  
შემდეგ კი მამამ იარაღი აიღო ხელში  
და კლავდა ჩარლის,  
ის დიდი ბიჭი იყო – თხუთმეტის,  
მაგრამ დაიხსნა სიკვდილისგან ჩარლი მშობელმა.  
ჩემი ამბავი კი სოფელში ყველამ გაიგო.  
მხოლოდ იმ კაცმა, ახალმოსახლემ,  
დაქვრივებულმა, ოცდათხუთმეტს მიტანებულმა,  
რომელზედაც ჯვარი დამწერეს,

აღარ უწყოდა, თუმცა  
ქორწინებიდან ორი წლის შემდეგ მანაც გაიგო.  
ჩათვალა თავი გაწბილებულად.  
მერე სოფელშიც ყველამ ერთხმად დაუდასტურა,  
რომ არ ვიყავი სულაც ქალწული.  
ჰო, ასე იყო და მან დამტოვა.  
მე მივიცვალე იმავე ზაფხულს.

## ლუიზა სმიტი

უმალ ჩაშალა ჩვენი რვა წლის ნიშნობა ჩარლიმ  
როცა დაბრუნდა ანაბელი სასწავლებლიდან.  
ჰოი ვაებავ!  
სიყვარულისთვის რომ მიმეძღვნა მთელი ცხოვრება  
ეს მწუხარება ალბათ შობდა მშვენიერებას,  
რაც აავსებდა ჩემს ცხოვრებას სასიცოცხლო მხსნელი სურნელით,  
ჰოი, ვინ უწყის?  
მე კი მოვწამლე სიყვარული, თვალთ დაეუბნელე,  
ვაქციე ტანჯვად და სიძულვილად,  
მომაკვდინებელ სუროდ ნაცვლად უსურვაზისა  
და ჩემი სული საყრდენმოშლილი  
სუსტი ძაფებით ჩაეწნა ლპობას.  
ნუ დაანებებ სურვილს, შენს სულთან  
რომ ითამაშოს მებაღის როლი  
თუ მტკიცედ არ ხარ დარწმუნებული  
რომ ის უფრორე გონიერია,  
უფრორე, ვიდრე სულიერი სამყარო შენი.

## ჰერბერტი მარშალი

შენი ჩემდამი სიძულვილი და მწუხარება  
ლუიზა, მხოლოდ შედეგია შენი შეცდომის  
რომ ჩემი სულის ქარაფშუტობად  
და შენი სულის შეურაცხყოფად  
ჩათვალე – რამაც მე მაიძულა დაახლოება ანაბელისთან  
და მიტოვება შენი.

შენ შეგიძულე, რადგან გიყვარდი,  
რადგან ვიყავი, შენი სულის ბედნიერება,  
დაბადებული და გაჩენილი,  
რომ გამეკაფა შენთვის ცხოვრება, რაც არ ვისურვე.  
შენ კი იყავი ჩემთვის წამება.

რომ შეგძლებოდა მონიჭება ბედნიერების,  
განა დაგთმობდი?

სწორედ ეს არის საწუხარი წუთისოფელში:  
ბედნიერებას მხოლოდ მაშინ ეწევი კაცი, როცა ორნი ხართ,  
და კიდევ ის რომ ჩვენი გული ელტვის ვარსკვლავებს,  
ვარსკვლავებს ჩვენ კი აღარ ვჭირდებით.

## ჯორჯ ბრეი

ხშირად გავყურებ მარმარილოს ძეგლს ჩემს საფლავზე –  
გემი დამდგარი ახვეული აფრებით წყნარად  
ნათესაყუდელში.

მართალი გითხრათ, ეს ქანდაკება  
მიზანზე უფრო ჩემი სიცოცხლის არსს გამოხატავს.

შემომთავაზეს სიყვარული და უარყვავი,  
მოვერიდე გულისგატეხვას.

დააკაკუნა მწუხარებამ და შემეშინდა.

მიხმო პატივმა და ვერ გავბედე.

არადა, ამ დროს მე დავეძებდი სიცოცხლის საზრისს.



ახლალა მივხვდი, რომ აფრები უნდა გაეშალოთ  
და მივეუშვიროთ ბედისწერის მძვინვარე ქარებს,  
მივეუშვათ გემი ბედის ანაბრად.

შეგშლის ჭკუიდან ამ ცხოვრების საზრისის ძებნა,  
თუმცა ცხოვრება უსაზრისოდ არის წამება,  
შფოთი და ნდობა გაურკვეველი,  
ესაა ნავი, ზღვა რომ სწყურია,  
თუმცა დაძლეული არა აქვს შიში.

## პატ. ჰენრი ბენეიოი

მე ერთხელაც არ მომსვლია აზრად,  
ვიდრე სიკვდილმა კარებზე არ მომიკაკუნა,  
ვერაგი გულით რომ ვუყვარდი აქამდე ჯენის.  
ეჭვი გამიჩნდა...

მე სამოცდაათს მიტანებული, ის ოცდაათის.  
ლანდად ვიქეცი, რადგან ვცდილობდი,  
ვეოფილიყავი ჯენისათვის კარგი მეუღლე,  
გაფურჩქნილ ჯენის, ანთებულის სიცოცხლის ცეცხლით.  
ქველმოქმედება და ჩემი სიბრძნე მე მას ვუძღვენი,  
თუმცა ის არც კი აღტაცებულა, რომ ვთქვა სიმართლე,  
მაგრამ როგორი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა  
უილარდ შუფერის ველურ ძალაზე და უბრწყინვალეს მის გამრობაზე  
როცა თხრილიდან ამოათრია მძიმე ტრაქტორი  
ჯორჯ ქირბის სახლთან, ვინ უწყის როდის.  
ასე მიიღო მემკვიდრეობით ჩემი ქონება  
და გაჰყვა უილარდს –  
კუნთების გროვას! სულით მასხარას!

## მეკასრე ბრიში

მეკასრემ კასრზე ყველაფერი უნდა იცოდეს.  
თუმცა ცხოვრებაც მე კასრივით კარგად ვისწავლე,  
შენ კი, უაზროდ რომ დაყიალებ სამაროვნებში,  
გგონია გესმის ცხოვრება კარგად.  
გგონია შენი მზერა აღიქვამს ფართო ჰორიზონტს,  
ჰო, რათქმუნდა,  
სინამდვილეში საკუთარ კასრს ჩასცქერი მხოლოდ,  
არ ძალგიდს მზერა მის სალტეებს გადმოაცდინო  
და დაინახო გარე სამყარო  
და საკუთარი თავი იხილო.  
ხარ ჩაძირული სულისკნელში საკუთარ კასრის –  
ტრადიციები და წეს-ჩვევები  
გარს გახვევია ვით კასრს სალტენი.  
დაამსხვრიე და მიმოჰფანტე წყეული ხროვა,  
ფიქრების ხროვა, – რომ კასრია შენი სიცოცხლე  
და რომ ცხოვრება იცი.

## კბილის ექიმი სექსმიში

როგორ გგონიათ, ეკლესიის ზარების რეკვა,  
მხოლოდლა ხოტბა და წირვა–ლოცვა,  
ჭარმაგების და ჭაბუკთა სისხლი,  
და სიმართლისთვის მარტვილთა მზერა  
გაბრწყინებული შემოქმედის უსაზღვრო რწმენით,  
ახლდა მსოფლიოს დიად გარდაქმნებს?  
ნუთუ გგონიათ, რესპუბლიკის საბრძოლო ჰიმინი  
მოისმინება, თუკი მონები მონური შრომით  
ძალმომრეობას დოლარისას გაამეფებენ  
მიუხედავად უიტნეის ბამბის მანქანის,  
ორთქლის, წყლისა და რკინის მანქანის,

მიუხედავად ტელეგრაფის და მუშახელის თეთრკანიანის?  
როგორ გგონიათ ღეზი ფრაზერი  
აღმოჩნდებოდა გარეთ, ქუჩაში,  
რომ საკონსერვო ქარხანას არ დასჭირვებოდა  
ფრაზერის წილი საკარმიდამო?  
ან როგორ ფიქრობთ, სათამაშო ბანქოს ოთახი,  
ჯონ ტეილორის ანდა კიდევ ბუჩარდის ბარი  
განა ოდესმე გაუქმდებოდა,  
თუკი ის ფული – დასახარჯი ბანქოს ოთახში,  
თუკი ის ფული – ლუდისათვის გადადებული,  
მათი დახურვით როუდსთან არ მოქუჩდებოდა,  
რომ გაეხარდა მრეწველობა ფეხსაცმელების,  
ზეწრებისა თუ ბავშვთა ქურქების  
თუ ოქროსფერი მუხის აკვნების?  
რაღად ჩამოჰგავს ჭეშმარიტი ზნეობრიობა კბილებს გამოხრულს,  
ოქროთი უნდა გადაიკრას რაიც უთუოდ?

## ა.დ. ბლუდი

თანამომქმენო, თუკი ფიქრობდით, რომ სანაქებო ვიყავი მერი,  
ვინაც დავხურე სალონები და ავკრძალე ბანქოს თამაში,  
და მოსამართლე არნეთს მივევარე მოხუცებული ღეზი ფრაზერი,  
ვინც ჯვაროსნული ლაშქრობები მოვაწყვე ბევრჯერ  
აღამიანთა განსაწმენდად ცოდვეებისაგან:  
ერთი მითხარით, რად მიეცით ნებართვა დორას,  
მკერავის გოგოს,  
და მცონარა რუბენ პანთიერს,  
ბენჯამინის შვილს,  
რომ გაეხადათ ღამ-ღამობით ჩემი სამარე,  
სიძვის სარეცლად?

## რობერტ სოუსი ბიორქი

მთელი ქონება შევალიე შენს არჩევას ქალაქის მერად  
ა. დ. ბლუდ.

თქვენით ვიყავი უგულწრფელესად აღტაცებული,  
თქვენ ჩემთვის გახლდით ყოველმხრივად სრულქმნილი კაცი,  
თქვენ მე წარმტაცეთ პიროვნულობა  
და სიჭაბუკის იდეალები  
და სიძლიერე კეთილშობილ ერთგულებისა  
და ყოველგვარი იმედები ამსოფლიური,  
რწმენა სიმართლის  
ჩანდა მგზნებარე თვალდამშრეტ ცეცხლში  
ჩემი შენდამი თავდადებისა  
და ჩამოისხა ორეული შენი სახისა.  
მერე კი, როცა აღმოვაჩინე, რაიც იყავი სინამდვილეში –  
კაცი სულმოკლე  
და სიტყვაყალბი,  
ყალბი, ვით შენი მოღურჯებული ფაიფურის თეთრი კბილები  
ყალბი, ვით შენი ცელულოიდის თეთრი სახელო,  
მე შევიძულე სიყვარული, შენ რომ მიყვარდი,  
მე შევიძულე ჩემი თავი, შენ შეგიძულე  
განძარცვული ჩემი სულისთვის და გაძარცვული სიჭაბუკისთვის  
თქვენ კი სულყველას, აი რას გეტყვით:  
ფრთხილად იყავით იდეალებთან,  
ერიდეთ უძღვნათ სიყვარული ვინმეს კაცთაგანს,  
ცოცხალ კაცთაგანს.

## ღორა უილიამსი

როგორც კი რუბენ პანთიერმა დამტოვა და სადღაც გაიქცა, მე გადავედი სფრინგფილდში, სადაც ლოთს შევეჩრეხე, რომელსაც მამა გარდაცვლოდა და მიელო მემკვიდრეობა. მან მე შემირთო სიმთვრალეში და სიცოცხლე მექცა წამებად. ერთი წლის შემდეგ ის იპოვეს ქუჩაში მკვდარი.

მე გადავსახლდი ჩიკაგოში გამდიდრებული.

გავიდა ხანი და იქ შევხვდი ნაძირალა თილერ რაუნთრის.

მე გადავბარგდი ნიუ-იორკში. ჭადარა მაგნატს

თავდავიწყებით შეეუყვარდი – ესეც მორიგი მემკვიდრეობა.

იგი ერთ ღამეს ჩემს მკლავებში გარდაიცვალა, თქვენც

კარგად გახსოვთ.

(წლების მანძილზე ვხედავდი შემდგომ მის წითელ სახეს)

აყალმაყალი მოჰყვა ამ საქმეს.

მე გადავსახლდი უკვე პარიზში. ამასობაში კი გავხდი ქალი

ფრიად მდიდარი, გაქნილი და გამობრძმედილი,

კარგად ვიცნობდი ამ ქვეყნის ზეპურთ.

და ჩემი კოხტად მორთული ბინა, ელისეს მინდვრებს რომ

გასცქეროდა, გახდა ადგილი თავშესაყრელი ყველა ჯურის მუსიკოსთათვის, მსახიობთათვის თუ დენდებისთვის, დიდებულთათვის თუ

მწერლებისთვის, სადაც ბაასი მიდიოდა ფრანგულ ენაზე, იტალიურზე,

გერმანულზე თუ ინგლისურზე,

ოვლად გავყევი გენუის მკვიდრს, გრაფ ნავიგატოს,

რომში წავედით და მივიცვალე, რატომღაც მჯერა რომ მან

მომწამლა.

ახლა კი ნახეთ, კამპო სანტოზე, ზღვას რომ გაჰყურებს,

სადაც კოლუმბი ოცნებობდა სიჭაბუკეში ახალ მიწებზე,

ჩემს სამარეზე რა ამოჰკვეთეს: „Contessa Navigato!

Implora eterna quiete“.

---

1 მარადიულ სიმშვიდეს ივედრება კონტესა ნავიგატო

## ქალბატონი უილიამსი

მკერავი გახლდით –  
უსამართლოდ განქიქებული,  
დედა დორასი,  
რომლის გაქრობაც, უცნაური,  
მე ღამაბრალეს, მე-როგორც გამზრდელს.  
ჩემი თვალები გაჩვეული მშვენიერებას,  
ამჩნევდა მრავალს, ლენტების გარდა,  
გარდა ბაფთების, და აბზინდების,  
გარდა სელის და ქერის ქუდეების  
რომლებიც უფრო მომხიბვლელს ხდიან  
სახეს და კულულს, შავს თუ ოქროსფერს.  
ერთ რამეს გეტყვით:  
მანდილოსნები ირთვებიან უცხო ქუდებით,  
სამშვენისებით,  
იპრანჭებიან ფერ-უმარილით,  
რომ ასე რიგად სხვათა ქმრები მოინადირონ  
ნეტავ ვიცოდე თქვენც ასევე რად არ ირთვებით?  
განქორწინება თუკი ძალუძთ ხანდახან ქუდებს,  
ძალიან ხშირად ოჯახებსაც იცავენ მენდით!  
ახლა კი გკითხავთ:  
სულ ყველა ბავშვი, სფუნ რივერში დაბადებული  
გამგეობებმა რომ აღზარდონ, სადღაც სოფელში,  
მამებს და დედებს კი უბოძონ თავისუფლება,  
სიცოცხლისა და მხიარულების,  
ქორწინების და განქორწინების,  
როგორ გგონიათ, თქვენ, სფუნ რივერი  
თუ გახდებოდა ამის გამო უფრო ხენეში?

## უილიამი და ემილი

არის რაღაცა სიყვარულში  
სიკვდილის მსგავსი!  
თუ მასთან, ვინაც გაზიარა სიყვარულის უტკბილეს ნექტარს,  
ჭაბუკურ ვნებას,  
წელთასვლის შემდგომ,  
შეიგრძენი დაშრეტა გზნების,  
და იგრძენი რომ ორივე იღვევით ერთად,  
თანდათანობით ნელ-ნელა, ნაზად,  
თითქოს ერთმანეთს ხელჩაჭდეულნი,  
ტოვებდეთ ოთახს ძლიერ ახლობელს –  
მაშ – იცოდეთ რომ, ეს არის ძალა  
ზიარი სულის,  
ვით სიყვარული!

## სამხარეო მოსამართლე

შეხედე მგზავრო, წვიმამ და ქარმა  
როგორ წაშალა და ამოჭამა  
ჩემი სამარის ლოდზე წარწერა, თითქმის მთლიანად,  
თითქოს უხორცო ნემეზიდამ თუ სიძულვილმა  
ჩემს წინააღმდეგ გამარჯვების ნიში მონიშნა  
დასანგრევად და ჩემი ხსოვნის დასავეწყებლად.  
სანამ ვცოცხლობდი, მოსამართლე ვიყავი ვინაც,  
ნიშნებს ვუსვამდი ვეჭილებს და ვწყვეტიდი საქმეებს  
არა სიმართლის, არამედ ჩემი სურვილისამებრ.  
ო, დაეხსენი ჩემს სამარეს წვიმავ და ქარო!  
უდანაშაულოდ დასჯილთა წყრომა ჯობია ალბათ,  
საფლავში წოლას უმეტყველოდ, ყოვლისმხილველად,  
იმის მხილველად, რომ თვით ჰოდ ფუთი  
მკვლელობისათვის ჩემივ მსჯავრით ჩამოხრჩობილი,  
ჩემს ფონზე სჩანდეს სულით უბიწო.

## ბრმა ჩეკი

დაღამებამდე ბაზრობაზე ვიოლინოს ვაწრიპინებდი.  
დაბრუნებისას „შმაგი“ უელდი და ჯეკ მაქვუეი  
გამძვინვარებით მაიძულებდნენ, რომ დამეკრა გაუთავებელიც  
სიმღერისათვის „სუზი სქინერი“  
ხოლო ორთვალას გაგიუებით მიაქროლებდნენ,  
შემდეგ კი თვითონ გადმოსტნენ და მარტო დამტოვეს  
მეც შევეცადე გადმოსტომა თვალდაშრეტილმა.  
როგორც კი ეტლი თხრილში ჩაეშვა,  
მე მის ბორბლებში აღმოვჩნდი და გარდავიცვალე.  
აქ უსინათლო მგოსანია მაღალი შუბლით,  
მიუწვდომელი და ნათელი როგორც ღრუბელი  
და ჩვენ ყველანი, ვინც ვუკრავდით ვიოლინოზე,  
ყმაწვილები თუ ჭარმაგები, უკლებლივ ყველა  
მთხზველნი მუსიკის თუ მოთხრობების  
მის ფერხთით ვსხედვართ  
და ვისმენტ ტროას დაცემის ამბავს.

## ჩონ ჰარას ბურლსონი

სოფლის სკოლაში მოვიპოვე ჯილდო ადვილად,  
ოცდახუთისაც არ ვიყავი წიგნი დავბეჭდე,  
შემდეგ ქალაქში გავემგზავრე, ვეძიებდი თავგადასავლებს,  
რომ ხელოვნება სრულმეყო ჩემი.  
იქ ჯერ ბანკირის ქალიშვილის მეუღლე გაეხდი,  
შემდეგ სიმამრის სავარძელიც მე მერგო წილად.  
მუდამ ველოდი მოცალებას, დროს თავისუფალს,  
რომ დამეწერა ეპიკური რომანი ომზე.  
ხოლო მანამდე ემასპინძლობდი ჩემს დიდ მეგობრებს,  
ემერსონსა და მეთიუ არნოლდს, ბრწყინვალე მწერლებს,



სადილის შემდეგ ვლაცობდი და ვწერდი წერილებს  
ადგილობრივი კლუბებისათვის.  
ბოლოს და ბოლოს აქ მომასვენეს,  
ჩემი ბავშვობის ნავსაყუდელში –  
შენც კარგად უწყვი  
მთელს ჩიკაგოში ერთი პატარა დაფაც არაა  
ჩემი სახელის უკვდავსაყოფად.  
ო რა დიდებულ აზრს შეიცავს ეს ერთი პწკარი:  
„აზვირთდი ღრმად ოკეანე, ლაქვარდოვანო!“<sup>1</sup>

## ნენსი ნაში

დიახ, ხომ იცით, რომ ეს იყო გამოსავალი:  
ჩვენ, მისი წილით მიწა ვიყიდეთ,  
მისმა და-ძმებმა კი ბრალი დასდეს,  
რომ მან განაწყო მამამისი მათ წინააღმდეგ  
და არასოდეს შეგვრგებია ჩვენი ქონება.  
ჭირმა გაწყვიტა საქონელი, ქარმა – ყანები,  
ხოლო ბელელი გადაწვა მეხმა  
ასე რომ ფერმა დაეაგირავეთ გაკოტრებას რომ გადავრჩენოდით.  
ის ჩაიძირა მდუმარებაში და მის სახეზე მწუხარებამ  
დაისადგურა.

მერე კი ზოგი მეზობელიც დაგვემდურა და  
მისი და-ძმების მხარეს აღმოჩნდა  
და მისასვლელიც არ დამრჩა არსად.  
სიყმაწვილეში კიდეც შეძლებ თავს შეუძახო:  
„არაფერია,

---

<sup>1</sup> ციტატა ჯორჯ გორდონ ბაირონის ნაწარმოებიდან „ჩაილდ კაროლდის მოგზაურობა“, სიმღერა 4.

ჩამოვიბერტყავ ამგვარ მეგობრებს,  
გავემგზავრები დექათურში რამდენიმე დღით.“  
შემდეგ კი სუნმა უსაშინლესმა აავსო სახლი  
და მე ლოგინებს შეეუნთე ცეცხლი,  
მოჩვენებების ბებერი სახლი შთანთქა ალების აემა ღრიალმა.  
და მე ვროკავდი ცეცხლის ფონზე ხელების ქნეკით,  
ის კი ბლადა, ვით მოზვერი დასაკოდავი.

## ბარი ჰოულდენი

იმ დროს, როდესაც ჩემმა დამ ნენსიმ  
ცეცხლს მისცა სახლი ფოთოლცვენისას,  
ასამართლებდნენ დოქტორ დუვალის  
ზორა ქლემენსის მკვლელობისათვის,  
მე კი ვიჯექი ორი კვირა სასამართლოში  
და ყურს ვუვადებდი მოწმეების ნალაპარაკებს.  
ნათელი იყო, მუცლადილო მან დუვალისგან  
ვინც არ მისცემდა მას უფლებას  
ბავშვის გაჩენის.

ახლა მე მკითხეთ, ჩემი რვა ბავშვით  
და მეცხრე ჩვილზე ორსული ცოლით,  
როუდსთან ბანკში ჩადებული ადგილ-მამულით?  
და როს იმ ღამით სახლში დაებრუნდი  
(მოვისმინე რა ორთვალათი სეირნობის და  
ქლემენსის თხრილში პოვნის ამბავი)  
პირველად რასაც მოვკარი თვალი,  
კიბესთან მარჯვნივ,  
სადაც ბიჭები ანკესისთვის ჭიას ეძებენ,  
იყო ნაჯახი!

და სწორედ მაშინ ჩემი ცოლიც იქ შემეფეთა,  
ის იდგა ჩემს წინ ცხვირამდე მუცლით,  
დაგირავებულ ფერმაზე სურდა ეთქვა რაღაცა,  
მე კი მოვკალი.

## მტატიის კრ(ო)კურ(ო)რი ფალასი

მე, ხელთმპყრობელი ბედისა და წონასწორობის  
მახვილითა და შოლტით,  
მეზიზღებოდა კანონდამრღვეენი.  
კანონდამცველმა მძვინვარემ, გულქვამ,  
მე, ვაიძულე კაცისმკვლეელი ბარი ჰოულდენის სიკვდილით დასჯა  
ნაფიც მსაჯულებს  
და თვალმომჭრელი შუქისაგან, აუტანელი სინათლისაგან  
გარდავიცვალე.

გამოვიღვიძე სისხლიანი შუბლით, პირისპირ  
შეჩეხებული ჭეშმარიტებას –  
ექიმის ხელში ჩაბღუჯულმა ფოლადის მაშამ  
ახალშობილი ჩემი ჩვილის თავს ჩავლებულმა,  
მიქცია ბიჭი გონებაჩლუნგად.  
მე მეცნიერთა წიგნებს მივმართე,  
რომ მომენახა მისთვის საშველი.  
აი, სამყარო გონით სნეულთა,  
ვით გადაიქცა მთავარ საქმედ ჩემი სიცოცხლის,  
მთელ ჩემს სამყაროდ.  
განწირული საბრალო შვილი!  
საბოლოოდ კი, აღმოჩნდა რომ შენ ხან მეჭურჭლე  
მე კი შენს ხელში მოქცეული ჭურჭელი მხოლოდ,  
მე – მთელი ჩემი ქველმოქმედებით.

## უენდელ ფ. ბლ(ო)ილი

თავდაპირველად დამაბრალებს უზნეო ქცევა,  
მკრეხელობა ხომ არ ისჯება კანონის ძალით?  
შემდეგ ჩამკეტეს საგიჟეში, როგორც შეშლილი,  
იქ კი გუშაგმა კათოლიკემ იმგვარად მცემა, მიმიყვანა  
სიკვდილის პირას.  
დანაშაული კი მხოლოდღა ეს იყო ჩემი:

მე ვთქვი რომ ღმერთმა მოატყუა ადამი, ჰოდა  
გაჩენიდანვე მოუნდომა გასულელედა,  
არ გაუმხილა რომ ქვეყანაზე კეთილის გვერდით არის ბოროტიც.  
და როცა ჭამა ადამმა ვაშლი, და ღმერთს აჯობა  
მიხვედრილობით,

და დაინახა სიცრუე კარგად,  
ღმერთმა ის უმალ გააძევა სამოთხიდან და  
ამით დაიხსნა უკვდავების ნაყოფისაგან.  
თქვით თუ ღმერთი გწამთ, გონიერნო ადამიანნო  
განა თვით ღმერთი აღარ ამბობს „დაბადებაში“:

„თქვა უფალმა ღმერთმა: აჰა, გახდა ადამი როგორც ერთი  
ჩვენთაგანი.

(მცირედი შური, როგორც თქვენ ხედავთ)  
შემცნობელი კეთილისა და ბოროტის. (მხილებულია კარგად  
სიცრუე)

არ გაიწოდოს ახლა ხელი და არ მოწყვიტოს  
სიცოცხლის ხის ნაყოფიც, არ შეჭამოს და მარადიულად არ  
იცოცხლოს.

გაუშვა იგი უფალმა ღმერთმა ედემის ბაღიდან.“  
(ჩემი ღრმა რწმენით,  
ძე საკუთარი ღმერთმა იმიტომ გააკრა ჯვარზე,  
რომ საკუთარი უმწეობისგან დაეხსნა თავი,  
მგონი ეს უფრო მისებურად ჟღერს.)

## შრენსის ოიურნერი

აღარ შემეძლო ბავშვობაში  
ხტუნვა-თამაში.  
ჭაბუკობაში ვსვამდი ჩაის,  
ღვინოს კი, ვერა –  
რადგან ქუნთრუშამ დამიტოვა სნეული გული.  
ახლა აქ ვწევარ.  
გულმშვიდადა ვარ,  
არავინ უწყის საიდუმლო თვინიერ მერის:  
რომ ხეივანში აკაციების და კატალპების,

თაფლმწთოლვარე ყურძნის ბალებთან,  
სამხრობის შემდეგ, იენისის თვეში  
მერის ვიკრავდი მკერდში ძალუმაღ,  
ვკოცნიდი ტუჩებს ბაგეებზე მომდგარი სულით,  
სულიც ამოჰყვა ბაგეებს და ცისკენ გაფრინდა.

## რუსი სონია

მე დავიბადე ვაიმარში,  
მამით ვიყავი გერმანელი დედით კი ფრანგი  
(სახელგანთქმული პროფესორი იყო მამილო)  
დავობლდი უკვე თოთხმეტი წლისა,  
და მოცეკვავე გაეხდი „რუსი სონიას“ სახელით,  
აღმა და დაღმა დავყვებოდი პარიზის ბულვარს,  
ჯერ ჰერცოგების და გრაფების სატრფო ვიყავი  
შემდეგ საწყალი პოეტების და ფერმწერების.  
ორმოცი წლისა ნიუ-იორკში აღმოვჩნდი, passee!  
და მოხუცებულ პატრიკ ჰუმერს შევხვდი გემბანზე.  
შედგმული ჰქონდა ფეხი უკვე მესამოცეში მწითურს და  
ტანმრთელს.

ის ბრუნდებოდა გერმანიიდან,  
სადაც მსხვილფეხა საქონელი ჩაეყვანა სატვირთო გემით  
და გაეყიდა ქალაქ ჰამბურგში.  
მან მომიყვანა სფუნ რივერში და ოცი წელი ისე ვიცხოვრეთ –  
ჯვარდაწერილად გეთვლიდა სუყველა!  
აი ეს მუხა, შორიახლოს ჩემი სამარის  
ლურჯი ჩხიკეების ადგილია უსაყვარლესი,  
სადაც მთელი დღე ლაყბობენ და ჭორიკანობენ  
რატომაც არა?  
როცა დასცინის თვით ჩემი მტკვერიც  
იმ სასაცილო საგანს რასაც  
ჰქვია სიცოცხლე?!

---

1 passee ფრანგ. – დამკნარი, ჩამქრალი.

## შრანკლინ ჯიუნსი

ბედს რომ ეცლია ერთი წელი სიცოცხლე ჩემთვის,  
დავამთავრებდი უსათუოდ მფრინავ მანქანას  
და გავხდებოდი მდიდარი და გამოჩენილი.  
ოსტატმა სცადა მტრედის ამოჭრა ჩემი სამარის ლოდზე.  
მაგრამ წიწილას მიაშვავსა მტრედზე უფრორე  
და ვერც კი მიხვდა, როგორ მომარგო.  
მართლაც რა არის ეს ყოველივე  
თუ არა მსგავსად ქათმის წიწილის  
გამოჩეკვა და ხტუნაობა შემოლობილში  
ვიდრე კუნძთან არ აღმოჩნდები ბოლოს და ბოლოს?  
გახსოვდეს მოსდგამს კაცს გონება ანგელოზური,  
დაბადებიდან ელანდება უკვე ნაჯახი.

## ჯონ მ. ჩიორჩი

მე აღვოკატი ვიყავი „ქ“-სა  
და სადაზღვევო კომპანიის, ვინაც იცავდა.  
მალაროთა მეპატრონეებს.  
მე ვკრავდი კვანძებს მოსამართლესთან და მსაჯულებთან  
და უზენაეს სასამართლოში,  
ეს მე ვტოვებდი მშრალზე ხეიბრებს,  
ქვრივებს და ობლებს.  
და მიძღვნა ხოტბა მნიშვნელოვან განცხადებაში  
ვექილთა საქმომ.  
ძღვენი კი მართლაც მრავალფერი დიოდა ჩემსკენ  
აქ კი თაგვებმა შესანსლეს გული  
და ჩემს ქალაში დაიდო ბუდე უხსენებელმა!

სატირიაზი<sup>1</sup> გჭირსო მითხრა ღოქ მეიერსმა,  
ხოლო ღოქ ჰილმა ლევეკემია<sup>2</sup> დაარქვა ამ სენს –  
მე კი უფრორე კარგად ვუწყვი რამ მომიყვანა სამაროვნებში:  
სამოცდაოთხი წლის ვიყავი, მაგრამ ძლიერი  
ვითარცა კაცი ოცდათხუთმეტის ანდა ორმოცის.  
არ მოვუკლავარ ყოველ ღამით წერილის წერას,  
არ მოვუკლავარ მსგეფსის მანძილზე ყოველ საღამოს გვიან  
ღაწოლას,

არ მოვუკლავარ გადამქანცველ ფიქრებს მინიზე,  
არ მოვუკლავარ ეჭვიანობას, არც შიშს და ძრწოლას,  
არც ჩაუწვდომელ ამოცანის ჩაწვდომის სურვილს  
მინის გონებრივ სრულყოფილებას, არც თანაგრძნობას  
მისდამი მძიმე ცხოვრების გამო  
პირველთან ანდა მეორე ქმართან,  
ჩემს აქ წოლაში არ მიუძღვის აღარცერთს ბრალი;  
მე აღმასრულა ქალიშვილთა წივილ-კივილმა,  
აყალ-მაყალმა ვაჟიშვილების,  
ლანძღვა გინებამ და დაცინვამ ნათესავების –  
და სწორედ იმ დღეს გავიქეცი პეორიაში,  
სადაც მინიზე დაექორწინდი იმათ ჯინაზე  
და როს ყოველი ვუანდერძე ქალს, ქალთა შორის  
ყოვლად მშვენიერს და ყოვლადწმინდას,  
რად გაიკვირვებ?

1 სატირიაზი – ავადმყოფურად გაზრდილი სქესობრივი სწრაფვა, ეინი.

2 ლევეკემია – ქრონიკული დაავადება, ლეიკოციტების მნიშვნელოვანი ზრდა.

## ბარნი ჰაინსჴითერი

პეორიაში მიმავალი მატარებელი,  
რომ არ შთაენტქა ცეცხლს და მხოლოდ დამტვრეულიყო,  
ალბათ შევძლებდი გამომეხსნა ჩემი სიცოცხლე,  
და ამ ადგილსაც, რათქმაუნდა, თავს დავაღწევდი.  
მაგრამ ის სრულად ამონაცრა  
და ჩემი გვამი ჯონ ალენის ეგონათ იმათ  
და ჩიკაგოში, ებრაელთა სასაფლაოზე, იგი გაგზავნეს,  
ჩემს ნაცვლად ჯონი, მე კი აქ ვწევარ.  
გაუძლებ კაცი ამ ქალაქში სავაჭრო გქონდეს,  
მაგრამ ეხ, აქვე რომ გერგება განსასვენებიც!

## კოეტი პეითიდი

თესლის წიკ-წი-კი გამშრალ ჩენჩოში,  
წიკ-წი-კი, მსგავსი წოწიალის ტკიპათა გუნდის,  
სუსტი ნიავე გააღვიძებს მილეულ იამბის  
და სიმფონიას შექმნის მისგან მაღალი ფიჭვი.  
ტრიოლეტები და რონდელები, რონდოები და ვილანელანი  
და ბალადები დაწერილნი ძველი ფიქრებით.  
უკვე გამქრალა გუშინდელი თოვლი და ვარდი:  
დამჭენარი ვარდი, სხვა რაღაა მაშ სიყვარული?  
მე ამ ქალაქში გარს მეხვია მთელი ცხოვრება:  
ჭეშმარიტება, სიმამაცე, გამბედაობა და ტრაგედია,  
კომედია და ერთგულება, მარცხი, სიქველე –  
ჰოი, ამდენი ნიმუშები ერთი ჩარხიდან?!  
ჩქერალებსა და მდინარეებს, მთებსა და ველებს  
ვით თვალდავისილი ვერ ვამჩნევდი მთელი ცხოვრება.  
თესლის წიკ-წი-კი გამშრალ ჩენჩოში,  
წიკ-წი-კი, რა დროს იამბია, ციციქნა იამბი,  
როს ჰომეროსი და უიტმენი შეჰღრიალებენ ტანმაღალ ფიჭვებს?



## პაულინა ბარეთი

ქირურგის დანამ ქალისაგან დამტოვა ჩონჩხი!  
და მთელი წელი წვეთ-წვეთობით ვიკრებდი ძალას,  
ვიდრე იმ დილით, ქორწინების ათი წლისთავეზე  
არ მოგაჩვენე ძველებურად ჯანმრთელად თავი,  
გავისეირნეთ ტყისაკენ ერთად  
დახავსებული კორდიანი წყნარი ბილიკით  
და არ ძალმიძდა, ჩამეხედა შენთვის თვალებში,  
და არ ძალგიძდა, ჩაგეხედა ჩემთვის თვალებში.  
ჩვენს მწუხარებას ერქვა – შენი ჭაღარა თმები,  
ჩვენს მწუხარებას ერქვა – ჩემი დამჭკნარი ხორცი  
და რაზე უნდა გვესაუბრა? ცაზე და წყალზე,  
სულ ყველაფერზე – გულისნადებს რაც დაჰფარავდა.  
შემდეგ მაჩუქე ასკილის ტოტი,  
რამაც მაგიდა დაამშვენა სადილობისას.  
საბრალო გულო, რა მედგარი ბრძოლა გარდაგხდა,  
რომ მშვენიერი ჩვენი წარსულის  
მოგონებებით გვეცხოვრა მხოლოდ,  
მაგრამ საღამომ ჩამოღვარა ჩემს სულშიც ბინდი  
და შენ მე მარტო დამტოვე, როგორც ჯვრისწერის ღამეს,  
საწოლ ოთახში.  
მე ვუცქეროდი სარკეს და თითქოს მომესმა ხმები:  
„ნახევრად სიკვდილს სჯობია, რომ გარდაიცვალო,  
რომ არასოდეს არ აიგლო მასხრად სიცოცხლე  
და არასოდეს სიყვარული არ მოატყუო.“  
და დაუუჯერე,  
ნეტავ ოდესმე თუ გაიგებ ამას ძვირფასო?

## ქალბატონი ჩარლზ ბლისი

უილიმ მირჩია, ღვთისმსახურმა, ქმარს არ გაეყროდი,  
რომ გამეწია ანგარიში ბავშვებისათვის  
და მოსამართლე სომერსმაც ჩემს ქმარს დაახლოებით ასევე  
უთხრა,

ასე რომ ერთად გავიარეთ წუთისოფელი.  
მამისკენ იყო ბავშვებში ორი, მას ამართლებდა  
და ჩემსკენ იყო ბავშვებში ორი, მე მამართლებდა.  
და ორი ვინაც მას ამართლებდა, მე მამტყუნებდა,  
და ორი ვინაც მე მამართლებდა, მას ამტყუნებდა.  
და აწუხებდათ ჩვენ რომ განგესჯიდნენ.  
ორი გლოვობდა მხოლოდ დედას, ორი კი მამას.  
და აშფოთებდა ყველა მათგანს ჩვენ რომ განგესჯიდნენ  
და სულს უღრღნიდათ რომ არ შეეძლოთ მათ სიყვარული  
ჩვენი თანაბრად.

ახლა ყოველმა მებაღემ იცის,  
ქვის ქვეშ გაზრდილი ან სარდაფში ყველა მცენარე  
დაკლანკნულია, ფერწასული და უღლეური.  
არც ერთი დედა არ აწოვებს ჩვილს არასოდეს  
ბუბუს თუ იცის რომ მოწამლული რძე უდგას მკერდში,  
ღვთისმსახურნი და მოსამართლენი კი უდრტვინველად  
გვიჩიჩინებენ

რომ სულის საზრდო  
იქ მოვიპოვოთ სადაც აღარ არის მზის შუქი,  
მხოლოდ მწუხრია, მხოლოდ ნესტი, მხოლოდ სიცივე  
და არა სითბო, –  
ღვთისმსახურნი და მოსამართლენი!

## ქალბატონი ჯორჯ რისი

ასე ვურჩევდი ახალ თაობას:

დაიზებირეთ რამდენიმე ნაწყვეტი ლექსის,

სიმართლეზე და სილამაზეზე,

მან შეიძლება რომ დაგიხსნათ სიკვდილისაგან.

აღარაფერი არ იღონა ჩემმა მეუღლემ

ბანკის დაშლისას – ის ხომ მხოლოდლა მოლარე იყო,

ბანკის ბედს წყვეტდა პრეზიდენტი თომას როუდსი

და მისი ვაჟი, თაღლითი და პატივმოყვარე.

ციხეში მაინც ჩემი ქმარი აღმოჩნდა მხოლოდ

და მარტოდმარტო დაერჩი ბავშვებთან,

მე ვაპურებდი, ვაცმევდი და სკოლაშიაც მე ვატარებდი,

შევძელი ყველა აღმეზარდა მამულისათვის

პატიოსანნი და ჯანმგარნი,

შევძელი მხოლოდ პოუპის ლექსის ბრძნული ნაწყვეტით:

„ბრწყინვალედ შეძლო შენი როლის გათამაშება,

აი, ყოველი სიბრძნე სიცრუის“.

## მღვდელი ლემუელ უილი

ეკლესიაში ვიქადაგე ოთხი ათასჯერ

და ორმოცამდე პარაკლისი გადავიხადე:

მოვაქციე ბევრი წარმართი,

მაგრამ არცერთი სიკეთე ჩემი

ისე ნათლად არ იციმციმებს ხალხის ხსოვნაში,

როგორც ის ერთი, თვით ჩემგანაც გამორჩეული:

მე ცოლ-ქმარ ბლისებს, დაეუშალე განქონწინება

და დავიხსენი შერცხვენისგან მათი ბავშვები,

შეხეთ რა კარგნი აღიზარდნენ, პატიოსანნი,

ბედნიერი და ყველასაგან პატივცემულნი.

## უმცროსი თომას როსი

ეს ყველაფერი საკუთარი თვალებით ვნახე:  
ბუდე ააგო კლდის მერცხალმა წარაფის თავზე,  
წისქვილის ფონის სიახლოვეს, მდინარის პირას,  
შემდეგ ბარტყებიც გამოიჩვენენ  
და უმალ კლდისკენ გაცოცდა გველი  
რომ შეესანსლა მერცხლის ბარტყები.  
დედა მერცხალი ფრთების ფრთხილით  
და ამაზრზენი წივილ-ჭყვირილით  
შეება მცოცავს  
და უბათქუნა ფრთები ვიდრემდის,  
თავარეული ქვეწარმავალი კლაკენით არ მოსწყდა ციცაბო  
წარაფს

და სფუნ რივერში არ ჩაიძირა.  
შემდეგ კი უცებ, ერთ საათსაც აღარ გაევილო,  
ქორი დააცხრა დედა მერცხალს ბასრი ბრჭყალებით.  
მეც ხომ ასევე, – დავამარცხე საკუთარი ქვენა ბუნება,  
მაგრამ რად გინდა, შევეწირე ძმის გულზვაობას.

## მღვდელი აბნერ შიიში

წარმოიდგინეთ, არც კი მწყენია  
აუქციონი რომ მოუწყვეს ჩემს პირად ნივთებს,  
სოფელში, მინდვრად.  
ამით ხომ ჩემი საყვარელი მრევლი შეძლებდა  
სახსოვარი რამ შეეძინა ჩემს მოსაგონრად!  
მაგრამ ზანდუკი,  
ბუჩარდ სირაჯს რომ ერგო წილად!  
იმ ზანდუკში ხომ მე ვაწყობდი ყველა იმ ეტრატს,  
რომლითაც ჩემს მრევლს ვუქადაგებდი  
მთელი ცხოვრება?!  
მან კი ის დაწვა, ვით უვარგის ქალაღდთა გროვა!

## Xეფერსონ ჰაუარდი

ჩემი გმირული ბრძოლა! სწორედ გმირული,  
ვირჯინიელი ოდინდელი ერის მამების რწმენით აღესილი:  
ზიზლი მონობის და უფრორე ზიზლი ომების.  
მე გამბედავი და მამაცი სულით ხორცამდე,  
წუთისოფლისგან სფუნ რივერში გადმოგდებული,  
ძალაუფლება სადაც ჰქონდათ ახალ ინგლისელ  
რესპუბლიკელებს, კალვინისტებს, ვაჭრებს, ბანკირებს.  
ემულდი სულყველას, მაგრამ მკლავებს ჩემსას უფროხონენ.  
წუთისოფელი გაიარო ცოლ-შვილთან ერთად  
ძნელია, მაგრამ სასიცოცხლო გამაჩნდა ჯანი  
და წამიერმა გატაცებებმა მწარედ შებლალეს ჩემი სახელი,  
ბევრჯერ მოვიმკე ბოროტება სიკეთის ნაცვლად.  
ემტრობდი ნესტიან აკლდამებს და სამლოცველოებს  
ტრფიალი ღვინის და ქეიფების,  
ბევრჯერ უცხოთა ჭირისუფალი,  
შემდეგ ეულად დაგდებული უახლესთაგან.  
მერე როგორც კი შევიგრძენი მისჭირდა სუნთქვა  
დაუშრეტელ ჩემს ენერგიას, მიმოვიხედე  
და დავინახე უცხო ბალებში გაფოთლილი ჩემი შვილები,  
მე კი ვიდექი მარტოღმარტო ვით დასაწყისში!  
ჩემი გმირული ბრძოლა!  
ფეხზე დამდგარი გარდავიცვალე,  
მარტოსული მდუმარებასთან,  
მარტოსული თვალსაწიერთან,  
თვალსაწიერთან რომ ვერავინ ვერ ჩასწვდებოდა  
ჩემგან გარდახდილ ბრძოლებს.

## მოსამართლე სელაჰ ლაიქლი

წარმოიდგინე, რომ შენ იყო ხუთი ფუტის და ორი ღუიმის და მუშაობდე საბაყლოს კლერკად, სანთლის შუქზე კი იზუთხავდე სამართლის მუხლებს, ვიდრე ვეჭილი არ გახდები ბოლოსდაბოლოს? და შემდეგ კიდევ წარმოიდგინე – რომ სიბეჯითით და განუწყვეტლივ სიარულით ეკლესიაში რომ შენ იქეცი ადვოკატად თომას როუდსის და ბანკოტებს და თამასუქებს შენ გაბარებენ და შენ იქნები ყველა ქვრივის მემკვიდრეობის საქმის ვეჭილი სასამართლოში?

ხოლო ისინი, ისინი ყველა, შენ დაგცინოდნენ, რომ იყავი ასეთი ჯუჯა, მასხრად გიგდებდნენ ტანსაცმლისა და გაწმენდილი ჩექმების გამო!

და ყოველივე ამის შემდეგ წარმოიდგინე – შენ მოსამართლედ დაგნიშნეს შტატის? ხოლო ჯეფერსონ ჰაუორდი, ქინსი ქინი, ჰარმონ უიტნეი და ერთი სიტყვით ყველა ახმახი ვინც დაგცინოდა იძულებული გახდა წამოდგეს მოაჯირს მიღმა, როცა მოგმართავს: „თქვენო ღირსებაჲ!“

მაშ არ ვიყავი ცამდე მართალი, როგორ გგონიათ, რომ მათ მივაგე მე უმკაცრესად?

## ალბერტ შირლინგი

ჯონას ქინი უჩიოდა ბედს სავალალოს, ბედს რომ მის შვილებს არ გაუმართლა. მაგრამ მე ვიცი უფრო მწარე გამოცდაც ბედის: შენი შვილები ბედნიერნი აღმოჩნდნენ ქვეყნად.

ხოლო შენ დარჩე ხელმოცარული.  
ჩემს ბედზე ვამბობ, – ავაშენე ბუდე არწივთა,  
რომლებიც მძლავრად აფრინდნენ ცაში  
და მე დამტოვეს მარტოსული ყვაევით ტოტზე  
მე მოვინდომე მომეხვეჭა პატივი ქვეყნად  
და გულგოროზი შვილებისთვის მომეგო ნიშნი  
და მე ჩავები არჩევნებში  
შტატის სკოლების უმაღლესი ზედამხედველის ადგილისათვის.  
გავფლანგე მთელი დანაზოგი, ვერც გავიმარჯვე.  
ხოლო პარიზში იმ წელიწადს, ფოთოლცვენისას  
ჩემმა გოგონამ მოიპოვა მთავარი ჯილდო,  
ნახატისათვის „ძველი წისქვილი“  
(ის წყლის წისქვილი სწორედ, შემდგომში  
ჰენრი უილქინმა საშრობად რომ გადააკეთა)  
იმის შეგარძნებამ, რომ ვერ გავხდი თანასწორი  
საკუთარ შვილის,  
მომიღო ბოლო.

## XVნას, ქიიანი

ალბერტ შირდინგმა, ჯერ სამოცსაც ვერმიღწეულმა,  
სულკურთხეულმა, შემძლე მოსახლემ,  
ვისაც სახელი მოუხვეჭეს ღვიძლმა შვილებმა,  
რალად მოიკლა თავი როდესაც კენჭი იყარა  
შტატის სკოლების უმაღლესი ზედამხედველის ადგილისათვის?  
ერთ ჩემს ბიჭს მაინც რომ ეშოვა სადმე ადგილი  
გაზეთების დამტარებელის  
ან რომელიმე ჩემს ქალიშვილს წესიერი რგებოდა ქმარი.  
არ მომიწევდა მუშაობა წვიმაში გარეთ,  
და გაწუწული ლოგინად არ მივეგდებოდი, სველი ტანსაცმლით  
და არც ექიმის დახმარებას ვიუარებდი.

## მკვიდრი თოლი

გამვლენო, ვინმეს თუ ჰქონია, ვინმეს თქვენთაგანს,  
მტკივანი კბილი, ოდითგანვე რომ გაწუხებდათ?  
ანდა ტკივილი ფერდის რომელიც აღარასოდეს აღარ ყუჩდება?  
ანდა ხორცმეტი, რაც იზრდება ღროთა მანძილზე სიმსივნისაგან?  
როცა ღრმა ძილშიც გელანდებიან ბუნდოვანი მოჩვენებები,  
კბილის, ფერდის თუ ამონაზარდის?  
სწორედ ასევე სიყვარული გაწბილებული  
ფრთადაღწეილი ოცნებები და ცხოვრებაში ჩადენილი სიშლეგები,  
რამაც აქცია შენი სიცოცხლე უსასო კედლად,  
დაემგვანება ფერდისა და კბილების ტკივილს  
უკანასკნელი ძილისშორისის ხილვებიდან გამოცურებულს  
ვიდრე სრულებით არ დააღწევ თავს დეღამიწას,  
თითქოს მხიარულს და განკურნებულს გაგღვიძებოდეს  
გაციცკრებისას!

## იე ბაუ

მათ შემყვანეს საკვირაო სასწავლებელში  
სფუნ რივერში, და შეეცადნენ, რომ განვდგომოდი  
კონფუციის რწმენას იესოს ხათრით.  
განა ვიზამდი მე უფრო უგვანს,  
თუ კი მოვთხოვდი მათ იესოს რწმენის დაგდებას,  
კონფუციის გამო?  
და უმიზეზოდ, თითქოს ხუმრობით,  
ზურგიდან ჩუმად მომეპარა ჰარი უილეი,  
წინამძღვრის ვაჟი და ჩამიღეწა ნეკნები ფილტვში  
ძლიერი მუშტით.  
უკვე ვერასდროს ვერ განვისვენებ ჩემს წინაპართა გვერდით პეკინში,  
არც ერთი ბავშვი არ მოიდრეკს მუხლს ჩემს საფლავთან.



## ვაშინგტონ მაქნილი

მდიდარი, ვისაც პატივს მცემდნენ თანამოძმენი  
კეთილშობილი მეუღლის და შვილთა პატრონი,  
შვილთა, რომელნიც აქ აღიზარდნენ,  
ამ უზარმაზარ კარ-მიდამოში, ქალაქის პირას.  
შუა მინდორზე კედრის ხე იდგა. (დაიმახსოვრეთ!)  
ვაჟიშვილები ენ არბორში გავგზავნე ყველა,  
ხოლო როქფორდში ქალიშვილები.  
დიოდნენ დღენი, – ვმდიდრდებოდი და ვგრძნობდი პატივს –  
სალამოხანს კი ვისვენებდი კედრის ხის ძირას.  
დიოდნენ წლები,  
ევროპისაკენ გავისტუმრე ქალიშვილები,  
დაქორწინდნენ და მივუბოძე ყველას მზითევი.  
მივეცი ფული ბიჭებს საქმის საწარმოებლად:  
ჩემი შვილები ძლიერნი ჩანდნენ, როგორც ვაშლები,  
ვიდრე ნაკბერი დაბეგვილ გვერდებს გამოუჩნდათ.  
პირველად ჯონი გადაიხვეწა თავლაფდასხმული.  
ჯენი გადაჰყვა მშობიარობას  
მე კი ვიჯექი კედრის ხის ძირას.  
აყალმაყალის გამო ჰარიმ მოიკლა თაჟი,  
ხოლო სუსანა ქმარს გაეყარა,  
მე კი ვიჯექი კედრის ხის ძირას.  
პოლი ხეიბრად გადაიქცა სკოლის მიწურულს,  
შინაპატიმრად იქცა მერი სიყვარულისგან.  
მე კვლავ ვიჯექი კედრის ხის ძირას.  
ყველა გარდახდა ფრთებდალეწილი ან ცხოვრებისგან  
დანანაცრები,  
მე კვლავ ვიჯექი კედრის ხის ძირას.  
ჩემი მეწყვილის, მათი დედის, მზეც ჩაესვენა –  
მე კვლავ ვიჯექი კედრის ხის ძირას,  
ვიდრემდის ბოლოს

მომიხმო ზარმა ოთხმოცდაათს მიტანებული.  
ო, ვინაც ურწევ, დასაძინებლად,  
ხეს მომწყდარ ფოთლებს,  
დედაო მიწავ!

## აქლ მაქნილი

ძვირფასო ჯეინ! მომხიბვლელო, ძვირფასო ჯეინ!  
მომვლელის ქუდით და ქათქათა სახელოებით  
რა ფეხაკრებით შემოიპარე ოთახში ჩემთან  
(სადაც ვიწექი ეგზომ სნეული)  
ხელისგულებში მოიქციე ჩემი მტევნები და თქვი ღიმილით:  
„ნუ გეშინია, მალე მორჩები –  
შენ რომ გგონია ასე ძლიერ არა ხარ ავად.“  
და შენი მზერა ცრემლებით სავსე  
ჩამოიღვენთა ჩემს თვალებში როგორც ცვარ-ნამი  
ყვავილის გულში.  
ძვირფასო ჯეინ!  
მაქნილების მთელი ქონება  
ვერ ამოუვა თანადგომას ჩემდამი შენსას  
დღისით და ღამით, განურჩევლად ღამით და დღისით,  
ვერვის მიუწყყავს საფასური შენი ღიმილის!  
შენს სულზე თბილი თუ არსებობს ქვეყნად რაიმე?  
თუ არის რამე შენს ხელისგულზე თბილი ამქვეყნად?  
ჯეინ! ვიდრემდის დამტოვებდა სიცოცხლის ალი  
და ბნელი ღამის სისრულეში გაერეოდა  
მე ვნატრობდი და ვსასოებდი კვლავ კარგად ყოფნას,  
რომ გამეხადა სასთუმალად მე შენი მკერდი,  
რომ მე სულწასულს, სიყვარულის თასმით დამები, –  
ვიცოდე მაინც, მამაჩემმა თუ გახსენა ანდერძში ნეტა?  
ჯეინ ძვირფასო, ძვირფასო ჯეინ!

## მერი მაქნილი

მგზავრო,

გიყვარდეს ნიშნავს საკუთარი იპოვო სული  
საყვარლის სულში.

როს შენს სულისკნელს მოაკლდება საყვარლის სული  
მაშინლა იგრძნობ რომ დარჩები უსულოდ ქვეყნად.

დაწერილია: „მეკი მყავს, მაგრამ

ჩემს მწუხარებას – მეგობარი არ გააჩნია.“

ასე რომ ჩემი მარტოობის ხანგრძლივი წლები  
მამის სახლ-კარში.

ეს იყო ბრძოლა საკუთარი თავის პოვნისთვის,  
რომ მწუხარება ამაღლებად გადამექცია.

მაგრამ თვალები აწყდებოდა მწუხარე მამას,

მამას ფეხმორთხმულს კედრის ხის ძირას.

ხატება რაიც ჩაიძირა ბოლოს ჩემს გულში

და მომიტანა განსვენება მარადიული.

ჰოი, თქვენ სულნო, შემძლებელნო –

თქვენი ცხოვრება, დედამიწის შავი მიწიდან

გადაგექციათ სურნელოვან და ქათქათა ვარდის სალბუნად,

სამარადისო სუფევა თქვენდა!

## ღანიელ მაქუმბერი

როცა ქალაქში გავემგზავრე,

მერი მაქნილი,

მე კვლავ ვფიქრობდი დაბრუნებას შენთან, მერწმუნე,

მაგრამ ლაურა, – ქალიშვილი დიასახლისის,

შემოიპარა ჩემს ცხოვრებაში და გამიტაცა.

წლების შემდეგ კი შევეყარე ჯორჯინა მინერს,

რომელიც იყო ქალაქ ნაილსიდან,

თავისუფალი ტრფობის ნაყოფი,  
დაბადებული ფურიერისტთა ბაღჩა-ბაღებში,  
ოპაიოში რომ აყვავდა ომის წინარე.  
ჯორჯინამ თავი მოაბეზრა უნდილ საყვარელს  
და ჩემში ჰპოვა ნუგეში და ძალმოსილება.  
ის ცრემლოსანთა გვარს ეკუთვნოდა,  
საკმარისია შენს მკლავებში აღმოჩნდეს, უცებ  
მოგეთხუზნება სახე წვირტლისგან,  
და გადმოგანთხევეს სიმდიდრეს თავზე,  
გიკბენს ხელზე და განზე გახტება.  
შენ კი დარჩები აყროლებული და სისხლიანი  
და შენი სული მიწვდება ზეცას.  
მერი მაკნილი,  
ო, რად ვერ გავხდი ღირსი მეკოცნა  
ნაწიბურისთვის შენი მანტიის!

## X M R X I N A S E N L O M I N E R O

დედინაცვალმა გამაბრძანა სახლიდან და გამაბოროტა  
და სქოომენმა ბრიყვმა, უნდილმა წაიღო ჩემი ქალიშვილობა,  
წლების მანძილზე საყვარელი ვიყავი მისი, რაც  
საიდუმლოდ დარჩა ყველასთვის.  
მისგან ვისწავლე გაქნილობა პარაზიტული,  
რითაც ადვილად გამქონდა თავი ვით ქოფაკის ტილს,  
მუდამ ვიყავი „ფრიად პირადი“ უამრავ კაცთა.  
შემდეგ რადიკალ დანიელს ვყავდი წლების მანძილზე.  
დანიელის დამ საყვარელი მიწოდა მისი.  
წერილში მწერდა დანიელი: „სიტყვა საძრახი,  
კეთილშობილი ჩვენი გრძნობის ლაფში დამსვრელი“  
მე ბოღმისაგან დავიკლაკნე მის დასაშხამად.  
მაგრამ აქ ხელი გამოიღო ლესბოსელმა ჩემმა დაქალმა.  
ის ვერ იტანდა დანიელის დას

და დანიელსაც სძულდა მისი ჯუჯა მეუღლე.  
 ჩემმა დაქალმა ნახა უამი მის დასაშხამად.  
 მე დანიელის მეუღლისთვის უნდა მომეთხრო, რომ მისი  
 ქმარი არ მასვენებდა,  
 მაგრამ მანამდე დანიელს ვთხოვდი ჩემთან ერთად  
 ლონდონში წასვლას.  
 „აქ რად არ დავრჩეთ, როგორც ადრე?“ მომიგო იმან.  
 შური ვიძიე, ხელი ვკარი და ჩავიძირე  
 უნდილ საყვარლის მკლავთა მორევში.  
 შემდეგ კი ზემოთ ამოვეყვინთე დანიელის წერილით ხელში,  
 რაც მის მეუღლეს წავაკითხე დასარწმუნებლად  
 რომ მე ვიყავი ხელუხლებელი უბიწოება,  
 ვაჩვენე ყველას და მათ შორის ლესბოსელ დაქალს.  
 ნეტავ დანიელს სასიკვდილოდ ესროლა ტყვია!  
 მან კი სიცრუის საბურველი ჩამომახია,  
 გამომაჩინა სხეულით და სულით მეძავი!

## მომხსენებელი

ძალიან კარგი, ლიბერალებო,  
 თქვენ, მეზღვაურნო საბრძანისში მაღალი გონის,  
 მოცურავენო მიუწვდომელ წარმოდგენებში,  
 ქარს აყოლილნი არამდგრადი თქვენი აზრებით  
 და საჭაერო ორმოებში ჩაცვნილებო:  
 მარგარეტ სლაქო, პეტიტო და ქლაფლინ შოუფო,  
 ხომ დაინახეთ სანაქებო მაგ თქვენი სიბრძნით,  
 თუ რა ძნელია აღსასრულისას  
 ატომგულებად დახლეჩისგან დაიხსნა სული.  
 მაშინ როდესაც, ჩვენ, მომხვეჭელნი მიწიერი საუნჯეების,  
 ხარბნი და ოქროს მოყვარულები,  
 ვართ პირმტკიცენი, უდრეკნი და თავდაჭერილნი,  
 თვით უკანასკნელ ამოსუნთქვისას.

## აილა ჩიქენი

მას შემდეგ რაც მე მოვისმინე ლექციები ჩაუთაქვაში, სადაც ოცი წლის განმავლობაში ვსწავლობდი ფრანგულს, და დავიზუთხე გრამატიკა თითქმის ზეპირად, გადაეწყვიტე რომ ჩემი ცოდნის დასახვეწავად ვწვეოდი პარიზს.

ჰოდა წავედი პასპორტისთვის პეორიაში – (იმ დღეს როუდსიცი ჩემთან ერთად იყო ვაგონში) იქ ვილაც კლერკმა სამხარეო სასამართლოსი, დამაფიცა რომ ვუერთგულებდი და დავიცავდი კონსტიტუციას.

ღიახ, სწორედაც მე დამაფიცა, მე, ვინც მართლაცდა ველარ შევძლებდი ვერც მის ღაცვას და ვერც ერთგულებას.

და იმავე დილით, წარმოიდგინეთ!

ფედერალურმა მოსამართლემ გვერდით ოთახში, იმ კედელს მიღმა, სადაც ფიცი დამადებინეს, გადაწყვიტა რომ კონსტიტუცია არ ავალბდა თომას როუდსს გადაეხადა გადასახადი სფუნ რივერში წყლის გაყვანისთვის.

## ხელოვანი პენიპიიიი

შემომეფანტა, სფუნ რივერში, ჩემი მუშტარი როცა კამერით შევეცადე ადამიანთა სულის დაჭერას,

ყველაზე კარგი სურათი, რაც კი ოდესმე გადამიღია, მოსამართლე სომერსის გახლდათ.

ის დაჯდა ოდნავ მარჯვნივ დახრილი და მალოდინა ვიდრე მისი ელაში თვალი არ გაისწორა. როცა მზად იყო მითხრა „კეთილი!“

მე კი შევძახე უცებ: „ყალბია“  
და მისი თვალი გაიქცა მარცხნივ  
და სწორედ იმ წამს გადავუღე სურათი, რადგან  
ის სწორედ ასე იცქირებოდა, როცა ამბობდა:  
„აღარ ვლებულობ!“

## XIII ბრაუნო

როცა დომ პედროს მეურვე გახლდით,  
მე მომივიდა ასეთი აზრი, რომ ორ ნაწილად იყოფოდა  
ადამის მოდგმა:  
„ჩალის ინდაურს“ უსმენენ ერთნი, მეორეთ მოსწონთ  
„პა, შადრევანი, სისხლით აღვსილი“  
(რაილ ფოთერი რომ მღეროდა ქალაქ ქონქორდში)  
ერთნი არჩევენ ბანქოს, სხვანი კი მამა ფიითის ქადაგებებს  
წმინდა მიწაზე;  
ნაწილი დახტის ცეკვა-თამაშით, ნაწილს კი თეფში დააქვს  
კარდაკარ;  
ზოგს წინსაფარი არგუნა ბედმა, ზოგს კი გალობა საკვირაო  
სასწავლებელში;  
ზოგი კაცობას აფასებს და ზოგი სიმდიდრეს;  
ზოგს ხალხი უყვარს, ზოგი კი ებრძვის;  
ის ამბავი კი აი, ვით იყო:  
მამა ფიითი და წევრები „სოციალური სიწმინდის კლუბის“,  
სათავეში რომ ედგა ცოლი ბენ პანთიერის,  
წავეიდნენ სოფლის გამგეობაში  
და მოითხოვეს რომ მე დომ პედრო  
უოშ მაქნილის ფარდულიდან გადამეყვანა ქალაქის ბოლოს,  
გამგეობის თავლის კუთხეში,  
იმ მიზეზით რომ ის ზნეობას ხალხისას რყენიდა,  
მაგრამ ჯოუნსმა და პანთიერმა აღარ მიიღეს წინადადება:  
მათ ჩათვალეს რომ ასეთი ქცევა  
შეურაცხყოფდა კვიცებს.

## რობერტ ლევიტონი

მე ჩავისუქე სამშენველი სხვათა სულების ხარჯზე.  
თუ კი ვნახავდი სულს ძლევამოსილს,  
მე მის ღირსებას ჩავსცემდი ლახვარს და შევსანსლავდი  
მის ენერგიას.

სამეგობროში იცოდნენ ჩემი გაიძვერობა,  
რადგან მეგობარს ვძარცვავდი ყველგან სადაც შემეძლო  
და ამდაგვარად ვზრდიდი ჩემს ძალას,  
ამას ვიქმოდი ძირგამომთხრელ მედიდურობით.  
ვასუფთავებდი ჩემს სამფლობელოს  
და ვზეიმობდი სხვათა სულებზე.  
სწორედ ჩვენება და დამტკიცება  
ძალმოსილების  
იწვევდა ჩემში აღფრთოვანებას,  
ნაწრთობი სულის მძაფრ აღტკინებას.  
სულების შთანთქმით მე შემეძლო მეცოცხლა მარად  
მაგრამ სულების ის ნარჩენები, მოუნელებლად რაც დარჩა ჩემში,  
მომაკვდინებელ ნეფრიტად იქცა;  
სულიერ ტანჯვად, შიშად, წუხილად,  
ეჭვიანობად, სიძულვილად, თვალის დავსებად, –  
ბოლოსდაბოლოს ჩავინაცრე აკივლებული.  
რკო რომ რკო არის,  
ისიც კი არ შთანთქავს სხვა რკოებს,  
გახსოვდეთ მარად!



დაარბიეს და გააჩანაგეს გამომცემლობა,  
მათ „სფუნ რივერის საყვირის“ მე კი  
გაღამაყარეს თავზე ბუმბული ფისით მოთხაპნილს,  
რადგან დავებეჭდე იმ დღეს გაზეთში,  
როს ჩიკაგოში ანარქისტები აიყვანეს სახრჩობელაზე:  
„ქალი ვიხილე მშვენიერი, თვალუბაკრული,  
მარმარილოთი შემოსილი ტაძრის კიბეზე.  
მის წინ დიოდა აურაცხელ ხალხის ლიანგი  
და მიაპყრობდა სახეს ვედრებით.  
მარცხენა ხელში ქალს ეყრა ხმალი,  
ის ხმალს იქნევდა ხანგამოშვებით,  
ხან ჰკრავდა ბავშვს და ხან კიდევ მუშას,  
ხან მუცელმოშლილ ქალს, ხან მთვარეულს.  
მარჯვენაში ქალს სასწორი ეყრა.  
სასწორის თეფშზე ოქრო ეყრა.  
იმათი ვინაც აარიდა თავი ხმლის დაკვრას.  
შავი მანტიით მოსილმა კაცმა ამოიკითხა ხელნაწერიდან:  
ის არ განარჩევს ადამიანებს.<sup>1</sup>  
შემდეგ ყმაწვილი წითელფაფახა  
მიეჭრა ქალს და ჩამოგლიჯა თვალთსაფარველი  
და ჰა იხილეს: ლაგაზიან ქუთუთოთაგან  
ამოკორტნილი წამწამები და  
თვალისჩინებზე გადაღვრილი რძიანი ლორწო:  
და მის სახეზე იყო სიგიჟე გამოსახული  
მომაკვდავ სულის –  
მაგრამ იხილა უკვე ლიანგმა,  
რად ატარებდა ქალი თვალთსაფარს“

<sup>1</sup> შედარებისთვის იხილეთ: მოციქულთა საქმე 10–34, ...ის მიუკერძოებელია...

## რედაქტორი უელონი

შეგეძლოს მუდამ მოვლენების ყოველმხრივ ხედვა;  
მუდამ ორივე მხარეს იყო და არსად დიდხანს;  
გარყვნა სიმართლე და ატარო შენი მიზნისთვის;  
ბილწი განზრახვით ვერაგულად გამოიყენო  
ადამიანთა სულგრძელობა და სიყვარული;  
გქონდეს ნილაბი ძველბერძენი მსახიობივით  
(რვაფურცლიანი შენი გაზეთი)  
რომლის უკანაც მოკუნტულხარ შეშინებული;  
მსხვილად ნაბეჭდი სათაურიდან,  
როგორც საყვირი, ბლაოდე მუდამ:  
„ეს მე ვარ, ქვეყნად უდიადესი!“  
შენი ცხოვრება კი ბაცაცას ცხოვრებას ჰგავდეს;  
დაგშხამოს შენი დახშული სულის  
უაზრო ბოდვამ.

რალაც ფულისთვის სამარცხვინო ჭორები ქექო  
და შურისაგან გაჰფანტო ქარში,  
ანდა ივაჭრო ნაბეჭდ ფურცლებით,  
თუკი დაგჭირდა დასვარო ჭუჭყით  
ვინმეს სახელი ანდა სხეული;  
ნებისმიერი საშუალებით მოიგო თანაც  
გადაირჩინო სიცოცხლე შენი.  
ზეიმით შეხვდე სატანის ძალას  
სამყაროს გონს კი სამარეში გადაუძახო,  
როგორც ბიჭუნამ, ავადმყოფმა, უბრალო მორით  
მატარებელი გადააგდო ლიანდაგიდან;  
იყო ისეთი რედაქტორი მე რომ ვიყავი.  
შემდეგ კი ჩაწვე აქ, ამ ხევში მდინარის პირას,  
სადაც ნაგვების გორაკები ახორხლებულან  
და სად დედები მოცილებულს მარხავენ ნაყოფს!

## ელგა უერთმანი

შვილი ვიყავი გერმანელი მდაბიო-გლეხის,  
ცისფერთვალემა, გაფურჩქნილი, ჯანმაგარი და ხალისიანი.  
თავიდან თომას გრინს დაუდუქე მოსამსახურედ.

ერთხელ ზაფხულში, ქალბატონი არ იყო სახლში,  
სამზარეულო ოთახში უცებ გაჩნდა თომასი,  
მომხვია მკლავი და ვიდრემდის მოვბრუნდებოდი,  
ყელზე მაკოცა.

შემდეგ რაც მოხდა არც ერთს არ გვახსოვს.

და მე ვტიროდი იმაზე რაც მერე მქლოდა.

და მე ვტიროდი, ვტიროდი მწარედ, რადგანაც უკვე

საიდუმლოს ვეღარ ვმალავდი.

ერთ დღეს მოვიდა ქალბატონი და მითხრა მშვიდად,  
რომ ყველაფერი იცოდა, თუმცა

არ აპირებდა აეტეხა აურზაური

და თვით უშვილო, ბავშვს იშვილებდა

(ქმარმა მას გულის მოსალბობად ფერმა აჩუქა)

შემდეგ ის გარეთ არ ჩნდებოდა, შინჩაკეტილი

ხმებს აერცელებდა, ორსულად ვარო.

ისინი იყვნენ განწყობილნი ჩემდამი თბილად

და ყველაფერი კარგად დამთავრდა, გამიჩნდა ბიჭი,

მოგვიანებით გუს უერთმანს გავყევი ცოლად:

გავიდნენ წლები.

ჰოდა – კრებაზე როცა ვტიროდი, ხალხი ფიქრობდა

ჰამილტონ გრინის მჭერმეტყველება მაზღუქუნებდა,

ასე არ იყო,

არა! მე მსურდა მეთქვა სახალხოდ:

ის ჩემი ძეა, ჩემი ბიჭია!

## ჰამილტონ ბრინი

მხოლოდშობილი ვაჟი ვიყავი ფრანსის ჰარისის, ვირჯინიელის,  
და თომას გრინის, ქენტაქიელის,  
დედით და მამით კეთილშობილი სისხლის და მოდემის.  
ყველაფერს რასაც ცხოვრებაში მე მივალწიე იმათ ვუმაღლი:  
შტატის ლიდერი, მოსამართლე და კონგრესმენი.  
დედისგან დამყვა სინატიფე, სიმხნევე და მჭერმეტყველება,  
მამაჩემისგან გამჭრიახობა, ნებისყოფა და ლოგიკურობა,  
ეს მათ ეკუთვნით მთელი პატივი  
იმისთვის, რაც მე ხალხისათვის სამსახური გამიწევია!

## ერნესტ ჰაილი

ჩემი გონება, ეს იყო სარკე:  
ის აჩვენებდა – რასაც ხედავდა  
და რაც იცოდა, ისღა იცოდა.  
სიჭაბუკეში ჩემი გონება  
სწრაფი მანქანის სარკეს მოჰგავდა,  
რომელშიც ჩქარა ცვლიან ერთმანეთს  
გარე ხედები.  
დროთა მანძილზე  
დიდი ნაფხაჭნი დაეტყო სარკეს,  
რომელშიც უმაღლესი შემოიჭრა გარესამყარო  
და რომლიდანაც სულისკნელმა გამოიჭვრიტა,  
ეს იყო სულის დაბადება მწუხარებისთვის,  
გაჩენა, რასაც მოჰყვება შემდგომ ტკბილიც და მწარეც.  
გონება იღებს სამყაროს როგორც ცალკე მდგომ საგანს,  
ხოლო სული კი მას შეიგრძნობს თავის წიაღში.  
დაფხაჭნილ სარკეს აღარ ძალუძს სახის არეკვლა –  
სწორედ ეს არის სიბრძნის დუმილი.

## როჯერ ჰესტონი

ერნესტ ჰაიდთან მე მრავალჯერ მიკამათია,  
თუ რას ნიშნავდა თავისუფლება ნება-სურვილის  
და მე მომყავდა შედარებისთვის ფრიქეთის ძროხა  
საბალახოდ დაბმული, თუმცა

თავის ნებაზე მიშვებული თოკის სიგრძეზე.  
ერთხელ დავისას, დავინახე რომ მოეწმინდა  
ძროხას პირწმინდად საძოვარი თავის გარშემო  
დაეძრო სარი და მოქროდა პირდაპირ ჩემსკენ  
თავპირისმტვრევით.

„ეს არის ნების თავისუფლება?“

აღმოსკდა ერნესტს და მოსწყდა ადგილს  
მე კი დავემხე  
ძროხისაგან სიკვდილს შეყრილი.

## ამოს სიბლი

ვერც ხასიათით, მოთმინებით, სულის სიმტკიცით,  
როგორც დაბაში ფიქრობდნენ ჩემზე,

ვერ გავუძლებდი ჩემს ცოლთან ყოფნას  
და ამავე დროს ღვთისმსახურებას –

ჩემთვის ღმერთისგან არჩეული საქმის კეთებას.

მე მძულდა იგი, ქარაფშუტა და ჭირვეული.

კარგად ვიცოდი ყველა მისი ნალალატევი.

და არ შემეძლო მაინც მასთან განქორწინება,

რადგან მაშინვე ეკლესიას მომაშორებდნენ.

ღვთის სიყვარული მოითხოვდა სიკეთის თესვას

ამიტომ ამ ტვირთს მე გავუძელი!

ასე ვეცრუე საკუთარ სინდისს!

ასე ვეცრუე სფუნ რივერელებს!

მაინც ვცდილობდი ლექციის კითხვას,  
თვითმმართველობის არჩევნებშიც ვიყარე კენჭი,  
ვყიდდი წიგნებსაც  
ერთადერთი მწველი სურვილით:  
მომეყარა ფულისთვის თავი და მას გავეყოლი!

## ქალბატონი სიბლი

საიდუმლო ვარსკვლავების – მიზიდულობა,  
საიდუმლო დედამიწის – მიწის ქანები,  
საიდუმლო ნიადაგის – თესლის მიღება,  
საიდუმლო თესლის – აღმოცენება,  
საიდუმლო კაცის – თესვა,  
საიდუმლო ქალის – თესლის მიღება,  
საიდუმლო ჩემი – ბორცვის ქვეშეთი, სად ვერასდროს  
ვერას იპოვით!

## აღამ უერაუჭი

გავიჭყლიტე არმორსა და ალთგელდს შორის,  
ურიცხვი ფული, მეგობარი და დრო დავკარგე  
რადგან ვიბრძოდი ალთგელდისთვის, ვინც უედონმა  
ამხილა როგორც ყალთაბანდთა და ანარქისტთა კანდიდატურა.  
შემდეგ დაიწყო შემოტანა სფუნ რივერში, არმორმა გემით,  
მზა ხორცის და მე მაიძულა დამეხურა ჩემი საყასბო  
და ჩემი ხორცის მაღაზიაც ქარს გავატანე.  
თანაბარწილად მბოჭავდა უკვე  
განახლებული ძალა ალთგელდის და არმორისა.  
ვიფიქრე ალბათ მეკუთვნის – მეთქი საზღაური  
დაკარგული ჩემი ფულისა,  
და მეგობრების მე მის გამო რომ მიმატოვეს,  
მომიგებს – მეთქი სიკეთით გუბერნატორი,

დამნიშნავს – მეთქი სფუნ რივერის არხის გამგებლად.  
მან კი ჩემს ნაცვლად უედონი დანიშნა უმაღ  
სფუნ რივერის ერთგულ არგოსად.  
გაბრაზებული არჩევნებში ჩავები შტატის და გავიმარჯვე.  
მე ვთქვი, ჯანდაბას პატიოსნება და ხმა გავყიდე,  
მივემხრე კანონს თ. უექერის  
ტრამვაის მძლოლთა უფლებებს რომ შეეხებოდა  
და რათქმუნდა მეც ვიყავი ერთი მათგანი, ვინაც გააბეს.  
ჩემივე თავი, ალთგელდი თუ არმორი იყო –  
ვინაც დამღუპა?

## ქმრა ბარ ლექტი

ღვთისმსახური ჯარში,  
ღვთისმსახური ციხეში,  
შემგონებელი აქ, სფუნ რივერში,  
მთვრალი ღვთიური ცეცხლით, სფუნ რივერ –  
თუმცა სახელის გამტეხი საწყალ ელიზ ჯონსონის  
საკუთარ თავზე კი ზიზღის და ბოღმის დამტეხი.  
რატომ ვერ მიხვდი ვერასდროს მაინც  
რომ სიყვარული  
ღვინის და ქალის  
იძლევა ხალისს, რომლითაც სული  
ღვთიურს ეწაფვის,  
აღტკინებული ეძლევა ხილვებს  
და ხედავს ციურ საგუშაგოებს?  
მხოლოდ ძალღონის უსასრულოდ წვალეების შემდეგ,  
მხოლოდ მას შემდეგ, როს ყოველი ხალისი ქრება  
სული გაჭრილი ზესკნელისაკენ  
მარტო შთენილი  
საკუთარ თავს ჩამოყრდნობილი  
ჰპოულობს ღვთიურს.

## ამელია ბარიქი

დიახ, აქ ვწევარ, ვარდკაჭაჭას ბუჩქებთან ახლოს, საქმროს მახლობლად, მივიწყებულ ალაგას, სადაც სილვერის ტყიდან მოიწევენ თხელი ტევრები.

შენ კი პირველი ლედი გახდი ნიუ-იორკში, თანამეცხედრე სახელგანთქმულ მილიონერის, ზეპური ერის ცნობილი სახე,

აქედან წასვლამ განგადიდა ეტყობა ესრეთ, მომხიბვლელი და მშვენიერი გაგხადა უფრო, შენ აისრულე საწაღელი, მეკი დავმარცხდი სოფლელთა თვალში.

შენ ხარ ეული, მე – გარდაცვლილი  
მაგრამ ხომ ვიცი, რომ მე შენი სულისკნელი გავანადგურე:  
და ისიც ვიცი, აქ მწოლიარე ძლიერ შორს შენგან –  
ვისი სახელიც შენს მეგობრებს არც კი სმენიათ  
იმ გაბრწყინებულ სამყაროში სადაც ამაღლდი –  
ეს მე ვარ ძალა დაუძლეველი  
შენს ცხოვრებაში,  
რაიც შენს ტრიუმფს ასე აკნინებს.

## ჯონ ჰონქოქ ოთისი

მოქალაქენო, ვით დემოკრატი, არ აღიარებთ ნუთუ სიმართლეს, რომ სფუნ რივერში

მე – აკენიდანვე სიმდიდრეთა დიდთა მემკვიდრე –  
თავგადაკლული ერთგული გახლდით  
თავისუფლების?

მაშინ როდესაც ჩემი კბილა ენთონი ფინდლი,  
ვინც დაიბადა ქონმანში და ცხოვრობდა შემდგომ  
ვით მეთულუხე რკინიგზელთა შემდეგ კი გახდა,  
როს გაიზარდა, რკინიგზის მუშა,



მერე კი იქცა რგოლის თავკაცად,  
ბოლოს რკინიგზის გახდა უფროსი  
ჩიკაგოში დამკვიდრებული –  
იყო ნამდვილი მონათმფლობელი,  
მშრომელების ნაღდი ჯალათი,  
დემოკრატიის სასტიკი მტერი.  
აი, რას გეტყვი ო, რესპუბლიკავ,  
და შენც, სფუნ რივერ,  
უფროსილდი იმ კაცს ვინც ამაღლდა ძალმოსილებით  
წვივსაკრავიდან!

## ენტონი ფინდლი

შეყვარებას სჯობს, იყოლიო შიშში ორივე –  
სახელმწიფოც და ადამიანიც,  
ეს ქვეყნისთვისაც ისე კარგია, როგორც კაცისთვის.  
და თუ ქვეყანა ამჯობინებს დათმოს ერებთან ურთიერთობა  
და მეგობრობა

ვიდრე სიმდიდრე –  
მიიტევამს კაცთათვის: ფულის დაკარგვას  
მეგობარი, გირჩევ, დაკარგო.  
მე ჩამოვგლიჯე სულს კრეტსაბმელი,  
უუძველესი წადილისგან რომ იფარაედა:  
როდესაც ხალხი თავისუფლებას ითხოვს მძვინვარედ,  
უეჭველია მას სურს ძლიერზე მოიპოვოს ძალაუფლება.  
ენტონი ფინდლი, მეთულუხე ვინაც ავმაღლდი  
ისე რომ ძალმიძს ვუთხრა ათასებს  
„მომყევით“ ანდა „გამეცალენით“,  
ვადასტურებ, რომ ვერცერთი ერი ველარასოდეს ვეღარ  
შეძლებს იყოს კეთილი,  
ან მიაღწიოს რამე სიკეთეს,  
სადაც ძლიერს და ვინმე გონიერს  
ხელთ არ ეპყრობა მათრახი, რათა  
გონშეზღუდულთ და უსუსურთ დასცხოს!

## Xონ კაბანისი

არც უნიათო გულმავიწყობამ,  
არც ბოღმამ და არც გამფლანგველობამ  
ან სფუნ რივერში გამეფებულმა უკანონობამ  
დემოკრატიულ წესრიგის ფონზე  
კი არ მიბიძგა, თანამოძმენო,  
გავშორებოდი კანონის და წესის პარტიას  
და მივსულიყავ ლიბერალებთან.  
თანამოძმენო!

მე დავინახე თითქოს ახლად თვალახელილმა  
რომ აურაცხელ კაცთაგან ყველა  
ვინც თავს შესწირავს თავისუფლებას,  
ვინაც აიტანს უკანონობას და მუქთახორებს  
და მბრძანებლობას სუსტთა და ბრმათა,  
კვდება იმედით, – რომ ქვეყანა აღორძინდება,  
ვით მოიმედე ტაძრის აგების  
მარჯნის პოლიპი.

და მე ვფიცავ რომ თავისუფლება  
იბრძოლებს, ვიდრე ყოველი სული  
აღარ გახდება გონიერი და ღონიერი  
და შესაფერი წესრიგის ისე  
როგორც პლატონის ზნეობრივი მეციხოვნენი  
საკაცობრიო რესპუბლიკის გუშაგად მდგარნი.

## უხნობი

დაუცხრომელნო, მოისმინეთ თხრობა უცნობის,  
ვისი სამარეც ქვის ლოდითაც არ მონიშნულა.  
ყმაწვილობისას უგერგილო და ქარაფშუტა  
შინ ვბრუნდებოდი თოფით ხელში და ტყიანებთან,

სადაც აარონ ჰათფილდსა აქვს ადგილ-მამული,  
გავაზს ვესროლე დასკუბებულს გამხმარ ხის წვერზე.  
ის გადმოეშვა მწარე ხრიალით  
და ჩემს ტერფებთან გაიშხლართა ფრთებდალენილი.  
წამოვიყვანე და გალია ვუბოძე ბინად,  
იცოცხლა დიდხანს, მიწიოდა თან გაბრაზებით,  
როდესაც საჭმელს მივაწოდებდი.  
დღეს კი ჰადესის სასუფეველში  
ვეძებ გავაზის სულს, რადგან მწადის,  
რომ შევთავაზო მას მეგობრობა  
მე, ვინც ცხოვრებამ დამატყვევა და ბევრჯერ დამჭრა!

## ალექსანდერ ორ(ოქტო)რიონი

სიყმაწვილეში ფრთები მესხა მოულალავი და ჯანმბგარი,  
მაგრამ მთებისა არა მესმოდა.  
სიჭარმაგეში გავიგე მთების.  
მაგრამ ჩემს დაღლილ ფრთებს არ ძალუძდათ გასდევნებოდნენ  
მზერას –  
გენიოსობას ნიშნავს სიბრძნე და სიჭაბუკე!

## ჩონათან სვიშთი სომერსი<sup>1</sup>

წიგნების კითხვით, ტანჯვით, ფიქრებით,  
და ათასობით პიროვნების სრული გაგებით,  
როს შენი სული შეიმეცნებს  
უმალლეს საზრისს,  
როს იგრძნობს ძალას ჩასწვდეს წამიერს და მღუმარებას,  
როს გაყუჩებას შეიმეცნებს გარდასახვისას,

<sup>1</sup> სფუნიადას ავტორი. იხ. გვერდი 193.

როს შთაგონებით განსაზღვრავს და განსჭვრეტს მომავალს,  
• თითქოსდა გრძნობდე, რომ შევიძლია  
შიშველ ხელებით გეპყრას წამით  
მთელი მსოფლიო:  
ხოლო შემდეგ კი ამდაგვარი ძალის თავმოყრით  
შენს სულისკნელში  
შენი სული არ დაიფერფლა  
და გაჩაღებულ კოცონში სულის  
ამქვეყნიური ბოროტება განათლდა და გამოსპეტაკდა,  
ჰოდა განჭვრეტის იმ დიდებულ წამს  
თუ არ გახვედი მარილზე გაღმა –  
მადლიერი იყავი უფლის!

## მაქჟარლეინის ქერივი

მაქჟარლეინის ქერივი ვიყავი,  
მთელი სოფლისთვის მე ვქსოვდი ნოხებს,  
თქვენ მებრალეებით, კვლავ სიცოცხლის საქსოვ დაზგასთან  
მყოფნი, რომელნიც უმღერით მაქოს  
და სიყვარულით უმზერთ ხელსაქმეს,  
თუკი მიაღწევთ ზიზლის იმ დღემდე,  
საშინელ დღემდე.

ცხოვრების ჯვალო მოქსოვილია, თქვენც კარგად უწყით,  
საქსოვ დაზგისქვეშ მიმალული ერთი ყალიბით –  
ყალიბით, რასაც ვერასოდეს თქვენ ვერ იხილავთ!  
და თქვენ ირჯებით გულმოდგინედ, სიმღერ-სიმღერით,  
სიყვარულის და მეგობრობის ძაფებს უნახავთ  
ოქროსფერსა და მეწამულ სახეს კეთილშობილურს  
და ვიდრე სხვები შენიშნავდნენ, თქვენ თვითონ ხედავთ  
ჩაგიხლართიათ მთვარისფერი ზოლი სამოსში,

მაგრამ უცინით თქვენს სიყმაწვილეს, რადგან ფიქრობთ, რომ  
იმედი თავად მოგიქარგაეთ მას სიყვარულით  
და მისცემს ფორმას მშვენიერების.  
მაქო ჩერდება! მიმალული ჩნდება ყალიბი!  
შენ მარტოდმარტო დგახარ ოთახში!  
ამდენხანს თურმე ქსოვდი სუდარას!  
და სიძულვილი გხვევს სუდარაში!

## იუჯენ ქარმანი

როუდსის მონა! დახლიდარი ფეკილის და შაქრის,  
ქოლგებისა და მოსასხამების, ტანსაცმელთა და ფეხსაცმელთა,  
სამას ცამეტ დღეს წელიწადში და თოთხმეტ საათს –  
ყოველდღიურად

ოც წელზე მეტხანს,  
როს იმეორებ მოკრძალებით ათასჯერ დღეში „დიახ ბატონო!“  
„ო, რათქმუნდა ქალბატონო“, „დიდი მადლობა“  
და თვეში იღებ ორმოცდაათ დოლარს ამისთვის,  
ცხოვრობ „ბაზრობის“ აყროლებულ თავგის სოროში,  
ვალდებული ხარ რომ იარო საკვირაო სასწავლებელში  
და მოისმინო აბნერ ფიითის ქადაგებანი  
ყოველ წელიწადს ასოთხი დღე, საათზე მეტხანს,  
თომას როუდსს ხომ ეკლესიაც ისე ეკუთვნის,  
ვით მაღაზია და ანდა ბანკი?  
ვიდრე ყელსახვევს ვიბნევი ყელზე, სწორედ იმ დილით,  
უცებ საკუთარ თავს მოვკარი სარკეში თვალი:  
ჭალარა თმები, ღვეზელივით დაშხალი სახე  
და აღმომხდა წყევლა-გოდება:  
ო, შე წყეულო ბებერო ნიეთო!  
მშიშარა ძაღლო! ლაყე ლატაკო!  
როუდსის მონავ!

როჯერ ბაუმანს ეგონა, რომ ვებრძოლი ვინმეს  
და სამერცხულში სწორედ იმ ღროს შემოყო თავი,  
როდესაც ტვინში ჩამექცა სისხლი  
და დამინახა იატაკზე პირჩამხობილი.

## ქლარენს შაუსეში

იუჯენ ქარმანის უეცარმა გარდაცვალებამ  
შანსი მომცა, რომ ორმოცდაათი დოლარით მეტი ჯამაგირი  
მიმელო თვეში

და ეს ყოველი იმ ღამითვე ვახარე ცოლ-შვილს,  
მაგრამ არ ახდა ჩემი იმედი და მე ვიფიქრე  
ბებერი თომას როუდსი ხომ არ მიხვდა-მეთქი,  
რომ მე მოვპარე საბნები და გავყიდე სხვაგან,  
რომ ექიმისთვის გადამეხადა იმ რეცეპტისთვის,  
ჩემს ნაბოლარა გოგონას რომ გამოუწერა.

შემდეგ მეხივით დამატყდა თავზე ბრალდება თომას  
როუდსისგან წაყენებული,  
თუმცა დამპირდა, რომ ოჯახის სიბრალულისთვის მაპატიებდა,  
თუ ყოველივეს ვალიარებდი, და ვალიარე,  
თუმცა ვთხოვე, რომ განცხადება არ მიეცა გაზეთებისთვის,  
რედაქტორებსაც სათითაოდ ვეაჯე ყველას.  
იმავე ღამით გამომეცხადა პოლიციელი;  
ყველა გაზეთმა, „საყვირის“ გარდა,  
გამომაჭენა, ვით ბაცაცა, თავის ფურცლებზე.  
რადგან იმათი ხელმომწერი იყო როუდსი  
რომელსაც სურდა დავესაჯე სამაგალითოდ.  
ეხ, ასე იყო!

შემდეგ თქვენც იცით, ჩემი ბავშვები როგორ წიოდნენ,  
ვით შემიცოდა ჩემმა ცოლმა და შემიზიზლა  
და სამარემდე ვით მოვალწიე.

## უ. ლ(ი)იდ ბარის(ი)ნ სთანდარლი

ვეგეტარიანელი, თვინიერი, თავისუფლად მოაზროვნე,  
მართლმორწმუნე ქრისტიანი:  
მჭერმეტყველება ჩემი მოვკაზმე ინგერსოლის მარგალიტებით,  
ოღონდ რიოშით.

ხორცისმჭამელი, ნაცვალმგებელი, მორწმუნეცა და  
წარმართიც ერთად,  
თავშეკავებული, გარყვნილი, ცვალებადი, მუხნათი, პატივმოყვარე,  
ამაყი, მისი ამპარტავენებით ყოველი ბრძოლის მასხრად ამგდები,  
თეატრალური, უსასოობის მატლისაგან გულგამოღრღნილი,  
გამოხვეული გულგრილობის წამოსასხამში  
სირცხვილის მარცხის დასაფარავად:  
მე – შვილი აბოლიციონისტური იდეალების;  
ვით ბრენდის მოდგმა, დაბადებით გაორებული.  
სხვა რა შემეძლო მექნა, როცა დაცვა მომანდეს  
პატრიოტი უსაქმურების, ვინც სასამართლოს სახლი გადაწვეს,  
რათა სფუნ რივერს შესძლებოდა ახლის შენება,  
გარდა იმისა, რომ დამნაშავედ მეცნო ისინი?  
ქინსი ქიინმა როს დაღეწა სინათლის შუბით  
ჩემი სიცოცხლის სქელი ნილაბი,  
რალას ვიზამდი, გარდა იმისა, რომ მივიძალე  
კუთხე-კუნჭულში და ავწკმუტუნდი  
მსგავსად ჩემივე მსგავსი ცხოველის,  
ლეკვის, რომელიც მევე აღვზარდე.  
ჩემი ცხოვრების პირამიდა მხოლოდლა ქვიშის გორაკი იყო –  
ბერწი, უფორმო, ქარიშხლისგან აღგვილი ბოლოს.

## პროფესორი ნიუქომენი

პოლკოვნიკ ფრიჩარდს სულყველანი მასხრად იგდებდნენ  
რადგან იყიდა ვეება ძრავა,  
რამაც დაღეწა წისქვილის ღერძიც,  
რომელსაც თვითონ ატრიალებდა,  
და დაიღეწა შემდეგ თვითონაც.  
აი ხუმრობა კოსმიურის თანაზიარი:  
განგებას სწადის აიძულოს ადამიანის  
ტვინი, ისწრაფვოს სულიერი სიცოცხლისაკენ.  
ჰო, სასწაული ამქვეყნიური!  
და ამდენივე ტვინით სწორედ, ახერხებს კვებას,  
ბუნაგის პონას და გამრავლებას  
მაიმუნი და მგელი,  
ხოლო განგება კაცს აიძულებს სულიერებას  
(და თუმცა ბრუნავს კაცის ძალი სულისმიერი,  
ფუჭად იღვევა ძალმოსილება,  
რომ ღვთიურ წისქვილს აუწყოს ფეხი)  
ამ ქვეყნად, სადაც მთელი ცხოვრება მხოლოდ  
საკვების შოვნას, თავშესაფარს და გამრავლებას!

## რალფ როუდსი

მართალი არის ყველაფერი, რაც მათ გიაბმეს:  
მე გავაკოტრე მამის ბანკი გაუთავები ჩემი სესხებით,  
რაც დავაბანდე პურის კაკალში; მაგრამ სიძარტლე ხომ არის ესეც,  
რომ ვყიდულობდი პურის კაკალს გულმოდგინებით იმათთვის, ვისაც  
აღარ შეეძლო შეედგინა გარიგება თვისი სახელით  
ეკლესიასთან საკუთარი კავშირის გამო,  
ჯორჯ რისი იჯდა საპატიმროში,  
მე კი დავდევი სწრაფწარმავალ ნდომას ქალისას,  
და ღვინის რაკრაკს ნიუ-იორკში



გარდაცვალების ტოლფასია მოყირჭება ღვინის და ქალის,  
როცა სხვა რამე ქვეყანაზე არ დაგრჩენია,  
წარმოიდგინე საკუთარი თავი ჭალარა  
ბროლის ცარიელ ჭიქებსა და ნაშწავეებს შორის თავჩამზობილი,  
ისმის კაკუნი და შენ იცი რომ ეს კაკუნი  
სწორედ ისაა, ასე დიდხანს რომ ახშობდი ბოთლებიდან  
ამომსკლარი საცობის ხმებით  
და მრუში ქალის ფარშევანგის მსგავსი ყივილით,  
შენ აიხედავ და ხედები, რომ ეს არის ქურდი  
თმების შევერცხვლას ვინც მოთმენით ელოდა შენსას,  
ამოგივარდეს ლამისაა გული მკერდიდან, როცა ჩაგესმის:  
თამაში მორჩა, მოვედი, რომ შენ წარგიტაცო,  
დაჰყევ ბროდვეის, გაგსრესს მანქანა  
და ისინი კვლავ სფუნ რივერში წაგასვენებენ.

## მიქი მაქბრიუ

ისიც ისევე მოხდა სწორედაც,  
ვით სხვა მრავალი ჩემს ცხოვრებაში,  
რალაცა ქვემოთ მეზიდებოდა, რალაც – გარედან,  
თუმცა ძალღონე არასოდეს მე არ მტოვებდა.  
არადა იყო დრო, როდესაც ფულს ვშოულობდი  
რითაც სკოლაში ივლიდა კაცი,  
და სწორედ იმ დროს სჭირდებოდა მამაჩემს შველა  
და მეც ვაძლევედი თანხას მთლიანად.  
ასე გაგრძელდა, სფუნ რივერის ხელმარჯვე კაცმა  
ვიდრემდის სული არ განვუტევე.  
ჰო, შემთავაზეს წყალსაცავის გაწმენდა ერთხელ,  
და ამათრიეს ოცდაათი ბიჯის სიმაღლის წყლის კოშკურაზე,  
როცა ავედი, მოვიხსენი თოკი მაჯიდან  
და შემოვაველე გაცინებულმა ვებერთელა ჩემი მკლავეები

გლუვ რკინის ტუჩებს აუზის წვერზე,  
მაგრამ ისინი ლოპოვანნი აღმოჩნდნენ და მუხანათურად  
დამიცდა ხელი  
და ძირს ჩაეყვინთე, სულ დაბლა, დაბლა,  
მოდრიალე წყალთა წყვდიადში!

## რ(ო)გა რ(ო)ბ(ე)რ(ი)ს(ი)

მე ავადმყოფი ვიყავი, თუმცა უფრორე გიყვი, ვინემ სნეული,  
მე მაგიჟებდა პოლიციის გაიძვერობა და თაღლითური თამაში  
ყოფის.

პოდა, მიეწერე პეორიის პოლიციის უფროსს ბარათი:  
„აქ ვიმყოფები, სფუნ რივერში, ყმაწვილქალობის დროინდელ  
სახლში,

ვიფიტები თანდათანობით,  
დამაპატიმრე და წამიყვანე,  
ეს მე მოვკალი დიდვაჭრის ვაჟი,  
მადამ ლოუსთან,  
გაზეთები რომ იუწყებოდნენ, თოფი შემთხვევით გაუვარდაო  
წმენდვისას სახლში,  
სატანის მსგავსად ცრუობდნენ, რადგან  
აურზაურის მიჩქმალვა სურდათ,  
განცხადებისთვის აიღეს ქრთამი.  
ის ჩე მოვკალი ჩემს ოთახში მადამ ლოუსთან,  
რადგან მომცელა, როცა ვუთხარი,  
რომ მისი ფულის და ქონების მიუხედავად  
იმ ღამით მაინც საყვარელთან ვფიქრობდი წასვლას.“

## ოსკარ ჰუმელი

მივბარბაცებდი წყვილად ღამეში  
ნისლიან ცაზე ალაგ-ალაგ ჩანდნენ ვარსკვლავნი  
და მათ მივსდევდი, როგორც შემეძლო,  
ცხრა იყო ღამის და ვცდილობდი სახლის მიგნებას.  
მაგრამ როგორღაც მხარი მეცვალა,  
არადა მთავარ გზას მივეყვებოდი.  
შემდეგ ჭიშკრისკენ გადავუხვიე და შევაბიჯე ეზოში, სადაც  
მთელი ძაღლონით მოვრთე ყვირილი:  
„ეჰეი, ფიდლერ! ჰე, მისტერ ჯოუნს!“  
(მე მეგონა რომ მის სახლში მოვხვდი  
და ვფიქრობდი, რომ შინისაკენ გზას მასწავლიდა)  
მაგრამ სახლიდან ვინღა გამოჩნდა ა.დ. ბლუდის გარდა?  
ღამის პერანგში, ხის ჯოხით ხელში,  
ღრიალითა და წყევლით სალონის  
და სალუნელთა აკაკობების.  
„გალოთებულო – ოსკარ ჰუმელ“. მან დამიძახა,  
როცა აღმოვჩნდი მის წინ ბანცალით  
და დამცხო ჯოხი,  
მირტყამდა მანამ  
ვიდრე მის ფერხთით არ გავერთხე სულამოხდილი.

## როსქოე უიუქაუაილი

მე მას ვუყვარდი, ჰაუ! როგორ ვუყვარდი მე მას!  
და მეც არაფრით არ შემეძლო მისგან გასხლტომა  
იმ დღიდან, როცა პირველად ვნახე.  
მაგრამ ქორწილის შემდეგ ვიფიქრე,  
რომ ოდესმე ის მოკვდებოდა და გავსხლტებოდი  
ანდა უბრალოდ განქორწინების მომცემდა ნებას.  
აღარც სიკვდილი, აღარც ნებართვა!

და გავიქეცი – ერთი წელი თავდავიწყების.  
მას არასოდეს დაუჩივლია.  
და თხოვდა ყველას, რომ დაბრუნება ერჩიათ ჩემთვის.  
და მე დაებრუნდი.  
მე მოვუყევი რომ ნავში მყოფი,  
ოდეს ვუსვამდი ნიჩბებს,  
ვან ბურენ სთრითის სიახლოვეს ტყვედ ამიყვანეს  
მიჩიგანის ტბის მეკობრეებმა  
და ჯაჭვით დაბმულს არ შემეძლო მიწერა მისთვის.  
ის ცრემლთაფრქვევით მკოცნიდა და ამბობდა მწარედ:  
„რა სიმხეცეა, სისასტიკე, არაკაცობა!“  
და მე დავრწმუნდი, რომ ბედისწერა  
იყო ღვთიური – ჩენი ჯვრისწერა!  
და მის დარღვევას ვერ შესძლებდა ველარაფერი,  
გარდა სიკვდილის  
და არც შევმცდარვარ!

## ქალბატონი ფიუქაუაილი

ის გამექცა და დიდხანს იყო გადაკარგული,  
როცა დაბრუნდა, სულელური ამბავი მოყვა,  
რომ მიჩიგანის ტბასთან შეიპყრეს მეკობრეებმა  
და ჯაჭვით ჰყავდათ დაბმული ისე,  
რომ წერილიც კი ვერ მოიწერა.  
მე თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს მჯეროდა,  
თუმცა ძალიან კარგად ვიცოდი  
რაც თავს გადახდა,  
და ისიც ხშირად რომ ხვდებოდა მკერავ უილიამსს  
როცა უილიამსს მოუწევდა ქალაქში წასვლა,  
როგორც ამბობდა – სამკერვალო მასალებისთვის,  
მაგრამ ჯვრისწერა ჯვრისწერაა  
და ალთქმა – ალთქმა!

და ჩემი მკაცრი ხასიათის მიუხედავად  
აღარ ვისურვე განქორწინება,  
რისთვისაც ასე ცოდვილობდა ჩემი მეუღლე,  
ვინაც უბრალოდ ძლიერ დაღალა  
ცოლ-ქმრობის ტვირთმა,  
ცოლ-ქმრობის აღთქმამ!

## XOZOAX OOMWJINCO

ყველა მიცნობდა და ვუყვარდი ასევე ყველას,  
და სფუნ რივერის კვალობაზე, გახლდით მდიდარი,  
სადაც ვცხოვრობდი და ვსაქმოსნობდი.  
იქ იყო ჩემი ნავთსაყუდელი,  
თუმცა შვილები გამიფრინდა ბუდიდან ყველა –  
ასეთი არის ბუნების ნება – ერთილა შემრჩა.  
ჩვილი ბავშვილა დამირჩა სახლში  
დედის ნუგეშად  
და სიბერის ჩემის იმედად.  
მე ვბერდებოდი – მას ძაღლონე ემატებოდა,  
ძალიან მალე ჩვენ საქმეზე შეგვექმნა დავა:  
მისმა ცოლმა თქვა რომ ვუქმნიდი მათ დაბრკოლებას.  
მან დედის გულიც მოიგო ისე,  
რომ დედაც მალე ბიჭის მზერით სჭვრეტდა ყველაფერს  
და ამომძირკვეს და გადამრგეს და გადავსახლდით  
ჩემი მეუღლის ყმაწვილქალობის სახლში, მისურში.  
ჰოდა ანდერძიც შევადგინე შვილის კარნახით  
მაგრამ მცირედი თუ მოიგო მან ამისაგან,  
რადგანაც ჩემი ესოდენი სიმდიდრე უკვე  
მიწურულს იყო.

## ქალბატონი ქესლერი

მოგეხსენებათ, მისტერ ქესლერი, ჯარში რომ იყო და ამიტომაც დაუნიშნეს ექვსი დოლარი პენსიად თვეში, და იდგა მუდამ ქუჩის კუთხეში პოლიტიკაზე მოლაპარაკე ან იჯდა სახლში და კითხულობდა მემუარებს კაპიტან გრანტის ასე რომ, ოჯახს ვინახავდი მე, მრეცხაობით. ვიგებდი ხალხის მთელ საიდუმლოს ფარდებით, ზეწრებით, კაბებით, კვართებით. მოგეხსენებათ ყველა ნივთი ძველდება ბოლოს, მრავალი ძველი ახლდებოდა, მრავალი არა. ხალხში არიან წარმატებულნიც და ბედგამწყურაღნიც: იჯარის ფული იზრდებოდა ღროთა მანძილზე ნაკერის მსგავსად ნემსი და ძაფი ვერ იხსნიდა მათ ლპობისაგან. ზოგს აჩნდა ლაქა, რაც საპონსაც თავგზას უბნევდა, ზოგის ფერი კი ხუნდებოდა ჩემს ჩაურევლად, მაგრამ ბრალს მაინც მე დამდებდნენ გახუნებისთვის. ხელსახოცი და ცხვირსახოციები მათ საიდუმლოს ამხეურებდნენ – მე და ცხოვრებამ ყოველივე ვიცოდით მათზე და მე, ვინც მუდამ ვესწრებოდი ყველა დაკრძალვას, ყველა დაკრძალვას სფუნ რივერში, ვფიცავ არასდროს არ შემიხედავს მიცვალებულის სახისთვის ისე რომ არ მეფიქროს მის მსგავსებაზე გაუთოებულ და გარეცხილ რაღაც ნაჭერთან.

## ჰერმან უითნი

გამოსწრაფული ქალაქების შუქს და ღრიანცელს, ჩამოფრენილი სფუნ რივერში ნაპერწკალივით, სასმელის ცეცხლით დამწვარი და გადამსხვრეული, სატრფო იმ ქალის ვინც ზიზღისგან ვაქციე სატრფოდ თუმც დაკოდილი სიამაყეც დავფარე ამით ასე ბრწყინვალედ,

განკითხული და შეზიზღებული გონშეზღუდული სოფლელებისგან,  
მე, ვინც უფალმა დამაჯილდოვა სიბრძნითა და ენების ნიჭით,  
აქ ჩავიძირე სასამართლოს მტკვერსა და ჭუჭყში.

შემგროვებელი ბილწი ხუმრობის სიცრუისა და ბოღმის ბოღჩაში.

მე, ვისაც ბედი მილიმოდა! მე ამ სოფელში  
საკუთარ ლექსებს ვკითხულობდი ნაკადულივით  
პოეტობის ოქროს წლებიდან

და მიცქეროდნენ სოფლელები პირდაფრენილნი

ან ვაცივებდი ბილწი ხუმრობით,

როს მომაკვდავი ჩემი გონების აღსაგზნებლად მაძლევდნენ სასმელს.  
თქვენგან განკითხულს,

დაფარული მაქვს თქვენთვის სული,

განუკურნელი თვისი ჭრილობით

ჭრილობით რაიც მომაცენა უსაყვარლესმა ჩემმა მეუღლემ

ღალატითა და უმანკოებით, სიმკაცრითა და გაყინული ქათქათა

მკერდით

და ბოლოს მისი უმოწყალობით, როდესაც ხელის ერთი შეხებით

შეეძლო ჩემი განკურნება ტიფისგან რაიც, მერგო საჩუქრად

ცხოვრების უღრან ღრანტეებში, მრავლის დამნთქმელში.

და გაფიქრებაც კი იმისა, რომ ჩემმა სულმა

ვერ მოახერხა განაუარდება,

ვით ბაირონმა სიმღერით თუ სხვა რამ წარმტაცით.

და დაიკლაკნა მხოლოდღა როგორც გაჭყლეტილი ქვეწარმავალი -

ო, განმიკითხე აქვე, სამყაროვ!

## ბერტა ქესლერი

მზის დასალიერს მიჰყვებოდა ჩემი ფრინველი,

მანც ვესროლე,

ის ალივლივდა თოფის ხმაზე მალღა და მალღა

და ვიდრე ბალახს ტყვიასავით დაასკდებოდა,

ამოტრიალღა და გასცვივღა ბლომად ბუმბულნი

რომელნიც ირგვლივ გაიფანტნენ ნელი ფარფატი.

მე ხელით ვშლიდი ეკალ-ბარდებს და დავეძებდი  
ვიდრემდის კუნძთან არ ვიპოვე სისხლის შხეფები  
და იქვე მწყერი – დაგდებული დამპალ ფესვებთან.  
ხელი დაეავლე, აღარ იყო იქ ნარ-ეკალი,  
მაგრამ რალაცამ, ეკლიანმა და სუსხიანმა  
მომწყვიტა ხელი,  
შემდეგ კი წამსვე შეეასწარი თვალი ჩხრიალას –  
მის ყვითელ თვალებს ფართოდ დაღებულს,  
გველმა ჯერ თავი აზნიქა მალლა  
შემდეგ კი ისევ ხვიარებში ჩაჩურთა უკან,  
ტალახიანი ხვიარები, ფერფლის თუ მუხის ფოთლების ფერნი,  
ჩამოცვენილი და დამპალი მუხის ფოთლების.  
გახვეებული ვიდექი, ის კი იგორგლებოდა, ხან იშლებოდა  
შემდეგ კუნძისკენ დაიწყო ცოცვა,  
მე კი ბალახებს ჩავეკონე ძალგამოცლილი.

## ლამბერტ ჰაიჩინსი

ორი ძეგლი მაქვს მონუმენტური, ამ სასაფლაოს გრანიტის გარდა,  
ერთი სასახლე – რომ ავაგე გორაკის თხემზე,  
ერკერებით და გოდოლებით ცადაზიდული,  
ფიქლის ფილებით გადახურული,  
მეორე – ტბასთან, ჩიკაგოში,  
სადაც რკინიგზის ლიანდაგები ჯგუფდებიან და ნაწილდებიან,  
ძრავის კივილით და ბორბლების ხრიალ-ჭრიალით.  
კვამლის ბოლქვებით და ჭვარტლის ფრქვევით ქალაქის თავზე,  
გამზირის გასწვრივ რონოდების გრუხუნ-გრუხუნით, –  
ლაფის გუბურა ნავსადგურში, როგორც საღორე,  
ვებერთელა მეტროპოლისში, სიბინძურე მსგავსი ქალაქის.  
წარმომადგენელთა საკრებულოში ჩემი ერთი ხმით  
ეს ყველაფერი მე მოვუპოვე მემკვიდრეობით  
ჯერარშობილ შთამომავლობას.



მაცთუნებელი იყო ფრიად განცხრომით ყოფნა  
ლუკმაპურისთვის უსასრულოდ წვალების ნაცვლად,  
ქალიშვილების ბრწყინვალე აღზრდა,  
იმის შეგრძნება რომ არ გაშინებს წუთისოფლის ცვალებადობა,  
მაგრამ ხომ ხედავთ: გამაჩნია თუმცა სასახლე  
სამოგზაუროდ უფასო საშვი და დაფასება,  
მანც ჩურჩული, ჩურჩული და კვლავაც ჩურჩული  
მესმოდა ყველგან, სადაც არ უნდა წავსულიყავი,  
ამასობაში გაიზარდნენ ქალიშვილები  
და იმნაირი გაუხდათ სახე,  
თითქოს ვილაცა უპირებდათ ჯოხით დათეთქვას  
და აცაბაცად დაქორწინდნენ, შეშლილებივით  
ოღონდაც ჩემგან წასულიყვნენ და შეეცვალათ რაღაცით ყოფა.  
რა ფასი ჰქონდა მთელ ჩემს ცხოვრებას?  
ნეტავ წაელო ყოველი ეშმას!

## ლილიან სთიუარმი

მე გახლდით შვილი, ლამბერტ ჰათჩინსის,  
ხორბლის წისქვილის სიახლოვეს ქოხში შობილი,  
ვინც აღვიზარდე იმ სახლში რაიც იდგა გორაკზე,  
ერკერებით და გოდოლებით ცადაზიდული,  
ფიქლის ფილებით გადახურული.  
რა სიამაყით აღავსებდა ეს სახლი დედას!  
რა საამაყო იყო ქვეყნად მამის დიდება!  
რა სიყვარულით სავსე მზერით გვიმზერდა მამა!  
რა მამაცურად იცავდა ჩვენს ბედნიერებას!  
მე კი მწამდა, რომ დაწყველილი იყო ეს სახლი,  
მამის სიმღვდრე არრად სჩანდა ამ სახლის ფონზე,  
როს ჩემმა ქმარმა დაინახა, რომ მისი ცოლი

სინამდვილეში იყო მხოლოდღა ლატაკი გოგო,  
დაიწყო ჩემი გამწარება კოშკთა დაცინვით,  
სახლი მონათლა ქვეყნისათვის თვალის ახვევად,  
ვერაგ ცთუნებად ახალგაზრდა ჭაბუკისათვის,  
რომელსაც ჰქონდა მზითვის იმედი,  
თუმცა ამაოდ.

მგესლავდა: კაცი ხმას რომ გაყიდის,  
მან ლალატის წილ იმდენი მაინც უნდა მიიღოს  
რომ შემოავლოს უმტკიცესი გალავანი საკუთარ ოჯახს.  
იმდენი მჯიჯგნა, რომ დავბრუნდი მამის ოჯახში  
და იქ ვცხოვრობდი სიკვდილამდე, ვით შინაბერა,  
ერთგულ დარაჯად ვედექი სახლ-კარს.

## ჰორთენს რობინსი

ყოველდღე წერდნენ გაზეთებში რაიმეს ჩემზე,  
რომ წვეულება გავმართე სადღაც,  
ანდა სადღაცა ვიმოგზაურე,  
ან ვიქირავე პარიზში სახლი  
არისტოკრატთა მისაღებად და გასართობად.  
ექეიფობდი ან ვმოგზაურობდი,  
ან სამკურნალოდ მივდიოდი ბადენ-ბადენში.  
ახლა აქ ვწევარ, –  
სფუნ რივერის ვადიდებ სახელს,  
აქ მშობლიური ოჯახის გვერდით.  
არვინ კითხულობს, თუ სად ვქეიფობ,  
ანდა სად ვცხოვრობ, ანდა ვის ვართობ,  
ანდა რამდენჯერ ვიმკურნალე ბადენ ბადენში.

## ბათუმის ღობისი

ნეტავ ვიცოდე, ჩემი ცოლი მართლა ნავარდობს  
მაქინაქიდან ლოს ანჯელესში  
საბანაოდ და დასასვენებლად,  
წვნიანისა და ხორცისათვის საათზე მეტხანს  
უზის მაგიდას,  
ტკბილ ნამცხვრებსა და ყავას მიირთმევს  
საათზე მეტხანს?  
აყვავებისას მომცელა ჟამმა,  
მწუხარებამ და გადაღლილობამ,  
მაგრამ ამაზეც თავიდანვე ვიფიქრე კარგად:  
რაც უნდა მოხდეს, დაზღვეული ვიქნები-მეთქი  
და შევიტანე დანაზოგი მცირედი ბანკში,  
გარდა ამისა, მიწაც დამრჩა მანიტობაში.  
მაგრამ, როდესაც მოცელილი დავემხე წამით,  
მე მომეჩვენა ბოლო ზმანება:  
მე დავინახე საკუთარი თავი კუბოში  
თეთრი ბატისტის ყელსახვევით და ყვავილით მკერდზე  
და ჩემი ცოლი იჯდა სარკმელთან,  
ზღვას გასცქეროდა,  
ის ჩანდა ისე დასვენებული, ლაჟღაჟა და ჩასუქებული,  
მხოლოდ თმა ჰქონდა მთლიანად თეთრი.  
მან გაიღიმა და უჩურჩულა შავგრემან მიმტანს:  
„ჯორჯ, კიდევ ერთი ნაჭერი შაშხის,  
აჰა, შაური შენ, გასამრჯელოდ.“

## ჩაკობ ბუღბუღი

თავს როგორა გრძნობთ, თავისუფლების მეხოტბეებო,  
ვინც შეალიეთ თქვენი ნიჭი იმის მტკიცებას  
რომ სალუნშია ბრწყინვალე სიბრძნე,  
თავისუფლებას რომ იპოვი მხოლოდღა ბარში,  
მხოლოდ ღვინოში და ღრეობაში!  
თავს როგორა გრძნობ ბენ პანთიერ და თქვენ, რომლებმაც  
ლამის ჩამქოლეთ როგორც ტირანი  
ზნეობის სამოსს შეფარებული,  
როგორც ასკეტი წარბეშეკრული,  
უკმაყოფილო იორკშირის პუდინგითა თუ ეილით ანდა  
შემწვარი ხორციით,  
კეთილშობილი სურვილებით და მხიარული შეძახილებით –  
იმითი, რასაც ვერასოდეს ველარ იპოვით გროგის დუქანში?  
თავს როგორა გრძნობთ მას შემდეგ, რაც მე აღვესრულე,  
თქვენი ქალღმერთი – თავისუფლება – კი ვით მეძავი  
ნილაბახდილი,  
სფუნ რივერის ქუჩებს მუქთად უგდებდა ხელში  
თავხედ გიგანტებს  
ვინც შორიდანვე ფლობენ სალუნებს?  
მოგსვლიათ აზრად, რომ პიროვნული თავისუფლება  
ნიშნავს გონების თავისუფლებას  
და არა მუცლის?

## უოლტერ სიმონსი

მშობლებს ეგონათ რომ გავხდებოდი  
სახელგანთქმული ედისონივით ან უფრო მეტად,  
ბავშვობაშივე ვაკეთებდი აეროსტატებს,  
საოცარ ფრანებს და დასაქოქ სათამაშოებს,  
ლიანდაგებზე მორონინე ციციქნა ორთქმავლებს

და ტიღეფონებს ძაფისა და ქილებისაგან,  
ვუკრაული სტვირს და ვხატავდი სურათს,  
ვძერწავდი თიხას და ვთამაშობდი  
არაკატის როლს „მუქკანიანში“<sup>1</sup>

მაგრამ, შემდეგ მეც ვიქორწინე ოცდაერთისამ,  
ჰონა, ვიცოცხლე და რადგანაც უნდა მეცხოვრა,  
მე დავეუფლე მესაათის ხელობას კარგად  
და დაედანზე დავდგი ჯიხური  
დაფიქრებულმა, დაფიქრებულმა, დაფიქრებულმა,  
ჩაფიქრებულმა არა საქმეზე,

არამედ სწორედ იმ ძრავაზე, რომლის შექმნაზე  
მთელი ცხოვრება ტვინს ვიჭყლეტდი და თავს ვიმტრევედი  
და მთელ სფუნ რივერს მოლოდინად ექცა თვალები  
ძრავის იმჟღით, ძრავის, რომელსაც არ ეწერა ამუშავება  
და რამდენიმე გულკეთილმა სელმა ჩათვალა,  
რომ ჩემს გენიას იმ ჯიხურმა მოუღო ბოლო.

მწარეთ ცლებოდნენ –

არ შეყო ნიჭი,

თუ გსურთ სიმართლე!

## მცხე ბეაიმი

მეც მოსამართლე გახლდით, როგორც ჰერმან უითნი,  
როგორც გარისონ სთანდარდი ან ქინსი ქიინი,  
რადგან ვიბრძოდი საკუთრების დამკვიდრებისთვის,  
თუმცა ოპერის სასახლეში – ბანქოს ოთახში,  
ოცდაათი წლის განმავლობაში, სანთლების შუქზე  
და რომ იცოდეთ, მოთამაშე თვისი სიცოცხლით  
ყველა ჩვენგანზე ერთი თავით მაღლა დგას მუდამ.

---

<sup>1</sup> „მუქკანიანი“ – ირლანდიელი დრამატურგის ღიონ ბუსიკის (1820–1890) მელოდრამა

ვერც ერთმა მერმა ვერ აკრძალა ამ ქვეყანაზე ბანქოს თამაში.  
რასაც წააგებთ, თუ გინდ მოკვდეთ წყევლა-გინებით,  
უკან ვერასდროს ვერ დაიბრუნებთ.  
რადგან იზრდება თამასუქის ფასი ყოველდღე.  
უიღბლობის დროს გირიგდებათ ბანქოს ქაღალდი,  
სვებედნიერს კი არასოდეს არ გიწევთ ბანქო.  
სამოცდაათი წელიწადი გაქვთ სათამაშოდ.  
თუ ვერ მოიგებთ ამ ხნის მანძილზე,  
მორჩა თამაში.

ჰოდა წააგეთ? – დაუტევეთ ოთახი მყისვე,  
თქვენი დრო უკვე ამოიწურა  
სულმდაბლობაა არ ადგე და წყევლა-გინებით  
გაფლანგული შენი ქონების, აჩეხო კარტი  
და ტყვიისფერი ცივი თვალებით, ელრიჯო გამჩენს,  
დაგირიგონ ერთხელაც ბანქო.

## რწი ბუილერი

ილინოისის უზენაესი სასამართლოს მოსამართლენი  
ისევე კარგად რომ არკვევდნენ საიდუმლოს ყოველი საქმის,  
როგორც ეს მოხდა პროცესზე რაიც ნამუსის ახდას შეეხებოდა,  
ის იქნებოდა უდიდესი სასამართლო ამ ქვეყანაზე.  
ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობამ, „შმაგი“ უელდის მეთაურობით,  
უმეტესწილად მეზობლები რომ შეადგენდნენ,  
ორჯერ გამართულ კენჭისყრის შემდეგ, რალაც ათ წუთში  
მცნო დამნაშავედ:

რიჩარდ ბანდლესთან ღობის გამო შემექმნა დავა  
ჩვენი ცოლებიც წალაპარაკდნენ  
იმის გამო, თუ რომელი ჯობდა აიფავა თუ თეიბლ გროუვი.  
ერთხელაც დილით გავიღვიძე ხალისიანმა,  
ღვთის სიყვარულით ამევსო გული და გადავწყვიტე  
რიჩარდის ნახვა,

რომ ღობის გამო შუღლისათვის მომელო ბოლო,  
იესოს მადლით სულგაბრწყინებულს.  
დავაკაკუნე და მისმა ცოლმა გამიღო კარი,  
მან გამიღიმა, მიმიწვია და მეც შევედი,  
მან უცებ კარი მიიჯახუნა და საშინელი კივილი მორთო  
„ხელი გაწიე, უზნეო მონაჲ!“  
სწორედ, იმ წუთას მისი ქმარიც გაჩნდა ოთახში.  
სიტყვები ყელში გამეჩხირა, ხელსლა ვიქნევი,  
ის თოფისათვის გავარდა, მე კი მოვქუსლე გარეთ.  
მაგრამ არც ჩემმა მეუღლემ და არც სასამართლომ უზენაესმა  
არ დაიჯერა აღარც ერთი სიტყვა იმ ქალის.

## სირსი ჟუიი

გულით მინდოდა კოლეჯში სწავლა,  
მაგრამ მდიდარი მამიდაჩემი არ დამეხმარა.  
რა დამრჩენოდა? ეუკლიდი ბაღს და ვხვეტავდი გაზონს  
და შემოსავლით ვყიდულობდი ალდენტან წიგნებს  
და ჩემი ჯაფით თავსაც ვირჩენდი.  
მინდოდა ცოლად მომეყვანა ფრიქეთ დელია,  
მაგრამ შევძლებდი ჩემი ხელფასით?  
იქვე კი იყო პერსის მამიდა,  
ვინც სამოცდაათი წლის მოიყარა,  
ხეიბრის ეტლში ჩასვენებული  
ნახევრადმკვდარი, დამბლისაგან ყბამოქცეული,  
წვენი პირიდან რომ ეღვრებოდა გარეთ იხვივით,  
ჯერაც პირწუწკს და ჭამისმოყვარულს,  
დიდ მოგებას რომ ნახულობდა იჯარებიდან,  
კვლავ რომ ანჩხლობდა  
თამასუქებზე, გირაოზე და ქალაღებზე.  
იმ დღეს მის შეშას ვხერხავდი გარეთ,  
თან ვკითხულობდი დროდადრო პრუდონს.

სახლში შევედი წყლის დასალევად.  
მამიდა ეტლში იჯდა მძინარე,  
მაგიდაზე კი იღო პრუდონი,  
და ქლოროფორმის ბოთლი იდგა სწორედ პრუდონზე.  
(ის ქლოროფორმით იყუჩებდა კბილების ტკივილს.)  
მე ცხვირსახოცი ქლოროფორმით გავჟღენთე კარგად  
და მის ცხვირ-პირთან მეჭირა ვიდრე არ მიიცივალა.  
ოი, დელია, ჩემო დელია, შენ და პრუდონმა  
მოცახცახე დამიცხრეთ ხელი და კორონერმა  
თქვა, რომ მამიდა გარდაიცვალა გულის სისუსტით,  
მე დავექორწინდი დელიაზე და მერგო ფულიც –  
მითხარ სფუნ რივერ, როგორ მოგწონს ჩემი ოინი?

## ელმუნდ კოლარდი

როგორ მინდოდა მივნდობოდი ხორციელ სურვილთ,  
ხელი ჩამეყო მობზულიე ფუტკრებით სავსე ყვავილგულებში,  
ხელი ჩამეყო სარკის მაგვარ მგზნებარე ცეცხლში  
სიცოცხლის ალში მზიური გზნებით.  
სხვა რისთვისაა გაჩენილი მტკრიანები ანდა ფოთლები,  
გვირგვინის თვალი?  
მგზნებარე ცეცხლს შობს ყვავილგულების  
შუქ-ჩრდილები და მწარე ხუმრობა!  
ეს ყოველივე შენი არის ჭაბუკო მგზავრო!  
წვეულებაზე როცა მიხვალ, გახსოვდეს მუდამ;  
მოკრძალებულად ნულარ შეხვალ დაეჭვებული –  
მოგელიან თუ არ მოგელიან – იყავ ამაყი!  
ნუ ილუკმები მორიდებით როდესაც გშია  
და ნუ არიგებ წარამარა მადლობებს მორცხვად!  
შია სამშვინველს? მიეც საკვები!  
ნუ დაიზარებ, აივანზე თუ ძაღვიძს ასვლა,  
თუ ხარ დაღლილი, მოისვენე რძისფერ ძუძუზე,



თუ გეძინება, გაიყავი თავსასთუმალი ქერათმიანთან,  
თუკი გწყურია, ნუ უარყოფ ღვინის ფიალას,  
ნულარც განცხრომას სხეულის თუ ვნებას სულიერს;  
რადგან სიკვდილი უეჭველია –  
სჯობს რომ იცხოვრო  
და მიიცვალო ზეცის სიღრმეში ღვთიური გზებით  
დაწაფებული ფუტკართ დედოფალს –  
სიცოცხლის ტუჩებს!

## თომას მრეველიანი

ოვიდიუსი წერს საშინელ ამბებს იტისზე,  
ტერევისისა და პროკნეს შვილზე, ტრფობის ნაყოფზე,  
რომ შეეწირა ის ავხორცულ ვნებას ტერევისის-ფილომელასთან,  
რომ შემდეგ ცოლმა ტერევისს შვილის ხორცი აჭამა  
შემდეგ ტერევისის რისხვაზე ვინაც.  
ცოლს და ცოლის დას გამოენტო ჯაერის საყრელად,  
მაგრამ ღმერთებმა ფილომელა გადააქციეს  
ბულბულად, ბადრი მთვარის ლუტნიად,  
და პროკნე მერცხლად.  
ჰოი, ელადის უძველესო მობინადრენო და ხელოვანნო  
ვინაც პატარა სასაკმეველეში  
ოცნებები და სიბრძნე ჩალუქეთ,  
ფასდაუღები საკმეველი, მარადიულად სურნელოვანი,  
რომლის ჩასუნთქვით ეწმინდება სულისკნელს მზერა,  
ვით შევისუნთქე მისი სიტკბო, აქ სფუნ რივერში!  
სასაკმეველე გაიხსნა, როცა განვლე ცხოვრება და შევისწავლე  
თუ როგორ ვხოცავთ სიყვარულის შვილებს ყველანი,  
ყველა ჩვენგანი, თან არც ვიცით რასაც ჩავდივართ, –  
მათ ხორცს მივირთმევთ:

ყველა ჩვენგანი იქცევა ერთხელ ბულბულად, თუმცა  
მხოლოდღა ერთხელ მთელ ცხოვრებაში,  
ან სულაც მერცხლად,  
ვაი რომ მერცხლად,  
მოჭიკჭიკედ გაყინულ ქარში  
მოფარფატე ფოთოლთა შორის!

## პერსივალ შარში

თვალი შეაღებთ ჩახვეულ ხელებს!  
ესალმებიან ერთმანეთს თუ ეთხოვებიან?  
ხელები მე რომ მუდამ ვშველოდი,  
ხელები მე რომ მუდამ მშველოდნენ?  
რა იქნებოდა გამოეკვეთათ ცერაწეული ხელის ქანდაკი  
ელაგაბალუსს რომ სჩვეოდა, ისეთი ფორმის?  
ქანდაკებასთან გამწყდარი ჯაჭვი,  
ალბათ სიმბოლო გამწყდარი ბედის, –  
ალბათ, ისე კი?  
აგერ კრავები, ვიეთნი წვანან,  
სხვები კი დგანან, თითქოს უსმენენ მწყემსის მონათხრობს,  
დანარჩენნი კი ჯვრებს ატარებენ, თან თითო ჩლიქი აუწვევიათ,  
რად არ გამოჰკვეთთ სასაკლაოებს?  
დაცემულ სვეტებს!  
გთხოვთ გამოჰკვეთეთ საძირკველი ანდა კვარცხლბეკი  
ნება გვიბოძეთ რომ შევხედოთ დაცემის მიზეზს.  
კომპასები და ხელსაწყოები მათემატიკის,  
მობინადრეთა დასაცინად არცოდნისათვის  
ვარიაციულ აღრიცხვის და განსაზღვრებების,  
ანდა ღუზები იმათ საფლავზე, ზღვაზე არასდროს რომ არ  
გასულან  
და ღია კარი – ჰო ასე იყო:  
თქვენ ის დატოვეთ და თქვენს ბაღში შეიჭრნენ თხები  
და ცალი თვალი, მოცქირალი არიმასპივით, –

ასე იყავი შენაც ცალთვალა,  
და ანგელოზი საყვირით ხელში – შენი მაცნეა –  
და შენი გახლავს საყვირიც და ეს ანგელოზიც,  
შენი და შენი ოჯახის ფასი.  
ეს ყველაფერი ფრიად კარგი, მაგრამ ხომ ვუწყი  
რომ სფუნ რივერი ავაცახცახე  
სწორედ ესაა ჩემი ნაღდი ეპიტაფია, საფლავის ლოდზე  
უფრორე გამძლე.

## ჰირამ სქეიისი

ოლქის გამგებლის ადგილისათვის  
როცა ვიბრძოდი,  
ვმოგზაურობდი მთელ ოლქში და ვოქროპირობდი,  
სოლომონ ფურფლი, ჩემი მოცილე,  
ვამხილე ყველგან, ვით ხალხის მტერი,  
ვით კაცთმოძულე მოდგმის მამფალი.  
ახალგაზრდები, მეოცნებენი და ხეიბარი ჯარისკაცები,  
ყავარჯნებად რომ შერჩენოდით მხოლოდ იმედი,  
სულნი, რომლებმაც ყველაფერი მისცეს სიმართლეს –  
ცის სამსჯავროზე დამკარგაენი ამ ქვეყნიურის,  
ჩემთან შეგროვდნენ და მიჰყენენ ჩემს ხმას,  
როგორც ოლქის მხსნელს.  
მაგრამ მოიგო სოლომონმა პირველი ტური  
და მეც უმაღვე ვიცვალე სახე  
და მის დროშასთან დავრაზმე ჩემი მხარდამჭერები,  
მოვაგებინე არჩევნები, გაეხადე მეფე  
იმ ოქროს მთისა, რომლის კარები  
მსწრაფლ მიიხურნენ ჩემს ქუსლებთან, როცა შევედი, –  
ფურფლის მოწვევით, –  
გამგეობის მდიენის ადგილი როს შემთავაზა.  
გარეთ კი ჩემი მხარდამჭერები იდგნენ ყინვაში:

ახალგაზრდები, მეოცნებენი და ხეიბარი ჯარისკაცები,  
ყვარჯნებად რომ შემორჩენოდათ მხოლოდ იმედი,  
სელნი რომლებმაც ყველაფერი მისცეს სიმართლეს –  
ცის სამსჯავროზე დამკარგავნი ამქვეყნიურის:  
გასცქერდნენ, ეშმაკ ვით გადააგლო  
ოქროს მთის თაფზე, ათასწლეული.

## პელეგ კოუჯი

მღაქრ მოპგვანან ცხენები კაუქსს:

აი ბილი ლი, ჩემი ტაიჭი,

წავი, ვით კატა და სალუქი, როგორც ირემი,

ანთებული მწველი თვალებით,

ჟინს აყოლილი:

მას მარულაზე, სფუნ რივერში შეეძლო სრბოლა

ყველაზე მარდად,

პოდა, როგორც კი ვაიციტრებდი, რომ გაიმარჯვა,

ორმოცდაათი იარდით გაჭრილს ვერავენ რომ ვერ დაეწეოდა,

ყალყზე შემდგარი მხედარს თავქვე დაანარცხებდა,

დაბორკილივით დაიწყებდა უაზროდ ხტომას,

უკვე სავსებით დაკარგული მარულისათვის.

ხედავთ როგორი თაღლითი იყო?

არც გამარჯვება შეეძლო და არც მუშაობა,

ის ქეტისმეტად მსუბუქი იყო საზიდრებისთვის ანდა გუთნისთვის,

კვიციც კი არვის უნდოდა მისგან

და ბოლოს ვცადე მისთვის ჭკუა მესწავლებინა –

ის გაჭენდა და დამან. რცხა სიკვდილს წყნრილი.

## Xელსონე ჰაულეი

იყო შემთხვევა – შუალამით დამიძახებდნენ.  
მეც ავდგებოდი და გაეწიევი სახელოსნოსკენ,  
გვიანი მგზავრი ყურს მოჰკრავდა ვით ემუშაობდი,  
კონდავდი ფიცრებს კუბოსათვის ან ვაჭედებდი  
წვრილი ლურსმნებით ატლასის ნაჭერს,  
გონარეული ვფიქრობდი ხშირად,  
თუ ვისთან ერთად მომიწევდა წასვლა იმქვეყნად,  
იმ ცივ მხარეში,  
სადაც ჩვენს სახელთ გაიტანდნენ საუბრის თემად  
ერთ ღღეს მარჩბივად,  
რადგან ცხოვრების შესაფასებლად  
ყოველთვის წყვილად მიდიოდნენ იმქვეყნისაკენ:  
ედით ქონანთი, ჩეიზ ჰენრის იყო მეწყვილე:  
უილი მეთქალფი დაუწყვილდა ჯონათან სომერსს,  
ფრანსის თურნერი – რედაქტორ ჰამბლინს,  
ვინც ლოცულობდა, რომ ეცოცხლა ყველაზე მეტხანს;  
თომას როუდსი – ქერივ მაქფარლენს;  
ემილი სფარქსი – ბარი პოულდენს;  
ოსქარ ჰუმელი კი დევის მეთლოქს;  
რედაქტორ უედონს წყვილად ერგო ფიდლერ ჯონსი:  
ფეის მათენის – დორქას გუსტინე.  
და მე, ყველაზე პირქუში კაცი,  
ღეზი ფრაზერთან დაწყვილებული მოვწყდი მზისქვეშეთს.

## აბელ მილვინი

ვიყიდე ყველა ჯურის მანქანა,  
რაც კი ამ ქვეყნად არის ცნობილი:  
სალესი, სათიბი, სათესი, საფცქვნელი,  
ყველა მათგანი ღია ცის ქვეშ იყო დაყრილი,

რადგან ფარდული არ მქონდა მათთვის,  
იუანგებოდნენ, ილუნებოდნენ, ილუწებოდნენ,  
უმეტესობა ერთხელაც კი არ მიხმარია.  
და შემდეგ, ბოლოს,  
როცა მეგონა ყველაფერი დამთავრდა უკვე,  
ჩემთვის უეცრად ყველაფერი გახდა ნათელი,  
სარკმელთან მჯდარი ვაყურადები მისუსტებულ ჩემს გულისცემას,  
თან კი ვუსტქერდი ჩემს ერთ მანქანას  
რომელიც არც კი დამჭირვებია,  
ისე მოისპო, ერთხელაც არ დამიქოქია.  
კარგი მანქანა, ერთ ღროს პრიალა,  
ახლა წვიმისგან ფერგადასული,  
მოწყურებული ამუშავენას.  
კარგი მანქანის მსგავსი იყო ჩემი სიცოცხლე,  
თუმცა ცხოვრებამ ერთხელაც არ გამოიყენა.

## ოქს ტუიი

ქალთა უფლების დაცვისათვის იბრძოდა დედა,  
მამა ლონდონის წისქვილების მფლობელი გახლდათ.  
მე ვოცნებობდი, რომ ბოროტება აღმომეფხვრა ამ ქვეყანაზე  
და როცა მამა გარდამეცვალა, გავემართე სამოგზაუროდ,  
მსურდა მეხილა სხვადასხვა ხალხი და სახელმწიფო,  
რათა გამეგო ეს ქვეყანა ვით გარდამექმნა.  
მე მოვიარე მრავალი მიწა.  
მოვინახულე უძველესი რომის ნანგრევნი,  
ნამუსრევი ძველი ათენის,  
თებეს ნარჩენი  
და მთვარის შუქზე ძველ სამარხზე ვიჯექე მემფისში  
იქ შემომეჭდო სწორედ ცეცხლის ელვარე ფრთები  
და ჩამომესმა ხმა ზეციური:  
„ისინი შთანთქა სიცრუემ და უსამართლობამ!

გასწიე მედგრად! იქადაგე ჭეშმარიტება!  
იქადაგე სიმართლე ყველგან!“  
და მეც უმაღვე გამოვწიე სფუნ რივერისკენ,  
რათა დედისთვის მეთქვა: „მშვიდობით“ ვიდრემდის საქმეს  
შევეუდგებოდი.

ყველამ იხილა უცნაური სხივი ჩემს თვალში,  
შემდეგ და შემდეგ საუბრისას ყველა ხედებოდა,  
რისი თქმაც მსურდა.  
შემდეგ ჯონათან სვიფტი სომერსმა გამოძიწვია ერთხელ კამათში:  
თემა: „პილატე პონტოელი – ქვეყნად ყველაზე  
უღიადესი ფილოსოფოსი“  
მე მერგო როლი უარმყოფელის,  
და ბოლო წამში მან მომიგო როცა წარმოთქვა:  
სანამ ქვეყანას გარდაქმნიდეთ, ბატონო ტუთი,  
გთხოვთ უპასუხოთ პონტოელი, პილატეს კითხვას –  
რა არის ჭეშმარიტება?“<sup>1</sup>

## ელმოტ ჰაუქინსი

ძალიან ვგავდი აბრაამ ლინკოლნს,  
სამბაკაცოშიც შენი სისხლ-ხორცი გახლდი სფუნ რივერ,  
თუმცა ვიცავდი წესრიგსა და კერძო ქონებას,  
აღარ ვტოვებდი წირვა-ლოცვას ეკლესიაში,  
ზოგჯერ სიტყვითაც გამოვდიოდი თავყრილობებზე,  
რომ დამეხსენი აემოსურნეთა შურისა და გულისწყრომისგან  
და ვგმობდი იმათ, ვინც ცდილობდა შტატების დაშლას  
და ვუთითებდი შრომის რაინდთა საშიშ ორდენზე,  
ჩემგან იღებდნენ მაგალითებს ახალგაზრდები,  
ჩემი გავლენა შენს მომავალ თაობებს გაჰყვა,  
მიუხედავად „საყვირის“ მსგავსი გაზეთების თავდასხმებისა;

<sup>1</sup> სახარება იოანესი. თავი 19-38.

ჩემი მუდმივი სტუმრობები ქალაქ სფრინგვილდში,  
როცა კონგრესი იკრიბებოდა,  
რომ გაეხადა შტატი ძლიერი  
და ძალისაგან ეხსნა რკინიგზა,  
სფუნ რიკერ, ჩემი გჯეროდით მათაც და შენც თანაბრად,  
თუმცა მკორავდნენ ზოგიერთები რომ საკუთარი მიზნებიც მქონდა.  
წუთისიფელი გავლიე მშვიდად, მდიდარმა და დაფასებულმა.  
რაღა თქმა უნდა, მეც მივიცვალე და ეწვეარ აგერ  
სამარის ლოდქვეშ, რომელზეც წიგნი გადამლილი ამოუკვეთავთ  
რაზეც სწერია:

ვინაიდან მაგისტანებისაა ცათა სასუფეველი.“<sup>1</sup>  
თქვენ კი სამყაროს მხსნელნო, რომლებმაც  
თქვემს სიცოცხლეში ველარაფერს ვერ მიაღწიეთ,  
სიკვდილის შემდეგ კი არა გაქვთ სამარის ლოდიც,  
ჩემი ბრწყინვალე დიდების მტკვერით გავსილი თქვენი  
ბაგის ღუმილი როგორღა მოგწონთ?!

## მოდტიარ ჰონსონი

რად მაწამებდით ასე სასტიკად,  
თუ არა გსურდათ მემხილებინეთ?  
რალად მხუთავდით თქვენი სიშლეგით,  
თუკი არ გწადდათ გამომეჩინა თქვენი სიჩლუნგე?  
რალად დამმღურსმნეთ ასე უწყალოდ,  
თუკი არ გსურდათ ამომეძრო ყველა სამსჭვალღი  
და დამეშინა თქვენი სახისთვის?  
რად მაშიმშილეთ უტეხობისთვის,  
თუკი არ გსურდათ გამომეთხარა ძირღ თქვენი ტირანღისთვის.

---

<sup>1</sup> შეადარეთ: „ხოლო იესომ თქვა: აცადეთ ბავშვებს და ნუ უშლით ჩემთან მოსვლას, ვინაიდან მაგისტანებისაა ცათა სასუფეველი“ სახარება მათესი. თავი 19-14



და თქვენ რომ არა, შეიძლებოდა ვყოფილიყავი  
სულუშფოთველი, როგორც უილიამ უორდსუორთი!  
შენ კი, სფუნ რივერ, მოიქეცი როგორ ლაჩრულად,  
რომ დამაყენე ჯადოსნურ წრეში  
ჭეშმარიტების მახვილისგან შემოწერილში.  
შემდეგ წუწუნი და წყევლა-კრულვა შენი წყლულების  
და წყევლა ჩემი ძალმოსილების,  
ვინაც ვიდექი გაცინებული  
ირონიულ ელვათა შორის!

## ინგლიშ ოორნტონი

აქეთ! იმ გმირთა ნაშიერებო,  
ვინც ჯორჯ ვაშინგტონს მხარში ედგა ვოლუი ფორჯთან,  
როს სთარვიდ როქთან ბლექ ჰაუქი გააცამტვერა,  
შეიმართენით საბრძოლველად იმათ ნაგრამთან,  
ვინც შეისყიდა მიწები ლუფში, როცა ის იყო ქვიშიანი და  
უსარგებლო,  
და ვინაც ყიდდა მამასისხლად საბნებს და თოფებს  
გრანტის ლაშქარში,  
ვინც ესწრაფოდა ალიონიდან კონგრესის სხდომებს,  
რომ რკინიგზიდან აელო ქრთამი!"  
შეიმართენით საბრძოლველად თერძებთან და გულხენეშებთან.  
ვისაც ზეპურთა შორის სურთ, რომ მსახიობობდნენ,  
გაუთლელებთან, გოგოებს რომ ატანენ გრაფებს;  
ვინაც მიეკრა დიდ იდეალებს,  
ვინც აეკიდა დიად საქმეებს  
და უძველესი ნაქურდალის მემკვიდრეებთან,  
შეიმართენით! დაიპყარით თქვენთვის ქალაქი,  
ხელში ჩაიგდეთ მთელი შტატი დაუყოვნებლივ.

- თქვენ ნაშეიერნო ჯანმაცარი იომენრების,<sup>1</sup>  
თორემ, ღმერთმანი, თუ არ მოსპობთ ამ მუქთახორებს,  
შურისძიების ჩემის აჩრდილი  
გააცამტვერებს თქვენს შტატსაც და ამ თქვენს ქალაქსაც.

## ენოქ ღუნლაში

როცა ოცი წლის განმავლობაში, თქვენი თავკაცი გახლდი  
რამდენჯერ მოხდა სფუნ რივერში, ჩემო კარგებო,  
რომ არ გახსოვდათ არც კრება და აღარც ყრილობა  
და მთელი ტვირთი შემატოვეთ მარტოკას მხრებზე,  
რომ მე დამეცვა ხელყოფისგან ხალხის უფლება?  
ხან იმიტომ, რომ იყავით ავად,  
ან კიდევ ავად გყავდათ ბებია,  
ან წინაღამის ნამთვრალევი ვერ იღვიძებდით.  
ანდა უბრალოდ ამბობდით რომ „ჩვენი თავკაცი,  
ყველაფერს იზამს, იბრძოლებს ჩვენთვის,  
ჩვენი ვალია ერთადერთი – მას მივყვეთ მხოლოდ!“  
მაგრამ, ო, მყისვე აღმოგხდათ წყევლა როცა დავეცი,  
მაგინებდით და ლაპარაკობდით რომ მე გაგყიდეთ,  
როცა დავტოვე ერთი წუთით კრების ოთახი  
სწორედ ამ დროს კი ხალხის მტრებმა, იქ შეკრებილმა,  
ამდენი ხანი რომ ელოდნენ ხელსაყრელ წუთებს,  
მყის მიიტაცეს  
ხალხის უფლება, ღვთით ნაბოძები!  
ო, თქვე მდაბიო ვიგინდარებო!  
მე ხომ მხოლოდღა ფეხსადგილისთვის  
დავტოვე კრება!

---

<sup>1</sup> yeomanry – იომენების წოდება. მიწათმფლობელი.

## აილა ურიქეი

არაფერია შენთვის უცხო ამქვეყნიური:  
მე სამუშელო უპოვარი გახლდით გოგონა.  
ჩამოვაბიჯე სფუნ რივერში მატარებლიდან გაცისკრებისას,  
სახლები იდგნენ ჩემს წინ დახშული  
კარებითა და დაშვებული კრეტსაბმელებით –  
დავრჩი ქუჩაში,  
მე არც ერთ სახლში არ მქონდა წილი ანდა ადგილი.  
და მოწანწალეს შემეჩეხა მაქნილის სახლი.  
ქვის ციხე-კოშკი, ბალჩა-ბალებით და ხეივნებით,  
გარშემორტყმული დარაჯ-მცველებით,  
მხარე და შტატი მას შეჰხაროდა,  
მფლობელს და თავადს, ამაყს და ზვიადს.  
მე შიმშილისგან მისუსტებულს მეზმანა უცებ:  
ციდან დაეშვა მაკრატელი უშველებელი  
ვით ორი სვეტი მიწახაპიის  
და როგორც ფარდა, შუა გააპო სასახლე ორად.  
გამოფხიზლებულს „სავაჭროში“ კაცი შემომხვდა,  
მე სამუშაო ვთხოვე, მან კი თვალი ჩამიკრა,  
ის იყო უოშ მაქნილის ვაჟი  
და ნაზმანები მაკრატელი ამიხდა ცხადში:  
ფიცის გამტეხმა ნახევარი სახლი მიბოძა.  
ხომ ხედავთ ჩემი გაჩენის დღიდან  
მხოლოდ და მხოლოდ ჩემს მოლოდინში იდგა ეს სახლი.

## სემი ქომუთონი

მე რომ ავაგე წიგნთსაცავი სფუნ რივერისთვის  
და ვუვლიდი კეთილგანწყობით  
სიბრძნის წყურვილით ანთებული გონებებისთვის,  
უმაღლ, როგორც კი ჩავბარდი უფალს,  
საჯაროდ იქნა გაყიდული აუქციონზე

თითქოსდა სურდათ წარეხოცათ ბოლო ნიშანი  
ჩემი ხსოვნის და ჩემი სახელის.

თქვენ ვინც ვერ გრძნობდით,

რომ ისეთივე სიკეთე მოაქვს სწავლას ვოლნეის „რეკონსტრუქციისა“<sup>1</sup>  
როგორც ბუთლერის „ანალოგიას“<sup>2</sup>

„ფაუსტის“ ცოდნა რომ ისევე კარგია როგორც „მედიკინისა“<sup>3</sup>  
სწორედ თქვენ გქონდათ უფლება და ძალა სოფელში,  
და ძლიერ ხშირად მისვამდით კითხვებს

„რა თავში ვიხლით იმის გაგებას რომ ბოროტება სუფევს  
ამქვეყნად?“

მე უკვე შენს კვალს მოვსწყდი, სფუნ რივერ,  
თვითვე მონახე საკუთარი სიკეთე და უწოდე კარგი,  
მაგრამ ვერასდროს ვერ მიგახვედრეთ,  
რომ იმან, ვინაც ვერ ჩასწვდა ბოროტს,  
არ უწყის, რაა ქვეყნად სიკეთე;  
და რომ ვერავინ, ვინც ვერ იგრძნო სიცრუის გემო,  
ველარ გაიგებს, თუ რაი არს ჭეშმარიტება.

## შელიქს შმილტი

ის ერთი ციდა სახლი იყო, ორი ოთახით,  
გეგონებოდა სათამაშო სახლი ბავშვების  
გარშემო ერტყა ხუთი აკრი ბეხრეკი მიწა:  
მე კი რამდენი ბავშვი მყავდა გამოსაკვები?!  
იმათი ჩაცმა-დახურვა და სასწავლებელი,  
მშობიარობის შემდეგ ცოლიც სნეული დარჩა.

1 კონსტანტინ-ფრანსუა შასბეფ ვოლნეი. (1757–1820) ფრანგი ისტორიკოსი, ავტორი წიგნისა: „რუინები ანუ ფიქრები იმპერიათა რევოლუციებზე“.

2 ჯოზეფ ბუთლერი (1692–1752) ინგლისელი ფილოსოფოსი, ავტორი ტრაქტატისა: „რელიგიათა ანალოგია“

3 ევანჯელინა (Evangeline) ჰენრი უოდსუორთ ლონგფელოს პოემა. ამერიკელი პოეტი (1807–1892).

ერთხელ ვექილი უიტნეი მეწვია სახლში  
და განმიმარტა, რომ ქრისტიან დულმანს, რომელიც  
სამი ათასი აკრი მიწის მფლობელი იყო,  
კიდევ ოთხმოცი უყიდა ჩემს სამოსაზღვროდ  
რვაას სამოცდათერთმეტში, მხოლოდ თერთმეტ დოლარად,  
როდესაც იგი გაყიდულა გადასახადთა გამო  
ეს მაშინ როცა სასიკვდილოდ სნეული მამა ლოგინად იყო.  
ავტებზე დავა და გავწიე სასამართლოში,  
მაგრამ როდესაც საქმე მიდგა საბუთებამდე,  
დღესავით ნათლად გამოჩნდა, რომ ქრისტიან დულმანს  
ჩემი მამულიც შეუძენია,  
ის ჩემი ერთი ციდა სახლიც ორი ოთახით.  
ახია ჩემზე, რად ვეჯუჯღუნე?  
წავაგე საქმეც და საცხოვრისიც  
მე გამოვედი სასამართლოს დარბაზიდან და  
კვლავ შევუდექი სამუშაოს, მაგრამ აწ უკვე  
როგორც დულმანის იჯარადარი.

## მეოთხედი შრომადარი

ჩამოვჯდებოდი ბერნადოტის სანაპიროზე  
და ნამცეცებს ვუყრიდი თევზებს  
მხოლოდ იმიტომ რომ მეცქირა ქაფშიებისთვის,  
ვით ეხლებოდნენ საკვებისთვის ერთიმეორეს.  
ან მივდიოდი ჩემს ნაკვეთში საბალახოზე,  
სადაც ჩემს ღორებს უდრტვინველად ეძინათ ლაფში,  
ან საალერსოდ ეხლებოდნენ ერთურთს დინგებით  
და სალაფავად მთელ ტომარა მარცვალს ვუყრიდი  
და შევყურებდი მათ ბლლარძუნს და ვუსმენდი ჭყვივლს,  
ეუმზერდი როგორ კბენდნენ ერთურთს საკვებისათვის.  
ვხედავდი როგორ გადაყლაპა დულმანის ფერმამ,  
სამი ათასი აკრზე მეტი რომ იყო ალბათ

შმიღტის ნაკვეთი,  
როგორც ქორჭილა შთანთქავს ქაფშიებს,  
და ვთქვი: თუ არის რაიმე კაცში:  
სული, სინდისი ანდა კიდევ ღვთიური სულთქმა,  
რაც ღორისა და თევზებისგან მას გამოარჩევს,  
ნეტავი მეგრძნო ეს რაიმე მის საქციელში!

## რიჩარდ ბოუნდი

ახალმოსული, სფუნ რივერში; ველარ ვხვდებოდი  
მართალი იყო თუ სიცრუე მათი ნათქვამი.  
ქვას მომიტანდნენ, დასაწერად ეპიტაფიის,  
სახელოსნოსთან დადგებოდნენ ვიდრე ვტვიფრავდი  
და საუბრობდნენ:  
„ის მშვენიერი კაცი იყო“ „იყო კეთილი“  
„ის უტკბილესი ქალი იყო“ „ღვთის მოშიშარი“...  
და მეც სამარის ლოდზე ვკვეთდი რასაც მეტყობდნენ,  
ისე, რომ სრულად არ ვიცოდი ჭეშმარიტება,  
მაგრამ, შემდეგ კი, როცა დიდხანს ვიცხოვრე მათთან,  
კარგად ვხვდებოდი, მათი ცხოვრება რამდენად ახლოს იყო  
იმასთან,  
რასაც ვკვეთავდი მათს სამარეზე სიკვდილის შემდეგ,  
ეპიტაფიად.  
თუმცა შემდეგაც მას ვწერდი ლოდზე, რასაც მეტყობდნენ  
და მონაწილე ვხვდებოდი ქვათა  
ცრუ ქრონიკების,  
ისევე, როგორც მემატთანე, რომელიც აღწერს  
მოვლენებს, თუმცა აღარ იცის ჭეშმარიტება,  
ან იცის, მაგრამ სურს რომ დამალოს.

# საილეს ღემენტი

მთვარე ბრწყინავდა,  
მიწას კი ჭირხლი აპრიალედა,  
ძეხორციელი არ იყო გარეთ შუალამისას.  
სასამართლოს საკვამურიდან  
კვამლის ბოლქვები ხტომით მისდევდნენ  
ჩრდილო-დასავლით მიმქროლავ ქარებს.  
მე კიბით ხელში ავიარე საფეხურები  
და მივაყუდე კიბე ერდოს პორტიკის თავზე  
ავცოცდი ზემოთ, ჭერხოზე და ხარიხებს შორის,  
გამშრალ ძელებში მოვისროლე ცეცხლმოდებული  
ცხიმინი ნაჭრის გორგალი.  
შემდეგ ჭერხოდან ჩამოვძვერი და მოვწყდი ადგილს,  
სახანძრო ზარმა ცოტა ხანში დაიწყო რეკვა –  
ძინ! ძინ! ძინ!

და „სფუნ რივერის კიბეების სამძოს წვერები“  
მოვიდნენ, თანაც მოიტანეს ურიცხვი სათლი  
და წყლის სხურება დაუწყეს კოცონს, გაძლიერებულს,  
ცეცხლის ალები კი უფროვე გავარვარებით  
მალლა ავარდნენ და კედლები შთაინთქნენ მათში,  
კირქვის სვეტებმა, რომელთანაც ლინკოლნიც მდგარა,  
გაიჭახუნეს როგორც ხეებმა, წაქცეულებმა ტყისმჭრელის მიერ.  
როცა დაებრუნდი ჯოლიეტედან,<sup>1</sup>  
იქ უკვე იდგა გუმბათიანი სასამართლოს ახალი სახლი.  
მე დავისაჯე როგორც ყველა, ვინც აცამტკვერებს  
მომავლის რწმენით – ძველს და დრომოჭმულს.

---

<sup>1</sup> ჯოლიეტე – ქალაქი ილინოისის შტატის ჩრდილოეთით, სადაც მდებარეობს შტატის ციხე.

## დილარდ საისმენი

დინჯად დაფრენენ კაკაჩები ფართო ცარგვალზე,  
თითქოსდა მკრთალად მტვრით დანისლურზე.  
ქარი უბერავს საძოვრებიდან, სადაც მე ვწევარ  
და აღივლივებს ბალახს ტალღებად.  
ქარს მოქცევია ჩემი ფრანი თავზე ფარფატით  
თუმც ალმა-დალმა ქანაობს ზოგჯერ  
და მხრებს შეარხევს კაცივით თითქოს,  
კული კი ზემოთ აიწევს მყისვე.  
შემდეგ კი ნელა გაწვება წყნარად.  
კაკაჩები კი ქრიან და ქრიან,  
ჩემს ფრანზე მალლა.  
სამაროვნები თელემენ.  
ფერმის შენობა, თეთრი ვით თოვლი,  
გასცქერის მწვანე ხეებიდან – შორეულ შორეთს.  
მე ვუმზერ ჩემს ფრანს,  
მიმქრალი მთვარე გაბრწყინდება ძალიან მალე  
და იფრენს, როგორც ქანქარა ბაკმი  
ჩემს ფრანის კუდთან.  
ცეცხლის ალებმა, გველეშაპი უქშენდეს თითქოს,  
მომჭრა თვალები –  
და მე ვცახცახებ ვით ბაიარადი!

## ჩონათიან კოშტონი

აქ ისმის ყვავის ჩხავილი  
და შაშვის შემკრთალი სიმღერა.  
აქ აღწევს ძროხის ზანზალაკის შორი ჟღარუნი  
და გუთნისდედის ხმა შიფლის მთიდან,  
ტყე გასუსულა ბაღნარს გადაღმა  
შუაზაფხულის უშფოთველობით



და გზას ჭრიალით ათერბურგისკენ  
მიჰყვება მარცვლით სავსე ურემი  
და ბერიკაცი ხის ძირას ზის თვალმინაბული,  
და დედაბერი გადადის გზაზე  
მაყვალით სავსე კალათით ხელში  
წალკოტიდან დაბრუნებული  
და ბიჭი კორღზე წამოწოლილა  
მოხუცი კაცის ტერფებთან ახლოს  
და ცაზე მცურავ ღრუბლებს შესცქერის  
და სწადის, სწყურის და ენატრება  
და მან არ იცის, თუ რა სწყურია  
სიცოცხლე, გაზრდა თუ ჩაწვდომა ქვეყნიერების!  
და ოცდაათი წელიწადიც გაივლის მალე,  
ბრუნდება ბიჭი ცხოვრებისგან ძლიერ ნაგვემი  
და ნახავს – წალკოტს გავერანებულს,  
და ტყეს გაჩეხილს  
და სახლს დაქცეულს  
და გზას დაფარულს მანქანების ბულით და მტკერით,  
და მოსწყურდება სამაროვნები!

## ი.ს. ქულბერისონი

მართალი არის, ნეტა, სფუნ რივერ,  
თითქოსდა ჰოლში, სასამართლოს ახალი სახლის,  
აკრული იყოს ბრინჯაოს დაფა  
ზედ ამოჭრილი რედაქტორი უედონის და  
თომას როუდსის სახის პროფილით?  
ნეტა ვიცოდე, ჩემი ღვაწლი ნაყოფიერი,  
რომლის გარეშე სასამართლო კოლეგიაში  
ქვას ქვაზე არვინ აღარ დადებდა,  
აურაცხელი შესაწირი ჩემი ჯიბიდან სასახლისათვის,  
მხოლოდღა ხალხის ხსოვნაში დარჩა,

რაიც ნელნელა იწრიტება და ჩანავლდება ძალიან მალე  
ხალხთან ერთადვე გარეშემო ჩემი სამარის?  
სიმართლე გითხრათ აღარ მიჭირს ასეც ვირწმუნო  
რადგან ზეციურ სამეფოშიც არის კანონი,  
რითაც ვენახში შემოსწრებულს თერთმეტ საათზე  
მთელი დღის გარჯის გასამრჯელოს მიღება ძალუძს.  
და ამქვეყნიურ სამეფოშიც არის კანონი:  
ის ვინც კარგ საქმეს წინ აღუდგა დასაწყისისას  
შემდეგ საკუთარ წამოწყებად მოაქცევს უმაღ  
როცა კუთხის ქვა დადებულია  
და ამაგრებენ ბრინჯაოს დაფებს  
მემორიალურს.

## შექ დიე

ათასგვარ ოინს მიწყობდნენ ხოლმე თეთრკანიანნი,  
ჩემს სათევზაო ნემსკავიდან ხსნიდნენ დიდ თევზებს  
და ზედ პატარებს ჰკიდებდნენ, როცა  
სულ ერთი წუთით ლამბისათვის ვიყავ წასული,  
თან მარწმუნებდნენ, რომ თევზი არ დამიჭერია.  
როცა ქალაქში ჩამოვიდა რობინსის ცირკი,  
დაიყოლიეს მხეცთა მწვართავი გაეშვა გარეთ გაწვრთნილი ჯიქი,  
და მე, როდესაც ორმოცდაათ დოლარის ფასად  
კვლავ შევათრიე ის გალიაში,  
მარწმუნებდნენ, რომ როგორც სამსონი,  
ისე ვებრძოდი გარეულ ნადირს.  
ერთხელაც იყო შევაბიჯე ჩემს სამჭედლოში  
და გამაჟრჟოლა, რადგან ნალები  
ძირს იატაკზე, მიძვრებოდნენ ცოცხლების მსგავსად, –  
თურმე უოლტერ სიმონსს ჩაედო დიდი მაგნიტი  
წყლის აეზის ქვემოთ,

თუმცაღა მაინც, ყველა თქვენგანი, თეთრკანიანო,  
თვითვე გაბრიყვდით თევზისა და ჯიქის ამბავში –  
ნალებზე მეტი ჭკუა არც კი მოგეკითხებათ,  
ნალებზე, რაიც დაგატარებთ თქვენ სფუნ რივერში.

## ჰილრუჟ მრუბსი

გარდამხდა ორი ბრძოლა ხალხისთვის.  
პირველად ჩემი დასი დავტოვე,  
და რეფორმების სახელით დროშა ავაფრიალე თავისუფლების,  
მაგრამ დავმარცხდი.  
შემდეგ კი ჩემი დაუმცხრალი ძალმოსილებით  
ჩემივე ყოფილი დასის დროშა კვლავ ავიტაცე,  
ავაფრიალე და კვლავ დავმარცხდი.  
დამცირებული, უარყოფილი და კაცთმოძულე  
ისევ ოქროში ვეძებდი ნუგეშს.  
მე ვისარგებლე ნარჩენებით ძალმოსილების  
და როგორც ლპობად მძორს საფროფიტი,  
ჩავებლაუჭე თომას როუდსის გაკოტრებულ ბანკს,  
ვით რწმუნებული საბანკო ფონდის.  
ახლა კი უკვე ყველა განმიდგა.  
თმა გამითეთრდა,  
ჩანავლდა ჩემი მგზნებარე სწრაფვა,  
გემო დაკარგა თამბაქომ, ვისკიმ,  
წლების მანძილზე სიკვდილიც კი არ მაკითხავდა  
ვით საძაგელ ღორს.

ბანკი გაკოტრდა და დავკარგე მეც დანაზოგი,  
შემზარდა ყოფნა სფუნ რივერში გადამქანცველი  
და მომივიდა თავში აზრად აქედან წასვლა,  
დატოვება ჩემი ოჯახის და საცხოვრისის;  
ჩამოდგა ღამის მატარებელი და სწორედ მაშინ  
საფეხურიდან ჩამოხტნენ სწრაფად  
ქული გრინი და მარტინ ვაიზი,  
გამართეს ჩხუბი ძველი დავის გადასაწყვეტად  
ისე ურტყამდნენ ერთმანეთს მუშტებს,  
რომ ხელჯობები გეგონებოდათ.  
ისე სჩანდა რომ გამარჯვება გრინს ერგებოდა  
და სწორედ მაშინ სისხლით მოთხვრილ სახეზე ქულის  
გამოეხატა ქლესა ღიმილი, მიეყრდნო მარტინს  
და შეჰღალადა „ჩვენ მეგობრები არა ვართ, მარტინ?  
განა მე არ ვარ შენი ძმაკაცი?“  
და სწორედ მაშინ საშინელი მუშტით მარტინმა ძირს  
დაანარცხა,

ვით მოკვეთილი.

მე დამაკავეს, როგორც მოწმე და დამაყოვნეს,  
წავიდა ჩემი მატარებელი, შევრჩი სფუნ რივერს,  
რათა მებრძოლა საწუთროსთან აღსასრულამდე.  
ჰოი, ქული გრინ, შენ აღმოჩნდი ჩემი მწე-მხსნელი,  
წლებისგან ასე დავარდნილი და შერცხვენილი  
ქუჩებში უგრძნოდ მოხეტიალე,  
და მოწადინე რომ შემოსო დაჩირქებული სული ძონძებით,  
ვინაც ბოლომდე ვერ იბრძოლე გამარჯვებისთვის.

## ბრენვილ ქელკოუნი

მინდოდა ოლქის მოსამართლე ვყოფილიყავი ერთი ვადითაც  
და მექნებოდა ოცდაათი წელიწადი ნამსახურევი.  
მაგრამ დამტოვეს მეგობრებმა და მტრებს მიუღვნენ  
და აირჩიეს ახალი კაცი.  
შემდეგ შეიპყრო ჩემი სული შურისძიებამ  
და ამ გრძნობითვე მოვწამლე ჩემი ოთხი ვაჟკაცი  
და გადავწყვიტე საკადრისი მიმეზლო მათთვის,  
მაგრამ ბუნებამ – დიდმა ექიმმა,  
დამცა დაბლა და მისცა სიმშვიდეს  
ჩემი სულიც და ჩემი სხეულიც.  
ჩაიგდეს ხელში ჩემმა ვაჟებმა ან ფული ანდა ძალაუფლება?  
თუ ზიდეს ხალხის ბედის ჭაპანი?  
თუ მუშაობენ და იმკიან მინდვრებზე ნაყოფს?  
განა შეძლებენ? რა დაავიწყებთ  
ჩემს სახეს, სახეს როცა ვუშზერდი  
საძინებლის ჩემის სარკმლიდან  
ძველ სასამართლოს  
მისვენებული მოგალობე კანარის ჩიტთა  
ოქროს გალიებს შორის?

## ჰენრი ქ. ქელკოუნი

მე მოვიპოვე სფუნ რივერში უმაღლესი თანამდებობა,  
მაგრამ როგორი სულიერი წამების გავლით!  
ენადაბმული მამაჩემი, ჩვილის მაგვარად,  
მიშტერებული კანარის ჩიტებს  
და სამხარეო მოსამართლის ოთახის სარკმელს,  
მისი ანდერძი და დარიგება,  
მეპოვა ქვეყნად აღიარება და დამესაჯა სფუნ რივერი  
ბოროტებისთვის,

რაც მას დამართეს,  
გაათრებული ენერგიით მავსებდა, რათა  
მომეხვეჭა სიმდიდრე და ძალაუფლება.  
ო, მამაჩემო რა დამმართე, რისთვის გამგზავნე  
ბილიკზე, რაიც წამიყვანდა ფურიების<sup>1</sup> კორომებისკენ?  
და იქ ნამყოფი აი რას გეტყვით:  
გზად კორომისკენ შემოგზვდებათ თქვენ ბედისწერა  
ბნელი თვალებით, გადახრილი საქსოვ დაზგაზე,  
შეყოვნებული ერთი წუთით, თუკი შეამჩნევთ  
შურისძიების ძაფი ბრუნავს საქსოვ მაქოზე,  
ატროპოსს<sup>2</sup> სწრაფად გამოგლიჯეთ მაკრატელი და გასჭერით ძაფი,  
რომ არასოდეს შეიმოსონ თქვენი ბიჭები,  
მათი შვილები და ბაღიშები  
მოწამლული მოსასხამებით.

## ალფრედ მონრი

რად არ გამომხრა ჩემმავე ზიზლმა,  
უსურვილობამ და გულგრილობამ რად არ დამალპო  
გაკვეშებული ჯოუნსის მსგავსად?  
მიუხედავად ჩემი მცდარი ნაბიჯებისა,  
უილარდ ფლუქის ბედისწერა რად არ მეწია?  
თუმც მეც ვიდექი ბუჩარდის ბართან  
ვით სატყუარა, სასმელების საყიდლად მოსულ ბიჭებისათვის,  
რად არ მოვეყვი ლოთობის ჭირში,  
როგორც თავსხმაში; ასეთ წვიმაში

---

1 ფურიები - ლათ. მიწისქვეშეთის ღემონები. (ერინიები). ითვლებოდნენ შურისძიებისა და სინდისის ქენჯნის ღეთაებებად.

2 ატროპოსი - ბერძ. (დაუბრუნებელი) სიცოცხლის ძაფის მაკრატლით გადაჭრელი მოირა.

როგორ გადარჩა ჩემი სული მშრალი და სუფთა?  
რად არ მოვკალი ოდესმე კაცი,  
ვით ჯექ მაქტუარიმ?  
ის კი არადა აღმასვლაც კი შევძელი ქვეყნად  
და ყოველივე ეს იმ ერთი წიგნის წყალობით.  
ერთი ვიცოდე რა მინდოდა მეისონ სითიში?  
სწორედ იქ ვნახე ფანჯრიდან წიგნი,  
ბრჭყვიალა ყდით რომ მიიზიდა ჩემი თვალები  
და რა იპოვა ჩემმა სულმა მასში ისეთი,  
რომ რამდენჯერმე გადავიკითხე  
და ვკითხულობდი დაუსრულებლივ?

## კერი გოლი

ჩემი მადლობა მეცნიერთა საოლქო კავშირს  
მოკრძალებული ამ ლოდისთვის და  
მასზე მიკრული ერთი ცილა ბრინჯაოსათვის.  
ორჯერ ვფიქრობდი მივერთებოდი თქვენს წმინდა სხეულს  
და უარმყავით,  
და როცა ჩემმა ციცქნა ბროშურამ  
მცენარეების გონზე,  
მოიხვეჭა აღიარება,  
აი მაშინ კი გსურდათ მიღება.  
თუმცა მე უკვე არ მჭირდებოდათ  
თქვენ და არც თქვენი აღიარება.  
მაგრამ მე მაინც არ უარეყავი  
თქვენი ბრინჯაო,  
რამეთუ ჩემი ამ საქციელით  
უფრორე მეტად დაგამცირეთ საკუთარ თავთან.

## თვალის ექიმი ღიჟოლღი

რას ხედავთ ახლა?

სფეროებს – წითელს, ყვითელს, მეწამულს.

მაცალეთ! ახლა?

ჩემს დებს და მშობლებს.

არის! და ახლა?

მებრძოლ რაინდებს, ლამაზ ქალებს, მწყაზარ სახეებს.

ახლა ეს ვცადოთ.

პურის ყანებს და ქალაქს.

ძალიან კარგი! ახლა მითხარი?

ქალს ახალგაზრდას, გარშემორტყმულს ანგელოზებით.

ფრიად ძლიერი ლინზაა! ახლა?

აურაცხელ ქალს, აგზნებული თვალებითა და მწველი ტუჩებით.

ერთი ეს ვცადოთ.

მხოლოდ სასმისი ღვას მაგიდაზე.

მეც ვიცი! ახლა ეს ლინზა ვცადოთ!

მხოლოდღა სივრცე თვალშეუდგამი და არაფერი გამორჩეული.

კარგია, ახლა?

ზაფხულის ზეცა, ტბა და ფიჭვის ხე.

უკეთესია, ახლა მითხარი?

წიგნი.

წამიკითხე ერთი ფურცელი.

არ შემიძლია, სტრიქონები არეულია.

ეს ლინზა სცადე.

უსაზღვრო სივრცე.

მშვენიერია, ახლა რას ხედავ?

შუქს, მხოლოდ ნათელს, მის ფონზე დაბლა დედამიწა  
მოჩანს თოჯინად.

ძალიან კარგი, როგორც იქნა ვნახე საშენო.



## მაბრელი ბრეჰემი

მარქვით, ალთგელდი აირჩიეს გუბერნატორად?  
რადგან, როდესაც შედეგებმა დაიწყეს დენა  
და იმარჯვებდა ქლეველენდი ალმოსავლეთში,  
ველარ გაუძლო მოხუცმა გულმა,  
მთელი ცხოვრება რომ იღვწოდა დემოკრატიათვის,  
რომლებიც დიდხანს, ძლიერ დიდხანს ვერ იმარჯვებდნენ.  
როგორც საათი გაჩერებული ამუშავდება,  
ასევე ვგრძობდი გამარჯვების ნელ-ნელა მოსვლას,  
ვიდრემდის გული გაჩერდებოდა.  
მარქვით, ალთგელდი თუ აირჩიეს  
და რა იღვაწა?

ხომ არ მიათვებს მისი თავი ლანგრიტ ქალიშვილს?  
თუ იზეიმა ხალხის სახელით?  
რამეთუ, როცა მე ის ვიხილე  
და ჩამოვართვი ძალუმად ხელი  
ცრემლი მომგვარა მისი მზერიდან  
გამომავალმა ჩვილებრ სილურჯემ  
და მის გარშემო იდგა შუქი მარადიული.  
როგორც ყინვისას კრიალა სხივი  
სამაროვნებზე გადმოფენილი.

## არჩიბალდ ჰიბბი

მძაგდი, სფუნ რივერ,  
ვცდილობდი შენზე მალლა დადგომას,  
მრცხვენოდა შენით  
შემძულდი, როგორც დაბადების ჩემის ადგილი,  
როდესაც რომში მხატვართა შორის,  
იტალიურად ან ფრანგულად ვლაპარაკობდი,

მეჩვენებოდა, დროდადრო მაინც, რომ ვიშორებდი  
ყოველგვარ ნიშანს ჩემი ძველი წარმომავლობის,  
მეჩვენებოდა, რომ მივალწიე ხელოვნების უმაღლეს მწვერვალს  
და იმ ჰაერით ვსუნთქავდი, რითაც ღიღი მხატვრები  
და მათი მზერით ვუცქეროდი ქვეყნიერებას.  
მაგრამ ისინი ჩემი შრომის შეფასებისას მეტყობდნენ ხშირად:  
„რას ხატავ ჩემო მეგობარო, ერთი მითხარი?  
სახე მიუგავს აპოლონს, ხოლო  
სხვა დანარჩენი აბრაამ ლინკოლნს!“  
თქვენც კარგად იცით, რომ სფუნ რივერი უკულტუროა  
და მეც ვიწვოდი სირცხვილისგან, ხმას არ ვიღებდი,  
და რაღა მექნა დასავლეთის მიწაში დანთქმულს,  
გარდა ლტოლვისა და ვედრებისა,  
რომ ხელმეორედ ვშობილიყავი ამ ქვეყანაზე,  
ოღონდ ისე, რომ სფუნ რივერის არც ერთი ფესვი  
არ ჩამრჩენოდა ჩემს სულისკნელში?

## თომ მერიტი

თავიდანვე გამიჩნდა ეჭვი —  
დაბნეულს თავი მშვიდად ეჭირა  
და როცა ერთხელ შევედი სახლში,  
უკანა კარმა გაიჭრიალა  
და დავინახე: ის გაიპარა,  
სამზადისიდან მინდვრისაკენ გაიქცა ჩქარა  
და გადავწყვიტე რომ მომეკლა გაუფრთხილებლად.  
მაგრამ ფორს ბრიჯთან სწორედაც იმ დღეს  
მოვსერილობდი, ჯოხიც კი არ მეჭირა ხელში,  
და უცებ შევხვდი შიშისაგან გადაფითრებულს —  
ნანადირევი კურდღლები ჰქონდა წელზე მიკრული —  
და რისი თქმაც მე მოვასწარი ეს იყო მხოლოდ:  
„ნუ, ნუ, ნუ მესვრი!“  
მან დამიმიზნა და მომარტყა ტყვია შიგ გულში.

## ქალბატონი მერიტი

სასამართლოზე დადუმებულს მეკითხებოდნენ,  
ხომ არ ვიყავი განაჩენით უკმაყოფილო.  
მე მხოლოდ თავი გავაქნიე უარის ნიშნად.  
რა უნდა მეთქვა იმ ხალხისთვის,  
ვინაც ფიქრობდა,  
რომ ოცდათხუთმეტს მიტანებულ ქალს ედებოდა  
ბრალი იმაში, რომ ცხრამეტი წლის საყვარელმა მოუკლა ქმარი?  
თუმცაღა ქალი გამუდმებით უჩიჩინებდა  
„მომშორდი ელმერ, წადი სადმე, გადაიკარგე  
თორემ ჩაიდენ საშინელ რამეს,  
რადგან გონება დაგიხშო ჩემი სხეულის ხიბლმა“  
და მოხდა, რისიც მეშინოდა – მომიკლა ქმარი,  
მოხდა ის რასაც მე ვერაფრით ველარ შევცვლიდი,  
ღმერთის წინაშე!  
ოცდაათი წლის მღუმარება საპატიმროში!  
და ჯოლიეტის რკინის კარებზე  
გაიჭრიალეს,  
როს ნაცრისფერი და მღუმარე მეურვეები  
მიმასვენებდნენ გარეთ კუბოთი.

## ელმერ ქარი

ღვთის სიყვარულის გარდა კიდევ შეეძლო რამეს  
სფუნ რივერელთა გულის მოღობა  
და შეწყალება ჩემი,  
ვინაც ამდენი უხიაგი ვაწვნიე მერიტს,  
ხოლო შემდეგ კი გავიმეტე სასიკვდილოდაც?  
ო, გულკეთილნო, თქვენის წყალობით მე შევძელი აღდგომა ისევ,  
როცა დავბრუნდი თოთხმეტწლიანი პატიმრობიდან!  
ო, ქველმოქმედნო, დამაბრუნეთ თქვენ მე ტაძარში,

თქვენ ყურს უგდებდით ჩემს აღსარებას,  
თანამიგრძნობდით თვალცრემლიანნი,  
პურის და ღვინის მაზიარეთ მეც საიდუმლოს!  
მონიანიეთ, ცოცხალნი სულნი  
და განისვენეთ ქრისტესთან ერთად!

## ელვიზაბეთ ჩილდერსი

მტვერი ჩემი მტვერთაგანი,  
და შენი მტვერი, ჩემს მტვერს შერთული,  
ო, შეილო ჩემო, გარდაცვლილო გაჩენისასვე,  
ო, გარდაცვლილო ჩემი სიკვდილით!  
ვერც კი შეიგრძნე სუნთქვა რასაც ელტვოდი მწარედ.  
მკერდით, რომელიც ძგერდა ვიდრე ჩემთან იყავი  
და მყის გაჩერდა, როს დამტოვე სიცოცხლისათვის.  
მერწმუნე, შეილო, რომ გაგიმართლა,  
რადგან არასდროს არ მოგიწევს მოგზაურობა  
ასე უღვევი, რომ იწყება სასწავლო გზიდან,  
ციცქნა ხელებით როს ისრეს უპეს  
და ეღვენთება ცრემლები ფურცელს.  
და ადრეული ჭრილობა, როცა ციცქნა კლასელი  
ვიღაცის გამო მარტო დაგტოვებს;  
ავადმყოფობა და სარეცელთან შიშის თვალები;  
გარდაცვალება დედის ამ მამის;  
სირცხვილი მათგან ან სიღარიბე;  
ქალწურებრივი სევდა სკოლის დამთავრებისას  
და ბრმა ბუნება რომელიც გასმევს  
სიყვარულს თასით, თუმც იცი, რომ საწამლაგია;  
ვის შეანათებს შენი სახე ყვავილის მსგავსი?  
ბოტანიკოსს თუ არაფრისმომქმედს?  
როგორი სისხლი იყივლებს შენში,  
ბილწი თუ სუფთა, თუმცა ამით რა შეიცვლება?

ის სისხლთაგანი სისხლია ჩვენი.  
შემდეგ შვილები, ო, რანაირნი შეიძლება გახდნენ ისინი?  
შენი დარდი და წუხილი მათზე!  
ო, შვილო! შვილო!  
გარდაცვალება უმჯობესია, ვიდრე სიცოცხლე!

## ე ლ ი ი ქ ( ო ნ ა ნ ი ) ი

ჩვენ ვდგავართ ახლა ამ ადგილას – მოგონებები;  
და თვალებს ვხუჭავთ წარწერის შიშით:  
„ივლისის 17, 1884, ასაკი – 21 წლის და 3 დღის“  
და ყოველივე ცვალებადია  
ჩვენ, ჩვენ ვდგავართ აქ მოგონებები, ჩვენ მარტოსულნი,  
ვერავის მზერა ველარ შეგვნიშნავს  
და ვერ გაიგებს, თუ აქ რატომ ვართ.  
შენი მეუღლე გარდაცვლილია,  
და კი აქედან ძლიერ შორს ცხოვრობს,  
მამა ასაკმა მოტეხა წელში;  
არც კი ახსოვხარ, ძლივსლა ახერხებს გამოსვლას გარეთ  
ისიც ხანდახან.  
არვინ იგონებს შენს ნატიფ სახეს,  
შენს ლირიულ ხმას,  
როგორ მღეროდი იმ დილითაც კი ჩაქცევის ზღვარზე  
სულში ჩამწვდომი სიტკბოებით, მთრთოლვარე სევდით  
ჩვილის ლოდინში, რომელიც მოკვდა შენთანვე ერთად.  
დავიწყებული არის ყოველი, მოგონებებსლა გვახსოვხართ  
მხოლოდ,  
მთელი ქვეყნისგან გადავიწყებულთ  
და ყოველივე ცვალებადია, შემორჩა მხოლოდ მდინარე და  
სამაროვნები,

თუმცა ისინიც გადასხვაფერდნენ  
მხოლოდ მცხუნვარე მზე და წყნარი ვარსკვლავები აღარ  
შეცვლილან

და ჩვენ –

ჩვენ, მოკრძალებით შეკრებილი მოგონებები.

ჩვენი თვალები მილულულია ცრემლებისაგან გადაქანცულნი –  
გადაქანცულნი განუსაზღვრელად!

## ჩარლზ უეზსიერი

ფიჭვის კორომი ბეჭობზე

და ფერმა მისგან უტევანებით დაშორებული

სჩანდა კამკამა ფარშევანგისებრ ლურჯი ცის ფონზე,

თითქოს ლინზიდან იმზირებოდი,

ნაშუადღევს კი მიწა შეფუთა ღრუბლის საბანმა,

შენ მიდიოდი სამყურების მინდორზე, სადაც

ისმოდა მხოლოდ ჭრიჭინათა ნაზი ტრემოლო.

შემდეგ შორეულ ქარიშხლების ნამქერთა შორის

მზე ჩაესვენა.

ამოვარდნილმა ქარმა ზეცა მოაკრიალა

და გააღვივა უქომავო ვარსკვლავთა ცეცხლი

და შეარხია პირბადრი მთვარე,

მთვარე გაჩრილი მოციმციმე ვაშლის ტოტებში

გორაკებს შორის.

შენ მიდიოდი ჩაფიქრებული სანაპიროზე

სადაც ტალღები უფეხურათა მსგავსი კივილით

მიიმღეროდნენ დაბლა წყლისაკენ და გასძახოდნენ

ქარის ნაკადებს კედროვანებში.

ბოლოს მიხვედი ქოხთან ცრემლით სავსე თვალებით

ახედე ზეცას და იხილე იუპიტერი

მაღალი ფიჭვის კენწეროზე დავანებული,

ქვე დაიხედე და იხილე ჩემი ტახტი თავისუფალი

ცარიელ ზღურბლში დარწეული ქარიშხლისაგან –

იყავ მამაცი, უსაყვარლესო!

## მამა მელიოი

თქვენ განისვენებთ, მამაო მელიოი,  
წმინდა მიწაზე,  
ყველა სამარე სადაც ჯვარით მონიშნულია  
და არა ჩვენთან-სამაროვნებზე,  
ჩვენთან რომელთაც რწმენა გვითროდა  
ცოდვაშეუნდობთ და იმედგამწყვრალთ  
და გვიფარავდა თვალსაწიერს შავი ღრუბლები.  
მამაო მელიოი,  
თქვენ იქცეოდით ისე კაცურად,  
როს მეგობრულად იღებდით ჭიქას ბევრ ჩვენთაგანთან,  
იდექით ჩვენთან, ვისაც გვსურდა სფუნ რივერი გადაგვეჩინა,  
სოფლელთა შავბნელ ზნეობრიობის მოყირჭებას და ყინვას,  
თქვენ ჩამოჰგავდით მოგზაურს, ვინაც ჩამოიტანა პატარა ყუთი  
პირამიდების სიახლოვეს ჩაყრილი ქვიშით.  
ხელშესახები გახადა ამით პირამიდები და თვით ეგვიპტეც,  
თქვენ კავშირი და ნაწილი გახლდით დიდი წარსულის  
და მაინც ასე ახლობელი ბევრი ჩვენგანის,  
თქვენ ამ ცხოვრების ხალისი გწამდათ.  
თქვენ აღარ ჩანდით დარცხვენილი სხეულის გამო.  
თქვენ ღებულობდით სიცოცხლეს ისეთს, როგორც იყო  
და მის ყოველგვარ ცვალებადობას.  
ზოგმა ჩვენგანმა შეძლო თქვენთან მთლიანად მოსვლა,  
მამაო მელიოი,  
როცა იხილა თქვენი ტაძარი ვით გულთმისნობდა გულთა ხვაშიადს  
და მზრუნველობდა მათზე,  
ძალმოსილებით წმინდა პეტრესი,  
პეტრეს – ვით ცეცხლის,  
პეტრეს – ვით კლდისა.

## ემი ბრინი

არა „ჭაბუკი ჭაღარა თმებით, დაღლილი მზერით“  
არამედ კაცი ხანშიშესული, უხეში კანით  
და შავი თმებით!

მთელი სიცოცხლე ჭაბუკური იერი მქონდა,  
წლებმა მოხარა ურყევი სული,  
დაბაში მხოლოდ ღიმილს ვიწვევდი,  
როცა უნდოდათ, მექცეოდნენ როგორც თანასწორს,  
ხან კაცადაც კი აღარ მაგდებდნენ:  
არც კაცი ვიყავ და არც ბიჭუნა.  
სინამდვილეში ჩემი სული, როგორც სხეული  
არ მწიფდებოდა, ჰოდა მსურს გითხრათ,  
რომ სანუკვარი მარადიული ახალგაზრდობა  
ზრდის შეჩერება აღმოჩნდა სწორედ.

## ქელვინ ქემფბელი

თქვენ, ვინც განაგებთ ბედისწერას, ერთი მითხარით,  
როგორ ხდება რომ სამაროვნებში,  
მდინარის გასწვრივ,  
მზის ქვეშ, სამხრეთის ქარის პირისპირ,  
ჰაერიდან და ნიადაგიდან შეიწოვა ერთმა მცენარემ  
საწამლაკი და გადაიქცა მომწამვლელ სუროდ,  
ხოლო მეორემ შეიწოვა ფერები და ტკბილი ნექტარი  
და ხემარწყვად ამოიზარდა?  
და ორივე მშვენივრად ყვავის?  
თქვენ შეგიძლიათ, სფუნ რივერი მიიჩნით ამის მიზეზად  
და ბრალი დასდოთ,  
მაგრამ ვის დასდებთ ბრალს საკუთარ სულისკენლისთვის,  
თავისი სული რომ გამოიხრა და თქვენ გაქციათ ბაბუაწვერად,  
ლემად, მჟაუნად თუ ხარიკულად  
და არასოდეს არ მიიღებთ რამეს მიწიდან ან ჰაერიდან,  
რომ გადაიქცეთ ცის-ვაზად ან იასამანად?



## ჰენრი ლეიტონი

რა ხელობისაც არ უნდა იყო,  
გეცოდინება ალბათ, მგზავრო, რომ მამაჩემი  
იყო გულმშვიდი,  
დედაჩემი კი შმაგი ბუნების,  
როცა მე გაეჩნდი, ეს სხვადასხვა ბუნება ჩემში  
აღარ შეერწყა ერთმანეთს და არ შეერია,  
უბრალოდ სუსტად გადაება ერთიმეორეს.  
ზოგი თქვენგანი მთვლიდა გულმშვიდად,  
ზოგი მძვინვარედ.  
ზოგიც ორივეს ხელავდა ჩემში.  
ჩემს დალუპვაში არც ერთ მათგანს არა აქვს ბრალი,  
მე სწორედ მათმა განშორებამ მომიღო ბოლო.  
რადგან ვერასდროს ვეღარ შეძლეს ერთმანეთის ნაწილად ქცევა,  
რამაც მაქცია სიცოცხლისგან განძარცულ სულად.

## ჰერლან სეშელი

ოი, უცნობო, ვერასოდეს ვეღარ გაიგებ,  
თუ რად მივუზღე  
შენს თავდადებულ მეგობრობას და დახმარებას  
გამოზოგილი მაღლიერებით,  
შემდეგ კი თქვენგან განცალკევებით,  
რადგან თავს ძალა ვერ დავატანე – მაღლობა მეთქვა,  
ბოლოს დუმით, რაც ჩამოწვა  
საბოლოოდ განშორებისას.  
შენ განმიკურნე სნეული სული,  
მაგრამ იხილე ჩემი სნება და საიდუმლო,  
აი მიზეზი, რამაც შენგან გამომაქცია,  
რამეთუ როცა ტკივილისაგან თავისუფლდება ჩვენი სხეული,  
ყოველთვის ვკოცნით იმ მზრუნველ ხელებს,

ჩვენ რომ გვაწვდიდა უჯანგარს, როცა  
ჩვენ უჯანგარზე ფიქრიც გეზარავდა,  
მაგრამ საოცრად იცვლება სული განკურნებული,  
რადგან ჩვენ ვაქრობთ ჩვენი ხსოვნიდან  
გამჭოლავ მზერას და ჩურჩულით წარმოთქმულ სიტყვებს,  
რადგან ჩვენ ვაქრობთ ჩვენი ხსოვნიდან  
არა იმდენად განცდილ ტკივილებს,  
უფრო იმ ხელებს, ვინაც განგვკურნა.

## იპოლიტ კონოვალოვი

ოსტატი გახლდით ოდესაში,  
თოფის ოსტატი.

ერთხელ სადამოს თავს დაგვესხა ჟანდარმერია,  
შემომტვრია ოთახი სადაც ჩვენ ვკითხულობდით სპენსერს  
ჩვენს წრეში,

გამოგვაცალეს ხელიდან წიგნი და დაგვიჭირეს,  
მე მოვახერხე გამოქცევა და ჩავედი ნიუ-იორკში  
შემდეგ იქიდან ჩიკაგოში და

საბოლოოდ კი – აქ, სფუნ რივერში,  
თან იარალის შეკეთებით გამქონდა თავი,  
ჩემს ხელოვნებას, ჩემს ყალიბებს შეავლეთ თვალი!  
აი ლულისთვის, ეს ჩახმახისთვის  
და აი კიდევ სხვა ნაწილთათვის!

მაშ კარგი, ახლა წარმოიდგინეთ, თოფის ოსტატებს  
ჰქონდეთ მხოლოდლა ზუსტი ასლები ამ ყალიბების,  
რაც მე გაჩვენეთ –

ხომ იქნებოდა ყველა თოფი ერთურთის მსგავსი  
კაპსულს დამრტყმელი ჩახმახითა და ტყვიის გამტარი ლულით,  
ყველა გასროლა იქნებოდა ერთურთის მსგავსი  
და მტრები ერთურთს ერთნაირად ესვროდნენ ტყვიას!

და იქნებოდა იარაღის სუფევა ქვეყნად!  
რისგან ვერასდროს მას ვერავენ ვერ დაიხსნიდა  
გარდა იმისა, ვინც განსხვავებულ ყალიბს შექმნიდა  
და ამ ლითონებს გადაადნობდა.

## ჰენრი უიასი

მე საკვირაო სასწავლებლის თავკაცი გახლდით  
და ფორმალური პრეზიდენტი რონოლების საამქროსა და  
კონსერვის ქარხნის,

თომას როუდსის და ბანკირთა ხროვის ერთგული.  
ბანკის მოლარემ, ჩემმა ვაჟმა, შეირთო ცოლად  
როუდსის გოგო.

ჩემს სამუშაო დღეებს ვფლანგავდი ფულის შოვნაში,  
ჩემს კვირადღეებს კი – ლოცვაში ეკლესიაში.

მე გახლდით მხოლოდ ერთი კბილანა საქმის ბორბალში:  
ფული, პატრონი, კაცი...

ქრისტიანული მრწამსით თეთრად გადაღებილი.  
მერმე კი

ბანკი გაკოტრდა, მე ვუმზერდი დაშლილ მანქანას,  
დაბზარულ ბორბალს გადაღებულს და დანაგოზავს,  
დამპალ ჭანჭიკებს გატეხილ ღერძში:

მხოლოდღა ძაბრი გამოადგება

ახლად მოვლენილ სიცოცხლეთ მშთანთქავს – სულებისათვის,  
როცა ხელახლა აშენდებიან მოსამართლენი

გაზეთები, ფულის გრძნეულნი.

გაშიშვლებული ძვლებამდე, მაგრამ დავანებული  
საუკუნეთა კლდეში,

უკვე არც ისე გულუბჟვილო განუჭვრეტდი თამაშს

მცოდნე იმისა:

„რამეთუ ქვეყნად ალალ-მართალნი უნდა დამკვიდრდნენ...“<sup>1</sup>

„...ხოლო ბოროტეულთა წლები შემოკლდება.“<sup>2</sup>

მერე უეცრად მეიერსმა აღმოაჩინა, რომ მჭირდა კიბო.

მე არ ვყოფილვარ ღვთის წყალობით გამორჩეული,  
ალარ ყოფილა ჩემი საშველი!

როცა მწვერვალზე ავალწიე, ნისლების ზემოთ,

ქვეყნად ხანგრძლივი სიცოცხლისთვის შემზადებულმა,

მაშინ მიბიძგა დაბლა ძალამ

მარადიულმა.

## ჰარი უილმენსი

ოცდათერთმეტის ვხდებოდი მაშინ,

როს ჰენრი ფიქსმა საკვირაო სკოლის თავკაცმა

წარმოთქვა სიტყვა საოპერო სახლში ბინდლერის:

„დროშის ღირსება უნდა მტკიცედ დავიცვათ – თქვა მან –

მას დაესხმება ტაგალოგთა ველური ტომი

თუ ევროპული საშიში ძალა“

ჩვენ გაუუმართეთ ოვაციები მის სიტყვებსა და

აფრიალებულს მის ხელში დროშას.

და მამის ჯიბრით ომში წავედი

და მე მივსდევდი დროშას ვიდრემდის, ის ფრიალებდა

ბანაკის თავზე მანილასთან ბრინჯის ყანაში.

ყველა ჩვენგანი გავეკიოდით – დიდება, ვაშა!

მაგრამ იქ ბლომად იყვნენ ბუზები

და ათასგვარი შხამიანი საძაგლობანი

და მოწამლული წყალი,

და უმოწყალო სიცხე,

---

<sup>1</sup> იგაენი სოლომონისა თ.11,21.

<sup>2</sup> იქვე თ. X, 27.

ზიზღის აღმძვრელი მყრალი საჭმელი  
და მყრალი სუნი სანგრებიდან, კარვების უკან,  
ჯარისკაცთაგან გამართული ფეხსალაგვიდან  
და მეძავეები ათაშანგით გაძენძილები, ჩვენ რომ გვეკროდნენ  
და ავხორცობა ერთმანეთში ან კიდევ მარტო,  
ძალმომრეობა, სიძულვილი და ზნეწამსდრობა,  
ღამე შიში და ღლე სიძულვილი.  
დავიძვრებოდი ვიდრე ბუყბუყა ჭაობებს შორის  
დროშას მიმყოლი,  
დავეცემოდი ვიდრე კივილით ნაწლავებში ტყვიავაჩრილი.  
სფუნ რივერში კი ჩემს გადაღმა ფრიალებს დროშა!  
ო, დროშა, დროშა!

## Xონ უესონი

ოი, ჩრდილოეთ კაროლინას ცვარნამიანო ბალახო ველზე,  
სადაც რებეკა მომსდევდა მოთქმით, მოთქმა-გოდებით  
ატატებული მოჰყავდა ჩვილი, კიდევ სამი კი მოჰყვებოდა  
უკან სლუკუნით  
და გამიგრძელდა გამოთხოვება ბრიტანელებთან ომში მიმავალს.  
შემდეგ კი დიდხანს, ძნელბედი წლები, სანამ ჩავედი იორკთაუნში  
შემდეგ კი დიდხანს რებეკას ძებნა,  
ბოლოსდაბოლოს რომ ვიპოვე ვირჯინიაში.  
ამასობაში ორი ბავშვი გარდაცვლილიყო.  
ჩვენ გავემგზავრეთ თენესში ურმით,  
დიდი ხნის შემდეგ კი იქიდან ილინოისში,  
ბოლოსდაბოლოს კი სფუნ რივერში.  
კამეჩებისთვის ვთიბავდით ბალახს,  
ხეს ეჭრიდით ტყეში,  
სკოლას ვაგებდით, ვაგებდით ხიდებს,  
გზებს ვასწორებდით, მიწას ვთონნიდით  
მარტოდმარტონი, სიღარიბით, ტანჯვით, სიკვდილით.  
თუ ჰარი უილმენს, ვინც ებრძოდა ფილიპინელებს,  
სჭირდება დროშა სამარისათვის,  
უბოძეთ ჩემი!

## ჯარისკაცები

მილივლივებდა ჩვენს წინ იდეა, ვითარცა დროშა;  
მეომრული სიმღერის ხმები:

გულისძვერება იარაღის ტარებისაგან,  
შინმობრუნებულთ წარმატების იმედი ქვეყნად:

დიდების შუქი, მტრისადმი რისხვა:

ღეთისა და ქვეყნის წინაშე ვალის მოხდის ოცნება.

მაგრამ ესენი იბრწყინებდნენ მხოლოდ ჩვენს შემდეგ,

ჩვენ ზურგს ისინი ვერ გვიმაგრებდნენ,

როგორც ის ერთი, ყოვლისშემძლე სული სიცოცხლის,

ვით ცაცხლი მიწის შუაგულში, მათათა შემქმნელი

ან წყლის გამაპობი.

თუ გახსოვთ რკინის სალტე მუხაზე

მჭედელმა შეკმა რომ შემოაჭდო

ბენეტის მოლთან,

რომ დაეკიდა მასზე ჰამაკი,

რომ შესძლებოდა ბენეტის გოგოს იქ ნებიერობა

და წიგნის კითხვა შუადღისას ზაფხულის ხვატში?

და ვით გახლიჩა რკინის სალტე მოზარდმა მუხამ?

ერთმა უჯრედმაც კი მთელ მერქანში

აღარ იცოდა არაფერი გარდა იმისა

რომ ცახცახებდა ხესთანვე ერთად

და ამიტომაც არც განუცდია რომ გადაეშვა მტკვერში

მილტონის წიგნიც, ჰამაკთან ერთად.

## ბოლჰინე ჩეიბსი

ჰარი უილმენს! ვინც მანილასთან დაგცეს ჭაობში  
ადევნებული დროშას,

შენ არ ყოფილხარ დაკოდილი ზმანების ხიბლით,

არც დამხობილი ამაო გარჯით,

ან საგიჟეში გასტუმრებული სატანური ვერაგობებით,

შენ არასოდეს დაუფლეთიხარ სულიერ სნებებს.

არ გითრევია ჭკრილობები მოხუცობამდე,  
შენ არასოდეს გიშიმშილია, სახელმწიფო გკვებავდა რადგან,  
არ განიცდიდი როცა შენს ლაშქარს  
უბრძანებდი წინსვლას მტრისაკენ,  
ვისაც მახვილზე უბასრესი ჰქონდა ღიმილი.  
შენ ბრმა ჭურვისგან არ გარდაცვლილხარ,  
შენ არ ყოფილხარ უარყოფილი  
სწორედ იმათგან, რომელთათვისაც ომში დამარცხდი,  
შენ ხომ უგემურ პურს არ გაჭმევდნენ,  
რასაც აცხობდა ალქიმია დასაწყლებულ იდეალთაგან,  
შენ მანილაში გაემგზავრე ჰარი უილმენს,  
მე კი შევედი გაღლეტილ ჯარში –  
ღვთიური შუქით თვალანთებულ ახალგაზრდათა,  
მე ვინც ყოველთვის წინ მივიწევდი და უკუმაგდეს  
და ვინც დავეცი სნეული და ატირებული,  
გატეხილი და რწმენაგაცლილი,  
ადევნებული ზეციური სამეფოს დროშას.  
მე და შენ ჰარი, ჩავესვენეთ ჩვენ-ჩვენი გზებით,  
ვერგამომრჩენი ცუდისგან კარგის,  
მარცხისგან მარჯის,  
ვერმცნობნი სახის, ვინც იცინოდა  
დემონის ნილაბაფარებული.

## ლაიქენ ქინგი

გამვლელო, იქნებ გგონია, ბედი,  
ეს იყოს ხარო გარეთ მდებარე,  
რომელსაც ძალგიძს გარსმოუარო,  
თუ ხარ ჭკვიანი და გულთმისანი.  
თუ ასე ფიქრობ, მაცქირალი სხვათა ცხოვრების,  
როგორც ის, ვინაც, ღვთიური სახით  
დასჩერებია ჭიანჭველებს, სიძნელეთა ადვილად დამძლევთ.

თუმცა მიწაზე დავეშვათ ციდან:  
გაივლის დრო და ბედისწერა აგეჩეხება  
შენივე სახით სარკის სიღრმიდან,  
ან როს ბუხართან იქნები მარტო,  
შენ გვერდით სკამზე იხილავ სტუმარს,  
და იცნობ სტუმარს  
და მის თვალეში ამოიკითხავ გარდაუვალ შენს ბედისწერას.

## ქაროლინიე ბრენსონი

ჩვენი გულებით, ნეტავ, როგორც მცურავი მზენი  
გაგვასეირნა ძველებურად აპრილის მოღზე,  
ვიდრე ვარსკვლავის შუქი  
აბრეშუმის უხილავ ბადით მოჰფენდეს წყედიადს  
ჩვენს თავშესაფარს ტყეში, კლდის ძირას,  
ცივ ნაკადულთან! ნეტავ ალერსი გადაგველახა  
და მიგვეღწია ზეშთაგონებულ სიყვარულით დატკობისათვის,  
როგორც აღწევენ ნოტები ერთად ღვთიურ მუსიკას!  
ეს ზმანებაში  
ცხადში კი მხოლოდ გალობითლა თუ ვიოკებლით  
ალტკინებული სხეულის გზნებას,  
რომლის სიღრმეში ჩვენი სულები იძირებოდნენ დაბლა და დაბლა,  
სადაც არ იყო არც დრო, არც სივრცე, ჩვენც არ ვიყავით –  
სიყვარულში განქარებულნი!  
და ეს ყოველი ანაცვალო ლამპიან ოთახს,  
სადაც ჩვენივე საიდუმლო ჩვენვე გვაეჭვებს  
და იმალება ყვაეილებსა და მანდოლინებში,  
რათა გაექცეს მიშტერებულს ყოველმხრივ მზერას  
სალათისა და ყავის შუა გამომჭვირვალეს  
და რომ იხილო ის მოცახცახე და იგრძნო თავი  
წინასწარმჭვრეტად, როგორც მან ვინაც გასცემს თამასუქს  
და არ მოეღის რომ პატივს და ანდაც სიმღიდრეს



გადმოაფრქვევს მეწამული ხელები თავზე.  
შემდეგ ო, ღამევ! მობიბინევ! უსიყვარულოვ!  
და ჩვენს ალერსზე გაიმარჯვა ვნებათაღელვამ  
ამორჩეულ ოთახში იმ დროს  
რომლის შესახებ წინასწარვე იცოდა ყველამ!  
მეორე დღეს კი ის გულგრილი და გულგაყინული,  
ასე შეცვლილი, გაოცებული ჩემი ცრემლებით.  
ავადმყოფური სასოწარკვეთის და ავხორცული სიგიჟისგან  
შეპყრობილებმა

ჩვენ – სასიკვდილოდ შევკარით პირი.

დედამიწის ღერძი,  
სუსტი როგორც ვარსკვლავების შუქი,  
მომლოდინე რომ ისევ ჩაითრევს  
შემოქმედების ტალღა.  
როცა მეორედ დაბადებისას  
მიიპყრობს მზერას რაფაელის თუ წმინდა ფრანცისკოს  
როს ჩაივლიან.  
რადგან უმცროსი ძმა ვარ მე მათი,  
უნდა შემეცნონ  
როს პირისპირ დაერჩები მათთან  
ხელახლა შობის უწყვეტ ციკლიდან.  
შენ თესლს და მიწას ძალგიძს რომ ჩასწვდე,  
შენ ძალგიძს იგრძნო წვიმის წვეთები,  
მაგრამ მხოლოდ ცამ და დედამიწამ  
უწყიან თესლის საიდუმლონი  
მიწისქვეშეთში – შეუღლებისა.  
გადამისროლეთ ისევ ტალღაში,  
მომიწყვეთ კიდევ ერთი გამოცდა, –  
მიშველე, შელლი!

## ქანი რაილქი

ჩემგან – სრულიად უცნობისგან და უღირსისგან –  
ისმის უკვდავი მუსიკის თრთოლა:

„არავის მიმართ ბოროტება, სიკეთე ყველას!“

ჩემგან – შენდობა მილიონებს მილიონთადმი,

ჩემგან – კეთილი სახე ერისა

ჭეშმარიტებით და სიმართლით გაბრწყინებული.

ენი რათლეჯი მქვია, რომელიც

აქ განვისვენებ, მობიბინე ბალახებს ქვემოთ,

სიცოცხლეში ვინც გზნებით ვუყვარდი აბრაამ ლინკოლნს,

ჯვარდაწერილი მასთან არა თანაცხოვრებით

არამედ სწორედ გაყრით.

ო, რესპუბლიკავ! საუკუნოდ აყვავებულო

ამ ჩემს გულმკერდზე დაყრილ მტვრისაგან!

## ჰამლეი მიქოური

როცა ციება აღარ გეშვება, ხილვები მოგდის აუარები:

ისევ ვიყავი პატარა სახლში,

რომელსაც ჰქონდა სამყურების მოზრდილი ეზო,

გადაშლილი ვალანის გასწვრივ

ვეება მუხის ჩრდილმოფენილი

საქანელა რომ ჩამოვკიდეთ ბავშვებმა ჩვენთვის.

ეს ციცქნა სახლი იყო სასახლე,

ირგვლივ მდებლო და მდებლოს გაღმა ზღვის სანაპირო,

მე იმ ოთახში ვიყავი, სადაც პატარა პოლი

სუნთქვაშეკრული მიიცვალა დიფტერიისგან.

თუმცა ხილვაში ეს ოთახი მას არ მოჰგავდა –

მზით გაესებული ვერანდა ირგვლივ

შემინული შუშაბანდებით,

სავარძელზე კი იჯდა კაცი შავი ლაბადით,

ვერიპიდეს მოჰგავდა სახით,  
ის მოვიდა თუ მე ვეწვიე სტუმრად, არ ვიცი,  
ვუსმენდით ზღვის ხმას,  
სამყურები ირხეოდნენ ზაფხულის ქარში,  
პატარა პოლი მოვიდა უცებ ჩემს ფანჯარასთან  
სამყურების ყვავილით ხელში და გაიღიმა.

მე კი ვიკითხე:

„რას ნიშნავს ალფრედ, ღვთაებრივი უსასოობა?“

მან მიპასუხა: „თუ წაგიკითხავს:

„ცრემლები, ამაო ცრემლები?“

„მაგრამ ღვთაებრივ უსასოობას შენ იქ არ აღწერ!“

„ჩემო საბრალო მეგობარო“, მან მიპასუხა,

„არ აღწერ რადგან უსასოობა იყო ღვთიური!“

## მეიბლ ოსბორნი

შენი წითელი ყვავილები მწვანე ფოთლებში,

ო, ნემსიწვერაჲ, ჭკნებიან, კარგო!

მაგრამ არ შესთხოვ შენ წყალს არავის.

შენ საუბარი არ შეგიძლია!

შენ არ გჭირდება, რომ მეტყველებდე –

სულყველამ იცის, რომ შენ კვლები წყურვილისაგან,

შენთვის კი წყალი მაინც არ მოაქვთ!

გვერდს აგივლიან და შენიშნავენ:

„წყალი უნდა ნემსიწვერას“

მე, ვისაც მქონდა ურთიერთშერწყმის ბედნიერება,

და ვისაც მსურდა რომ შევრწყმოდი ბედნიერებას შენსას;

შეყვარებულმა შენზე, სფუნ რივერ,

და შენს სიყვარულს მოწყურებულმა

---

1 ალფრედ ტენისონი (1809–1892) ინგლისელი პოეტი. იგულისხმება ლექსი სათაურით „ცრემლები, ამაო ცრემლები“.

სფუნ რივერ, მე შენს თვალწინ დამჭკნარმა  
და ჩემი სულის უმანკოებით ხმამინავლულმა სიყვარული  
ველარ შეგთხოვე,  
შენ, ვინც იცოდი და ხედავდი ვითარ ვხმებოდი,  
ვით ნემსიწვერა, ვილაცის მიერ დათესილი ჩემს სამარეზე  
და გასახმოზად მიტოვებული.

### უილიამ ჰ. ჰერლონი

იქ, ფანჯარასთან ბებერი სახლის,  
მთის ფრიალოზე, გაშლილ მინდვრებს რომ გადაჰყურებს,  
დამთავრდა ჩემი გარჯის დღეები,  
სიცოცხლის ბოლოს, ყოფის მიწურულს  
მე გავყურებდი დღითიდღე წარსულს,  
თითქოსდა ვილაც იტყირებოდა ჯადოსნური ბროლის სფეროში,  
და მე ვხედავდი აწ გარდასულთ  
ვით პროცესიას, ნათლად სიზმარში  
დაუჯერებელ დროის სფეროდან გარდმობიჯებულთ,  
მე ვნახე კაცი ამომავალი მიწიდან, როგორც ზღაპრული დევი,  
თვითვე შემქმნელი უკვდავი ხვედრის,  
მხედარმთავარი, მეთაური რესპუბლიკისა,  
ვინც სიმღერაში დითირამბი და ეპოსი ხალხის იმედის,  
ერთად შეკრიბა,

თავისუფლების ცეცხლის ვულკანი,  
სადაც ფარ-ხმალი იჭედება გაუხუნარი  
ზესკნელში ნაწრთობ სულებისაგან.  
შეხეთ ბროლს! როგორ მიეჩქარება  
ადგილისაკენ, სად მისი გზა დაერთვის ბილიკს  
პლუტარქესა და შექსპირის გმირთა.  
დაბადებიდან მსახიობო, ო ლინკოლნ! როლი

შენ ითამაშე შენი ბრწყინვალედ  
და ბუთი,<sup>1</sup> ვინაც მიმოდრამით შემოიჭრა წარმოდგენაში,  
ხშირ-ხშირად გხედავთ სრულიად მარტო ჩემი ფანჯრიდან,  
როს მოყრანტალე ყვავები ტყისკენ  
გადაიფრენენ ჩემს კოშკებთან მოზეიმე დაისის შუქზე.

## რეპეკა უეისონი

გაზაფხული და ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი და  
გაზაფხული  
ერთმანეთს მიჰყვია, ჩაიარა ჩემს ფანჯარასთან!  
და მე ვიწექი მრავალი წელი, თვალს ვაყოლებდი მათ და  
კითვლიდი  
წლებს, მაგრამ შემდეგ ჩამოწვა შიში გულში თანდათან  
რადგან ვიგრძენი რომ მე გავხდი მარადისობა,  
და ბოლოს ჩემმა ასმა წელმა მომიკაკუნა!  
და კვლავ ვიწექი, ვაყურადებდი საათის ტიკ-ტიკს,  
პირუტყვთა ზმუილს  
და ჩხიკვთა ჩხავილს მოფარფატე ფოთოლთა შორის,  
დღითიდღე მარტო, რძლის კუთვნილ სახლში,  
ჩემთვის მარტოკა მყოფი ოთახში,  
ასაკისა და ჭალარისგან ნაგვემი მწარედ.  
ღამით ან დღისით ფანჯრიდან როს ვიყურებოდი,  
ჩემი ფიქრები, უსასრულო ალბათ დროიდან  
კვლავ მიბრუნებდნენ ყმაწვილობის დღეებს გალეულს  
კაროლინაში,  
და ჯონს, ჩემს ჯონის, ბრიტანელებთან საომრად წასულს,  
შვილებს, სიკვდილებს და ყველა წუხილს.

---

<sup>1</sup> ჯონ უილქს ბუთი (1838–1865) ამერიკელი მსახიობი რომელმაც 1865 წლის 14 ოქტომბერს თეატრში სასიკვდილოდ დაჭრა პრეზიდენტი ლინკოლნი.

იმ წლებს, გაწელილს ვით პრერიებს ილინოისის,  
 სადაც გამოკრთნენ ფიგურები უდიადესნი აჩქარებული  
 მხედრების მსგავსად:  
 ვაშინგტონი, ჯეფერსონი, ჯექსონი, უებსტერი და ქლეი.  
 ო, მშვენიერო რესპუბლიკავ, ახლადშექმნილო,  
 ვისაც შეგწირეთ მე და ჯონიმ მთელი ძალღონე და სიყვარული!  
 ო, ჩემო ჯონი!

რად დააყოვნე მოსვლა როცა წლების მანძილზე  
 ასე უსასოდ ვიწექ ლოგინში, დაბრუნების შენის მლოცველი?  
 მსურდა შეხვედრა იმგვარივე კივილით გზნების,  
 რაიც აღმომხდა ომის შემდეგ ვირჯინიაში როცა მიპოვე,  
 ვტიროდი, როცა გჭვრეტდი დამდგარს ჩემს სარეცელთან,  
 მოფენილი სახეზე შუქით,  
 ვით ჩამავალ მზეს მეწამულს, მიმქრალს.

## რაგქრწორღ მაქლაუელი

მე მომიტანეს ძველ კოლონისტთა ამბროტიპები  
 გასადიდებლად.  
 ჩემს კამერის წინ აღმოჩნდებოდნენ ზოგჯერ ისინი  
 რომელნიც ჯერაც ცოცხლობდნენ მაშინ,  
 როცა სამყაროს წიალიდან გიგანტი ხელი  
 ჩვენს რესპუბლიკას ფლეთდა.  
 ეს რა მოსჩანდა იმათ თვალებში?  
 მე ვერასოდეს ვერ შეეძელი რომ ჩავწვდომოდი  
 ჩამოშვებული ქუთუთოების იდუმალ პათოსს  
 და წარბშეუხრელ მწუხარებას მათი თვალების.  
 ის ჰგავდა გუბეს  
 ტყის კიდურზე მუხნარებს შორის  
 სადაც ფოთლები ეფინებიან  
 და სადაც ისმის მამლის ყვილი

ფერმიდან შორით მდგარი სახლიდან, სიახლოვეს  
სამაროვნების,  
სადაც მესამე თაობა ცხოვრობს,  
და ჯანმგარი კაცნი თუ ქალნი სადაც ჩაბარდნენ უკვე  
წარსულს და დავიწყებას.

შვილიშვილნი და შვილთაშვილნი კი  
იმ კოლონისტთა?!

იმათი სახეც ჭეშმარიტად აღიბეჭდა ჩემმა კამერამ,  
იმათი სახეც, ასე რიგად მოხუცი და ძალაგაცლილი,  
ასე მოხუცი, რწმენაგაცლილი,  
ასე მოხუცი, სასიცოცხლო ნებაგაცლილი,  
ასე მოხუცი ვაჟკაცობა გამოლეული, –  
იმ ყველაფრისგან გამოცლილი რაც ასულდგმულებს  
გარჯას, სიმღერას, ტანჯვას, სიყვარულს  
ამ მზისქვეშეთში!

### ჰანა არმსირონი

მე მას წერილით მივწერე თხოვნა, წარსულის ხატრით  
დამხმარებოდა, რათა ჩემი სნეული ბიჭი  
გადარჩენოდა ჯარში გაწვევას;  
მაგრამ, ეტყობა, მან წერილი ვერ წაიკითხა,  
შემდეგ ქალაქში გავემგზავრე და ჯეიმს გარბერს,  
ვისაც ლამაზი ხელწერა ჰქონდა, დავაწერინე მისთვის წერილი:  
მაგრამ ეტყობა, რომ წერილი ფოსტამ დაჰკარგა  
ასე რომ, თვითონ გავემგზავრე მე ვაშინგტონში,  
საათზე მეტ ხანს ვეძებდი თეთრ სახლს,  
როცა ვიპოვე, მათ უკანვე გამომაბრუნეს,  
ძლივს იკავებდნენ ღიმილს,  
მე გავიფიქრე: „ოჰ, რაღას იზამ,  
ის ეტყობა, რომ აღარაა უკვე ის, ვისაც მე ვაპურებდი,  
ვინც მუშაობდა ჩემს ქმართან ერთად,

ვისაც მენარდში ყველა „ების“ ვეძახდით მოკლედ!“  
უკანასკნელად ვცადე, უკან მოვიხედე და გუშაგს ვუთხარი:  
„გეთაყვა ჰანა არმსტრონგია – თქო,  
მოხუცებული ძალუა ჰანა,  
ილინოისიდან მოვიდა-თქო თქვენს სანახავად,  
მისი სნეული ბიჭის ჯარში გაწვევის გამო“  
ჰოდა იმ წუთას შემიშვეს შიგნით!  
და როცა მნახა, მისი სახე ღიმმა დაფარა,  
გვერდით გადადო ყველა საქმე პრეზიდენტური  
და საკუთარი ხელით დაწერა რომ დუგი ჯარში არ გაეწვიათ,  
თან საუბრობდა წარსულ დღეებზე  
მოგონებებში გადავარდნილი.

## ლუსინდა მეთილრიქი

მე დავდიოდი საცეკვაოდ ჩენდერვილეში  
ხოლო სნეფოუთს ვთამაშობდი უინჩესტერში.  
ერთხელ როდესაც შევიცვალეთ მეწყვილე ყველამ,  
შუაინისის მთვარის შუქზე გზად შინისაკენ მე შევხვდი დევისს.  
დავქორწინდით და სამოცდაათი წელიწადი ვცხოვრობდით ერთად,  
ვმხიარულობდით, ვმუშაობდით და ვზრდიდით ბავშვებს,  
თორმეტი გვყავდა რვა მათგანი მოგვიკვდა ადრე.  
ერთავდი და ვქსოვდი, ვალაგებდი, ვუვლიდი სნეულთ,  
ლამაზი ბალი გავაშენე ეზოში მარტომ,  
დასვენების დროს ვსეირნობდი მწვანე ველობში,  
სადაც მტრედები გალობდნენ მუდამ;  
მდინარის პირად ვაგროვებდი ლამაზ ნიჟარებს,  
მწყაზარ ყვავილებს და წამლისთვის ათასგვარ ბალახს,  
ხეობებში და გორაკებზე მღერა-თამაშით.  
ჰო, სულ ეს არის,  
საკმარისი ვიცხოვრე ქვეყნად,



ოთხმოცდათექვსმეტს მივალწიე და ჩავესვენე სანეტარო  
განსასვენებელს

ეს ვისგან მესმის დაღალული მოთქმა-გოდება,  
ბოლმა და წყრომა, უსასო ჭკნობა?!

ეჰ, უღლეურო გოგო-ბიჭებო,  
სიცოცხლე ძალზე მძიმეა თქვენთვის!  
რომ შეიყვარო ეს ცხოვრება უნდა იცხოვრო.

## ღევის მეთლოქი

წარმოიდგინეთ, რომ სამყარო სკა იყოს მხოლოდ,  
რომ არსებობდეს გამრჯე, დედა და მოზუილე ფუტკარი მხოლოდ,  
და შეგროვება თაფლის მხოლოდლა,  
(ნივთიერი და სულიერი სიმდიდრე ერთად)  
მომავალი თაობებისთვის, ეს თაობა კი არასოდეს აღარ ცხოვრობდეს  
იმ ღროის გარდა, როცა ყრმობის სხივებში ცურავს  
და ფრთებს იმაგრებს მოგროვილ თაფლზე  
და აგემოვნებს სანუკვარ ნუგბარს  
გზად შინისაკენ სამყურებით გავსებულ ველზე –  
წარმოიდგინეთ ეს ყველაფერი და დაუშვათ ჭეშმარიტება:  
კაცთა ბუნება გაცილებით უმეტესია,  
ვიდრე ფუტკრების საჭიროება ბუნებისათვის,  
და უნდა ზილო ცხოვრების ტვირთი,  
ისევე, როგორც შენი სულის ჭარბი წადილი –  
ჰოდა, მაშ გეტყვი: ეს ქვეყანა უნდა გალიო,  
ისე ვით ღმერთმა, უკვდავებაში დარწმუნებულმა,  
რომც გრღნიდეს ეჭვი –  
არის თუ არა ხსნა ცხოვრებაში?  
თუ ეს არ გახდის ღმერთს შენით ამყს,  
მაშინ სხვა არა ყოფილა ღმერთი თუ არა ძალა მიზიდულობის,  
ან კიდევ ძილი ყოფილა ქვეყნად ოქროს მიზანი!

## ჰერმან ალთმენი

თუ მივყვებოდი სიმართლეს ყველგან?  
თუ დავიცავდი სუსტს ძლიერისგან?  
განუდგებოდი მთელ ქვეყანას ჩემი მრწამსისთვის?  
თუ დიახ, მაშინ მე დავრჩები ხალხის ხსოვნაში  
ისევე სახელმძოვნილი ვით სიცოცხლეში.  
და რადგან ვპულდი ან ვუყვარდით დედამიწაზე,  
მამასადამე ძეგლს ნუ დამიდგამთ  
და ჩემთვის ბიუსტს ნულარ გამოკვეთთ,  
მანც ვერ მაქცევთ ნახევარღმერთად  
და ჩემი სულის ნაღდი ბუნებაც არ დაივიწყოთ,  
თორემ ქურდნი და მატყუარანი,  
ვინაც მტრობდნენ და მანადგურებდნენ  
და მათნი შვილნი  
შეეცდებიან ჩემს მიტაცებას  
და იტყვიან, რომ ჩემს გვერდით იდგნენ  
როცა დაემარცხდი.  
ძეგლს ნუ დამიდგამთ,  
რომ ჩემი ხსოვნა, სახეშეცვლილი არ მოახმარონ  
სიცრუესა და ჩაგვრას.  
ვისაც ვუყვარდი და იმათმა შთამომავლებმა  
არ უნდა დათმონ ჩემზე უფლება:  
მე უნდა ვიყო საკუთრება გაუხუნარი  
მათი, რომელთაც მივუძღვენი მთელი ცხოვრება.

## ჩენი მაქბრიუ

არა არსება მოშრიალე ლაბადაში გამოხვეული  
უჩინარქმნილი საფეხურების ბნელ მოსახვევში!  
არა ყვითელი თვალები ღამით  
ამომბრწყინავნი ნაცრისფერი აბლაბუდიდან!

არა ბარტყუნი სვაეების ფრთების,  
როცა სიცოცხლის წივილი ისმის შენს ბიბილოსთან  
ვით ხმა არასდროს ჯერ არ სმენილი!  
მაგრამ შუადღით, მცხუნვარე მზეში  
სოფლის შუკაში,  
სადაც მეჩხერი ღობის გასწვრივ ამბროზია ყვაელობს წითლად  
და მინდორი გათიბულია და ღვას სიწყნარე,  
ნახავ მზის სხივის საპირისპიროდ რაღაც მოშავოს,  
ლაქის მინამსგავსს, ცისარტყელას დაბოლოებით,  
ეს თვალებისთვის გახლავთ ნიშანი ახალი ხედვის...  
სწორედ ეს იყო, რაც მე ვიხილე!

## ქოლუმბუს ჩენეი

ო, ეს მტირალა ტირიფი!  
რა იქნებოდა რამდენიმე დაგერგოთ კიდევ  
მილიონობით ჩვილისთვის ჯერაც არშობილისთვის  
ჩვენთვის დარგულთა მსგავსად?  
არარსებულნი არიან განა,  
ანდა უჯრედნი, გონს გარეშე, მიძინებულნი?  
ან მათი მოსვლა ამ ქვეყანაზე, მათი გაჩენა,  
წინარე ყოფის ხსოვნას გააქრობს?  
მარქვით პასუხი?  
ეს თქვენ გეკუთვნით ჯერაუხსნელ ალლოთა ველი,  
მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის  
რად აღარ რგავენ მათთვის ტირიფებს  
ჩვენთვის დარგულთა მსგავსად?

## უოლეს ჟერბიუსონი

იქ, ჟენევაში, სადაც მონბლანი  
დაპქანაობდა ღვინისფერ ტბას, როგორც ღრუბელი  
კრიალა ზეცას ქარის ქროლისას,  
მდინარე რონა მიშხუის ხიდქვეშ ქარაფებს შორის  
და მუსიკის ხმა კაფეებიდან ერწყმის ბრწყინვალე  
მდინარის ცეკვას შუქთა ნიაღვრის სვეტში;  
სადაც ჟან რუსოს შთაგონების წმინდა ნაწილი  
იყო მღუმარე მუსიკა რასაც ყველანი ვგრძნობდით –  
და გეუბნებით, აქ ჟენევაში, რამე დააკლდა ჩემს ალტკინებას,  
თუ ვერ შევძელი მეპოვა ჩემში პატარა ბიჭი,  
ოცი წლის წინ რომ სფუნ რივერში ხეტიალობდა?  
რომ არ მახსოვდა, რანაირი ვიყავი მაშინ ანდა რას ვგრძნობდი?  
ჩვენ ვცხოვრობთ დროში, ყოველმხრივად თავისუფალში  
წარსულ წამთაგან.

და ამიტომაც, ო სულო ჩემო, თუკი სიკვდილში დაიკარგები  
და აღმოჩნდები ჟენევაში მონბლანის ახლოს,  
რა გენაღვლება, თუ ვერ შეიცნო შენს თავში იგი,  
ვინაც ცხოვრობდა და უყვარდა დედამიწის ციცქნა ალაგას,  
რომელსაც ერქვა სფუნ რივერი, საუკუნეთა დასაკარგავში?

## მერი მემიუსონი

თქვენ შენიშნავდით ხელს გამოკვეთილს  
ცისკენ აწვდილი თითით,  
რაც უეჭველად გზას მიგვასწავლის.  
მაგრამ ვით შეძლებს კაცი მას მიჰყვეს?  
კარგია, თუ თავს შევიკავეთ კაცის კვლისაგან,  
არა ვიცრუებთ, არ ვიქნებით მომხვეჭელები,  
დავთესთ სიკეთეს, ვადიდებთ უფალს,  
არ დავუწროქებთ კერპებს, ბომონებს.

მაგრამ ეს არსის გარეგანი მხარეა მხოლოდ,  
ეს ყოველივე მხოლოდ შენს თავს ემსახურება,  
შინაგანი კი არის სულის თავისუფლება,  
ის არის შუქი, უბიწოება:  
მე აღარ ძალმიძს შენი შეწევნით  
აღარც პოვნა და აღარც დაკარგვა  
მთავარი მიზნის.

## თენესი ქლეფლინ შოუფი

მასხრად მიგდებდა სოფელში ყველა,  
განსაკუთრებით საღი აზრის ადამიანი,  
როგორც საკუთარ თავს უწოდებდნენ,  
მღვდელი ფიითიც და სხვა სწავლულნი,  
რომელნიც ფლობდნენ ბერძნულს ღვიძლი ინგლისურივით.  
და იცით რატომ?  
ნაცვლად იმისა, რომ მესაუბრა  
უბაჟო ალებ-მიცემობაზე,  
რომ მომექცია ვინმე ბაბტისტად,  
და გამეწია ანგარიში ცრურწმენისათვის:  
რომ ქინძისთავი სწორად უნდა აიღო თურმე,  
რომ ახალ მთვარეს მხოლოდ მარჯვენა მხრიდან უჭვრიტო,  
რომ რეემატიზმი ცისფერი მინით განიკურნება,  
ნაცვლად ამისა მე ვამტკიცებდი ჩემი სულის თვითმყოფადობას  
დიდი ხნით ადრე, ვიდრე მერი ბეიქერ გ. ელი შეუდგებოდა  
სწავლებას და თან დაარქმევდა მეცნიერებას,  
მე დავეუფლე „ბჰაგავად გიტას“  
და ჩემი სული განკურნე, სანამ  
შეუდგებოდა მერი სულებით სხეულთა კურნვას –  
სამყაროებო, მშვიდობა თქვენდა.

## ფლიმონი როქ ჯი

რალად დაქრიხართ ასე სწრაფად წაღმა-უკულმა,  
ადევნებულნი ქინქლებს და პეპლებს?  
ვიეთნი სჩინქნით მატლებს დამდგარნი მწუხარე სახით:  
ვიეთნი ელით მარცვალთა ფანტვას,  
ეს ცხოვრებაა? ასეთი ყოფა?

ყი-ყლი-ყოო!

ძალიან კარგი, თომას როუდს,  
უეჭველია შენ ხარ მამალი მოყიალეთა,  
მაგრამ ელიოტ ჰაუქინსიც მოვიდა აგერ,  
კა-კა-კა-კა!

აიყოლია მიმდევარნი პოლიტიკური

კო-კო-კო-კო

ამ ნაცრისფერი დილით

რალამ განგაწყო პოეტურად, მინერვა, მითხარ?  
ქითი-კო-კო!

სირცხვილი შენი, ლუციუს ათერთონ,  
შენი კისრიდან აღმომსკდარი ხრიწინისათვის,  
რაც აიტაცა ეინერ ქლუთმა, ხოლო შემდეგ კი  
ქალბატონმა პანთიერმა, როგორც ყვილი  
მდედრთა დაცვისთვის: კა-დოქ-დოქ!  
რალამ აღგაგზნო მარგარეთ სლაქი?  
რატომ ელვარებს ხურტკმლისფერი შენი თვალები  
თენესი ქლეფლინ შოუფი,  
ხომ აღარ ცდილობ ეზოთერიზმს ჩასწვდე კვერცხისას?  
ფოლადისებრად ჟღერს შენი ხმა, პორთენსი რობინს, ამ  
ალონზე,

ვით გვიწეური ქათმის კივილი!

კო-კო!

ეს, ისაია ბეთჰოვენ, იყო ყელისმიერი ამოძახილი,  
ხომ არ დალანდე შევარდნის ჩრდილი,  
ან ფეხი ხომ არ დააბიჯე ქათმის ბარკალზე,  
მზარეულმა რომ გადმოაგდო გარეთ ამ დილით?

იყავი გმირი, რაინდი ან მიზანსწრაფული,  
ფილოსოფოსი, მეამბოხე, რელიგიური, –  
ამ საჩეხს მაინც ვერ გამოსცდები,  
ან გამოსცდები ღობის თავზე გადმოვლებული  
კარტოფილის ნაფცქვენთან ერთად.

## იმანუელ ერენჰარტი

სერ უილიამ ჰამილტონის ლექციებით დავიწყე სწავლა,  
შემდეგ განვაგრძე დუგალდ სტიუარტით,  
შემდეგ ჯონ ლოკის ფილოსოფია,  
შემდეგ დეკარტი, ფიხტე, შელინგი,  
კანტი და ბოლოს შოპენჰაუერი –  
წიგნებს მაძლევდა ჯუდ სომერსი. მოხუცებული  
მათ კვითხულობდი აგზნებული მუყაითობით.  
იმედი მქონდა, რომ ისინი მომცემდნენ ცოდნას  
და მივწვდებოდი კუდს სამყაროს იდუმალების  
და მას სოროდან ამოვათრევდი.  
და ათი ათას უტევეანზე აიჭრა სული,  
და მთვარე უფრო დიდი მეჩვენა.  
შემდეგ დავეშვი ისევ მიწაზე  
ვით მეტკბო მიწა!  
და უილიამ ჯოუნსის სულის წყალობით მხოლოდ.  
ვინც ჯონ მიურის წერილი მომცა.

## სამეულ ბარდნერი

მე, ვისაც მქონდა ორანჟერეა,  
ყვავილების და ხეთა ტრფიალი,  
ხშირად ვხედავდი ვარჯოვან თელას,  
გამიზომია თვალით მისი უხვი ტოტები,  
მისი ფოთლების შრიალისთვის მომისმენია,  
ვით ეხლებოდნენ ერთურთს საყვარლად  
ეოლეს მსგავსი ტკბილი ჩურჩულით.

ჰო, შესწევთ ძალა:  
მათი ფესვები ნიადაგში ღრმად გაიშალნენ  
გორაკის მიწა მათ ვერაფერს ვერ დაუმალავს,  
ვერრა სიკეთეს,  
მზისგან გამობარი  
და წვიმისაგან ნოყიერქმნილი.  
შეისრუტავდნენ ფესვები ყოველს,  
აწვდიდნენ მერქანს,  
შემდეგ კი ტოტებს, რტოებს და ფოთლებს,  
სადაც სიცოცხლეს და სიმღერას ფანტავდა ქარი.  
ახლა კი უკვე მოიჯარეს მიწისქვეშეთში ძალმიძს ვიხილო,  
რომ ხის ტოტები  
არ აჭარბებენ სიდიდით ფესვებს.  
მაშ როგორ შეძლებს კაცის სული რომ აღემატოს,  
აწ უკვე განვლილ კაცის სიცოცხლეს?

## ღაუ ქრიტი

გაუთავებლად ლაპარაკობს სამუელი თავის თელაზე –  
მე კი სიკვდილი აღარ დამჭირდა, რომ შემეცნო მისი ფესვები:  
მე, ვინც გავთხარე სფუნ რივერში სულყველა არხი.  
შეხეთ ჩემს თელას!  
აღმოცენებულს იმავ თესლისგან, რისგანაც მისი,  
დარგული იმ ღროს, როცა იმისი –  
მაგრამ ის ხმება წვეროში უკვე;  
არც სოკოსაგან და არც მიწის სიბერწისაგან  
და არც მავნებელ მწერებისაგან, მნათე რომ ამბობს.  
შეხე სამუელ, ვით გაეჭედა ფესვები კლდეში  
და აღარ ძალუძს მეტი განვრცობა,  
და დაეშრიტა სხეული თელას  
და ხმება ნელა  
რადგან კენწერო მთელი ძალით ცდილობს  
ზესწრაფვას.



## უილიამ ჯონსონი

ზოგჯერ უცნაურ მცენარეს, ჩემთვის სრულიად უცნობს,  
წავაწყდებოდი ჩემს წიგნებში. ითხოვდა სახელს,  
ხანისად წერილს ვლებულობდი იომანსისგან.<sup>1</sup>  
მდინარის პირად თავმოყრილი ნიჟარებიდან  
გამოუბრწყინავს ხშირად მარგალიტს მინდვრის სადაფას  
მსგავსად.

შემდეგ წერილი ინგლისიდან გამოგზავნილი  
ტინდელისაგან,<sup>2</sup> სფუნ რივერის მარკადაკრული.  
ბუნების მოტრფეს, და საყვარელს მხოლოდ ამ ტრფობით,  
მისაუბრია ასე შორიდან ამ დიდ სწავლულთან,  
ვინც ჩემზე მეტად ჩასწვდა ბუნებას.  
ოჰ, არც დიდია აქ ვინმე და აღარც პატარა,  
ჩვენლა ვანიჭებთ მას სიდიადეს  
და ვიმკით მისგან სულშემძვრელ გზნებას.  
გთხოვთ დამაყარეთ ნიჟარები, ჩამფალით მასში.  
განცვიფრებული ვცხოვრობდი მუდამ  
გამღმერთებელი ცისა და მიწის.  
მე მარშით განვლე უსასრულობა  
უსაზღვრო ყოფის.

## უილიამ ბუდი

უეჭველია რომ სოფელში მიაჩნდა ყველას  
ტყუილუბრალოდ დავყიალობდი ამ შარავზაზე,  
აქ მდინარესთან თუკი თქვენც გსურთ, იხილავთ ბნელში  
რბილფრთებიანი ღამურები როგორ დაქრიან აცაბაცად,  
აქეთ და იქით.

1 ედვარდ ლიინგტონ იომანსი (1838–1914), ამერიკელი ბუნებისმეტყველი.

2 ჯონ ტინდალი 1820–1893, ირლანდიელი ფიზიკოსი.

სხვანაირად ხომ ვერ ნახავენ ისინი საკვებს  
და თუ ოდესმე აგრევიათ გზა შუალამით,  
წისქვილის ფონთან, დაბურულ ტყეში  
ამცდარხართ ბილიკს ხოლო შემდეგ კი  
ირმის ნახტომის მბრწყინავი შუქით  
ვიცლიათ პოვნა დაკარგული თქვენი ბილიკის,  
მიხვდებით მაშინ, თუ რას ვეძებდი  
უგულწრფელესი თავგამოდებით,  
რომ მთელი ჩემი ბორიალი იყო მხოლოდღა  
ბორიალი იმ გზის ძიების.

## X. მილტონ მაილსი

როცა რეკდა ზარი მხოლოდ პრესვიტერიანელების,  
ადვილად ვცნობდი,  
მაგრამ როდესაც მათი ზარის ხმა შეერეოდა  
მეთოდისტების, ქრისტიანების, ბაპტიისტების და კალვინისტების  
ზარების გუგუნს  
პრესვიტერიანელების ზარის ხმას უკვე ვეღარ ვარჩევდი  
ვეღარ ვარჩევდი ზარების ხმას ერთმანეთისგან.  
ასე მიხმობდნენ ცხოვრებაში ზარების ხმები  
და ნუ გოცებთ, ჭეშმარიტი რომ ვერ ვიცანი  
რიოშებს შორის,  
თვით მაშინაც კი, წამს უკანასკნელს,  
არაღა როგორ ნაცნობი იყო.

## შეის მეთენი

თავიდან ალბათ ვერც გაიგებდით თუ რას ნიშნავდა  
ან შეიძლება ვერც ვერასოდეს ვეღარ გაგეგოთ  
და ჩვენც შეგვეძლო არასოდეს აგვეხსნა თქვენთვის: –  
ის უეცარი გაელევა თქვენს სულისკნელში,  
ვით შუალამით სავსე მთვარისას  
თოვლის ნამქერზე შუქთა ციმციმი.  
როცა მარტო ხარ – მაშინ სტუმრობენ ისინი შენთან,  
ან როცა სხედხართ თქვენს მეგობრებთან  
და უცაბედად ჩამოწვება სრული სიჩუმე  
და მისი მზერა ანთებული თქვენ მოგეპყრობათ –  
თქვენ ორნი უმზერო იღუმალს ერთად,  
ის ხედავს შენში,  
შენ ხედავ მასში.  
და თქვენ თრთით მაშინ,  
რადგანაც თქვენს წინ დგას მისტერია  
სიკვდილს შემყრელი,  
მზის ბრწყინვალეების მსგავსი ნათებით.  
გამხნევდით სულნო, ვისაც მსგავსი ხილვა გარდაგხდათ!  
თქვენც ისეთივე ცოცხალნი ხართ, როგორც მე მკვლარი.  
თქვენ სდევთ მონაბერს ეთერიდან  
ღვთისთვის განკუთვნილს.

## უილი მეთქლაფი

უილი მეთქლაფი მერქვა.  
ისინი „ლოქტორ მეიერსს“ მეძახდნენ,  
ხოლო ჯექ მაქგუერს თუ ვერწმუნებით,  
მეიერსი იყო სწორედ ჩემი ნამღვილი მამა.  
ეცხოვრობდი მოქმედ საჯინიბოში  
ღამე მეძინა სოხანეზე ანდა ბაგაში

როჯერ ბუგმანის ბულდოგთან ერთად.  
მე დაეცოცავედი გაუხედნავ ცხენთა ფლოქვებთან  
და არ მხედებოდა ტლინკები, რადგან ვიცნობდით ერთურთს,  
გაზაფხულზე კი სოფლის გაღმა დაეწანწალებდი,  
რათა შემეგრძნო ისევ ის გრძნობა,  
რასაც ვკარგავდი ძალიან ხშირად,  
რომ არ ვიყავი მოწყვეტილი დედამიწისგან.  
როგორც სიზმარში, მე ვკარგავდი საკუთარ სხეულს  
როცა ვიწექი შუატყეში თვალმინაბული,  
ზოგჯერ მხეცებთან ესაუბრობდი – მყვართან, გველთანაც,  
ნებისმიერთან, რასაც მზერა აღმოაჩენდა.  
ერთხელ ვიხილე, ქვა ვით ცდილობდა  
გაღლობას მზეზე.  
ერთხელ აპრილში, სასაფლაოზე,  
შეგროვდნენ მკვდრები ჩემს გარეშემო,  
და აღიმართნენ ვით მლოცველნი ეკლესიაში.  
მთელი ცხოვრება ვერ გავარჩიე თუ ვინ ვიყავი –  
მიწის ნაჭერი ყვაილებით გადაჩითული  
თუ კაცი მასზე მოსიარულე –  
ახლა კი ვუწყი!

## უილი უენინგტონი

მე მიწოდებდნენ უსუსურს, ყეყერს,  
რადგანაც მყავდა ლამაზი და ძლიერი ძმები,  
მე ნაბოლარა სიბერეში გავუჩნდი მშობლებს  
და წილად მერგო მათი ძალის ნარჩენებიდა,  
მაგრამ ისინი, ჩემი ძმები დააღრჩო ბოლმამ  
ხორციელი გამძვინვარების,  
რაც არასოდეს მე არ გამაჩნდა,  
დაუხშო გონი,  
რაც არასოდეს მე არ გამაჩნდა,

დიდსულოვნება დაუკარგა მომხვეჭელობამ  
რაც არასოდეს მე არ გამაჩნდა,  
თუმც მოიხვეჭეს სახელი და სიმდიდრე ქვეყნად.  
მე კი ყვეფი და უსუსური,  
სიცოცხლის კუნჭულს შემორჩენილი,  
ვხედავდი ხილვებს და სხვებსაც ჩემი  
გამოისობით ჰქონდათ ხილვები,  
თუმცა არც ერთმა არ უწყოდა, რომ ეს იყო ჩემით.  
ხე აღმოცენდა ამგვარად ჩემგან –  
მდოგვის მარცვლიდან.

## ს(ო)ფ(ლ)ელი აი(ე)ისტი

თქვენ, ყმაწვილკაცნო,  
მოკამათენო სამშენველის უკვდავებაზე,  
მე, ვინც აქ ვწევარ, ათეისტი ვიყავი სოფლად,  
ყბედი, მოდავე, ენამოქნილი  
ულმერთობისთვის საბუთების მოძიებაში.  
მაგრამ ხანგრძლივი ავადმყოფობით  
ხველებისაგან სიკვდილის პირს მიახლებული,  
მე მივეძალე უპანიშადებს და პოეზიას ნაზარეველის  
და მათ ამინთეს იმედის ბაზმა, ალლო და ნდობა  
რომელსაც ჩრდილი,  
მე რომ მიმიძღვის უსწრაფესად ბნელ ქვაბულებში  
ველარ ჩამიქრობს.  
ყური დამიგდეთ, თქვენ, ვინაც ცხოვრობთ მხოლოდ გონებით,  
აზროვნებთ მხოლოდ გონების ძალით:  
უკვდავება – არ არის ძღვენი,  
უკვდავება უნდა ეძიო,  
დაუცხრომელთა ხვედრია იგი.

## Xონ ბოლარი

ძალი მერჩოდა და გოროზმა დავემე უფალი  
ღმერთმა მომიგო არად ჩაგლებით:  
გინდაც ვარსკვლავნი მეგინებინოს.  
როს ავადმყოფი სულს ვლაფავდი, აგონიაში,  
უტეხმა მაინც დავემე უფალი  
ჩემი ტანჯვისთვის,  
ღმერთმა მომიგო არად ჩაგლებით.  
დამტოვა მარტო როგორც ყოველთვის –  
გინდაც სამრეკლო მეგინებინოს.  
შემდეგ იძალა ავადმყოფობამ და დამეუფლა შიში დაზაფრულს,  
რადგანაც ღმერთი მოვიკვეთე ჩემი გინებით.  
ერთ დღეს მეწვია ლიდია ჰუმფრი  
და თაიგული მომართვა სნეულს,  
ამან მიბიძგა გადამედგა ნაბიჯი ღვთისკენ,  
და მეგობრობა მეცადა მასთან:  
გინდაც მეთხოვა მეგობრობა თაიგულისთვის!  
თუმცა ახლოს კი აღმოვჩნდი ძლიერ, საიდუმლოსთან –  
თაიგულთან ხომ მეგობრობა მართლაც შემძლო,  
ჩაკვიდე ხელი გაღვივებულ სიყვარულს ჩემში თაიგულისას,  
ამგვარად ახლოს მივეუცოცდი იდუმალს, მაგრამ...

## Xულიან სქოთი

აღსასრულამდის  
უსამართლობა იყო ჩემთვის სხვათა სიმართლე:  
განუსჯელობა იყო ჩემთვის სხვათა მსჯელობა:  
მე სიცოცხლისკენ მიბიძგებდა – რაც სხვებს კვდომისკენ:  
სხვებს სიცოცხლისკენ უბიძგებდა – რაც მე კვდომისკენ:  
ვისაც ისინი მფარველობდნენ – მე მათ მოკვლავდი:  
ვისაც ისინი მოაკვდინებდნენ – მე ვმფარველობდი:

და მე ვხედავდი, რომ თუკი ღმერთი  
დაეშეებოდა ღელამიწაზე,  
არასდიდებით არ დაიდებდა წილს მასში რასაც დაინახავდა  
და მიხედებოდა,  
ის ველარაფრით იცხოვრებდა ამ ხალხთან ქვეყნად  
და მათს მხარდამხარ ვერ იღვაწებდა  
გაუთავები დავის გარეშე.  
ზეცა ფრენისთვის გაჩენილა, მიწა ცოცვისთვის,  
შენ კი ო, სულო, ფრთებმოჩიტულ  
რად გაიჭერი მაღლა მზისაკენ!

## ა ლ შ ო ნ ს ო ჩ ე რ ჩ ი ლ ი

დამცინოდნენ და მიწოდებდნენ „მთვარის პროფესორს“  
მე სფუნ რივერში, ჯერაც პატარას,  
დაბადებიდან მოწყურებულს, დაწაფობი ვარსკვლავთა ცოდნას.  
მასხრად მიგდებდნენ, როცა ვყვებოდი მთვარის ბორცვებზე,  
სიცივისა და სიცხის თამაშზე  
და შავ ველებზე მოვერცხლისფრო მწვერვალთა ფონზე,  
სპიკაზე, ჩვენგან აურაცხელ უტევანებით დაშორებულზე,  
და იმაზე, თუ რა პატარაა ადამიანი.  
ჩემს სამარეს კი, მეგობრებო, ახლა პატივი აღარ აკლია,  
რატომღაც ვფიქრობ რომ არაა ამის მიზეზი  
ვარსკვლავთა ცოდნა „ნოქს კოლეჯში“ შემეცნებული,  
არამედ ის, რომ ვარსკვლავებიდან  
მე ჩავსწვდი კაცის დიდებულებას,  
კაცის, ვინც არის არც თუ ისე მცირე ნაწილი  
ამ სამყაროსი,  
შორეულ სპიკას თუ სპირალურ ბუნდოვანების,  
და არც თუ ისე მცირე ნაწილი  
ამ კითხვის:  
რა არის არსი ხილული დრამის?

## გილჟა მერსი

სოფლის სკოლასთან ოთხ საათზე ვიჯექი მარტო  
ოქტომბრის ბოლოს,  
მოთიბულ ველზე გზისაკენ ზურგით,  
და ქარი ფოთლებს ახლიდა მინას,  
ქარს ბანს აძლევდა საკვამურში ალის ღმუილი,  
ჩრდილთა თამაში შეღებილი ღუმელის კარში,  
მოჩვენებითი ელვარება მიმქრალი ცეცხლის.  
უგუნებოდ გადავწვდი პლანშეტს –  
მოულოდნელად მოდუნდა მაჯა  
და ჩემმა ხელმა დაიწყო რხევა ძალიან სწრაფად  
და არ გაჩერდა ვიდრე ფიცარზე  
არ დაიწერა „ჩარლზ გვიტო“<sup>1</sup> ვისაც  
ლამის ჩემს თვალწინ შეესხა ხორცი.  
თაქედმოგლეჯით გამოვვარდი სახლიდან ბინდში  
ზებუნებრივი ძღვენით შემკრთალი.  
ამის შემდეგ კი ეცვლებოდნენ სულები ერთუროს –  
პო თუ მერლოუ, კეისარი თუ კლეოპატრა,  
ჩოსერი თუ მისის სურატი –  
სფუნ რივერში კი ფიქრობდნენ, რომ ჩემი ამბები  
იყო უაზრო ბურტყუნი მხოლოდ.  
თქვენ ხომ პატარებს სულელურებს გვიყვებით, არა?  
მე ვგრძნობ, რომ ვხედავ ისეთ რამეს, რასაც ვერასდროს  
თქვენ ვერ იხილავთ და ვერც გაიგებთ  
სიტყვებით ახსნილს,  
და მაიძულებთ სისულელე გელაპარაკოთ,  
როს მეკითხებით,  
თუ მე რას ვხედავ!

---

<sup>1</sup> ჩარლზ ჯულის გვიტო (Guiteau) ჩიკაგოელი იურისტი, 1881 წლის 2 ივლისს მოკლა პრეზიდენტი გარფილდი. დასაჯეს სიკვდილით



## ჩემი ბარბერი

მგზავრო, თუ გახსოვს ის ბილიკი, რითაც ყოველდღე  
აჩქარებული გავივლიდი სავარგულს, სადაც ეხლა ოპერის  
სასახლეა წამოჭიმული  
და ვიძოკლებდი წლების მანძილზე სამსახურისკენ მიმავალ შარას?  
შენც ჩაულრმავდი მის მნიშვნელობას:  
შენც შეგიძლია იარო ამ გზით  
და მიხვდები რომ სამაროვნები აღარ არიან შორს წისქვილის  
ფონიდან უკვე,  
ცოტა ხნის შემდეგ კი უთუოდ მოგეჩვენება რომ ხელს მიუწვდენ  
მობიბინე მდელოს გადაღმა ოთხ უტევანზე  
და არვინ იტყვის „მსურს მოგეშველო“  
და სახეები მეგობართა და ახლობელთა  
დაემსგავსება გახუნებულ სურათს, მღუშარეს გულისმომკვლეადა,  
ნაღვლიანი მზერით რომ ამბობს:  
„ჩვენ ველარაფერს ვეღარ გიშველით!“  
შემდეგ ცოტაც და არ საყვედურობ კაცობრიობას,  
რომ პირი შეკრა შენი სულის აწვდილი ხელის ჩამოსამხობად –  
შუადღითა და შუადამისას მოუწევს ყველას  
არ მოაცილოს ბედისწერას საკუთარს თვალი –  
შემდეგ კი როცა ამ ყველაფერს ჩასწვდები კარგად, იფიქრე ჩემზე  
და ჩემს ბილიკზე,  
იფიქრე მასზე; ვინც დადიოდა ამ ბილიკზე და თან იცოდა,  
რომ არც ქალს, არც კაცს და აღარც გარჯას,  
აღარც შეგრძნებას მოვალეობის, ოქროს ან ძალას  
არ შეუძლია შეუნარჩუნოს სულიერი სიმშვიდე დიდხანს  
სულს მარტოდშთენილს!

## ლილია ჰუმფრი

ეკლესიაში და ისევ უკან, აქეთ და იქით დაუსრულებლივ  
ბიბლიით ხელში,  
ვიდრე არ გავხდი ჭალარა და მოხუცებული:  
გაუთხოვარი მარტოსული ამ ქვეყანაზე,  
ძმების და დების ეკლესიაში პოვნის იმედით;  
ბავშვების პოვნის მოიმედე ეკლესიაში.  
კარგად ვიცოდი მიმიჩნევდნენ ახირებულად და დამცინოდნენ:  
კარგად ვუწყოდი, არწივისებრ სულის პატრონნი, მზისკენ  
მიქროდნენ  
და დასცინოდნენ ეკლესიას, მოქცეულნი სამრეკლოს თავზე.  
მითვალთვალდნენ და ვერც მამჩნევდნენ  
და თუკი მათთვის ნეტარება იყო ჰაერში,  
ნეტარებას მე ვეძიებდი ეკლესიაში,  
ეს იყო ჭვრეტა, ჭვრეტა, პოეტებისგან  
თავისუფლებამინიჭებული.

## ლი როი გოულდმენ

„რას იზამ, როცა სიკვდილი მოგიკაკუნებს კარზე,  
შენ, ვინც იესოს უარყოფდი მთელი ცხოვრება  
და სულს რომ დაფავ – გრძნობ, იესო არ გყავს მეგობრად?“  
ვიმეორებდი უსასრულოდ – რევივალისტი!  
ო, დიახ, მაგრამ გააჩნია ხომ მეგობარსაც!  
კურთხეული ხართ! გეუბნებით მე, ვინც ყოველი უკვე ვიხილე,  
თქვენ ვინც დაკარგეთ, გარდაგებადმე,  
დელა ან მამა, ბაბუა და ანდა ბებია

---

I Revivalist – გამაერცელებელი. აქ რელიგიის მქადაგებელი, მისიონერი.  
(ბაპტისტი)

მშვენიერი სულის პატრონი – ვინაც იცხოვრა ძალიან მკაცრად  
და თქვენ გიცნობდათ სულის ძირამდე,  
უყვარდით ვისაც,  
ვინც არასოდეს დაზარდება თქვენზე საუბარს  
და დაანახებს ღმერთს სულისკენს თქვენი სულისას,  
ვით თქვენი ღვიძლი სისხლისმიერი.  
ეს არის ხელი, გამოწვედილი თქვენთვის საშველად,  
რომ გაიაროთ სასამართლოს გრძელ დერეფანში,  
სადაც თქვენა ხართ ძალიან უცხო.

## ბუსტაჰ რიხტერი

სათბურში მთელი ღლის გარჯის შემდეგ  
უტკბესი გახლდათ მოსვენება, მაგრამ თუ ძილი  
მარცხენა მხარზე მოგიწევდათ, ძილისშორისი  
შეიძლებოდა უცაბედად გაწვევტილიყო.  
ყვავილნარში მყოფს მეჩვენებოდა,  
რომ ჩემს ყვავილებს ვილაც სინჯავდა,  
თითქოსდა სურდა მათი გადარგვა  
უშველებელ, ღია წალკოტში.  
და მე ვიყავი სხეულისგან დაცლილი სული  
ჩაღვრილი შუქში, ვით მზე ნათელში,  
მივუახლოვდი მინის სახურავს,  
ვით სათამაშო ჰაერის ბურთი და გაფანტული  
უხმოდ შევერწყე ოქროსფერ ეთერს.  
და ყოველივე ღუმდა, გარდა სიდიადისა.  
ჩვეული ფიქრი, სუფთა როგორც ხმა მოსაუბრის  
და მე შემეძლო, როგორც ვფიქრობდი,  
მოსმენა მისი, ვით მოდიოდა  
ყუთებთა შორის ფოთოლთ შრიალით,  
ეძებდა ხოჭოს და აფასებდა ღირებულებას

ყოველის შემწევი მისი თვალებით: –  
„ო, კომეროსი, დიახ! პერიკლე, კარგი!  
ცეზარ ბორჯია, რა უნდა ვუყოთ?  
დანტე საკმაოდ ნოყიერია.  
ნაპოლეონი – იყოს ჯერ კიდევ.  
შელის აკლია მიწა, შექსპირს კი მორწყვა –“  
ღრუბლები, ჰიო! –

## არლო უილი

ოდესმე თვალი თუ მოგიკრავთ ლაფიდან ხმელზე  
ამოსული ნიანგისათვის?  
რომელსაც თვალი დაუბნელა მთვარის კაშკაშმა?  
ან თუ გინახავთ საჯინიბოში ცხენები ღამით  
ვით ცახცახებენ და შფოთავენ სანათის შუქზე?  
თუ გაგივლიათ ოდესმე ბნელში  
და უცებ თქვენს წინ გაღებულა უცნობი კარი  
და გახევებულს მოგნათებიათ ალბათ ათასი  
წმინდა თაფლის სანთელის შუქი?  
თუ გაგივლიათ, როს თქვენს ყურებთან წიოდა ქარი,  
როს დაგნათოდათ მზის სხივი თავზე  
და თქვენ წამისად გიპოვიათ ბრწყინვალეა თქვენს სულისკნელში?  
მრავალგზის ხმელზე ამოდწეული,  
გადანათებულ მრავალ კართან გახევებული,  
გადაბრწყინებულ ველობთა გასწვრივ,  
სადაც თქვენს ირგვლივ გაწოლილა უხმო დიდება  
მიმოფანტული ახალ თოვლივით,  
გააღწევთ მიწას,  
ო, სულიერად მოუდრეკელნო,  
უკანასკნელი ნათელისაკენ  
ურიცხვ ზესკნელთა!

## კაპიტანი ორლანდო ქილიონი

ო, ახალგაზრდა რადიკალებო,  
თქვენ ახალგაზრდა მეოცნებენო  
და თქვენ ბარტყებო შეუპოვარნო,  
ვინაც ჩაივლით ჩემს სამარესთან  
და თვალს შეავლებთ არარიოშ წარწერას ლოდზე  
რომ მე ვიყავი კაპიტანი და მწამდა ღმერთი!  
ერთი მეორეს არ გამორიცხავს.  
პატივისცემით ჩაიარეთ და წაიკითხეთ გონების თვალით;  
ღიადი ხალხი,  
ვინაც შეება რევოლუციის კენტავრს ყვირილით,  
გაშმაგებული დეზისკერითა და მათრახის ცემით,  
თუ ვით ათრთოლდა შიშის ზარით, როცა იხილა  
ზღვიდან დაძრული ბურუსი მათკენ, უფსკრულის პირას  
და ზურგზე გაწვა დამფრთხალი ძრწოლით  
უზეშთაესი ყოფის ზეიმის დღესასწაულზე.  
სიკვიდილ-სიცოცხლის ჩაუწვდომი აზრებით შეძრულს  
და მეც მათ მსგავსად დამძიმებულს ერის ბედ-იღბლით  
როგორ შემეძლო პატარა მკრეხელს,  
შერთულს ეროვნულ წარღვნის ნაკადში,  
როგორ შემეძლო ვყოფილიყავი მე კაპიტანი  
და თან მკრეხელი?

## ჩემი ქარლაისლი

გამვლელო, ცოდვა, უმეტესი ყოველ ცოდვათა,  
არის სიბრმავე სულიერი სხვა სულთა მიმართ.  
და სიხარული უმეტესი სიხარულთაგან  
არის საკუთარ მზერაში დანთქმულ სიკეთით ტკბობა,  
სასწაულის წამს დანახული სიკეთით ტკბობა,  
მე ვაღიარებ ჩემს გულზვაობას

და ჩემს ურწმუნო გესლიანობას.  
თქვენ კი თუ გახსოვთ პენივითის ხსნარო, რომელსაც  
ის ასხურებდა ფეროტიპზე და ხდიდა ცისფერს  
მსგავსად პიქორის კვამლის ბოლქვისა?  
როცა სურათი დაიწყებდა შემდეგ დაწმენდას,  
ცოცხალის მსგავსი სახე ჩნდებოდა?  
ასე რომ ჩემთვის თქვენი სახე გამოჩნდა, როგორც უარყოფილი  
და როგორც მტერი,  
მივაბიჯებდი ჩემს ქვეყანაზე და ჩემი სახე  
სულ უფრო ცხადი ხდებოდა თქვენთვის,  
ისევე როგორც თქვენი სახე – აშკარა ჩემთვის.  
ამის შემდეგ ჩვენ მზად ვიყავით გვევლო მხარდამხარ,  
ერთად გვეძლერა ქოროში და გვეძვანა სიცოცხლის დაისისათვის  
გალობა რადგან,  
სწორედ სიცოცხლის დაისია მთელი ცხოვრება.

## Xოსეუ ლიქსონი

ვინ გამოკვეთა დამსხვრეული ქნარი ჩემს ლოდზე?  
მე თქვენთვის მოვკედი, ეჭვგარეშეა.  
რამდენი ქნარი და პიანინო ავაწყვე და გაემართე თქვენთვის,  
კამერტონით თუ მის გარეშე ტკბილხმოვანად ვაქციე ისევ?  
მაშ კარგი!  
თქვენ ამბობთ კაცის ყურისაგან იშვალო ქნარი,  
მაგრამ საიდან განსაზღვრავს ყური სიმების სიგრძეს,  
ჯაღოსნურ რიცხვებს  
შემოღწეულს ფიქრებში, ვიდრე  
მიიხურება კარები თქვენი სუნთქვაშეკრული გაოცებისთვის?  
ყურის თვინიერ აღარა აქვს კაცს სასმენელი,  
რათა შეიგრძნოს ჰაერის სიმთა და ნაკადთაგან

ბგერების სული?

მათროლებს, რადგან მე ვეძახდი კამერტონს იმას,  
რაიც იჭერდა ფიქრთა ანტენით,  
მუსიკასა და შორეულ შუქს შერეულ ტალღებს,  
რაც მოისმოდა უშორესი სივრცეებიდან  
და ჰარმონია, ჩემს სულს რომ მართავს  
არის ნიშანი იმ ყურისა, მე რომ წარმომშვა,  
შემძლე იმისა, რომ კვლავ ამაწყოს,  
გამომიყენოს ისევ, თუკი მე  
ვიქნები ღირსი გამოყენების.

## X A L S O N S I I O L L A R L O

მთის წვერზე, ღრუბლებს ზემოთ აღმოვჩნდი,  
ღრუბლის ქულები ირწეოდნენ ზღვის ტალღებივით.  
მე ვთქვი: ის ქიმი ფიქრია ბუდას  
და ის მეორე – იესოს ლოცვა  
და ის მესამე – პლატონის ზრახვა  
და ის მეოთხე – დანტეს სიმღერა,  
აი ის კანტი, ის ნიუტონი,  
ის მილტონია და ის შექსპირი,  
და აი ის კი – სასოება დედა ტაძრისა.  
ჰა, ყველა ქიმი გახლავთ ლექსები,  
ლოცვებითა და ლექსებითაა გაუღენთილი  
ღრუბლის ქულები.  
და ვთქვი: „რას აქნევს უფალი ამ მთებს,  
ცას რომ სწვდებიან?“

## რასელ ქინქილი

ჩემს უკანასკნელ გაზაფხულზე, იმ უკანასკნელ გაზაფხულზე,  
იმ უკანასკნელ ღლებში,

მე უკაცრიელ ბაღში ვიჯექი,

საიდანაც სჩანს მობიბინე მინდურის გადაღმა

სამაროვნები წისქვილის ფონთან:

ჩაფიქრებული სწორედ ვაშლის გადამხმარ ხეზე

გამხმარ ტანზე და დამჭკნარ ტოტებზე,

რომლის ყლორტების სუსტი ყვავილი

ნაყოფად რომ არ იქცევიან აღარასოდეს

გადაფრქვევიან დახლეჩილ მერქანს.

მე იქ ვიყავი ჩემი სულით, გარშემორტყმული

ნახევრად მკვდარი სხეულითა და დამყაყებული ჩემი აზრებით,

მაგრამ ვფიქრობდი სიჭაბუკეზე, ჩვილ ნიადაგზე –

მოჩვენებების ყვავილების მქრქალი ნათებით

უსიცოცხლო დროის ტოტებზე.

ო, მიწავ, გვეწირავ, ვიდრე ზეცა დაგვისაკუთრებს!

რომ ვყოფილიყავ მე მხოლოდლა ხე მოცახცახე

გაზაფხულის ოცნებებით და გაფურჩქნილი ახალგაზრდობით

მე მოვყვებოდი იმ გრიგალში, რომელმაც სული

ამომაცალა და დამტოვა ველარმიმხვდარი,

სად ვიმყოფები აქ მიწაზე თუ იქ ზესკნელში.

## ბარონ ჰაიფილი

როს შენს ხსოვნაში ჩავრჩი, სფუნ რივერ

ახალმოსახლე კაცების და ქალების თვალწინ

სიტყვით წარმდგარი ზიარების ღლეს, მიტევების ეკლესიასთან,

გრანიტზე უფრო გამძლე ძეგლი დამიდგი ამით.

გაბზარული ხმით მოსაუბრე გალილეველ ჭაბუკ გლეხაკაზე,



ვინც ჩამოვიდა ქალაქში, სადაც  
მსაჯულებმა და ბანკირებმა შეჰყარეს სიკედილს:  
ჩემს ხმას ერთვოდა იენისის ქარი,  
რომელიც ქროდა ათერბურგიდან  
პურის ყანების თავზე.

თეთრი ლოდები მიწას ჩაფლულნი  
ეკლესიასთან ციმციმებდნენ მზის სხივებისგან.  
თუმცაღა ჩემი წარსულიც ხომ ძლიერ მძიმეა –  
მანაც შემზარეთ მწუხარებისგან თავდახრილებმა,  
გულმოკლულებმა ომში გამქრალი ქალიშვილებით თუ  
ვაჟკაცებით,

გარიჟრაჟზე თუ სიცოცხლის ბნელ შუადღეზე გამქრალ ჩვილებით,  
მაგრამ ტრაგიკულ მღუმარების სწორედ იმ წუთში,  
პური და ღვინო როცა ჩათავდა,  
ჩვენ ვეზიარეთ ერთსულოვნებას –  
ჩვენ ტყისმჭრელნი და გუთნისდედები,  
ჩვენ გლეხკაცები,  
ძმები ჭაბუკი გალილეველის,  
ჩვენ მოგვევლინა ჭირისუფალი  
და ნუგეში ცეცხლის ენების.

## ოსაია ბქიძოვენი

ასე მითხრეს, რომ სამ თვეზე მეტს ვერ იცოცხლებო,  
მეც გადაფორთხდი ბერნადოტის სანაპიროსთან  
წისქვილის პირას საათობით ვიჯექი წყნარად,  
სადაც მდინარე ღრმა მორევს ქმნიდა,  
გეგონებოდა, რომ მდინარე არ მოძრაობდა:  
ჰოი, სამყაროვ, შენც ასეთი ხარ!  
შენ ხარ უღრმესი მორევი წყალში,  
სადაც ცხოვრება ირეკლება და ჩვენც შევხარით  
საკუთარ სახეს, ვართ ზმანებაში და ზურგს შევაქცევთ,

მაგრამ როდესაც მოგვინდება კვლავ ხილვა სახის,  
ენახულობ დაბლობს ბუჩქებისას გამხმარი ბამბის  
და ჩავეშვებით წყალუხვ ჩანჩქერში!  
მაგრამ წისკვილთან ღრუბლის ქულის ციხე-კოშკები  
იწვევდნენ ერთურთს მბრუნავ მორევში:  
მათი აგატის იატაკზე შუალამისას  
თვალს მიჭრელებდა მთვარის ლაციცი  
და ფლეიტის ხმა სამაროვნებზე მდგარი ქოხიდან  
ამსხვრევდა ტყეთა მიჩუმათებას,  
ბოლოს კი, როცა ავადმყოფი ჩავემხე ლოგინს,  
გატანჯული და დასუსტებული, მეზმანა თითქოს  
მდინარის სული შემოიჭრა ჩემს სულისკნელში  
და თავმოყრილი მთელი ძალ-ღონე ჩემი სულიდან  
ისე ძალიად გაიჭრა, უცებ მეჩვენა, თითქოს  
კი არ მიქროდა, ისვენებდა, ღრუბლის ქალაქებს  
ვერცხლის ბურთებსა და ცვალებად სამყაროს ქვემოთ –  
სანამდის თვალი არ მოკვარი წამისად საყვირს,  
ქონგურებზე დროყამის კოშკის!

## ქლიჯაკ ბრაუნინგი

მთის ძირას ვიდექ

მოცეკვავე ბავშვების გუნდში.

აღმოსავლეთის ნიაევი ქროდა, და ფოთლებივით ფანტავდა  
ბავშვებს,

ზოგს ფერდობისკენ ერეკებოდა... შეიცვალა შემდეგ ყოველი,  
ჩამოწვა მთვარის იღუმალეობა, დაქროდა სხივი და მუსიკის  
ნეტარი ჰანგი.

ცა მოიქუფრა და როცა ისევ გაიფანტა ღრუბლის ქულები,  
კვლავ შეიცვალა ირგვლივ ყოველი,  
ახლა ჩემს ირგვლივ ირეოდა ბრბო მოყაყანე.

შემდეგ ვიღაცა შემოსილი ოქროცურვილით, ვიღაც  
საყვირით და კიდევ ერთი  
ხელარგნიანი აღმოჩნდნენ ჩემს წინ.

მათ მე დამცინეს, რიგადონი იცეკვებს და უკვალოდ გაქრნენ...  
კვლავ შეიცვალა ირგვლივ ყოველი, ყაყაოების საბუღარიდან  
ქალმა გულმკერდი გაიშიშვლა და მომიღერა ტუჩებთან ძუძუ,  
მე მას ვაკოცე, მლაშე იყო მისი ტუჩები.

მან ჩემს ტუჩებზე დატოვა სისხლი. მე დავემხე ქანცმიღეული.  
მე ავდექი და ავუყევი მთის ფერდობს, მაგრამ ნისლმა  
ვითარცა აისბერგიდან  
დაფარა ჩემი ნაფეხურები. ვგრძნობდი ტკივილს და მწარე  
სიცივეს,

შემდეგ კი ისევ მომელვარა მზის მცხუნვარება  
და მე ვნახე, რომ ჩემს ქვემოთ ყოველს ნისლი ებურა.  
და მე, არგანზე დაყნობილმა, საკუთარი ჩრდილი ვიცანი  
ქათქათა თოვლზე. ხოლო ჩემს ზემოთ  
გასუსული ჰაერი იწვა, გარღვეული ყინულის წვერით,  
რაზეც ებნია ერთი ვარსკვლავი!  
აღტკინებულს და შეშინებულს დამიარა სხეულში ჟრჟოლამ.  
მაგრამ მე უკვე არ შემეძლო ჩამოსვლა მთიდან  
და აღარც მსურდა.

რადგან ჩემს ზემოთ, ციცაბო ეთერს  
ემხეფებოდა თავისუფლების სიმფონიის ტალღები ჯერაც.  
და მე უფრორე ავინაცვლე მწვერვალისაკენ.  
მორს მოვისროლე ჩემი არგანი  
და მივწვდი ვარსკვლავს  
გაწვდილი ხელით.  
გავქრი უკვალოდ.

ვინც კი ოდესმე მისწვდება ვარსკვლავს,  
მას მთა გაუმხელს უსასრულო ჭეშმარიტებას!

თუ გახსოვს, პოი, დელფოს აპოლონ,  
მზის ჩასვლის წამი, მდინარისპირას, როცა იყვირა მიქი  
მაქერიუმ „შეხეთ, ავსული!“ მე კი ვთქვი „დელფოს  
აპოლონია!“ ხოლო ბანკირის ვაჟიშვილმა დაგვცინა  
მწარედ:

„ათინათია, წყლის, ჭკვათხელებო!“ მოყოლებული აქედან  
წლები მომაბეზრებლად მიქროდნენ, ვიდრე დიდი ხნის  
შემდეგ.

საბრალო მიქი წყალსაწნევი კოშკიდან დაბლა დაეშვა  
სიკვდილშეყრილი, დაბლა, სიღრმეში მღვრიე მორევის, მე  
კი დამქონდა ხსოვნა, რომელიც მასთან ერთადვე მოკვდა  
ვით ანთებული მაშხალა მიწას დანარცხებული და  
შუქგამქრალი, ჩემგან კი შიშით გადამალული, რომ არ  
მოეხმო ბანკირის ვაჟს პლუტოსისათვის ჩემთვის  
საშველად?

შური ვიძიე სირცხვილისთვის შემკრთალი გულის შენზე  
ვინც მართო დამტოვე, ვიდრე ისევ არ შეგხვდი იმ წამს  
როდესაც მე მომეჩვენა, რომ ჩემი ტანი ხედ გადაიქცა  
და ტოტებად ჩემი ხელები,

უგრძნობ ქვად ქმნილად, თუმცა რომელზეც იფურჩქნებოდა  
დაფნის ფოთლები, უშქარი დაფნა თრთოლვით, ფართხალით,  
ხრაშუნით, ჩხუბით, შეუმჩნევლად მოზოზინობდა  
სისხლძარღვებისკენ მომაკვდავი ხის ტოტებიდან!  
ო, სიყმაწვილევ, ამაოა, ვერ გაუსხლტები აპოლონის  
ვნებიან ძახილს!

შთავარდი ცეცხლში, მოკვდი სიმღერით გაზაფხულისა  
თუ ვერ ასცდები გაზაფხულზე გარდაცვალებას. რადგანაც  
ველარ შეძლებს შეავლოს მზერა აპოლონს და თან  
დარჩეს ცოცხალი, რამეთუ უნდა აირჩიოს ორიდან ერთი:  
ანდა სიკვდილი ცეცხლის ალში ან წლების შემდეგ  
მწუხარებაში,

ზარგამხდელ ხელებს გრძნობ მიწიდან ფესვმოგლეჯილი,  
ჟრჟოლისმომგვრელი საშინელება მიცოცავს აღმა, ტანზე  
კი არა უფრო მაღლა დაფნის ფოთლებში, მარადმწვანეში  
აღსასრულამდე.

ფოთლებო ჩემო, ო, საშინლად გახუნებულნო  
გვირგვინისათვის,

გამოსადეგნო მოგონებათა ურნისთვის მხოლოდ,  
თქვენ ალბათ იმათ დარჩებით ვისი გულებიც უტეხია  
და ვერ შეაკრთობთ, სიმღერა და სიცოცხლე ქვეყნად  
დელფოს აპოლონ!

---

(აწ განსვენებული ბატონი ჯონათან სეიფტი სომერსი,  
სფუნ რივერელი პოეტი ლაურეატი (იხილეთ გვერდი 95...) აპირებდა დაეწერა ეპოსი „სფუნიადა“ ოცდარ წიგნად, მაგრამ ბედისწერამ პირველი წიგნის დამთავრებაც არ აცალა. ქვემოთ მოტანილი ნაწყვეტი მის ქალაქებში აღმოაჩინა უილიამ მარიონ რიდიმ და პირველად გამოაქვეყნა „რიდის მირორში“ 1914 წლის 18 დეკემბერს).

## ს ფ უ ნ ი ა ლ ა

ჯონ კაბანისის რისხვაზე! და მტრულ დასთა შორის  
მძვინვარე ომზე და საშინელ დამარცხებაზე  
იმ კაცის, ვინაც უწინამძღვრა ხალხს იმ იმედით  
რომ გაეხადა სფუნ რივერი თავისუფალი,  
როუდსის ბანკის საბოლოოდ გაკოტრებაზე –  
რამაც წუხილი მოიტანა, აურაცხელი,  
ფულის დაკარგვა, სიძულვილი, სასტიკი ზიზღი,  
რამაც ჩაუგდო ანარქიას ხელთ ჩირაღდანი  
სასამართლოს დასაფერფლავად, რომლის ნანგრევზეც  
წინსვლის სახელით აღიმართა ბრწყინვალე სახლი

მართლმსაჯულების – იმდერე მუზავ,  
ქიოსის<sup>2</sup> მკვიდრის ღიმმოფენილ, ნათელი სახით,  
ვინაც იხილა ჭიანჭველის მსგავსად ბერძნები  
და ტროელები სკამანდროსთან<sup>3</sup> ვით დაცოცავდნენ  
კედლებზე ერთურთს ადევნებულნი და კოცონი  
დალუპულთათვის; მსხვერპლმეწირვა ასი ხარისა;  
ვინაც იხილა ყოველივეს პირველმიზეზი  
ელენე, ტროას ვინც გაიქცა პარისთან ერთად  
ვით სულისწორი; ვინაც იხილა რისხვა პელევსის  
ვაჟის, რომელსაც ბედისწერამ დააკარგვინა  
უსაყვარლესი ბრისეიდა, ნადავლი ომის,  
ტკბილი ტყვე ქალი.

...ლამის ვაჟო სახელად მომოს<sup>4</sup>  
ვისი თვალისთვის დაფარული აღარ არსებობს  
არაფერი და შენ თალიავ,<sup>5</sup> პირმოცინარეც,  
მარქვი თავიდან, როუდსსა და კაბანისს შორის  
რატომ დაიწყო ომი ასე გავეშებული?  
ჯონ კაბანისის ქალიშვილი, ფლოსი, დაბრუნდა,  
მოხეტიალე დასთან ერთად მსახიობების:  
მოედო სოფლის ქუჩებს და შუკებს სამკაულების  
ჟღარუნითა და ბეჭდების ბრწყინვით,  
სიცილ-კისკისით, გესლიანი ბრძნული სიტყვებით,  
მაცდური მზერით და როუდსმა, ვინაც ტაძარსაც  
თვისი ბანკივით განაგებდა, გაკიცხა გოგო  
და სფუნ რივერიც აჭორავდა და ყველა ბღვერით  
უმზერდა ფლოსის ტაძარში და დაასკენა ფლოსიმ,  
რომ მათ აფრთხოვდა, ამად კიცხავდნენ. თუმცა არ კრთოდა  
და კვლავ ცეკვავდა ხმაზე ვიოლის და ფლეიტისა,  
პეორიიდან რომ მოიტანა და ყმაწვილები  
ლოცვებით ლამის სასუფეველს მიტანებულნი,  
თავგადაკლული მოქადაგენი, გულწრფელი სულნი  
ცეკვავდნენ გზნებით და შთანთქავდნენ მზერით მას – მროკავს  
გულღია კაბით, მათი თვალები იკარგებოდნენ  
თეთრებში ჩაფლულ თოვლის ფერდობში.

მოწყენილ დაბას სიხარული შეუნთო ცეკვამ,  
მკერავი მისის უილიამსი ვერ ასდიოდა  
მოდურ ქუდების ახალ შეკვეთებს:  
ყველა მკერავი გამწარებით ავლებდა ხაზებს,  
უკლებლივ ყველა ზანდუკი და სკივრი გაიხსნა.  
გამოალაგეს დამალული საცაეებიდან  
გულსაბნევეები, ბეჭდები და მაქმან-ბაფთები  
და მოხდენილად შეიმოსნენ ახალგაზრდები:  
გაიშრიალეს ბარათებმა და საღამოხანს  
თაიგულები გაჩნდა კართან ლამაზმანების,  
პოდა, წყვილები მოსეირნე შეყვარებულთა  
მოედნენ გორაკს, მდინარეს რომ გადმოჰყურებდა,  
შემდეგ კი, რადგან ღეთისმოსავი მრევლი შეთხელდა  
ერთ-ერთმა უფლის რჩეულთაგანმა, ხმა აღიმალდა:  
„ჩვენ შორის არის ბაბილონის ქალი,<sup>6</sup> აღსდექით,  
ნათლის ვაჟებო, განაძევეთ თქვენგან გარყვნილი!“  
შემდეგ დატოვა ეკლესია ჯონ კაბანისმა,  
დატოვა დასიც კანონის და წესიერების  
და გადავიდა ბოღმისაგან თვალანთებული  
ლიბერალებთან, – მერობაზე იყარა კენჭი  
გასაქრობად ა.დ. ბლუდის.

შემდეგ, როგორც კი ომი  
ხმებისათვის გახდა სასტიკი, ატყდა ჩურჩული:  
როუდსის ვაჟის გამოტანილ სესხზე ბანკიდან,  
რომ თითქოს ხალხის ანაბრებით ფიქრობდა რალფი  
დანაკარგები დაეფარა ხორბლის საქმეში;  
და რომ როუდსის ბანკი უფრო დაცარიელდა;  
რომ ლიბერალნი ბანკის გახსნას ფიქრობდნენ თითქოს.  
წყევლა-კრულვაში, დახეთ, მაინც გასკდა სიცრუე.  
ლიბერალებმა კი გაიცინეს და შეიკრიბნენ  
ნიკოლას ბინდლეს დარბაზში, სადაც  
ბრძნულად ბჭობდნენ და კამათობდნენ სიმხნევისათვის.

ავანსცენაზე, – საიდანაც სჩანდა დარბაზი, რომლის კედელსაც ამშვენებდა გადათხაპნილი სურათი თმაწვერაშლილი და თვალბრუციანი შექსპირის, რაიც ძლიერ ჰგავდა დულმანის მუშას, – მიშტერებული გარესამყაროს, იჯდა, ცნობილი ჰერმან უითენი, უხამსი, ცრუ, თუმცა პატივდებული, ის წამოდგა და ამბოხებულთ მიმართა ასე:

„ვიწვეთ გულადმა, ნება მივცეთ ხროვას მშიერთა, ცივისსხლიანთა, ინტრიგანთა, მეფსალმუნეთა, რომ გადასანსლონ ჩვენი მეობა, დაამხონ ბანკი; ქარს გავატანოთ მონაგარი ჩვენი მცირედი, იმ იმედით, რომ ღორის ხორცში ანდა ხორბალში ვნახავთ მოგებას თუ მოვიკუნტოთ სწორუპოვარ კოშკების ჩრდილქვეშ, რომ მოვიხელთოთ პური ლაქიის და სამსახური ბანკში სიხარბის თანამოწილის – საკითხავი აი ეს არის?

ცეკვა-თამაში, მხიარული სიმღერები თუ მხოლოდ ზართა ხმა? გორაკებზე მდინარის პირას ახალგაზრდათა მიჯნურობა და ხეტიალი აპრილის ცრემლით აყვავებულ არე-მარეში, თუ სახლში ჯდომა და კროკეტის თამაში თომას როუდსის თვალწინ, მე გეკითხებით?

ახალგაზრდათა სისხლი თუკი ვერ ეგუება ამ მმართველობის ბნელ უკუნეთს; დავემორჩილოთ ამ ყმაწვილებს და ამ ქალწულებს თავისუფლებით და სილალით დადალულთ?

მაგრამ სანამ ის სიტყვას ჩაამთავრებდა „არა!“ ისმა ქალის ძახილი, შემდეგ კი, როგორც პირავსებულ ღორთა ყელიდან გაისმა ხმები, მოხრიგინე სკამთა ხრიალის და ყველამ თავი მიაბრუნა, ვით ბატთა გუნდი შემობრუნდება მონადირის ფეხის ნაბიჯზე და აიჭრება ზეცისაკენ ფრთათა ბარტყუნით;



შემდეგ დარბაზი გააყრუა ხაფმა სიცილმა;  
დაჭყლეტილ ქუდით, ჩამოხრილით უტიფარ თავზე,  
ღეზი ფრაზერი შემოიჭრა მუშტალმართული.  
მას გააგდებდნენ დარბაზიდან, ალბათ, უმაღლე,  
მაგრამ დაიხსნა ის ბლოიღმა – ვინც საუბრობდა  
მანდილოსანთა უფლებებზე და თან ღრიალმა  
ბუჩარდის. შემდეგ სცენისკენ დაიძრა ჩქარა  
და მოაფრქვია ტაშის ხმაზე ოქრო და ვერცხლი  
და გაეცალა დარბაზს სასწრაფოდ.

ამ დროს კი ადგა  
წვერმოშევებული, ალკმენეს ვაჟის<sup>7</sup> მსგავსი ფიგურა,  
მხარბეჭიანი გოლიათი მოზრდილი ღიპით  
და თქვა ქუხილით – ასე განსჭვრიტეთ,  
ქმარი, რომელიც ცოლს ედავება სიმართლის გამო,  
ამგვარი არის ჩვენი სული – როცა ა.დ. ბლუდი  
მაიძულებდა, რომ ღომ პედრო გადამეყვანა...

სწრაფად, ვიდრემდის ჯიმ ბრაუნი დაამთავრებდა,  
სიტყვა ითხოვა ჰაუორდმა და ისაუბრა:  
„დროს ნუ დავხარჯავთ ხუმრობაში, რადგან სასწორზე  
ჯონ კაბანისის რისხვაა და სხვა არაფერი,  
იგი ხომ მუდამ სხვა მხარეს იყო  
და გადმოაგდო ჩვენს ბანაკში შურისძიებამ,  
უფრო მეტია დადებული სასწორზე, ვიდრე  
ზეიმი ახალ ინგლისელთ ან ვირჯინიელთა,  
თუ დაილევს ამ წელიწადს იმდენი რომი  
როგორც გასულ წელს და იქნება ქალაქი „მშრალი“  
ო, დიახ მცირე – ბიუჯეტის შემოსავლიდან,  
ტროტუარის და წყლის მილთათვის; საკმარისია!  
მე შევსთხოვ უფალს, რომ ალგვანთოს ჩვენ ბრძოლისათვის  
სულ სხვა ვნებებმა და არა დაცვამ ღირსებისამ  
კაბანისის და მისი ქალწულის. ო, რად არ ძალგვიძს  
რომ გამოვსძალოთ დიადი საქმე დიად მოვლენებს

და არა მცირეთ? ადამიანი თუკი მაინც  
ვალდებულია, რომ მუდამდღე ასე მოიქცეს  
და თუკი რომი მედიუმი და სიმბოლოა  
მწარე ცხოვრების და მონობისგან თავისუფლების –  
მიბოძეთ რომი!“

მხიარული გაისმა უმაღ  
გნიასი. შემდეგ, როს ჯორჯ თრიმბლემ დასძლია შიში  
და ორჭოფობა და დაიწყო მჭერმეტყველება,  
გაიღო კარი და სულელი უილ მეთქალფი,  
ზეწარზე თეთრი, თავშიშველი, გულამოვარდნით  
შემოვარდა და დაიძახა „მარშალი მოდის  
თქვენს დასაჭერად და რომ იცოდეთ  
ხვალ ვინ აპირებს მოსვლას აქ: მე მიყურადებულს  
მესმოდა მათი გეგმა სარკმლიდან.

ჰოდა, პატარა  
ოთახში, რათა მოესმინათ სულელისათვის,  
შევიდნენ სხდომის თავმჯდომარე და სხვა წევრები:  
პანთიერი და ჰოუორდი, უენდელ ბლოიდი,  
უეირაუქი, სეთ ქომფთონი, გოდვინ ჯეიმსი,  
პირამ სქეითი, რომი ბუთლერი, ენიქ ღუნლაფი,  
ერენ ჰარდტი და პენივითი, ერნესტ ჰაიდი,  
როჯერ ჰესტონი, ჯორჯ თრიმბლე და ქინსი ქიინი,  
კარლ ჰამბლინი და ი.ს. გულბერტსონი, ფრანკლინ ჯოუნსი,  
ბენჯი ფრაზერი, – ძე ბენჯამინ პანთიერისა, –  
ნაშობი დეზი ფრანზერის და კიდევ მხატვარი,  
შეიკრიბნენ და ბჭობდნენ იღუმალ,

მაგრამ დარბაზში  
დაისადგურა არეულობამ და როს მარშალმა  
შემოაბიჯა და იხილა უწესრიგობა,  
დააპატიმრა მოყაყანენი.

ამასობაში  
ეკლესიის სარდაფის უკან, ბლუდმა შეჰყარა  
ბრძენნი რჩევისთვის: მოსამართლე სომერსი, ვინაც

ღრმად შეისწავლა ეს ცხოვრება, შემდეგ როუდსი, ლამბერტ ჰათინსი, უედონი, შემდეგ სთანდარდი – ლიბერალების მოღალატე, რომელსაც ზიზლი ეკრა ტუჩზე და ვინც წარმოთქვა მწარე ღიმილით: „ამგვარი ბრძოლა გალანძღვისთვის მხოლოდლა ქალის, ცხრამეტი წლის ყმაწვილი ქალის“, კიდევ დუღმანი ქრისთიანი, და სხვა მრავალი, ვინც არ კიცხავდა კათხა ლუდს, მაგრამ არც ის სურდა, რომ დემოკრატებს აეშვათ თავი და შემოეღოთ წესები, რაიც თავისუფლების და სიცოცხლის წყურვილს მათთან აიგივებდა.

როგორც კი დიღამ თოვლიანი თითებით<sup>8</sup> ცისკენ ზეაისროლა ლაჟღაჟა მზე, ვით ფორთოხალი, წამოიღმართნენ ნაჩქარევად საწოლებიდან<sup>9</sup> მტრული ძალები და ქუჩებში დაირხა ექო ეტლთა ჟღარუნის, ძილისგუღათ რაც აღვიძებდა და შეძახილი საარჩევნო შტაბის ბელადთა. ყიჟინი დასცეს ათ საათზე ლიბერალებმა გაყალბებაზე და კონკურენტმა კანდიდატებმა იწყეს გაწევა გაშმაგებით და ხელის ქნევა, შემდეგ სულელის გაფრთხილებაც ახდა: ქუჩაში ღორისთვალემა აღენი გაჩნდა, ვინც აძრწუნებდა არემარეს სამაროვნების ბერნადოტიდან ათი მილის გადასახედზე. არც ერთ კაცთაგანს იმ წყეულ დღეს აღარ შეეძლო იმხელა ლოდის წამოწევა, როგორიც იმას და ზანზარებდნენ ფანჯრები, როცა ის საუბრობდა, წარბთა ქვემოდან, ჩალით შებურვილ ჩარდახს რომ ჰგავდა, კუნაპეტი ჯაგარა თმებით, ბრწყინავდნენ მისი გაგიჟებული ტახისებრი, ციცქნა თვალევი და ჭრაჭუნობდა იატაკი მისი ბიჯისგან, მისი ბიჯისგან გაისმოდა მუქარის ხმები. ის მოდიოდა ა.დ. ბლუდისგან დავალებული,

ქომაგი მისი, ლიბერალთა შესაძრწუნებლად  
და ქორის შიშით გაფანტული წიწილებივით  
გაიქცა ზოგი. დაიარა იმან უბნები,  
თითქოს ხუმრობით გიგანტ ბრაუნს შეეხო ხელით  
და მიახეთქა ის კედელზე სუსტი ბავშვივით,  
ასე ძლიერი იყო ალენი ღორისთვალემა.  
ლიბერალები კი ქირქილებდნენ, რადგანაც მალე  
გადაეყარა მოსეირნე ღორისთვალემა  
ბენგალ მაიქის; გამჭრიახმა ქინსი ქინმა,  
რომ მოუყვანა საასპარეზოდ ღორისთვალემას;  
ის სხვებზე დიდი იყო ალბათ სამ-ოთხჯერ მაინც,  
რკინის თვალებით და ვეფხვის გულით.  
წინა დღეებში ორი კაცი მოკლა მან, ხოლო  
მრავალი დაჭრა, მას აღარავის არ ეშინოდა.

ღორისთვალემა ალენმა როცა ნახა ბენგალი,  
გაშავდა თითქოს და შეთრთოლდა მძვინვარებისგან  
მისი ჯაგარი ჩაწითლებულ თვალების ფონზე,  
მისი ღიღინის შიშისმცემი გუგუნე მიწყდა,  
მოჰყვა სიარულს სასამართლოს სასახლის ირგვლივ,  
ბენგალ მაიქი მიჰყვა უკან, თან დასცინოდა  
ყოველ ნაბიჯზე „მოდე სპილოვ, ვიჩხუბოთ! მოდი  
ღორისთვალემავე, ერთი ერთზე მოდი, ლაჩარო,  
მოდე ვიჩხუბოთ ჩხუბისთავო, ჩამშვებო ქონო!  
მოდე, დამარტყი კუნთმაგარო, თუ შეგიძლია,  
აილე თოფი და მომეცი, შტერო, საბაბი  
მიგასიკვდილო, აილე ჯოხი, რომ ჩაგაფარო  
მაგ ტახის თავზე აგურის ფილა!“  
მაგრამ ვერც ერთმა მისმა სიტყვამ, ღორისთვალემა  
ველარ მოსწყვიტა ბოლთის ცემას, ვერ ააღელვა,  
მათ დაჰყვებოდა ბავშვების გუნდი და შეჰყურებდნენ  
მამაკაცები მათ სეირნობას დაღამებამდე.  
მაგრამ როდესაც უხალისო მზერით აპოლო

ბორცვების თავზე ორთაბრძოლის შედგა მსურველი,  
როდესაც ყველამ არჩევნებში უყარა კენჭი  
და დაიკეტა ყველა უბანი, ბენგალ მაიქიმ  
შესძახა გესლით, თრეინერის აფთიაქთან და  
მოედო სოფელს ექო მისი გამყინავი ხმის:  
„მითხარ, ვინ იყო შენი დედა, ღორისთვალეზავ?“  
და მყისვე, როგორც მიუხტება ტახი მეძებარს.<sup>11</sup>  
აგვისტოს ხვატში ვინც ბურქებში კბილს აკრაჭუნებს,  
ღორისთვალეზა დაეძგერა ბენგალ მაიქის  
და შემოაჭდო გოლიათი ხელები ყელზე:  
ზეცას აიჭრა ჭაბუკების ყიჟინი სხარტი,  
ეძგერა ქურებს მამაკაცთა კივილ-ძახილი.  
ბენგალ მაიქი შეეცადა თავის გამოხსნას,  
თავს დაბლა დრეკდა, კუმშავდა კისერს, ცდილობდა თითქოს  
ღორისთვალეზას სასიკვდილო ჭიდის გაწყვეტას  
ორკეცი რისხვა აღმომსკდარი მისი ყელიდან,  
და მუშტი სწრაფად მოქნეული, სიკვდილს შემყრელი,  
ღორისთვალეზა ალენს ეძგერა მოუწყველად მკერდზე.  
მოვარდა ზოგი გასაშველებლად, ზოგიც პირიქით  
აქეზებდა და ატყდა ჩხუბი სხვებთა შორისაც,  
ბევრი გულადი აგურით და ჯოხებით ხელში  
მოვარდა!

მაგრამ, მიაბე მუზავ,<sup>12</sup>  
რომელმა ღმერთმა ან ქალღმერთმა იხსნა ბენგალი?  
უკანასკნელი ძალმოსილებით ჩასჭიდა ხელი  
მომაკვდინებელ მკლავებსა და მტერს გამეტებით  
ამოსცხო წიხლი და ვით მეხნაკრავს,  
გამოეცალა ღორისთვალეზა ალენს ძალ-ღონე,  
ძირს ჩამოეშვა გოლიათის მოდუნებული  
ხელები, ხოლო ოფლიან და ფერმიხდილ სახეს  
გადაეფარა შიში და ტანჯვა, ჰოდა, მუხლებიც,  
მოუდრეკი მისი მუხლებიც, ააკანკალა  
მძიმე სხეულმა და სწორედ მაშინ, ბენგალ მაიქი,

ვითარცა ლომი გადახტება დაჭრილ მსხვერპლისკენ,  
მიეჭრა მტერს და საფეთქელზე, ქვასავით მუშტი  
გლიჯა და დასცა მოცელილი ალენი ძირში,  
ვის თვალსაც ბნელი ჩამოეფარა როგორც ღრუბელი.

როგორც ტყისმჭრელი რომელიმე ბუმბერაზ მუხას  
მოჭრის ზაფხულში და შეაკრთობს ტყის მოგალობეთ,  
და მუხის წვერზე დაბუდებული ქორი კრიახით  
თავს დასტრიალებს თავის ბარტყებს; მოჭრილი მუხა  
მომმეთა ტოტებს ჩამოსხეპს და დაენარცხება,  
ასე დაეცა ღორისთვალემა მეგობართა შორის ა.დ. ბლუდის.

ზუსტად ამ დროს კი ჯანიანმა ოთხმა ვაჟკაცმა  
ჯექ მაქგუერისგან განგმირული მარშალი, რომლის  
რკინისებრ სახეს სასიკვდილო იერი ელო,  
შემოასვენა თრაინერის აფთიაქში და  
„ჩაქოლეთ იგი“ ამაზრზენი ისმა კივილი  
და მოძახილი ყველა მხრიდან ნაბიჯთა ხმების  
გაენტო...

---

## შენიშვნები

1. *შეადარეთ*: „მუზავ, ქალღმერთო, უმღერე პელევსის ძის, აქილევსის რისხვას!“ ჰომეროსი. „ილიადა“, ქება პირველი. რომან მიმინოშვილი, ჰომეროსის სამყარო. თბილისი 1988 წ. შემდგომიც ზემოთხსენებულ გამოცემას დავიმოწმებთ. (ქ. ქ.)

2. შვიდთაგან ერთ ერთი ქალაქი რომელიც იჩემებდა რომ ის იყო ჰომეროსის სამშობლო.

3. სკამანდროსი, მდინარე ტროასთან, ასევე სახელი ჰექტორიასა და ანდრომაქეს ვაჟისა, რომელსაც ტროელებმა ასტიანქატი შეარქვეს. (მითოლოგიური ლექსიკონი, შემდგენელი ნო-

დარ გაფრინდაშვილი. თბილისი 1972 წ.) იგივე მდინარის ღმერთი ქსანთოსი.

4. მომოსი – ქალღმერთ ნიკტის (ღამის განსახიერება) ვაჟი, ბოროტსიტყვაობისა და დაცინვის განსახიერება. მით. ლექსიკ...

5. თალია – ერთ-ერთი ნერეიდა. კომედიის მფარველი მუზა.

6. შეადარეთ: „...მოვედ და გიჩუენო შენ სასჯელი იგი მეძავისა მის დიდისა, რომელი იგი ზის ზედა წყალთა მრავალთა.“

რომლისა თანა ისიძვეს ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა, და დაითვრნეს ყოველნი მკუიდრნი ქუეყანისანი ლუინის მისგან სიძვისა მისისა.

და შუბლსა ზედა მისსა სახელი დაწერილი: საიდუმლო, ბაბილოვანი დიდი, დედა მეძავთა და საძაგელებათა ქუეყანისათა.“ (ახალი აღთქმა ფსალმუნითა. ტფილისი 1879 წ.)

7. ალკმენეს ვაჟი – ჰერაკლე, ალკმენესა და ზევსის შვილი.

8. შეადარეთ: „შემდეგ გააპო ღამის წყვდიადი განთიადის ქალღმერთმა, ვარდისფერთითებიანმა ეოსმა და უკანვე გაუდგნენ გზას აქაველები“ „ილიადა“. ქება პირველი, გვ. 13. ასევე ქება მეცხრამეტე, გვ. 113.

9. შედ. „წამოიშალნენ ხომალდებიდან და კარებიდან აქაველი მეომრები. ...დასჭექეს ბუკი. თავი მოიყარეს რაზმთა მეთაურებმა. გვ 17–18 „ილიადა“.

10) შეადარეთ ჰერას ეპითეტს – ხარისთვალეზა.

11) შეადარეთ. „...როგორც უსიერ ტევრში კისრისტეხით მიფანტ-მოფანტავს ხოლმე ტახი მღევარ მწევრებს...“ „ილიადა“. გვ.103.

12) შეადარეთ: „მაგრამ დიდმა ღმერთებმა არ გაგიმეტეს, მენელაოს! ზევსის ასული ათენა გადაგეფარა...“ „ილიადა“. გვ.30.

## ეპილოგი

(სფუნ რივერის სასაფლაოს ეზო. ორი ხმა ისპიზ ეკრანს მიღმიდან, რომელზეც გამოსახულია სატანურ და ანგელოზურ ფიგურათა მრავალგვარი ალეგორიული ურთიერთობანი. სუსტი შუქი რიალებს ეკრანზე დაკლავნილი ტოტების, ფოთლებისა და ჩრდილების მსგავსად.)

პირველი ხმა – ჭადრაკი გნებავს?  
მეორე ხმა – გულწრფელად გინდა?  
პირველი ხმა – ჩემი სვლა – ნება!  
მეორე ხმა – ბრმად ჩამოდიხარ.  
პირველი ხმა – ჰა, სული მაშინ.  
მეორე ხმა – სურვილით ქიში.  
პირველი ხმა – უკედავი მადლი!  
მეორე ხმა – უკედავი ჭირი.  
პირველი ხმა – ვჩქარობ მეფისკენ.  
მეორე ხმა – შეირგე სუნთქვა!  
პირველი ხმა – ჩაველ სიცოცხლე.  
მეორე ხმა – ქიში, კვდომით – თქვა.  
პირველი ხმა – კარგი, ჰა, მოსე.  
მეორე ხმა – ურიებს გაძლევ.  
პირველი ხმა – ახლა კი – ქრისტე.  
მეორე ხმა – შენ – წმინდა პავლე.  
პირველი ხმა – წმინდა პეტრე, ჰა!  
მეორე ხმა – ვერ მიხვდი – მეთქი?  
პირველი ხმა – მეფის ხაზზე ხარ?  
მეორე ხმა – კონსტანტინეთი!  
პირველი ხმა – უკან, ათენში.  
მეორე ხმა – სპარსელნი, ნახე!  
პირველი ხმა – მე კი ბიბლია.  
მეორე ხმა – რა განიზრახე?  
პირველი ხმა – ავიღებ ბუდას.



მეორე ხმა – აღარ გამოვა.

პირველი ხმა – ავიღებ მაკჰადს.

მეორე ხმა – თურქებს ჩამოვალ.

პირველი ხმა – მთლად დაიხლართა. სად ვდგავართ ახლა?

მეორე ხმა – შენ ხარ მიწაზე, მე – მეფესთან ვარ!

ჩამოდი რაც გსურს და ითამაშე,

დაგსრეს, დაგაბნევ, დაგაშამათებ!

პირველი ხმა – მე დავილაღე, შვილი განაგრძობს,

ის დაგამარცხებს და ტყავს გაგაძრობს.

მეორე ხმა – რას მეუბნები?

პირველი ხმა – უნდა გავუძღვე ვარსკვლავთა ხომლებს.

მეორე ხმა – კარგი ბატონო, მაგრამ გახსოვდეს,

წესებს არ შეეცვლი აღარასოდეს!

თამაშს მე ვმართავ, წესი წესია.

პირველი ხმა – თამაშს მხოლოდღა!

სიმართლე კი ჩემი ხვედრია.

მეორე ხმა – დამარცხებულს, მშორდები ღიზლით.

დავამსხვრევ დაფას ბოლმით და ზიზლით!

(წაქცეული მაგიდა იატაკს ენარცხება, ხოლო ქვები ჩხარუნით იფანტება)

აჰა, ეს შენი არმიები და ფლოტილია!

წარღვნა ქვეყნების და ერებისა.

ღღეს ათეიზმის ჟამი გველირსა.

(ეკრანი უჩინარდება და გამოჩნდება ბელზებელი საყვირით ხელში, რაშიც სუსტად უბერავს, ღამის ჩრდილიდან უცებ გამოჩნდებიან ლოქი და იოგარინდრა).

ბელზებელი – ღამე მშვიდობის ლოქი!

ლოქი – მასვე გისურვებ შენაც.

ბელზებელი – სალამი, იოგარინდრა!

იოგარინდრა – სალამი, შენ და ლხენა!

ლოქი – საიდან გაჩნდი აქ, მეგობარო?

ბელზებელი – ვიმყოფებოდი ეკრანის უკან.

იოგარინდრა – ეკრანის უკან რას აკეთებდი?

ბელზებელი – იქ ძილს ვუფრთხობდი იმ ძილისგუდას.

ლოქი – მერედა როგორ?

ბელზებელი – თავზას ვუბნევდი

...ჭადრაკით მხოლოდ.

ლოქი – რას მეუბნები?

იოგარინდრა – წელან მეც ბრძოლის მგონი მესმა ხმა.

ბელზებელი – დავყარე ქვები, აღარც შემცდარხარ.

მაგიდის ფიცრის ლაწუნი ალბათ

ბრძოლის ყიჟინს და ხმაურს მოჰგაედა.

იოგარინდრა – მო, შევექმნათ კაცი! მეც მსურს თამაში.

ლოქი – ვერვინ მაჯობებს ბადის გაბმაში.

იოგარინდრა – მე მას დავხვდები ირიბი სარკით.

ბელზებელი – ცრუ მისტერიით, მითით და მრწამსით.

ლოქი – მაგრამ ვის ძალუძს გამოძერწვა მისი შენს გარდა?

ბელზებელი – თამაში, რაც არ დაგიჯდება ერთ ბეწო გარჯად.

იოგარინდრა – საჩქაროდ საქმე, ლამისაა დღეი დამთავრდეს.

ბელზებელი – სადაა თიხა? ამ საქმისთვის თავი გადავდე.

(მან დასრისა თიხა და დაიწყო ძერწვა)

ბელზებელი – მცირედი მტკერი,

მცირედი შლამი,

პატარა კირი,

პატარაც ჟანგი.

კუნთი და ხრტილი,

ნეხვი და ლოდი,

ბუტკოს შეზრდილი,

ხორცი და ქონი.

აკლდამა ჭყანტი,

რაც მატერიას, –

გაზი, მარილი, –

გადაჰფენია,

ეს რაა, შენ რომ უწოდე ტვინი,

დაფრენს, ტივტივებს, ბრმა ფერმიხდილი,  
ჭაობის სული – ქარს აყოლილი.  
ოი, ჯეკ ლანტერ, შენაც აქა ხარ,  
ზეცის ზმანებავ, კრთომავე ვარსკვლავთა.  
მარცხნივ და მარჯვნივ მონახე ძმები,  
უკან ჭაობში – ბოლო ჩაძვრები.  
სამაროვნებიიიი, სამაროვნებიიი!

მინდორი – სამაროვნები! სამაროვნებიიი!

(ბელზებელი მიწას აგროვებს და თავის ქალად აქცევს)

ბელზებელი – ჰე, ბერიკაცო  
ვიდრე დაგამსხვრევ,  
მიგასიკედლებ  
და თიხად გაქცევ,  
შეგხელო კარგად:  
შენ გულადს გავხარ  
და შენს ქალაში  
დაუღევს ბინა  
შენს საყრდენს მთავარს.  
და შენს ქალაში  
იყო სიცრუე,  
სახე კი გქონდა  
კუშტი, არ ძრწოდა.  
შენს ნამდვილ სახეს  
თმები არ ამხელს.  
მო, განგაახლებ.

(ის სრესს ქალას და მასში თიხას ურევს)

კვლავ მტვერი გახდი,  
კირქვა და ჟანგი.  
მოგსრეს და მიგსრეს  
და შეგქმნი ისევ.

მინდორი – ისევ, ო, ისევ?

(ამდაგვარადვე გამოძერწავს ბელზებელი რამდენიმე ფიგურას და ღვამს მათ ხეების საპირისპიროდ)

ლოქი – რაც შეეხება სიცოცხლის სულთქმას,  
მე როგორც მახსოვს სწორი იყავი  
რომ ჯერ სხეული შექმენი მათი,  
ხოლო სული კი შემდეგ მიართვი.

ბელზებელი – გრავიტაციით  
მე შევექმნი სურვილს.

იოგარინდრა – გრძნობები მოკვების  
ავადურ წყურვილს.  
მას ჩემი სარკით  
მოვეუღლენ ცოდვებს.  
ვინ იყო ეგ ზომ მკაცრი,  
რომ მე – შეთქმულს და  
შენ კიდევ თაღლითს  
მონად შეგვიქმნა კაცი?  
და შენ შეთქმულო სდიე მის ფიქრებს  
რასაც იაზრებს, რასაც ეძიებს?  
გაორებული გენით,  
გონებითა და ნებით,

რასაც შეამჩნევს თვალით, რასაც ვერ ხედავს მზერით.  
მოდო მეჯლისზე! რაიც შეეზიზღება იმას,  
ჩვენ აღგვამაღლებს მასზე, მას განუსაზღვრავს მიზანს.

(ისინი ხელიხელჩაკიდებულნი ცეკვავენ)

ლოქი – ვნება, მიზეზი, ჩვეულება, წესი, ზნეობა,  
ეკლესია და მრწამსი, სასწავლებელთა სწავლა,  
გაწყალებული სისხლი, ძალაგაცლილი სული,  
სულს ვერ დაიცავს ხორცი, ძლიერ სუსტია რადგან.  
სიმდიდრე და სიღარიბე, მოწყენა და სევდა  
და სიამაყე შობის, ამ ქვეყანასა ზედა,  
აი ყოველი, რითაც უნდა გამოგიჭირო,  
აბლაბუდაში გამოგხლართო ადამის შვილო.

იოგარინდრა – ჩახედე სარკეს, არაა ცხადი?  
რას გრძნობ, რას ფიქრობ, ახლა, მითხარი?  
ჰა, ოქროს განძი გამოვაჩინო  
და მხიარული ფიალით ღვინო.  
მათრახად იქცა ყვავილის ფოჩი,  
ტრფობის სუნთქვა და წითელი ტუჩი.  
და ნესტოებში სუნთქვა.

ბელზებელი – სიცრუის სუნთქვა,  
სიკვდილისკენ – უაზრობიდან,  
კლდისგან, ობისგან, ალტაცებიდან,  
სიყალბიდან და პარადოქსიდან.  
ცოცავს სხეული, ლივლივებს სული,  
ქანაობს თოკი გამონასკული.  
აშიმშილეთ და ტანჯეთ სიმართლით  
და სიჭაბუკის სასო მიართვით.  
შერცხვენილი და ნაშიმშილარი  
დააბერე და გაანადგურე  
შემდეგ ქალაქში დაასადგურე,  
ვიდრე დასწყევლის, თუკი მოასწრებს  
უნივერსუმის სულელურ სახეს.  
ისევ და ისევ ავსრისოთ მიწა,  
რაც იყო მტვერი – სულდგმულად იქცა.

სამივე – ჰა, ჯოჯოხეთი ბადებს იარებს,  
ხლართებს, რაც ძლიერ სწრაფად ბზრიალებს.

ბელზებელი – (საყვირის ქნევით) აღსდექით, გაცოცხლდით!  
ერთი ფიგურა – რა უცნაური და რა ახალი!

მე, მე ვარ, მაგრამ ჩემში სხვაც არი.

სხვა ფიგურა – ცერაანა გახლდით, საიდან ახლა ეს მონატრება?

სხვა ფიგურა – მიწაზე დაბლა ნერგი ვიყავი მუდამ დახრილი  
...დედამიწისკენ –

სხვა ფიგურა – მე კი გაჩრილი

სხვა ფიგურა – გრანიტში დენი ვიყავი, კარგო,  
...ეხლა ვაზროვნებ

სხვა ფიგურა – ო, ვარ რა მარტო!

სხვა ფიგურა – შენია ჩემი ბაგე, მარტოკა

მე შენში ვპოვებ ზეციურ ტრფობას.

ბელზებელი – წადით, მოიცათ, მეგობრებო, გადავიფიქრე,  
შევუღვეთ თამაშს.

(ის იქნევს საყვირს)

და შევგროვდეთ მწვანე ოთახში.

(ფიგურები ქრებიან)

იოგარინდრა – ო, დიახ, დადგმა, კარგი აზრია,  
მაყურებელი ვინ იქნება? ჩემი ვალია,  
რომ ყველაფერი მოჰგავდეს ნამდვილს.

ლოქი – მე სიუჟეტი უნდა დავხლართო,

შემდეგ სურათებს შევუცვლი ადგილს

ბელზებელი – ჰო, შეიძლება,

მაყურებელი შეძლებს მოსვლას საფლაკებიდან.

(მან ჩაჰბერა საყვირს წინანდელზე უფრო ხმამაღლა. სურათი იცვლება. სცენა გადაინაცვლებს საფლაკებს შორის. ფარდა ჩამოშვებულია, მის მიღმა იმალებიან ახლად შექმნილი ფიგურები, რომელთაც სუსტი შუქი ეცემათ, ბელზებელი ღვება ფარდის წინ)

ბელზებელი – (ამაზრზენი ხმით ჩაჰბერავს საყვირს)  
ჰაუუუუ!

(იმწამსვე, ისმის ჩხრიალი, თითქოს ქარი აქანავებდეს კუტკალიების ჩონჩხს. ასობით მკვდარი – ანთოლოგიის გმირი – მიიჩქარის საყვირის ხმაზე)

ხმა – გაბრიელ! გაბრიელ!

ბევრი ხმა – განკითხვის დღეა!

ბელზებელი – იყურეთ ყველამ,

ჩამოცვენილან ვიდრე ვარსკვლავნი,

ჩამოვარდნილა, ვიდრემდის მთვარე.

ბევრი ხმა – შენ დაგვიფარე! შენ დაგვიფარე!

(ბელზებელი იწვდის ხელებს მაყურებელთა თავს ზემოთ, ისეთი მოძრაობით თითქოს აკურთხებდეს მას და აღადგენდეს წესრიგს)

ბელზებელი – გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ქალბატონებო და ბატონებო, განმარტებას, თუკი მენდობით. მე გადაწყვიტე უცნაური გიბოძოთ ახსნა და ანალიზი ჩემი დადგმის შემაღვენლობის. თუმცა ვტყუივარ ჯერაც და ვარ სიცრუის მამა, განწყობილი ვარ დღეს ისე, რომ ვერ მოგატყუებთ, თუმცა სიცრუე მიყვარს, ჩემი ხელოვნებაა, უნებისყოფოთ, განკითხვისგან დახსნას გარგუნებთ. ქვესკნელში, ახლა საიდანაც მე გეახელით, ადამიანთა სევდამ ფესვი უზღვროდ გაიდგა, ვუმზერდი მათ და ვისრუტავდი ძალ-ღონეს, რაიც იდო მიწაში მდიდარქმნილში ხრწნადი გვაძისგან. აქ ყვავილია, დაგრეხილი ღეროც აქაა, აქ ნაყოფია, გაფურჩქვნამდე რაიც დამჭკნარა, აქ მცენარეა გამხლართული გზაჯვარედინზე მწვანე მატლები რასაც ლორწოდ აქცევენ ჩქარა აღმოცენდება უგემური წითელი ვაშლი ფესვიდან, რაიც შერჩენილა ჰაერს ეულად. მარჯვე ხელიც კი, გამოცდილი მუშაკობაში ვერ იხსნის ხეს, რაც ელვისაგან გადამსხვრეულა. რაღად ყვავილობს წყლისწიწმატა მისუსტებულნი, ხოლო მწერები მრავლდებიან და იზრდებიან და დაძარღვული ფოთლები და ყვავილები კი დაბლა ცვივიან და საკვები მათი ხდებიან? ხე მშვენიერი ვიდრე კარგად მომწიფდებოდეს, რად იფარება – მიმოგრეხილ დამჭკნარ რტოებით? ხე, ჯერაც ნორჩი, რაღად ხდება, რომ მწიფს და ყვავის, ქვედაცემულან როცა მისი, ქვეყნად, ტოლები? მე ბევრს ვუცქერი მიწის ქვემოთ, ვხედავ მიწაზე, ვიცი წიაღი სად მწირია და სად მსუქანი.

დაკლაკნილ ფესვებს, რასაც მღვდელნი ცოდვად უხმობენ  
და ქვებსაც ვხედავ, შეაფერხა რამაც გუთანი.  
მე ვიცი ყველა საიღუმლო თვით გულისგულშიც,  
თუ რა მოუვა ფესვებს ფიჭვის, დაფნის, ანჩარის  
და მას ვერავინ ვეღარ შეცვლის მინდორზე გარჯით.  
კაცი კაცია და ზნეობა მოსდგამს სატანის.  
ჰოდა, სულები აღმოცენდნენ მომდევნო ღრამის,  
უეჭველია, მიწაში მყოფ თესლებისაგან,  
ეუმზერ მე იმათ ეშმაკეულ ციკლორამაში,  
მათთვის შესაფერ შუქში მთელი ღირსებით ჩანან.  
ჩემი მიზანი: მსურს გავმართო დღეს გამოფენა  
სულთა ერთურთში არეული ნაწილაკების.

(ის იქნევს ჯოხს)

მო, ალასრულე მაგიური შენი მისია  
შემქმნელო ცეცხლო, მო, ალაგზნე შენი ალები!  
სულს შევქმნი ანდა დაგანახებ როგორ იქმნება.

(ის ისევ იქნევს ჯოხს. ჩნდებიან მრავალფერი ალები)  
ჰა, ეს ქალია. დაინახავთ სულ მალე, ალბათ.

(გამოჩნდება წითელი ალი)

ეს ჭლექიანი ალი ყველას შიშის ზარს სცემდა:  
ის ჯარისკაცის წყველა იყო, მმუსვრელი ძვალთა.  
მისმა გოგომ კი გააჩინა ამქვეყნად ლედი  
და მიიცვალა შუახნისა ის სურავანდით.  
ის უტკბილესი, მიმზიდველი ქმნილება გახლდათ  
და არ უხილავს არვის მისი ვნებით ნავარდი.

(გამოჩნდება მეწამული ალი)

შეხეთ! ის არის საფრანგეთის დიდებულების, –  
საუკუნეთა წიაღიდან, შთამომავალი.

(გამოჩნდება ცისფერი ალი)

ეს კი სურვილი, აღვსებული ზიზლით ბორკილთა  
რასაც ებრძოდა მამამისი – წელი მრავალი.  
მწუხარებამ და მარცხმა მისი სახე გაყინა.  
მას არასოდეს არ უყვარდა ჭმუნვარე შვილი,



არც შვილის ლტოლვა იმისადმი, რომელიც ოქროს  
მოაქვს ამქვეყნად – სიამაყე მარტოღმთენილი.  
გადაიტყვევა სიმახინჯედ, უხეშ საუნჯედ  
ადამიანის დამშეული, შობითვე, გული.  
ასე აავსო მიწა ქვენა მისწრაფებებმა  
ამოიზარდა ტყე ტანჯვით და ძრწოლით დაგული.  
გმირი ქალწული ჩვენი კელტი, გალური ცეცხლი.  
ცოდვის უშიში, ცრუ ცბიერი და ბოღმიანი,  
ამაყი, გულქვა, მგზნებარე და უმამაცესი!  
ქედდაუდრეკი, თუმც მრავალჯერ თავსისხლიანი.  
და ქალს შემოხვდა სადმე კაცი, ვთქვათ ჩვენი გმირი,  
რომელსაც ჯერაც უხდებოდა ომში ლოდინი,  
თითქოს ის იყო ბორჯია და ის კი ნერონი,  
ეს იქნებოდა, ვით სატანის მცირე ოინი.  
ასეც იქნება. ამ სამყაროს ბალი უღვევი  
არაა ჩემი, მე გავცქერი ნაწიბურს მხოლოდ.  
ხორბალს შეეძლო, რომ ჰქონოდა იმუნიტეტი,  
ზედამხედველსაც ძალუძს უმაღ მოუღოს ბოლო.

(ყვითელი ალი)

ჰა, ქალიშვილის მოღალატე დიდი ბატონი –  
ედემის ბაღში-დაუწყვილდა, რომელსაც შემდეგ.

(ელვისფერი ალი)

ეს მისი ხსოვნა ტანჯული და გაწამებული,  
რაიც მის შვილსაც სიძულვილის არგუნებს შედეგს.  
გმირი ქალწულის წინაპარი დიდი ბებია  
ბიძათაშვილი იყო სწორედ იმ ქალიშვილის,  
თუმცა ამ ქალს და ამ კაცს ეს არ გახსენებიათ.  
მრავალ საყვარელს გამოიცვლის ამათი შვილი,  
შემდეგ კი ხედება ნამდვილ რაინდს და უღლდებთან.  
გაორებული რადგან ამ ქალს ჰქონდა ბუნება,  
ის სანახევროდ ცუდი იყო, ნახევრად კარგი.  
ეშმაკმა ნათლად ვერ გადმოგცათ ეს თავსატეხი,  
რადგანაც უკვე ამოსწურა სიტყვის მარაგი.

პოდა, როდესაც ერთურთს შეხვდნენ ჩვენი გმირები, ისინი ერთურთს ჩაეკონნენ, სამოსში ვნების ჩაინთქა ზიზღი, გახლართული ქალის ბადეში, აუტანელი სიძულვილი იგრძნო ვიდრემდის.

და ჯარისკაცის სისხლში უცებ გაჩნდა ვირუსი, ედემის ლანდი და შესაძლო აღრევა სისხლის; დედის აშიკნი შემოერთყნენ ჩვენს გმირს დაცინვით, რომ ბედისწერა ერთურთისგან მათ ველარ იხსნის.

ქორწინება და ფიცი გახლავთ პიესის არსი.

მოდის ნაკადი ტრაგიკული მალე დადგამში.

ფაქიზი ქმარი. შორიახლო, როცა იქედნე შემოსრიალდა ეშმაკურად ედემის ბაღში.

ქალმა ორგულმა შობიდანვე, მოწყვიტა: ხილი – ცნობადის, ხოლო ფოთლები კი – სიცოცხლის ხიდან და მას დაეტყო გარყვნილება მსგავსი ფრანგული სამეფო კარის და მეუღლეს არაფრად თვლიდა.

სხვა თქვენაც იცით. მისი ქცევა მალე გაიგო და მოკლა ქმარმა, ტრფობისაგან დაკარგა გონი. უარყოფილმა არ შეუნდო, რადგან მიაჩნდა ის საკუთრებად. ო, რა ცუდად ესმოდა ცოლის.

(ის იქნევს ჯოხს, მიუთითებს ციხის საკნისაკენ)

ახლა ის აქ ზის, ჩამოახრჩონ უნდა გორაკზე – რაც თავს გარდახდა, ვერ ყვებოდა დამუნჯებული.

„ფუტუროს ქებას“ არქმევს ტრფობას თქვენი პოეტი, მე კი მგონია ის წამება ჯოჯოხეთური.

„ის თქვენ მოკალით“ მიუთითა ხელი მსაჯულმა.

ჰო, ეს ასეა, თუმც მიზეზი ჰქონდა იქნება, რაზეც ის ველარ ისაუბრებს, მე კი – ავტორი თქვენ წარმოგიდგენთ მიზეზებს და ჭეშმარიტებას.

(ის იქნევს ჯოხს)

ახლა დავიწყით! (დროა უკვე) ავწიოთ ფარდა!

ისინი ჩაის მიირთმევენ ნაზ ყვავილნარში.

მათი სულები ბაასობენ ო, რარიგ ნაზად.

„ლაოკოონი“ ჰქვია დადგმას, ხომ კარგი არის?

ხმა — მიწის უბრალო სიზმარი,

სხვა ხმა — ჩვენს დაბადებას ჩვეული.

ციურ კომეტის ციალი,

სტიქიებს გადმოფრქვეული.

სხვა ხმა — ორგზის მესიზმრა ზმანება, —

მიწისეული ხილვების

უაზროდ არევ-დარევა.

შორეული ხმა — თქვენ აქ შეხვდებით სულთა,

ნაპირთა უკაცურთა,

მათთან მისვლა არ გასურდათ?

მაშინ მიჰყევით უკან.

თქვენში დაფლულა რაიც,

მას წარმოადგენთ სწორედ.

სადაც აღარ ქრის ქარი,

ნესტი რომ არის, შშორე.

თქვენ გაანათეთ ლამპით.

აღისმაგვარი ლტოლვა.

ჩემთან მართლაცდა არის

მხოლოდ ცეცხლი და ყოფა.

(ბელზებელი, ლოქი და იოგარინდრა გაქრნენ. ფანტასმაგორია იწურება. იქ სადაც მკვდრები იყვნენ შეკრებილნი, ეხლა მხოლოდ ფოთლების დაისის მაგვარი შუქი ჩანს. ისმის ხმები).

პირველი ხმა — გაზაფხულის დრო დადგა, მიიღია ზამთარი —

აღგა აცეკვდა მხიარულად კვლავ, გულგამთბარი.

მზე კვლავ დაბრუნდა.

ჩვენ ვართ დამფრთხალნი.

მიწას არ უნდა

სახე დამწვარი

გამოაჩინოს.

იფარებს ხელებს.

მზე მოჰგავს არწივს,

ბარტყს რომ დაჰყურებს.

მიწაა ბარტყი,

და მზე აპკურებს –  
სიცოცხლეს – თესლში,  
სურვილს – ყვავილში.  
სიცოცხლეს არ შობს  
ცეცხლი მანამდე,  
სიცოცხლე ვიდრე  
ცეცხლს არ დაბადებს.

მეორე ხმა – გავსრიალდი და გავექრი,  
თვალები დაგიზაფრე.  
ჩაკეცივინთე-ამოკეცივინთე,  
ადგილს ვიცვლი და დავფრენ.  
შენი ვიყავი-დამთმე,  
ვინ მომივლიდა კარგად?  
სენაკში მპოვე ახლა.  
თუკი გჭირდები აქ ვარ.

მესამე ხმა – შენ ამ სენაკში, აქ ხარ?  
ო, არგანი მაქვს ხელთით,  
ეხლავე გამოგნახავ.

მეორე ხმა – ნუ, ჩვილო, მე ვარ ღმერთი.

მეოთხე ხმა – როს თოვლიანი საწოლებიდან, გორაკის ძირას  
მოსჩქეფენ წყლები,

სადაც ეძინათ ქვის ოთახებში, ყინვის ლოლუა  
როცა მეფობდა,

აპრილის ქარი უბერავს ტყიდან და გაიძახის  
„გაიღვიძენით!

ფესვებო, მიწას ჩამალულებო გაზაფხულია,  
ძილი გეყოფათ.

შემდეგ მზე ხარობს, ჩუმი მთვარე და ხმა გაისმის,  
რაიც ეძახის

ვერცხლისფერ აჩრდილთ, რომ ყვავილები გამოადვიძონ  
ზმანებებიდან,

ძალიან ღიძხანს იყო მწუხარი ეს ჩემი გული, გული  
რომელსაც,

ახალისებდა ნათელი სახის ელვა იჩქითი  
და თმების ბზინვა.

ვღგები და მარტო მე მივუყვები დაკლაკნილ ბილიკს  
მდინარის პირად,  
ვიჭერ მიმქრალ შუქს, შევიგრძნობ ნუგემს და აღვივსები  
ღრმა სიზარულით.

სად დამატარებ მითხარ ველურო, გაუთავებლად  
და ასე ხშირად?

ზემოთ გორაკზე, ზემოთ გორაკზე, ანდა იქ ქვემოთ –  
მდელოზე რულის?

მ ზ ე – უხმო სივრცეში, სამყაროს თავზე, შორს უთვალავი  
უტევანებით,

ქრის ჩემი სული ცეცხლისენება ქნარით, აღძრული  
ქუხილით უხმოდ,

ჩემს თვალწინ ქრიან ცთომილები და უნივერსუმის  
ნაწილაკები,

ამ უსასრულოდ ვრცელ სურვილებში მე თავს მხოლოდდა  
მტკერის ლაქად ვუხმობ.

რა არის ჩემი სამყარო, რაიც მე მმორჩილებს და  
თან მამორჩილებს

ძალას, რომელსაც მე ხელთვუპყრივარ და უსასრულო  
გზას გამიყენა?

ჩემი შვილები მიწოდებენ დიდს, სიცოცხლისა და  
დღის მიმნიჭებელს,

ჩვილ ბავშვს; ვინც ვტირი სიცოცხლისათვის და არც კი ვიცი  
ვინ გამიწყრება.

მილიონობით მნათი ჩემს ზემოთ, ღამის იყოს  
კრეტსაბმელი თითქოს,

სადაც ჰკიდია ქმნილებამდელი ალი, ფარდას რომ  
გამოატანა.

ყველა მათგანი სამყაროებით, სამყაროებით  
სინათლეს ითხოვს.

რად მისდევს ყველა საკუთარ ბილიკს, როგორც ანთებულ  
სანთელს ფარვანა?

ირმის ნახტომი – უსასრულოა გზა და  
სიცოცხლე სუფევს მარად.  
უსასრულოა ძალა.

ხმა – უფალო შენი ძახილი  
მშვიდობის არა – მახვილის.  
მარადიული სურვილით  
და არა გულის წყურვილით.  
ჩვენ განვადიდებთ შენს ძალას,  
დაესძლევთ დროებას წარმავალს.  
უნდა გაცხოვროს ომებმა  
არა ძილმა და ზმორებამ.

უსასრულო სივრცე – დაუსასრულო სიმართლე  
დაუსასრულო ცხოვრება!



მთარგმნელისაგან	3	პარად დრუმერი	28
სფუნ რივერის ანთოლოგია	7	კონრად სივერი	28
სამაროვნები	7	დოგ პილი	29
პოდ ფუთი	9	ენდი - ლამის დარაჯი	30
ოლი მაქჯი	9	სარა ბრაუნ	30
ფლეჩერ მაქჯი	10	პერსი ბიში შელლი	31
ქონსტანს ჰათლი	11	ფლოსი კაბანისი	32
რობერტ ფულტონ ტეინერი	11	ჯულია მილერი	32
სერეფთა მეისონი	13	ჯონ სეიერი	33
ამანდა ბარქერი	13	ჩარლი ფრენჩი	34
ჩეიზ ჰენრი	14	ზენას უითი	34
პარი ქერი გუდჰუეი	14	პოეტი თეოდორე	35
ჯაჯ სომერსი	15	ქალაქის მარშალი	36
ქინსი ქიინი	16	ჯექ მაკგუერი	36
ბენჯამინ პანთიერი	17	დორქას გუსტინე	37
ქალბატონი პანთიერი	17	ნიკოლას ბინდლე	38
რუბენ პანთიერი	18	იაკობ გუდფარსჩე	38
ემილი სფარქსი	19	პაროლდ არნეტი	39
აფთიაქარი თრაინერი	20	მარგარეტ ფულერი სლაქი	40
დეზი ფრაზერი	21	ჯორჯ ფრიმბლე	41
ბენჯამინ ფრაზერი	21	ექიმი ზიგფრიტ აისმენ	41
მინერვა ჯოუნსი	22	„იკიკო“ შოუ	42
„მშფოთვარე“ ჯოუნსი	23	ლოის სფეარს	43
ექიმი მეიერსი	24	მოსამართლე არნეტი	43
ქალბატონი მეიერსი	25	უილარდ ფლუქი	44
„შმაგი“ უელდი	25	ეინერ ქლიუთი	45
ნოულთ პოპეიმერი	26	ლუციუს ათერთონი	46
ლიდია ფუქეთი	27	პომერ ქლუფი	47
ფრენკ ბრუმერი	27	დიაკონი ტეილორი	47

ქონი ფოთური	48	მღვდელი ლემუელ უილეი	71
ფიდლერ ჯოუნსი	49	უმცროსი თომას როსი	72
სემ ჰუქი	50	მღვდელი აბნერ ფითი	72
ნელი ქლარჯი	50	ჯეფერსონ ჰაუარდი	73
ლუიზა სმიტი	51	მოსამართლე სელაპ ლაივლი	74
პერბერთ მარშალი	52	ალბერტ შირდინგი	74
ჯორჯ გრეი	52	ჯონას ქიინი	75
პატ. ჰენრი ბენეთი	53	ევგენია თოდი	76
მეკასრე გრიფი	54	იე ბაუ	76
კბილის ექიმი სექსმითი	54	ვაშინგტონ მაქნილი	77
ა. დ. ბლუდი	55	პოლ მაქნილი	78
რობერტ სოუთი ბიორჯი	56	მერი მაქნილი	79
დორა უილიამსი	57	დანიელ მაქუმბერი	79
ქალბატონი უილიამსი	58	ჯორჯინა სენდი მინერი	80
უილიანი და ემილი	59	თომას როუდსი	81
სამხარეო მოსამართლე	59	აიდა ჩიქენი	82
ბრმა ჯეკი	60	ხელოვანი პენივითი	82
ჯონ ჰარას ბურლსონი	60	ჯიმ ბრაუნი	83
ნენსი ნაფი	61	რობერტ დევიტსონი	84
ბარი ჰოულდენი	62	კარლ ჰამბლინი	85
შტატის პროკურორი ფალასი	63	რედაქტორი უედონი	86
უენდელ ფ. ბლოიდი	63	ელზა უერთმანი	87
ფრენსის თიურნერი	64	ჰამილტონ გრიგი	88
რუსი სონია	65	ერნესტ ჰაიდი	88
ფრანკლინ ჯოუნსი	66	როჯერ ჰესტონი	89
ჯონ მ. ჩიორჩი	66	ამოს სიბლი	89
აიზ ნიუთერი	67	ქალბატონი სიბლი	90
ბარნი ჰაინსფითერი	68	ადამ უერაუპი	90
პოეტი ფეთითი	68	ეზრა ბარლეტი	91
პაულინა ბარეთი	69	ამელია გარიჯი	92
ქალბატონი ჩარლზ ბლისი	70	ჯონ ჰონქოქ ოთისი	92
ქალბატონი ჯორჯ რისი	71	ენტონი ფინდლი	93



გონ კაბანისი	94	პელეგ პოუჯი	106
ჟეცნობი	94	ჭედუსონ ჰაულეი	126
ალექსანდერ თროქმორთონი	95	აბელ მენვილი	121
გონათან სვიფთი სომერსი	95	ოაქს ტუთი	122
მარკუარლინის ქერივი	96	ელიოტ ჰაუჭინსი	123
იუჯენ ჯარმანი	97	ვოლტაირ გონსონი	124
ქლარენს ფაუსეფი	98	ინგლიშ თორნტორი	125
უ. ლოიდ გარისონ სთანდარდი	99	ენოქ დუნლაფი	126
პროფესორი ნიუქომენი	100	აიდა ფრიჭეი	127
რალფ როუდსი	100	სეთ ჯომფთონი	127
მიქი მაქგრაიუ	101	ფელიქს შმიდტი	128
როზა რობერტსი	102	მეთეუზე შროედერი	129
ოსკარ ჰუმელი	103	რიჩარდ ბოუნი	130
როსქოე ფიუჟაფაილი	103	საილეს დემენტი	131
ქალბატონი ფიუჟაფაილი	104	დილარდ საისმენი	132
გოზიაჰ თომფუქინსი	105	გონათან პოუგტონი	132
ქალბატონი ქესლერი	106	ი. ს. გულბერტსონი	133
ჰერმან უითნეირი	106	შექ დიე	134
ბერტა ქესლერი	107	ჰიდრუფ თრუმსი	135
ლამბერტ ძათჩინსი	108	ჰენრი თრიფი	136
ლილიან სთიუარტი	109	გრენვილ ქელპოუნი	137
პორთენს რობინსი	110	ჰენრი ქ. ქელპოუნი	137
ბეთერტონ დობინსი	111	ალფრედ მოირი	138
ჯაკობ გუდბეი	112	პერი ზოლი	139
უოლტერ სიმონსი	112	თვალის ექიმი დიფოლდი	140
თომ ბეათი	113	მაგრედლი-გრეკემი	141
როი ბუთლერი	114	არჩიბალდ ჰიგბი	141
სირსი ფუთი	115	თომ მერიტი	142
ედმუნდ პოლარდი	116	ქალბატონი მერიტი	143
თომას თრეველიანი	117	ელმერ ჯარი	143
პერსივალ შარფი	118	ელიზაბეტ ჩილდერსი	144
პირამ სკეითსი	119	ელიტ ჯონანთი	145

ჩარლზ უებსტერი	146	სამეუღლე გარდნერი	171
მამა მელი	147	დაუ ქრითი	172
ემი გრინი	148	უილიამ ჯოუნსი	173
ქელვინ ქემბელი	148	უილიამ გუდი	173
ჰენრი ლეიტონი	149	ჯ. მილტონ მაილსი	174
ჰერლალ სეუელი	149	ფეის მეთენი	175
იპოლიტ კონოვალოვი	150	უილი მეთქლაფი	175
ჰენრი ფიპსი	151	უილი ფენინგტონი	176
ჰარი უილმენსი	152	სოფლელი ათეისტი	177
ჯონ უესონი	153	ჯონ ბოლარი	178
ჯარისკაცები	154	ჯულიან სქოთი	178
გოდვინ ჯეიმსი	154	ალფონსო ჩერჩილი	179
ლაიმენ ჰინგი	155	ზილფა მერში	180
ქაროლინე ბრენსონი	156	ჯეიმს გარბერი	181
ენი რათლეჯი	158	ლიდია ჰუმფრი	182
ჰამლეტ მიქოური	158	ლი როი გოულდმენი	182
მეიბლ ოსბორნი	159	გუსტავ რიხტერი	183
უილიამ ჰ. ჰერდონი	160	არლო უილი	184
რებეკა უეისონი	161	კაპიტანი ორლანდო ქილიონი	185
რეზერვორდ მაქდაუელი	162	ჯერემი ქარლაისლი	185
ჰანა არმსტრონგი	163	ჯოზეფ დიქსონი	186
ლუსინდა მეთლოქი	164	ჯადსონ სთოდდარდი	187
დევის მეთლოქი	165	რასელ ქინქეიდი	188
ჰერმან ალთმენი	166	აარონ ჰათფილდი	188
ჯენი მაქგრეუ	166	ისაია ბეთჰოვენი	189
ქოლუმუს ჩენეი	167	ელიჯაჰ ბრაუნინგი	190
უოლეს ფერგიუსონი	168	უებსტერ ფორდი	192
მერი მეთსონი	168	სფუნიადა	193
თენესი ქლეფლინ შოუფი	169	შენიშენები	202
ფლიმოუთ როქ ჯო	170	ეპილოგი	204
იმანუელ ერენჰარდტი	171		

რედაქტორი ბადრი თევზაძე  
გამომც. რედაქტორი ომარ მეგრელიშვილი  
მხატ. რედაქტორი ჯემალ მიქელაძე  
ტექ. რედაქტორი ღა

დამაბეჭდველი რუსუდან მეგრელიშვილი  
კორექტორი მანანა ბერიძე  
თანრედაქტორი მანანა ჩაქუაშვილი

გამომცემები მინურ აბულაძე

*მხატვარი* გოგიტა გოგიბერიძე